



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლარა ნაჭყეზია

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ქვეყნების კლასიფიკაციის
პრობლემეტიკა და გამოწვევები

სადოქტორო პროგრამა: სამართალი

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ჯიქია, სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლარა ნაჭყებია
20 მაისი, 2022 წელი

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (“მსო“) წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის დღესდღეობით არსებული მეთოდის ნეგატიურ ასპექტებსა და რეფორმის განხორციელების საჭიროებას. უდავოა ის ფაქტი, რომ მსო-ს წევრი ქვეყნები ეკონომიკურად უთანასწორონი არიან, რომლის აღმოფხვრის მიზნით, მსო თავის შეთანხმებებში ითვალისწინებს ე.წ. სპეციალური და განმასხვავებელი მოპყრობის (“S&DT”, “S&D treatment” ან “Special & Differential Treatment”) მუხლებს, რაც გულისხმობს განვითარებადი ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებას, გამოხატულს გარკვეულ პრივილეგიებში (მაგ.: სუბსიდიები, დემპინგი, ტექნიკური და ფინანსური დახმარება). იმ სიტუაციაში, როდესაც მსო-ს შეთანხმებები შეიცავენ სპეციალური და განმასხვავებელი მოპყრობის მუხლებს, ალოგიკურია ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას არათუ არ გააჩნია განვითარებადი ქვეყნების ოფიციალური სია, არამედ მსო-ს კანონმდებლობაში არც არის განმარტებული განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების დეფინიციაც კი. სანაცვლოდ, მსო-ს წევრი ქვეყნები ეკონომიკური განვითარების მიხედვით არიან დაყოფილნი სამ ჯგუფად: ყველაზე ღარიბი ქვეყნები მიეკუთვნებიან ნაკლებადგანვითარებული ქვეყნების კატეგორიას და მათ იდენტიფიცირებას ახდენს გაერო მათ მიერვე სპეციალურად განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე; რაც შეეხება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, ისინი თვითნებურად აკეთებენ საკუთარი ეკონომიკური დონის იდენტიფიცირებას და თავს მიაკუთვნებენ ან განვითარებული ან განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს. არსებული კლასიფიკაციის მეთოდის შედეგად დგება სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყნებს (მაგალითად, ჩინეთს, სინგაპურსა და საქართველოს) აქვთ ერთნაირი სტატუსი - განვითარებადი, რაც, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უკმაყოფილებას. ზემოაღნიშნული სიტუაციის შედეგად, მუსირებს აზრი, რომ საჭიროა აღნიშნული კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმა და განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად დიფერენცირება მათი რეალური ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, უნდა მოახდინოს თუ არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ დღეს არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმა წევრი ქვეყნების რეალური ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით და თუ უნდა მოახდინოს - რა მეთოდით.

ნაშრომის ფარგლებში, პირველი თავი ეთმობა იმის მოკვლევას, თუ რამდენად ლეგიტიმურია განვითარებადი ქვეყნებისთვის „პრივილეგიების“ მინიჭება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების სახით. აღნიშნულის დასადგენად, ნაშრომში მიმოხილულია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების წარმოშობის ისტორია, მათი კატეგორიები, არსი და მიზნები; ასევე, ლიბერალიზმისა და ე.წ.

ახალშობილი ინდუსტრიის (“Infant Industry”) თეორიის ერთმანეთთან შეპირისპირებით დადგენილია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ეკონომიკური არგუმენტების საფუძვლიანობა.

ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ სტატუს კვოს შენარჩუნებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აიძულებს წევრ ქვეყნებს ოპერირება მოახდინონ ისეთ გარემოში, რომელიც რეალურად აღარ არსებობს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ნაშრომის მეორე თავში განხილულია უკანასკნელი წლების განმავლობაში მსო-ს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში გამოვლენილი ცვლილებები, რომლებიც თვითიდენტიფიცირების საფუძველზე მკაცრად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი ქვეყნების კატეგორიიდან განვითარებადი ქვეყნების უფრო ღრმა დიფერენცირებისკენ მზადყოფნასა და აუცილებლობაზე მიუთითებენ. გარდა ამისა, მოყვანილია არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ სტატუს კვო უარყოფითად აისახება მსო-ს ყველა წევრ ქვეყანაზე მათი განვითარების სტატუსის მიუხედავად. იმისათვის, რომ სტატუს კვო უარყოფითად არ აისახოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებზე, ნაშრომში გაანალიზებულია რიგი დათმობები, რომლებზეც განვითარებად წევრებს შეუძლიათ ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ განვითარებული ქვეყნები დაითანხმონ. მეორე თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩიხშია. შესაბამისად, ნაშრომში არგუმენტებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ იმისათვის, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი იპოვონ და კვლავ მოლაპარაკებების მაგიდას დაუბრუნდნენ, საჭიროა მათი მხრიდან იმ უსაფუძვლო არგუმენტების უგულვებელყოფა, რომელზეც ისინი თავიანთ უმოქმედობას აფუძნებენ და კომპრომისების გზების გამონახვა. გარდა ამისა, ნაშრომის მეორე თავში მოყვანილი და გაანალიზებულია ის კონკრეტული არგუმენტები და მაგალითები, რომლის საფუძველზეც ვასკვნიტ, რომ ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა და განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირება განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის.

მას შემდგომ, რაც ნაშრომი მიმოიხილავს იმ არგუმენტებსა და მიზეზებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ რეფორმა ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი ყველა წევრი ქვეყნისთვის, ნაშრომის მესამე თავში მოცემულია სიღრმისეული კვლევა, მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის შემთხვევაში, რა სახის კლასიფიკაციის მეთოდის დანერგვაა პრიორიტეტული. კერძოდ, ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარმოდგენილ კომუნიკაციებსა და წინადადებებში არსებული მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები; ასევე, შესწავლილია ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის

მეთოდის მიღების შემთხვევაში, ქვეყნების შესაძლებლობების მაიდენტიფიცირებელი ობიექტური კრიტერიუმების გამოვლენის და მათი გაზომვის გზები მსო-ს რამდენიმე ხელშეკრულების მაგალითზე.

კვლევის დასასრულს, ნაშრომში მოცემულია ის დასკვნითი დებულებები, რომლებიც ავტორის მიერ მიღებულია დასმული საკითხების შესწავლისა და სამეცნიერო დამუშავების შედეგად. ავტორი დასკვნის სახით განმარტავს, რომ ჭეშმარიტად განვითარებადი ქვეყნებისთვის „პრივილეგიების“ მინიჭება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების სახით არამარტო ლეგიტიმური, არამედ აუცილებელიცაა. თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში მსო-ს წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკის ცვლილების გათვალისწინებით, სხვადასხვა ეკონომიკური დონის მქონე ქვეყნებს ერთნაირი სტატუსი არ უნდა ჰქონდეთ. შესაბამისად, ნაშრომში წარმოჩენილია, რომ, ერთი მხრივ, არსებობს მთელი რიგი მიზეზები, რომლებიც რეფორმის აუცილებლობაზე მეტყველებენ და, მეორე მხრივ, არსებობს არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ გარკვეული დათქმების გათვალისწინების შემთხვევაში, რეფორმა მისაღებია მსო-ს წევრი ქვეყნებისთვის განურჩევლად მათი განვითარების დონისა, განსაკუთრებით კი საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. და ბოლოს, ავტორი ნათლად წარმოაჩენს, რომ რეფორმის გზა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის მეთოდის მიღებაში მდგომარეობს.

ავტორი იმედოვნებს, რომ ნაშრომი თავისი არსით და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით საინტერესო იქნება ვიწრო სპეციალიზაციის მკვლევრებისთვის (როგორც თეორიული ბაზა) და პრაქტიკოსებისთვის, ასევე მიიღებს ერთგვარი სარეკომენდაციო ნაშრომის სახეს საკითხით დაინტერესებული სამინისტროებისთვის, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს ინტერესებს იცავენ.

Annotation

Dissertation concerns the negative aspects of country classification within World Trade Organization (“WTO”) and the necessity of its reform. There is an undeniable inequality in economic development among WTO member states. With the aim to tackle this, WTO agreements have introduced Special and Differential Treatment (“S&DT” or “S&D treatment”) clauses, which provide assistance to developing countries, expressed in certain privileges (e.g., subsidies, dumping, technical and financial assistance). In a situation where WTO agreements contain S&DT provisions, it is odd that the WTO not only has no official list of developing countries, but the WTO legislation does not offer definitions of “developed” and “developing” countries as well. Instead, WTO member countries are divided in three groups: poorest members fall in the category of “least-developed countries” based on objective measurements devised by the United Nations; as for developed and developing countries, their status is arbitrarily determined on the basis of self-selection. Existing classification method leads to a situation where there are countries with diverse levels of economic development (for instance China, Singapore and Georgia) have the same status – i.e. “developing” - in the WTO. Unsurprisingly, this causes discontent among economically developed country members. Consequently, it is argued that a reform of a country classification method is necessary, resulting in further bifurcation of developing countries pursuant to their real economic development level. In this light, the aim of this dissertation is to examine whether the WTO shall carry out a reform on the current country classification method by taking into account the real economic development of the member countries, and if so - what method shall be introduced.

The first chapter of the dissertation focuses on examining the legitimacy of granting “privileges” in the form of S&DT clauses to the developing countries. In this light, the dissertation explores the history of evolution of S&DT provisions, their categories, essence and their prime purpose; also, by comparing and contrasting liberalism and so-called “Infant Industry” theory, the dissertation examines grounded economic arguments for the existence of S&DT clauses. The dissertation argues that by maintaining the status quo, the WTO is, in effect, forcing member states to operate in an environment that no longer exists. To illustrate this point, the second chapter of the dissertation discusses changes in both the WTO legislation and its practice in recent years that indicate a willingness and need for further differentiation of developing countries from a strictly self-determined developed/developing country category. In addition, arguments are cited to illustrate that the status quo has a negative impact on all WTO member countries regardless of their development status. To make sure that the current status quo does not negatively affect the interests of developing countries, the dissertation analyzes a number of concessions that developing members can agree on with the developed countries in exchange for the reform of the country classification method. The second chapter pays special attention to the fact that negotiations on S&DT clauses are, in fact, deadlocked. Therefore, the dissertation argues that in order for the

member states to find a solution and come back to negotiating table, it is of utmost importance for them to disregard the unsupported misconceptions on which they base their inaction and find ways to compromise. In addition, the second chapter of the dissertation presents and analyzes specific arguments and examples on the basis of which we conclude that the country classification reform and greater differentiation of developing countries is especially beneficial for developing countries with small markets, e.g. for countries like Georgia. Once the dissertation reviews the arguments and reasons proving that the reform is beneficial for all member countries regardless of their development level, the third chapter of the dissertation provides an in-depth study regarding what classification method shall be prioritized if the reform was carried out. In particular, the third chapter of the dissertation analyzes the possible ways and pros and cons of country classification reforms provided in both scientific literature as well as the communications/proposals presented by the member states' delegations; also, in case of adopting classification method based on objective criteria, by using certain WTO agreements as an illustration, the dissertation further analyzes the ways of finding objective criteria that can identify and measure the capabilities of the countries.

At the end of the research, the dissertation presents the conclusions that have been adopted by the author as a result of research and scientific processing of the issues raised. The author concludes that the granting of "privileges" in the form of S&DT clauses to truly developing countries is not only legitimate, but also essential. Nevertheless, it is also noted that given the changing dynamics of economic development of WTO member states in recent years, countries with different economic levels should not have the same status. Accordingly, the dissertation argues that, on the one hand, there are a number of reasons evidencing the need for reform and, on the other hand, there are arguments illustrating the fact that given certain reservations, reform may be acceptable to all WTO members, regardless of their level of development, and especially for those developing countries with small markets that are similar to Georgia. Finally, the author clearly demonstrates that the path to reform lies in adopting a method of classification based on objective criteria.

Taking into consideration the essence and the conclusions reached as a result of the research, the following dissertation shall be of interest for researchers and practitioners (as a theoretical basis); additionally, it is expected to be a recommendation report for those ministries interested in the issue, which defend the interests of Georgia in the WTO.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი 1. განვითარებადი ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.....	13
1.1. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების წარმოშობის ისტორია.....	14
1.2. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების კატეგორიები, არსი და მიზანი	18
1.3. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის მიზანშეწონილობის ეკონომიკური არგუმენტი	22
1.3.1. პროტექციონიზმის არსი და მისი გამოყენება.....	26
1.3.2. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორია.....	31
ა) გლობალიზაციის ფალსიფიცირებული ისტორია.....	33
ბ) გლობალიზაციის რეალური ისტორია	34
1.3.3. პროტექციონიზმის კრიტიკის საპირწონე არგუმენტები.....	41
1.3.4. არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების რეალური ეფექტი ეკონომიკაზე	48
თავი 2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის მიზანშეწონილობის არგუმენტები	54
2.1. ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევა მსო-ს სისტემაში.....	56
2.1.1. კლასიფიკაციის მეთოდები მსო-ს ხელშეკრულებებში	56
ა) GATT-ის XVIII მუხლის “დეფინიცია”	57
ბ) თვით-არჩევა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მიმდების მიერ	58
გ) სიითი ჩამონათვალი და იდენტიფიცირება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის გამცემის მიერ.....	59
2.1.2. ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევის მაგალითები მსო-ს პრაქტიკაში	62
2.2. რეფორმის მიზანშეწონილობის არგუმენტები	64
2.2.1. რეფორმის საჭიროების ეკონომიკური არგუმენტი.....	65
2.2.2. მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის არგუმენტი	73
ა) განვითარებადი ქვეყნების მიდგომის არამიზანშეწონილობა	75
ბ) განვითარებული ქვეყნების მიდგომის არამიზანშეწონილობა	77

2.2.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პრეცედენტები	84
2.2.4. სასამართლო სისტემის გადატვირთულობის არგუმენტი.....	87
2.2.5. მოლაპარაკების წარმოებისას ვაჭრობის ძალის ცვლილების არგუმენტი	93
ა) შეზღუდული შესაძლებლობები სავაჭრო მოლაპარაკებებში	98
ბ) განვითარებადი ქვეყნებისთვის მიწოდებული ტექნიკური დახმარების ხარისხი	101
გ) განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების აღმოფხვრის შესაძლო ინიციატივები	103
2.2.6. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების აღსრულების არგუმენტი.....	112
2.2.7. დავების მოგვარების სისტემაში გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემის მოგვარების არგუმენტი.....	119
ა) გადაწყვეტილების აღსრულების არსებული მექანიზმები და გამოწვევები	119
ბ) შესაძლო რეფორმის წინადადება.....	124
2.2.8. პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესების დაცვის არგუმენტი	129
თავი 3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის გზები	141
3.1. წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზები.....	143
3.1.1. ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულების პრეცედენტი	144
3.1.2. ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული რეფორმის გზები	153
3.2. ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ქვეყნების შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მათი „გაზომვა“	164
3.2.1. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება TRIPS-ის ფარგლებში	168
3.2.2. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება SCM-ის ხელშეკრულების ფარგლებში....	181
3.2.3. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება DSU -ის ხელშეკრულების ფარგლებში ...	186
ა) ძალის შეზღუდვები.....	187
ბ) ქვეყნების შესაძლებლობების/რესურსების შეზღუდვები.....	188

დასკვნა	196
ცხრილები.....	208
გამოყენებული ლიტერატურა.....	220

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

სხვ. - სხვა

წ. - წელი

წწ. - წელიწადი

AB – Appellate Body

AMS - Aggregate Measurement of Support

AoA - Agreement on Agriculture

Art. – Article

ASEAN – Association of Southeast Asian Nations

AVR - Aortic Valve Replacement

CTD - Committee on Trade and Development

DSB - Dispute Settlement Body

DSU - Dispute Settlement Understanding

EC – European Commission

ECHR – European Court of Human Rights

Eds. – Editors

FAO - Food and Agriculture Organization

GATS - General Agreement on Trade in Services

GATT - General Agreement on Tariffs and Trade

GDP - Gross Domestic Product

GNI – Gross national income

GSP - Generalised System of Preferences

GSTP - Global System of Trade Preferences

HDI – Human Development Index

IMF – International Monetary Fund

IPR - Intellectual Property Rights

IT – Information Technology

LDCs – Least Developed Countries

MFN Treatment - Most-Favoured-Nation Treatment

MPI - Multidimensional Poverty Index

MSF - Medecins sans Frontières (French: Doctors without Borders)

NFIDCs - Net Food-Importing Developing Countries

OECD - The Organization for Economic Cooperation and Development

p. - page

para. – Paragraph

paras. – Paragraphs

pp. - pages

S&DT – Special and Differential Treatment

SCM - Agreement on Subsidies and Countervailing Duties

SG Agreement - The Agreement on Safeguards

TFA - Trade Facilitation Agreement

TFAF - Trade Facilitation Agreement Facility

TRIPS - The Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights

UNCTAD - United Nations Conference on Trade and Development

UNDP – United Nations Development Programme

UNEP – United Nations Environment Programme

USTR – United States Trade Representative

WIPO - World Intellectual Property Organization

WTO – World Trade Organization

WWF – World-Wide Fund for Nature

შესავალი

უდავოა ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (“მსო”, “World Trade Organization” ან „WTO“) წევრი ქვეყნები ეკონომიკურად უთანასწორონი არიან.¹ ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, მსო თავის შეთანხმებებში ითვალისწინებს ე.წ. სპეციალური და განმასხვავებელი მოპყრობის (“Special & Differential Treatment” ან “S&DT”)² მუხლებს, რომელთა არსი და მიზანი თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფის პროცესში განვითარებადი ქვეყნებისთვის უპირატესობის მინიჭებაა საკუთარი საჭიროებების უპირატესად დასაკმაყოფილებლად.³ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები გულისხმობს განვითარებადი ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებას, გამოხატულს ისეთ პრივილეგიებში, როგორცაა სუბსიდიები, დემპინგი, ტექნიკური და ფინანსური დახმარება და ა.შ.).⁴

არსებულ გარემო პირობებში, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებები შეიცავენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს, არალერევენტურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას არათუ არ გააჩნია განვითარებადი ქვეყნების ოფიციალური სია, არამედ მსო-ს კანონმდებლობაში არც არის მოცემული განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების დეფინიცია.

¹ Moon, Gillian. ‘Trade and Equality: A Relationship to Discover,’ *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009, p. 617. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 82.

² წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული აკრონიმების ნაწილი არ არის დამკვიდრებული ქართულ სამეცნიერო სივრცეში; ამიტომ, საჭიროებიდან გამომდინარე, რიგი აკრონიმებისა თავად ვთარგმნე ორიგინალის ენაზე დაყრდნობით.

³³³ Kleen Peter and Page Sheila. ‘Special and Differential Treatment of Developing Countries in the World Trade Organization,’ *Global Development Studies* No. 2, 2005, p. 45. ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 82.

⁴ Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters L. Alan. ‘More Favorable and Differential Treatment of Developing Countries: Toward a New Approach in the World Trade Organization,’ *World Bank Policy Research Working Paper* No. 3107, 2003, p. 5. ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 82.

სანაცვლოდ, მსო-ს წევრი ქვეყნები ეკონომიკური განვითარების მიხედვით არიან დაყოფილნი სამ ჯგუფად: ყველაზე ღარიბი ქვეყნები მიეკუთვნებიან ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კატეგორიას (“Least Developed Countries” ან „LDCs“) და მათ იდენტიფიცირებას ახდენს გაერო სპეციალურად განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე;⁵ რაც შეეხება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, ისინი თვითნებურად აკეთებენ საკუთარი ეკონომიკური დონის იდენტიფიცირებას (ე.წ. “self-selection” ან “self-designation”) და თავს მიაკუთვნებენ ან განვითარებული ან განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს.⁶

შესაბამისად, საკვლევი თემის პრობლემა მდგომარეობს, ერთი მხრივ, უკანასკნელ წლებში მსო-ს წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკის ცვლილებაში, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დინამიკის მიუხედავად, უცვლელად დატოვებული წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდში, რაც განვითარებული წევრი ქვეყნების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული ქვეყნების განვითარების სტატუსი რიგი „განვითარებადი“ სტატუსის მქონე ქვეყნების რეალური ეკონომიკური განვითარების დონეს აღარ შეესაბამება. კერძოდ, არსებული კლასიფიკაციის მეთოდის შედეგად დადგა სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა ეკონომიკური დონის მქონე ქვეყნებს (მაგალითად ჩინეთს, სინგაპურსა და საქართველოს) აქვთ ერთნაირი სტატუსი - განვითარებადი, რადგან ორგანიზაციაში გაწევრიანების პერიოდში აღნიშნულმა ქვეყნებმა ამგვარად მოახდინეს საკუთარი ეკონომიკური

⁵ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების იდენტიფიცირება ხდება სამი კრიტერიუმის საფუძველზე: (1) მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (GNI per capita); (2) ადამიანური რესურსები და (3) ეკონომიკის მოწყვლადობა საგარეო შოკის მიმართ. გარდა ამისა, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა არ უნდა აღარაა 75 მილიონ ადამიანს (იხ. UN-OHRLLS, ‘Criteria for Identification and Graduation of LDCs,’ retrieved from <<http://unohrlls.org/about-ldcs/criteria-for-ldcs/>> [25.04.2022]; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძველები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 83.

⁶ იხ. World Trade Organization [WTO], ‘Who are the Developing Countries in the WTO?’ retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/d1who_e.htm> [25.04.2022]; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძველები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 83.

მდგომარეობის იდენტიფიცირება. შესაბამისად, მსო-ში დღეს არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის თანახმად, სინგაპურს, რომლის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 2019 წლის მონაცემებით \$65,233 იყო, და საქართველოს, რომლის მონაცემიც \$4,769.2 იყო, თეორიულად, როგორც განვითარებად ქვეყნებს, ერთნაირ პრივილეგიებზე აქვთ წვდომა.⁷

ეს ალოგიკური სიტუაცია, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უკმაყოფილებას, რაც განსაკუთრებით ცხადი გახდა აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომის პარალელურად მსო-ში განვითარებულმა მოვლენებმა. წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალურობა განსაკუთრებით გამოიკვეთა 2019 წელს, როდესაც აშშ-მ მსო-ს გენერალურ სამდივნოში ორი კომუნიკაცია გააგზავნა, რომლებშიც აქტიურად აპროტესტებდა დღესდღეობით მსო-ში არსებულ ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდს და უარს აცხადებდა, განეგრძო სპეციალური და განსხვავებული მუხლები ყველა თვითიდენტიფიცირებულ განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყანაზე. აშშ-ის დელეგაციის თანახმად, განვითარებადი ქვეყნების მიერ უკანასკნელ დეკადებში “განვითარების კუთხით გადადგმული დიდი ნაბიჯების გამო,” მსო-ში არსებულ ქვეყნების კლასიფიკაციას აზრი დაეკარგა, რის შედეგადაც წევრ ქვეყნებს აღარ უნდა მიეცეთ საშუალება თვითიდენტიფიცირების საფუძველზე მიიღონ „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსი.⁸ აღნიშნული კომუნიკაციების საპასუხოდ, რამდენიმე განვითარებადმა ქვეყანამ (ძირითადად, ე.წ. მაღალი დონისა- მაგ., ჩინეთმა, ინდოეთმა...) წარადგინეს კოლექტიური კომუნიკაცია, რომელშიც დაიცვეს სტატუს კვოს არსებობის მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ დღესაც, ისევე

⁷ იხ. World Bank, World Development Criteria, GDP per capita (current US\$), retrieved from <<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=SG-AM>> [25.04.2022].

⁸ იხ. World Trade Organization [WTO], ‘An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,’ (WT/GC/W/757/Rev. 1, 14 February 2019); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 83.

როგორც ადრე, არსებობს დიდი განსხვავება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებს შორის.⁹

მიუხედავად მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგობისა, უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ლიტერატურასა და მსო-ს წვერი ქვეყნების დელეგაციების კომუნიკაციებსა და წინადადებებში გაიზარდა არსებული სტატუს კვოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება; მსო-ს დელეგაციები უკვე დაუფარავად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას დღეს არსებული კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმასთან და განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების მეთოდის დახვეწის საჭიროებასთან დაკავშირებით მათი რეალური ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. მსო-ს ყველა წვერი ქვეყნისთვის აღნიშნული საკვლევი პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა მსო-ს შეთანხმებებში განაპირობებს განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას და გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე არსებულ ძალთა ბალანსზე. აღნიშნული საკვლევი პრობლემა საქართველოსთვის, როგორც პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის ინტერესში არ შედის არსებული საუს კვოს შენარჩუნება და იმგვარი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების უპირობოდ არსებობა, რომლებსაც რეალურად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის არანაირი ხელშესახები სასიკეთო შედეგი არ მოაქვს. აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რადგან კვლევის პროცესმა მოითხოვა, გაგვეანალიზებინა სხვადასხვა ეკონომიკური თეორიები და ოფიციალური

⁹ იხ. World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 83.

სტატისტიკები/ეკონომიკური მაჩვენებლები, რათა დაგვედგინა, თუ რამდენად მიზანშეწონილია მსო-ში დღეს არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმა და განგვესაზღვრა, ალტერნატივის სახით, რა გზით უნდა მოხდეს ქვეყნების განვითარების სტატუსის იდენტიფიცირება.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, უნდა მოახდინოს თუ არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ დღეს არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმა მათი რეალური ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით და თუ უნდა მოახდინოს - რა მეთოდით.

საკვლევი თემის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: აუცილებელია ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმირება და განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების ისეთი მექანიზმის პოვნა, რომელიც მორგებული იქნება ერთმანეთისგან განსხვავებული განვითარებადი ქვეყნების რეალურ მოთხოვნებსა და სპეციფიკურ სავაჭრო საჭიროებებზე. აღნიშნული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს/ამოცანებს:

- რამდენად ლეგიტიმურია განვითარებადი ქვეყნებისთვის „პრივილეგიების“ მინიჭება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების სახით;
- ვლინდება თუ არა უკანასკნელ პერიოდში მსო-ს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში თუნდაც, მცირე ცვლილებები, რომლებიც თვითიდენტიფიცირების საფუძველზე მკაცრად დადგენილი განვითარებული/ განვითარებადი ქვეყნების კატეგორიიდან განვითარებადი ქვეყნების უფრო ღრმა დიფერენცირებისკენ მზადყოფნასა და აუცილებლობაზე მიუთითებენ;
- არსებობს თუ არა საფუძვლიანი არგუმენტები და მიზეზები, რაც იმის დასკვნის საშუალებას მოგვცემდა, რომ რეფორმა ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი ყველა წევრი ქვეყნისთვის;

- რა სახის კლასიფიკაციის მეთოდის დანერგვაა პრიორიტეტული რეფორმის შემთხვევაში.

საყურადღებოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ნაშრომებსა და მსო-ს სამდივნოში სხვადასხვა წევრი ქვეყნის დელეგაციის მიერ წარდგენილ წინადადებებში მეტ-ნაკლებად ნათლად არის წარმოჩენილი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პოზიცია და ინტერესები დღევანდელ არსებული status quo-სა და შესაძლო რეფორმებზე. სამწუხაროდ, აღნიშნულ ნაშრომებსა და მსო-ს დოკუმენტებში არ ჩანს, თუ რამდენად შედის დღეს არსებული არსებული status quo ან ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის შესაძლო რეფორმა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებში. შესაბამისად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესების განსაზღვრა საკვლევი თემის პრობლემის ფარგლებში.

ლიტერატურის მიმოხილვის კუთხით შევნიშნავთ, რომ პრობლემის კვლევის საკითხი აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის მიწურულიდან, როდესაც რეფორმის აუცილებლობის საკითხი პირველად დადგა დღის წესრიგში. თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყნებს შორის აშკარა ეკონომიკურ განსხვავებაზე, რაც დღეს არსებულ კლასიფიკაციას შეუსაბამოს ხდის რეალობასთან, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა; მათ შორის გამოვყოფდით ცნობილი მეცნიერის, იუსტ პაუველინის მონოგრაფიას - *'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes'* (2013)¹⁰ - რომელშიც ავითარებს აზრს, რომ ყველა განვითარებადი ქვეყნის მიმართ ერთნაირი მოპყრობა არც ეფექტური და არც მიზანშეწონილია. მეცნიერის აზრით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მაგალითები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი წლების

¹⁰ Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, pp. 29-41;

განმავლობაში, ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად, მათ დახვეწეს თავიანთი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდი და განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად დახარისხება მოახდინეს. მსო-ში რეფორმის განხორციელებისა და უფრო მკვეთრი დიფერენცირების საბაზო საფუძვლად პაუველინი განვითარებადი ქვეყნების ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ეკონომიკურ მდგომარეობას მიიჩნევს. აღნიშნულ იდეას იზიარებს კონსტანტინ მიჩალოპოულოსი, რომელმაც თავის მონოგრაფიაში - *'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization' (2000)*¹¹ - განიხილა GATT-ის ხელშეკრულებაში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები და დაასკვნა, რომ ამ მუხლებით სარგებლობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც ეს დახმარება საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ინტეგრირებისთვის სჭირდებათ; კერძოდ, ნაკლები შემოსავლისა და ყველაზე ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა.

რიგმა მკვლევრებმა თავიანთ ნაშრომებში წარმოადგინეს პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზები და მეთოდები, თუ როგორ უნდა მოხდეს წევრი ქვეყნების გადაჯგუფება მათი განვითარების მიხედვით. მაგ., ჰოეკმანი, მიჩალოპოულოსი და ვინტერი გვთავაზობენ ე.წ. ქვეყნებზე დაფუძნებულ („country-based“) მიდგომას, რომლის თანახმად, რეფორმის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი, ე.წ. „ყველაზე ნაკლებად განვითარებული+“ („LDC+“), ქვეყნების ჯგუფი, სადაც შევლენ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით განსაზღვრულ პრივილეგიებს ნამდვილად საჭიროებენ.¹² საინტერესოდ გვეჩვენება პაუგამისა და ნოველის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არსებული რიგი დისციპლინები წარმოშობენ მათი იმპლემენტაციის ხარჯებს და ამდენად,

¹¹ ob. Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' World Bank Working Papers – International Economics No. 2388, 2000.

¹² Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' Journal of International Economic Law 9, no. 4, 2006, p. 791. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის ერთგვარ ტვირთს წარმოადგენენ. შესაბამისად, კონკრეტული ვალდებულების იმპლემენტაციამდე აუცილებელია, წინასწარ განისაზღვროს და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ იმპლემენტაციით გამოწვეულმა სარგებელმა გადაწონოს ის ხარჯები, რაც ქვეყანამ უნდა გაიღოს. ცხადია, რომ აღნიშნული მიდგომა დღეს არსებული წევრი ქვეყნების სამი ჯგუფის უფრო ზუსტ დახარისხებას მოითხოვს.¹³ აღსანიშნავია ჰოეკმანის, მიჩალოპოულოსისა და ვინტერსის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, საჭიროა „მკაცრი“ ეკონომიკური კრიტერიუმების შემოღება, რომელთა საფუძველზე მოხდება ქვეყნების გადაჯგუფება მათი შემოსავლების დონისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების მიხედვით. ამგვარი გადაჯგუფებით მხოლოდ დაბალშემოსავლიან და მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებს მიეცემა წვდომა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებზე.¹⁴ საინტერესოა პროუზეს მიდგომაც, რომელიც გვთავაზობს ქვეყნების „აუდიტს“, რომლის საფუძველზე მოხდება ვალდებულებებისგან დროებითი გათავისუფლების და ტექნიკური დახმარების განსაზღვრა იმ განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.¹⁵

დისერტაციის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესო გვეჩვენება სტივენსის მოსაზრება, რომლითაც იგი ემხრობა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარი ქვეყნების განსაზღვრას ეკონომიკური ფაქტორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე და წინასწარ დადგენილი ზღვრების გამოყენებით.¹⁶ აღსანიშნავია, რომ სწორედ სტივენსი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ე.წ. ანალიტიკურ

¹³ Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. 'Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,' Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005, p. 14.

¹⁴ Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters Alan L. 'Special and differential treatment of developing countries in the WTO: moving forward after Cancun,' *The World Economy* 27, no. 4, 2004, p. 494.

¹⁵ ob. Prowse, Susan. 'The Role of International and National Agencies in Trade-related Capacity Building,' *The World Economy* 25, no. 9, 2002. <https://doi.org/10.1111/1467-9701.00490>.

¹⁶ ob. Stevens, Christopher. 'The Future of Special and Differential Treatment (SDT) for Developing Countries in the WTO,' IDS Working Papers 163, 2002.

კრიტერიუმებზე დაფუძნებული მიდგომა („analytical criteria-based approach“) შეიმუშავა იმის გასარკვევად, უნდა გახდეს თუ არა ყოველი კონკრეტული წევრი ქვეყანა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი. თავის მიდგომას სტივენსი იმ არგუმენტით ხსნის, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ საერთო მახასიათებლები, რაც მათ განასხვავებს სხვა წევრი ქვეყნებისგან და რომლებიც დაკავშირებული იქნება იმ ვალდებულებებთან, რომლებისთვისაც არის შემოთავაზებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები.¹⁷

აღსანიშნავია, რომ როდესაც საუბარია არსებული სტატუს კვოდან გამოსავალის ძიებაზე, ბოლოდროინდელ კომუნიკაციებში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მიუთითებენ ე.წ. ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულებაზე (“Trade Facilitation Agreement” ან „TFA“),¹⁸ როგორც პროგრესულ ნაბიჯზე და რეფორმის გზად TFA-ს ხელშეკრულების მოდელს მოიაზრებენ. შესაბამისად, დისერტაციაში განხილული და გაანალიზებული იქნება მსო-ს სამდივნოსთვის წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარდგენილი წინადადებებიც.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მსო-ს დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომში ვავითარებთ იმ აზრს, რომ ყოველი კონკრეტული მსო-ს ხელშეკრულების ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირება არის ყველაზე ეფექტური გამოსავალი შექმნილი სტატუს კვოს მდგომარეობიდან. ამას ე.წ. კონკრეტული შეთანხმების („agreement-specific“) მიდგომა ეწოდება. გარდა ამისა, თუკი გავითვალისწინებთ სპეციალური და განსხვავებული მუხლების მრავალფეროვნებას, რომელიც ხელშეკრულებებში ფიქსირდება,¹⁹ ვფიქრობ, მხოლოდ agreement-specific მიდგომა საკმარისი არ იქნება. რიგ

¹⁷ იხ. იქვე, გვ. 6.

¹⁸ იხ. World Trade Organization [WTO], Trade Facilitation Agreement, entry into force 22 February 2017, retrieved from <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/tfa-nov14_e.htm> [25.04.2022].

¹⁹ იხ. World Trade Organization [WTO], ‘Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions – Note by the Secretariat,’ (WT/COMTD/W/239, 12 October 2018).

შემთხვევებში, შესაძლებლად მიგვაჩნია ე.წ. კონკრეტული დებულების („provision-specific”) ან/და ე.წ. კონკრეტული საკითხის („issue-specific”) მიდგომების გამოყენებაც, რომელთაგან პირველი (provision-specific მიდგომა) გულისხმობს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციას ხელშეკრულებაში არსებული კონკრეტული მუხლების ქვეშ, ხოლო მეორე (issue-specific მიდგომა) - კონკრეტული საკითხის ფარგლებში. საყურადღებოა, რომ ცნობილი მკვლევრები (მაგ., კოტიერი,²⁰ მუნი,²¹ პაუველინი²²) ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ agreement-specific და provision-specific ან/და issue-specific მიდგომები რეალურად ასახავენ განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებს და, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების უფრო მისაღებ მეთოდს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ზემოაღნიშნულ ნაშრომსა თუ მსო-ს დოკუმენტში არ არის შემოთავაზებული რეფორმის ის კონკრეტული გზა, რომელიც ასახავდა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს. შესაბამისად, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და მსო-ს დოკუმენტაციის გათვალისწინებით, დისერტაციაში შემოთავაზებული იქნება ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინებს საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს და ასევე, მიზანშეწონილი იქნება მსო-ს ყველა წევრი ქვეყნისთვის, მათი განვითარების დონის მიუხედავად.

ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, დისერტაციაში კვლევის სხვადასხვა მეთოდს მივმართავთ, რაც გარკვეულწილად განპირობებულია ნაშრომის ინტერდისციპლინური ხასიათით. კვლევის ძირითად მეთოდებად გამოყენებულია

²⁰ ob. Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

²¹ Moon, Gillian. 'Trade and Equality: A Relationship to Discover,' *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009, pp. 638-639. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>

²² Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, pp. 36-38.

დესკრიფციული, დისკურსიული, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდები; დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე, ხშირად მივმართავთ დაკვირვების და ანალიზის მეთოდებსაც; აგრეთვე, კომპარატივისტულ, სტატისტიკური კვლევისა და გრაფის მეთოდებს; ტექსტების ანალიზისას და რიგი ცნებების დასაზუსტებლად მივმართავთ ჰერმენევტიკულ მეთოდსაც; ასევე, მსო-ს დავების მოგვარების ორგანოს გადაწვეტილებების შესწავლისას მივმართავთ შესწავლისა და განზოგადების მეთოდებს.

თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობის კუთხით გასათვალისწინებელია, რომ დისერტაციის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს შემდგომი კვლევებისას მისი ფაქტობრივ მასალად გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც ვიწრო სპეციალიზაციის მკვლევრებისთვის (როგორც თეორიული ბაზა), ასევე პრაქტიკოსებისთვის. კვლევის დასკვნების, შედეგებისა და მასალების გამოყენება შესაძლებელი იქნება ნაშრომში განხილული საკითხით დაინტერესებული სამინისტროებისთვისაც - მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინირებულად წარმართვასა და სავაჭრო ურთიერთობებისა თუ პოლიტიკის განსაზღვრაზე; ასევე, ამ საკითხზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან პერმანენტულად კომუნიკაციაში ყოფნაზე.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე იმაში გამოიხატება, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად შეიქმნება მონოგრაფიული ნაშრომი მსო-ში ქვეყნების ეკონომიკური დონით განვითარების კლასიფიკაციის მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ნაშრომში პირველად განიხილება, თუ რამდენად შედის საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებში მსო-ს ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმირება და რეფორმის რომელი გზა მიემართება საქართველოს ინტერესებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა - სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 7 ქვეთავის, დასკვნის, თანდართული ცხრილისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისგან (სულ 214 ერთეული). **პირველი თავი** მოიცავს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების წარმოშობის ისტორიის, მათი კატეგორიების, არსისა და მიზნების მიმოხილვას და განვითარებადი ქვეყნებისთვის აღნიშნული მუხლების სახით „პრივილეგიების“ მინიჭების ლეგიტიმურობის საკითხებთან დაკავშირებულ მასალას. **მეორე თავში** განხილულია უკანასკნელი პერიოდში მსო-ს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში გამოვლენილი ცვლილებები, რომლებიც თვითიდენტიფიცირების საფუძველზე მკაცრად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი ქვეყნების კატეგორიიდან განვითარებადი ქვეყნების უფრო ღრმა დიფერენცირებისკენ მზადყოფნასა და აუცილებლობაზე მიუთითებენ; ასევე, გაანალიზებულია არგუმენტები და მოსაზრებები, რაც იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ რეფორმა ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი ყველა წევრი ქვეყნისთვის. დისერტაციის **მესამე თავში** გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარმოდგენილ კომუნიკაციებში არსებული მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები; ასევე, წარმოდგენილია ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის მეთოდის მიღების შემთხვევაში, ქვეყნების შესაძლებლობების მაიდენტიფიცირებელი ობიექტური კრიტერიუმების გამოვლენის და მათი გაზომვის გზები მსო-ს რამდენიმე ხელშეკრულების მაგალითზე.

ნაშრომის აპრობაცია - ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები, სტატიების სახით, დაბეჭდილია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში; ცალკეული სტატიები გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

თავი 1. განვითარებადი ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დაფუძნდა იმ რწმენით, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეკონომიკურად გონივრულ ნაბიჯს წარმოადგენს.²³ ამ ფონზე, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებში ე.წ. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა ნეოლიბერალური ეკონომისტების კრიტიკის საგანს წარმოადგენს. კონკრეტულად, სამეცნიერო ლიტერატურაში წლების განმავლობაში რიგი ეკონომისტების მხრიდან ვითარდება ის აზრი, თითქოს განვითარებადი ქვეყნების მიერ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობა უსამართლოდ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს განვითარებულ ქვეყნებს; გარდა ამისა, მუსირებს მოსაზრება, თითქოს განვითარებადი ქვეყნები სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის საშუალებით თავს არიდებენ თავიანთ ქვეყნებში რეფორმების განხორციელებას და ამ გზით უგულვებელყოფენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მთავარ მიზანს, მოხდეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია. აღნიშნული მოსაზრება, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზოგადად სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობის ლეგიტიმურობას.²⁴

მიმდინარე დისერტაცია ავითარებს იმ ჰიპოთეზას, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის „პრივილეგიების“ მინიჭება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების სახით არა მარტო ლეგიტიმური, არამედ აუცილებელიცაა. ამ ჰიპოთეზის ფარგლებში წინამდებარე თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- 1) სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების წარმოშობის ისტორია;

²³ Mitchell Andrew D. and Voon Tania SL. 'Operationalizing Special and Differential Treatment in the World Trade Organization: Game Over?' *Global Governance* 15, no. 3, 2009, p. 347.

²⁴ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 336.

- 2) მსო-ს ხელშეკრულებებში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების კატეგორიები, არსი და მიზნები;
- 3) ლიბერალიზმისა და ე.წ. ახალშობილი ინდუსტრიის („Infant Industry“) თეორიის ერთმანეთთან შეპირისპირებით, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ეკონომიკური არგუმენტის საფუძვლიანობა.²⁵

1.1. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების წარმოშობის ისტორია

განვითარებადი ქვეყნების მიერ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობის ისტორია შეგვიძლია ორ ფაზად დავყოთ - ურუგვაის რაუნდამდე (1986-1993 წწ.) და ურუგვაის რაუნდის შემდგომი პერიოდები. ჯერ კიდევ 1947 წელს, 23 ქვეყნის მიერ (11 ინდუსტრიალიზებული და 12 განვითარებადი) პროტოკოლის ხელმოწერის საფუძველზე მიიღეს გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ („General Agreement on Tariffs and Trade“ ან „GATT“), რომლის თანახმადაც ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, დაეწიათ ტარიფები. ამ პერიოდშივე განვითარებადი ქვეყნები, ბრაზილიის ხელმძღვანელობით, გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ მსო-ს წინამორბედის, გლობალური სავაჭრო ორგანიზაციის მთავარი მიზანია *„წახალისოს და მხარი დაუჭიროს წევრი ქვეყნების ინდუსტრიულ და ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით იმ წევრების, რომელთა განვითარება ნაკლებად პროგრესიულია.“*²⁶ თავდაპირველი GATT არ შეიცავდა ორმხრივი წესებიდან გამონაკლის შემთხვევებს ან რაიმე გზას, რომლის საშუალებითაც განვითარებადი ქვეყნებს „განსხვავებულად“ მოეპყრობოდნენ. სიტუაცია შეიცვალა 1950-იანი წლების შემდეგ, როდესაც კოლონიალიზმის

²⁵ იხ. იქვე.

²⁶ Scott, James. 'Developing Countries in the ITO and GATT Negotiations,' BWPI Working Paper 95, 2009, p. 15.

დასრულებას მოჰყვა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მიერ პროტოკოლთან მიერთება და როდესაც ცხადი შეიქმნა, რომ ამ სახელმწიფოებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმა და ინდუსტრიულ „მონსტრებთან“ კონკურენცია დახმარების გარეშე არ შეეძლოთ.²⁷

რაც უფრო მეტი განვითარებადი ქვეყანა უერთდებოდა GATT-ს, მით უფრო მეტად იზრდებოდა მოთხოვნა, რომ განვითარებად ქვეყნებს ჰქონოდათ სპეციალური პრივილეგიები. შედეგად, 1965 წელს მხარეები შეთანხმდნენ GATT-ის IV თავზე - კერძოდ, XXXVI.8 მუხლზე, რომელიც აღიარებს არაორმხრივობის პრინციპს და ამბობს, რომ „განვითარებული ქვეყნები არ ელიან ვალდებულებებზე ორმხრივობას ისეთ სავაჭრო შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიერ ტარიფების და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირებასა და მოხსნას.“²⁸

1965 წლიდან შეიმჩნევა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ფორმების გამრავალფეროვნება. მაგალითად, ტოკიოს რაუნდის (1973-1979წწ.) ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ ე.წ. enabling clause-ზე, იგივე „შესაძლებლობის“ მუხლზე, რომელიც პრეფერენციული/უპირატესი მოპყრობის პრივილეგიას აძლევს განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. ამ გზით სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმს სამართლებრივი საფუძველი მიენიჭა.²⁹ აღსანიშნავია, რომ ე.წ. „შესაძლებლობის მუხლი“ („enabling clause“), სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი არ არის; ასევე არსებობენ პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (“Generalised System of Preferences” ან “GSP” და სავაჭრო პრეფერენციების

²⁷ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 336-337.

²⁸ იხ. იქვე, გვ. 337; South Centre. ‘The WTO’s Special and Differential Treatment negotiation (paragraph 44),’ Analytical Note SC/AN/TDP/2017/3, 2017, p. 3.

²⁹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 337.

გლობალური სისტემა (“Global System of Trade Preferences” ან “GSTP”). GSP პროგრამის საფუძველზე განვითარებულ ქვეყნებს უფლება აქვთ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტს მიანიჭონ არაორმხრივი ტარიფები ან სხვაგვარი დათმობა განახორციელონ. რაც შეეხება GSTP-ს, ეს უკანასკნელი გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მიერ ერთმანეთისადმი გარკვეული დათმობების მინიჭებისას.³⁰ 1986-1993 წლებში გამართული ურუგვას რაუნდის მთავარი მონაპოვარია მარაკეშის ხელშეკრულება, ანუ ხელშეკრულება, რომლითაც დაფუძნდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ამ ხელშეკრულებით დადგინდა, რომ ყველა მომდევნო ქვეყანაზე, რომელიც ორგანიზაციას შეუერთდებოდა, გავრცელდებოდა წინარე ხელშეკრულებები, მათ შორის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებიც.³¹

ეკონომიკური განვითარება და, მათ შორის, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, გახდა 2001 წელს დაწყებული დოჰას რაუნდის დღის წესრიგის მთავარი საკითხი. მინისტრების განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ისინი აპირებენ *„განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებისა და ინტერესების წინა პლანზე წამოწევას დოჰას დეკლარაციის სამუშაო პროგრამაში.“*³² მართლაც, დოჰას დეკლარაციის 44-ე პარაგრაფის მიხედვით, წევრი ქვეყნები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ *„სპეციალური და განსხვავებული მოპყრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია.“*³³ ასევე, ქვეყნები თანხმდებიან, რომ მათი მიზანია გააძლიერონ სპეციალური და

³⁰ Humphrey, Mike. ‘How can LDCs ensure they continue to benefit from Special and Differential Treatment in the WTO?’ Institute for International Trade, 2019, p. 2.

³¹ იხ. GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 33 I.L.M. 1153 (1994), Annexes 1 to 4; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 337.

³² World Trade Organization, ‘The Doha Round’, retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/dda_e/dda_e.htm> [25.04.2022].

³³ World Trade Organization [WTO], Doha Ministerial Declaration, (WT/MIN(01)/DEC/1, 14 November 2001), para. 44.

განსხვავებული მოპყრობის მუხლები და გახადონ იგი „ზუსტი, ეფექტური და მოქმედი.“³⁴ შედეგად, ვაჭრობისა და განვითარების კომიტეტს („Committee on Trade and Development“ ან “CTD”) მიეცა მანდატი, მოეხდინათ სავალდებულო სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება და განესაზღვრათ, თუ რა სამართლებრივი და პრაქტიკული ეფექტი მოყვებოდა დღეს არსებული არასავალდებულო მუხლების სავალდებულოდ გახდომას; ასევე, კომიტეტს უნდა მოეკვლია გზები, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებადი ქვეყნების დახმარება, რათა მათ სათანადოდ გამოეყენებინათ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები.³⁵

მოგვიანებით, 2005 წლის ჰონგ-კონგის მინისტრიალის დეკლარაციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების მნიშვნელობას. დეკლარაციამ კვლავ დაადასტურა, რომ *„...სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის დებულებები წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებების განუყოფელ ნაწილს“*. ასევე, დეკლარაცია დოჰას დეკლარაციის ცანაწერი, რომლის თანახმადაც უნდა გადაიხედოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ყველა მუხლი მათი „გაძლიერების“ მიზნით, რათა ისინი გახდეს უფრო „ზუსტი, ეფექტური და მოქმედი.“³⁶

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის არსებობის გრძელვადიანი ისტორია და მათ გაუმჯობესებაზე დღევანდლამდე გადადგმული ნაბიჯები აშკარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მსო-ს ხელშეკრულებებში სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა მრავალგზის მოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და განვითარებადი ქვეყნების

³⁴ იხ. იქვე.; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 337

³⁵ World Trade Organization [WTO], Implementation-related Issues and Concerns, (WT/MIN(01)/17, 20 November 2001), para. 12.

³⁶ World Trade Organization [WTO], Doha Work Programme, Ministerial Declaration, (WT/MIN(05)/W/3 Rev. 2, 18 December 2005), para 35.

განსაკუთრებული საჭიროებების აღიარების შედეგია, რაც, ისტორიულ რაკურსში, მათ ლეგიტიმურობას ადასტურებს.³⁷

1.2. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების კატეგორიები, არსი და მიზანი

მსო-ს ხელშეკრულებებში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ზუსტი რაოდენობა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მეთოდით ხდება მათი დათვლა. 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მსო-ს სამდივნოს მიერ განახლებული სიის მიხედვით, მსო-ს ხელშეკრულებებში სულ 155 სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლი გვხვდება. სამდივნო სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს 6 კატეგორიად აჯგუფებს:

- მუხლები, რომლებიც მიმართულია განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო შესაძლებლობების გაზრდისკენ;
- მუხლები, რომელთა საფუძველზეც წევრმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან განვითარებადი ქვეყნების ინტერესები;
- მუხლები ვალდებულებების, ღონისძიებისა და პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენების თავისუფლებაზე;
- მუხლები გარდამავალი დროის პერიოდებზე;
- მუხლები ტექნიკურ დახმარებაზე;
- ყველაზე ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებთან დაკავშირებული მუხლები.³⁸

ცნობილი მკვლევრები, ალექსანდერ ქეჟი და პატრიკ ლოუ თავიანთ ნაშრომში გამოყოფენ რამდენიმე ამოსავალ პირობას, რომელზეც სპეციალურ

³⁷ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 337.

³⁸ იხ. World Trade Organization [WTO], ‘Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions – Note by the Secretariat,’ (WT/COMTD/W/239, 12 October 2018).

და განსხვავებულ მოპყრობაზე მოთხოვნის უფლებაა დამყარებული. მაგალითისთვის:

- განვითარებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ პრივილეგიებული წვდომა თავიანთი სავაჭრო პარტნიორების ბაზრებზე, განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე;
- განვითარებად ქვეყნებს უნდა შეეძლოთ იმპორტის შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს;
- განვითარებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ექსპორტის სუბსიდირების დამატებითი თავისუფლება;
- განვითარებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, დაემორჩილონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს ან დროებით გადადონ ამ კონკრეტული წესის საკუთარ ქვეყანაზე განვრცობა და ა.შ.³⁹

რაც შეეხება, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის არსსა და მიზანს, მის განხილვამდე, საინტერესოა ვნახოთ რა წარმოადგენს თავად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფუნქციას და რა როლი აქვს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს ამ ფუნქციის შესრულებაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია დაუბრკოლებელი, პროგნოზირებადი და თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.⁴⁰ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსი და მიზანი კი, ამ პროცესში განვითარებადი ქვეყნებისთვის უპირატესობის მინიჭებაა, რათა მათ შეძლონ საკუთარი საჭიროებების უპირატესად დაკმაყოფილება.⁴¹ მიუხედავად აღნიშნული თითქოსდა მარტივად ფორმულირებული მიზნისა, პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის

³⁹ Keck Alexander and Low Patrick. 'Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?' WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, pp. 6-7.

⁴⁰ World Trade Organization, 'WTO in Brief', retrieved from <https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/inbrief_e/inbr_e.htm> [25.04.2022].

⁴¹ Kleen Peter and Page Sheila. 'Special and Differential Treatment of Developing Countries in the World Trade Organization,' Global Development Studies No. 2, 2005, p. 45.

მუხლების მიზნები სხვადასხვანაირად აქვთ აღქმული განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს.⁴²

განვითარებადი ქვეყნები თავიანთ ინტერპრეტაციას იმ არგუმენტზე აფუძნებენ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმი აუცილებელია მათი განვითარებისთვის. ეყრდნობიან რა ე.წ. ახალშობილი ინდუსტრიის თეორიას, მათ მიაჩნიათ, რომ უნდა ჰქონდეთ საშუალება განავითარონ საკუთარი ინდუსტრიები მანამ, სანამ მოახდენენ ბაზრის ლიბერალიზაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად.⁴³ განვითარებად ქვეყნებს არ სურთ მუდმივად იყვნენ მოწყალეების მოლოდინში. ისინი ფიქრობენ, რომ მათ აქვთ პოტენციური ეკონომიკურად დამოუკიდებელ ქვეყნებად ჩამოყალიბდნენ, თუკი ამის შესაძლებლობა და საჭირო ეკონომიკური მექანიზმები მიეცემათ.⁴⁴ შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნები ფიქრობენ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა არ უნდა იყოს განხილული რეფორმისთვის თავის არიდების საშუალებად; პირიქით, ეს უნდა იყოს მექანიზმი, რომელიც დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს მოიპოვონ გრძელვადიანი სავაჭრო სარგებელი.⁴⁵ განვითარებად ქვეყნებს ესმით, რომ საჭიროა საბოლოოდ მოხდეს რეფორმების განხორციელება, თუმცა ისინი ფიქრობენ, რომ ამ რეფორმების იმპლემენტაცია იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ლიბერალიზაციამ არ იქონიოს უარყოფითი ეფექტი განვითარებად ქვეყნებზე და პირიქით, პოზიტიური შედეგები მოიტანოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის.⁴⁶

⁴² ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 338.

⁴³ იხ. იქვე.

⁴⁴ Mampolokeng, Monyakane. *‘Special and Differential Treatment under the World Trade Organisation (WTO) with Specific Reference to the Application of the WTO Agreement on Agriculture,’* Master’s thesis, University of South Africa, 2005, p. 75, retrieved from <https://www.researchgate.net/> [25.04.2022].

⁴⁵ იხ. იქვე.

⁴⁶ იხ. იქვე, გვ. 76.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, მათ, თავისთავად, არა აქვთ იგივე ინტერესები და პრობლემები, რაც განვითარებად ქვეყნებს. ისინი მხარს უჭერენ ე.წ. ერთიანი ვალდებულების (“Single Undertaking”) მიდგომას⁴⁷ და ფიქრობენ, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქვეყნებს შორის დისკრიმინაციასა და უპირატეს მოპყრობას. ისინი ამ მოსაზრებას აფუძნებენ ისეთ პრინციპებზე, როგორცაა, მაგალითად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი („Most-Favoured-Nation Treatment“ ან „MFN Treatment“).⁴⁸ გარდა ამისა, ნეოლიბერალური ეკონომიკის აქტიური დამცველები ფიქრობენ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები ხელს უშლიან კონკურენციას და, შედეგად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასაც. განვითარებადი ქვეყნებისთვის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით მინიჭებულ უპირატესობას ისინი Best Endeavour Commitments-ად, ანუ ე.წ. „საუკეთესო მცდელობის ვალდებულებებად“ აღიქვამენ, რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში წარმოადგენენ სამართლებრივად მბოჭავ მოვალეობებს.⁴⁹

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიერ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების მიზნების განსხვავებულად აღქმაში დიდი როლი მიუძღვის მათ მიერ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზების განსხვავებულ ხედვებს. განვითარებული ქვეყნები ფიქრობენ, რომ ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი ბაზრების ლიბერალიზაციაში მდგომარეობს, მაშინ როცა

⁴⁷ ‘Single Undertaking’ გულისხმობს ქვეყნის „ერთიან ვალდებულებას,” ერთიანი პაკეტის სახით მიიღონ ყველა შეთანხმება, რომელიც მიღწეულია მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების დროს.

⁴⁸ Mampolokeng, Monyakane. ‘Special and Differential Treatment under the World Trade Organisation (WTO) with Specific Reference to the Application of the WTO Agreement on Agriculture,’ Master’s thesis, University of South Africa, 2005, p. 76, retrieved from <https://www.researchgate.net/> [25.04.2022].

⁴⁹ Paola Conconi and Perroni Carlo. ‘Special and Differential Treatment of Developing Countries in the WTO,’ *World Trade Review* 14, no. 1, 2015, p. 84; Kessie, Edwini. ‘Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,’ *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000, p. 957; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,” *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 338

განვითარებადი ქვეყნები პროტექციონიზმის აუცილებლობაზე აპელირებენ. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ უნდა განავითაროს განვითარებადმა ქვეყანამ ეკონომიკა - საკუთარი ბაზრის ლიბერალიზაციით თუ პროტექციონიზმის დახმარებით, რაც სწორედაც რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების საშუალებითაა შესაძლებელი?!⁵⁰ ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამიტომაც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობის მიზანშეწონილობის ეკონომიკური არგუმენტი ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული.

1.3 სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის მიზანშეწონილობის ეკონომიკური არგუმენტი

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის შეჯერებული აზრი იმის თაობაზე, არის თუ არა სელექციური პროტექციონიზმი ქვეყნის ეკონომიკის ადრეული განვითარების საწინდარი. რიგი ეკონომისტები - მაგალითად, იაგდიშ ბჰაგვატი, ენ კრუგერი, იან ლითლი, არვინდ პანაგარია⁵¹ - მიიჩნევენ, რომ ღია ვაჭრობა განვითარებადი ქვეყნებისთვისაც ისევე მომგებიანია, როგორც განვითარებული ქვეყნებისთვის. მეორე მხრივ, ეკონომისტების ნაწილი - მაგალითად, ელის ამსდენი, რობერტ ვეიდი, დანი როდრიკი, ჰა-ჯუნ ჩენგი⁵² - აწ უკვე განვითარებული ქვეყნების (მაგალითად,

⁵⁰ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 338.

⁵¹ იხ. Bhagwati, Jagdish. 'The 'Miracle' That Did Happen' in Erik Thorbecke and Henry Wan (eds.), *Taiwan's Development Experience: Lessons on Roles of Government and Market* Boston: Kluwer Academic Publishers, 1999, pp. 21-39; Krueger, Anne. 'Trade Policy and Economic Development: How We Learn,' *American Economic Review* 81, no. 1, 1997, pp. 1-22; Little, Ian M. D. 'Trade and Industrialization Revisited,' *Pakistan Development Review* 33, no. 4, 1994, p. 365; Panagariya, Arvind. *Free Trade and Prosperity: How Openness Helps the Developing Countries Grow Richer and Combat Poverty*. New York: Oxford University Press, 2019.

⁵² იხ. Amsden, Alice. *Asia's Next Giant: South Korea and Late Industrialization*. New York: Oxford University Press, 1989; Wade, Robert. *Governing the Market: Economic Theory and the Role of the Government in East Asian Industrialization*. Princeton: Princeton University Press, 2004; Rodrik, Dani. 'Getting Interventions Right: How South Korea and Taiwan Grew Rich,' *Economic Policy* 20,

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების) ეკონომიკურ აღზევებას სელექციურ პროტექციონიზმს მიაწერენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დაფუძნებულია იმ რწმენაზე, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეკონომიკურად გონივრული ნაბიჯია.⁵³ ეს ჰიპოთეზა კი გამყარებულია კლასიკური ეკონომიკის ცნობილი წარმომადგენლის, მე-19 საუკუნის ბრიტანელი ეკონომისტის, დევიდ რიკარდოს ე.წ. შეფარდებითი უპირატესობის თეორიით (“Law of Comparative Advantage”). თეორია გმობს პროტექციონიზმს და თავისუფალ ვაჭრობას განიხილავს ერთადერთ სწორ საჯარო პოლიტიკად. რიკარდოს თეორიის თანახმად, თუკი თითოეული ქვეყანა ექსპორტზე გაიტანს იმ საქონელს, რომლის წარმოებაშიც შეფარდებით უპირატესობას ფლობს და იმპორტით შემოიტანს იმ საქონელს, რომლის წარმოებაშიც უპირატესობა არ აქვს, მათი ეკონომიკური სტრუქტურისა და შემოსავლების მიუხედავად, ყველა ქვეყანა პოტენციურად მოგებული იქნება.⁵⁴

შეფარდებითი უპირატესობის თეორიის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: წარმოვიდგინოთ პროფესორი და მისი მკვლევარი ასისტენტი, რომელთაც აქვთ საერთო დავალება - დაწერონ აკადემიური ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც საჭიროა წყაროების მოკვლევა და მათი ანალიზი. თავისთავად, პროფესორი ორივე კომპონენტში სჯახნის ასისტენტს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროფესორმა ორივე დავალება თავად უნდა შეასრულოს. შრომის დანაწილებისა და შეფარდებითი უპირატესობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუკი პროფესორს

1995; Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007.

⁵³ Mitchell Andrew D. and Voon Tania SL. ‘Operationalizing Special and Differential Treatment in the World Trade Organization: Game Over?’ *Global Governance* 15, no. 3, 2009, 347.

⁵⁴ Ohno, Kenichi. ‘Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,’ *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001, p. 3; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 338-339.

სტუდენტზე სამჯერ უფრო ეფექტური ანალიტიკური უნარები აქვს და მხოლოდ ორჯერ უფრო უკეთესი კვლევითი უნარები, შედარებითი კუთხით, პროფესორის უპირატესი მხარე ანალიტიკური საქმიანობაა, ხოლო ასისტენტის კი - კვლევითი სამუშაოები. შესაბამისად, პროფესორმა და მისმა მკვლევარმა ასისტენტმა დავალება მათი სპეციალიზაციის/შეფარდებითი უპირატესობის მიხედვით უნდა დაიყონ - ასისტენტმა უნდა აწარმოოს კვლევითი სამუშაოები, ხოლო პროფესორი უნდა კონცენტრირდეს მოპოვებული მასალის ანალიზზე.

თუკი ზემოაღნიშნულ თეორიას აშშ-ს შიდა ვაჭრობაზე გადავიტანთ, ვნახავთ, რომ ამერიკელები დიდ სარგებელს იღებენ შტატებს შორის ვაჭრობით. მაგალითად, ნებრასკელ და ფლორიდელ ფერმერებს აქვთ შესაძლებლობა, აწარმოონ მეტი პროდუქტი და მიიღონ მეტი შემოსავალიც, თუკი ნებრასკელები აწარმოებენ სიმინდსა და სხვა მარცვლეულს, ხოლო ფლორიდელები კი კონცენტრირდებიან ფორთოხალსა და სხვა ციტრუსზე, რადგან ნებრასკელებს შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ მარცვლეული კულტურის წარმოებაში, ხოლო ფლორიდელებს კი - ციტრუსის. შეფარდებითი უპირატესობის თეორიის თანახმად, იგივე ხდება ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის დროსაც. ნებრასკელებისა და ფლორიდელების მსგავსად, სხვადასხვა ქვეყნები უფრო მდიდრები იქნებიან, თუკი ისინი აწარმოებენ იმ საქონელს, რაც მათ იაფი უჯდებათ და გაცვლიან ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტს იმ საქონელში, რომლის წარმოებაც ადგილზე ძვირი დაუჯდებათ.⁵⁵

ერთი შეხედვით, რიკარდოს თეორია უნაკლოა, რაც უალტერნატივოს ხდის განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობას. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, რადგან ლიტერატურაში პოზიტიურ ჭრილში მრავლადაა განხილული თავისუფალი ვაჭრობის დადებითი მახასიათებლები. მაგალითად, ამ უკანასკნელის დადებით მხარეებად

⁵⁵ Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 43.

მოიაზრება ის, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციით იზრდება ადამიანთა შემოსავალი, მათი საცხოვრებელი პირობების სტანდარტი; ასევე, იზრდება ვაჭრობის მხარეების წარმოება, ხელი ეწყო კონკურენციას, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლისთვის უზრუნველყოფს უკეთეს და უფრო იაფ სერვისს/პროდუქტს, ხოლო დასაქმებულისთვის - უფრო კარგ სამუშაო გარემოსა და უკეთეს ხელფასს;⁵⁶ გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობა აუმჯობესებს რესურსების ეფექტურ განთავსებას/განაწილებას, აიძულებს არაეფექტურ მწარმოებლებს დატოვონ ბაზარი, ხოლო გადარჩენილი ინდუსტრიებისთვის არსებობს დისციპლინური წნეხი, რომ მუდმივად გაუმჯობესდნენ; ამასთანავე, შესაძლებელი ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებისგან კარგი გამოცდილების (ეფექტური წესებისა და სისტემის) შემოღება, ადგილობრივი მონოპოლიის მოსპობა,⁵⁷ ადგილობრივი საქონლის მასიური წარმოება საერთაშორისო მასშტაბით და ა.შ.⁵⁸

რადგანაც თავისუფალ ვაჭრობას პოტენციურად ამდენი დადებითი ეფექტი აქვს, ბუნებრივიცაა, რომ თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ეკონომისტები თუ რეგულატორები ფიქრობენ, რომ აუცილებელია განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიები ადრეულ ეტაპზევე ჩაერთონ კონკურენციულ გარემოში, რათა მათ ჰქონდეთ მოტივაცია, გაზარდონ პროდუქტიულობა და გადარჩნენ კონკურენტულ გარემოში.⁵⁹ ისინი ფიქრობენ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის განვითარებადი ქვეყნებში მყოფ პროტექციონისტებს აძლევს სამართლებრივ საფუძველს, მოახდინონ თავიანთი ბაზრის იზოლირება გარეშე ძალებისგან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს იმ პოზიტიურ ეფექტს, რაც თავისუფალ ვაჭრობას მოაქვს

⁵⁶ იხ. იქვე, გვ. 8.

⁵⁷ Ohno, Kenichi. 'Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,' *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001, p. 9.

⁵⁸ Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 43; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 339.

⁵⁹ Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002, p. 50.

ეკონომიკური განვითარების კუთხით.⁶⁰ სწორედ ამ საფუძვლით მიიჩნევენ რიგი მკვლევრები, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონმდებლობაში სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ადგილი არაა.⁶¹

ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობის საპირწონედ, განვითარებადი ქვეყნები აპელირებენ ე.წ. ახალშობილი ინდუსტრიის თეორიაზე, რომელიც ამართლებს პროტექციონიზმს იმ საფუძვლით, რომ ადგილობრივ ინვესტორებს მთავრობისგან სჭირდებათ გარკვეული ექსკლუზიური უპირატესობები, რათა უცხოელი ინვესტორების კონკურენციას გაუძლონ.⁶² პროტექციონიზმის მიმდევრების აზრით, თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკური კურსის მიმდევარი მკვლევრები უგულვებელყოფენ დღეს არსებული განვითარებული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის განვითარების ნამდვილ ისტორიას. მაშასადამე, იმისათვის, რომ ვნახოთ, აქვთ თუ არა სამართლიანი და საფუძვლიანი უფლება მსო-ს წევრ განვითარებად ქვეყნებს მოითხოვონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა და მათგან წარმოშობილი პრივილეგიებით სარგებლობა, ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ ახალშობილი ინდუსტრიის თეორიისა და ზოგადად პროტექციონიზმის არსს და დღეს არსებული რამდენიმე განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორიას.

1.3.1. პროტექციონიზმის არსი და მისი გამოყენება

პროტექციონიზმის მხარდამჭერები ირწმუნებიან, რომ გარკვეული დროის განმავლობაში „ახალშობილი“ ადგილობრივი ინდუსტრიები

⁶⁰ Kerr, William A. 'Special and Differential Treatment: A Mechanism to Promote Development?' *Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 6, no. 2, 2005, pp. 88-91.

⁶¹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 339.

⁶² იხ. იქვე.

დაცულნი უნდა იყვნენ უცხოური ფირმების კონკურენციისგან.⁶³ კერძოდ, ამგვარ ინდუსტრიებს, როგორც წესი, განვითარებასა და ბაზრის გარკვეული სეგმენტის ათვისებისთვის განსაზღვრული პერიოდი სჭირდებათ. შესაბამისად, საწყის ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე დიდ უცხოურ საერთაშორისო ფირმებს თანასწორ უფლებებს თუკი მივცემთ, ადგილობრივი ბიზნესი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, რადგან მათ სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევს.⁶⁴

პროტექცია გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა განვითარებადი ქვეყნის მთავრობის მიერ ადგილობრივი ინდუსტრიის სუბსიდირება, ასევე ტარიფებისა და კვოტების დაწესება, იმპორტის გადასახადი, გაცვლითი კურსის კონტროლი, უცხოურ ვაჭრობაზე შეზღუდვები, ფინანსური და ფისკალური ინცენტევების გამოყენება, სახელმწიფო კომპანიების გამოყენება პროდუქციის წარმოების ჯაჭვის გარკვეული სეგმენტების დასაკავშირებლად და ა.შ. ამ მეთოდების გამოყენების შედეგად ივარაუდება, რომ ინდუსტრია უნდა „მომწიფდეს“ იმ კონდიციამდე, რომ მომავალში დამოუკიდებლად შეძლოს სხვა უცხოურ ფირმებთან ბაზარზე კონკურენცია. როგორც კი ადგილობრივი ინდუსტრია კონკურენტუნარიანი გახდება, პროტექცია უნდა მოიხსნას და ადგილობრივი ეკონომიკა გაიხსნას უცხოური კონკურენციისთვის.⁶⁵ ამ ეტაპზე ადგილობრივი ბაზრის გახსნა უცხოური ბაზრისთვის აუცილებელიცაა, რადგან პროტექციას ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია თუ არ მოსდევს, ადგილობრივი ინდუსტრიები უბრალოდ სტაგნაციის ფაზაში შევლენ და საბოლოოდ სხვა ქვეყნებს ჩამორჩებიან ტექნოლოგიისა და პროდუქტიულობის განვითარებაში.⁶⁶

⁶³ იხ. იქვე.

⁶⁴ Nisar, Ahmad. 'Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,' *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013, p. 44.

⁶⁵ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, 339.

⁶⁶ Ohno, Kenichi. 'Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,' *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001, p. 9.

სახელმწიფოსგან მომდინარე პროტექცია გამართლებულია, *inter alia*, მომავალი მაღალი შემოსავლების ან ნაციონალური ინტერესების მოტივით.⁶⁷ პროტექციის საშუალებით მთავრობები ცდილობენ პროგრესული ინდუსტრიები განავითარონ, რათა ქვეყანა მხოლოდ პირველადი პროდუქტების მწარმოებელი არ იყოს (რადგან, როგორც წესი, მხოლოდ ამგვარ სექტორში აქვთ შეფარდებითი უპირატესობა). ისეთი პროგრესული სექტორები, როგორცაა მაგალითად საინფორაციო ტექნოლოგიები („Information Technology“ ან „IT“), ძირითადად მონოპოლიზებულია განვითარებული ქვეყნების მიერ და განვითარებადი ქვეყნებისთვის პროტექციონიზმის გარეშე ძნელი ხდება ამ სექტორებში ჩაბმაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ წარმატების მიღწევაზე.⁶⁸

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალშობილი ინდუსტრიის თეორიის წარმოშობა და განვითარება უკავშირდება ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთის სწრაფ ინდუსტრიულ განვითარებას და, მეორე მხრივ, სხვა ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს ინდუსტრიების ჩამორჩენილობას დიდ ბრიტანეთთან შედარებით. მაშინ როდესაც დიდი ბრიტანეთის დომინანტური პოზიციების ინტერესებით შთაგონებული ბრიტანელი ეკონომისტი ადამ სმიტი თავის საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსალურ თეორიას ავითარებდა (“Absolute Comparative Advantage”), იმ დროისთვის განვითარებადი ეკონომიკის მქონე აშშ-ში ალექსანდრ ჰემილტონი კონგრესისადმი მიმართულ ანგარიშში ბრიტანული იმპორტისგან ამერიკული ინდუსტრიების დაცვის ინიციატივით გამოდიოდა.⁶⁹ სწორედ ჰემილტონმა ჩაუყარა საფუძველი ახალშობილი ინდუსტრიის თეორიას, ხოლო მისი იდეებით შთაგონებულმა

⁶⁷ Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 400.

⁶⁸ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 339-340.

⁶⁹ იხ. Hamilton, Alexander. *Report on the Subject of Manufactures*, as reprinted in *Hamilton—Writings*. New York: The Library of the America, 2001, pp. 679–708.

გერმანელმა ეკონომისტმა, ფრიდრიხ ლისტმა კი, ახალშობილი ინდუსტრიის თეორია განავრცო თავის წიგნში - „*National System of Political Economy*.“

ლისტის მიერ განვრცობილი ახალშობილი ინდუსტრიის თეორიის თანახმად, ქვეყნები ეკონომიკის განვითარების ხუთ ეტაპს გადიან:

- ველური ეტაპი (“savage state”);
- პასტორალური ეტაპი (“pastoral state”);
- სასოფლო-სამეურნეო ეტაპი (“agricultural state”);
- სასოფლო-სამეურნეო და სამეწარმეო ეტაპი (“agricultural and manufacturing states”);
- სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო და კომერციული ეტაპი (“agricultural, manufacturing and commercial [services] state”).⁷⁰

პროგრესისთვის საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რაც მესამე საფეხურიდან მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე გადასვლას გულისხმობს. ამგვარი ტრანსფორმაცია შეუძლებელია მოხდეს ავტომატურად და ბუნებრივად, ანუ საბაზრო ძალის („market force“) მეშვეობით.⁷¹ შესაბამისად, თუკი გვაქვს შემთხვევა, როდესაც ქვეყნის განვითარება მესამე ეტაპზეა, მაშინ როცა სხვა ქვეყნების წარმოება მნიშვნელოვნად განვითარებულია, იკვეთება პროტექციონიზმის საჭიროება.⁷²

სამწუხაროდ, ლიტერატურაში ახალშობილი ინდუსტრიის თეორიაზე მრავალი უზუსტობაა გავრცელებული. მაგალითად, პროტექციონიზმი სახელდება თავისუფალი ვაჭრობისა და საერთაშორისო ვაჭრობის საწინააღმდეგო მექანიზმად, გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს თეორიის თანახმად, პროტექციონიზმი ვრცელდება წარმოების ყველა სექტორზე და არა სელექციურად; ასევე ნათქვამია, თითქოს თეორია პატარა

⁷⁰ იხ. Hoselitz, Bert F., 'Theories of Stages of Economic Growth', in B. F. Hoselitz et al., *Theories of Economic Growth*, Free Press of Glencoe, 1960, pp. 197-205; List, Friedrich. *The National System of Political Economy by Friedrich List*. Philadelphia: JB Lippincott and Co., 1856, p. 497.

⁷¹ List, Friedrich. *The National System of Political Economy by Friedrich List*. Philadelphia: JB Lippincott and Co., 1856, pp. 378 and 394.

⁷² Shafaeddin, Mehdi. 'What did Frederick List actually say? – Some Clarifications on the Infant Industry Argument,' United Nations Conference on Trade and Development 149, 2000, pp. 5-6.

ქვეყნებზე არ ვრცელდება.⁷³ სწორედ ამ უზუსტობების შედეგად სამეცნიერო მკვლევრებისა და რეგულატორების წრეებში მუსირებს აზრი, თითქოს პროტექციონიზმმა კრაზი განიცადა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთადერთი გზა სავაჭრო ლიბერალიზაციაზე გადის.⁷⁴

სინამდვილეში, ლისტი თავის ნაშრომში ავითარებს იმ აზრს, რომ პროტექციონიზმი უნდა იყოს არა უნივერსალური, არამედ სელექციური; ეს უკანასკნელი კი გულისხმობს მთავრობის მიერ შერჩევითი წესით, კონკრეტული ინდუსტრიების დაცვას განვითარების მიზნით.⁷⁵ გარდა ამისა, პროტექციონიზმი უნდა იყოს დროებითი - როგორც კი ქვეყანა კონკრეტულ სექტორში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწევს, პროტექციონიზმი ეტაპობრივად უნდა მოიხსნას და უნდა მოხდეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რათა გამოირიცხოს მონოპოლია მომხმარებლების საზიანოდ.⁷⁶

რაც შეეხება ლიტერატურაში გავრცელებულ იმ მცდარ არგუმენტს, რომ პატარა ბაზრიდან გამომდინარე შეზღუდვების გამო თეორია საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის გამოუსადეგარია, ლისტი აღნიშნავს, რომ ქვეყნის პატარა საბაზრო ზომა არ უნდა იყოს მათ მიერ წარმოების განვითარებისთვის პროტექციონიზმის გამოყენების დამაბრკოლებელი ფაქტორი. არსებობს აღნიშნული ხელისშემშლელი ფაქტორის აღმოფხვრის საშუალებები; მაგალითად, პატარა ქვეყნების მიერ რეგიონალური სავაჭრო ბლოკების შექმნა.⁷⁷ აღსანიშნავია, რომ დარგის ერთ-ერთი მკვლევრის, მეჰდი შაფაედინის აზრით, ქვეყნის სავაჭრო ბაზრის ზომის საკითხის, როგორც შემზღუდველი ფაქტორის გაბუქება, არ არის მიზანშეწონილი; მით უმეტეს,

⁷³ საკითხით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ იხ.: Krueger, Anne. *Foreign Trade Regimes and Economic Development: Liberalization Attempts and Consequences*. New York: National Bureau of Economic Research, 1978; Corden, W. Max. *Trade Policy and Economic Welfare*. 2nd ed., Oxford: Clarendon Press, 1997; Cronin, Sean. *Irish Nationalism: A History of its Roots and Ideology*. Dublin: Academy Press, 1980.

⁷⁴ Shafaeddin, Mehdi. 'What did Frederick List actually say? – Some Clarifications on the Infant Industry Argument,' United Nations Conference on Trade and Development 149, 2000, p. 3.

⁷⁵ List, Friedrich. *The National System of Political Economy by Friedrich List*. Philadelphia: JB Lippincott and Co., 1856, p. 266.

⁷⁶ იხ. იქვე, pp. 251-252.

⁷⁷ Shafaeddin, Mehdi. 'What did Frederick List actually say? – Some Clarifications on the Infant Industry Argument,' United Nations Conference on Trade and Development 149, 2000, p. 17.

პრაქტიკაში მრავლადაა არა მარტო დიდი, არამედ საშუალო და პატარა ზომის ინდუსტრიების მაგალითები, რომელთა წარმოებული პროდუქტი (მაგ., საკვები, ტანსაცმელი...) მომხმარებლების მიერ მოთხოვნადია. შესაბამისად, თუკი ბაზარი ძალიან პატარა არ არის, გარკვეული ინდუსტრიების განვითარება მაინც შესაძლებელია პროტექციონიზმის დახმარებით. შაფაედინის აზრით, ამის თვალსაჩინო მაგალითია შვეიცარია.⁷⁸

სელექციური პროტექციონიზმის მიზანშეწონილობის ილუსტრირება შესაძლებელია დღეს არსებული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეალური ისტორიის გამოკვლევით. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ქვეყნის მაგალითი.

1.3.2. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორია

შეფარდებითი უპირატესობის თეორიის ის დასკვნა, რომ თავისუფალი ვაჭრობა სასარგებლოა ყველა ქვეყნისთვის, ხშირად უნივერსალური სიმართლის სახითაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილი ეკონომისტის, ჰა-ჯუნ ჩენგის აზრით, ამ ფაქტს ხელს უწყობს ნეოლიბერალური დღის წესრიგი, რომელსაც ლობირებენ მდიდარი ქვეყნების მთავრობები და რომელსაც ხელს უწყობს ე.წ. „არაწმინდა სამება,“ რომელშიც მოიაზრება სამი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ეკონომიკის სფეროში - მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდი („International Monetary Fund“ ან „IMF“).⁷⁹ უფრო კონკრეტულად, მდიდარი ქვეყნების მთავრობები განვითარებადი ქვეყნებისთვის განკუთვნილი დახმარების ბიუჯეტს იმისათვის იყენებენ, რომ „წახალისონ“ განვითარებადი ქვეყნებისთვის თავს მოხვეული ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსი. საერთაშორისო

⁷⁸ იხ. იქვე.

⁷⁹ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, prologue, XX; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 340.

სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, თავის მხრივ, მათ მიერ გაცემულ სესხს ურთავენ ისეთ წინაპირობებს, რაც ნეო-ლიბერალური პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგებს ბენეფიციარ ქვეყნებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას კი, თავისი წვლილი შეაქვს ისეთი სავაჭრო წესების დაწესებით, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას უწყობს ხელს იმ სექტორებში, სადაც განვითარებულ ქვეყნებს უპირატესობა აქვთ (მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრება) და არა იმ სექტორებში, სადაც შეფარდებითი უპირატესობა განვითარებად ქვეყნებს გააჩნიათ (მაგ., სასოფლო-სამეურნეო სექტორი ან საფეიქრო ნაწარმი). ამ მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ზურგს უმაგრებს იდეოლოგთა დიდი არმია, წარმოდგენილი აკადემიკოსებისა და მკვლევრების სახით, რომელთა დახმარებითაც იქმნება ნეოლიბერალიზმის უალტერნატივო უპირატესობის ერთგვარი პროპაგანდა.⁸⁰

თუკი გავითვალისწინებთ დღევანდელი მდიდარი ქვეყნების განვითარების ისტორიას და მათ მიერ არაერთხელ გამოყენებულ პროტექციონიზმს სხვადასხვა დროს, დავინახავთ, რომ, ფაქტობრივად, ისინი მოქმედებენ ლოზუნგით „გააკეთე ისე, როგორც ვამბობთ და არა ისე, როგორც ვაკეთებდით“ („Do as we say, not as we did“);⁸¹ სწორედ ამიტომ, ჩენგი მათ უწოდებს „ცუდ სამარიტელებს“ („Bad Samaritans“), რადგანაც ეს ქვეყნები, გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, არაკეთილსინდისიერად სარგებლობენ განვითარებადი ქვეყნების მიმამე ეკონომიკური ვითარებით.⁸² განვითარებული ქვეყნების ამ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებულ მავნებლობას ადასტურებს კონტრასტი, რომელსაც ვხედავთ, ერთი მხრივ, რეალურ და, მეორე მხრივ, წამყვანი მდიდარი ქვეყნების ლობირებით ფართო

⁸⁰ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, prologue, XX.

⁸¹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 340.

⁸² Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, prologue, XXIII.

მასებში გავრცელებულ გლობალიზაციის ისტორიებს შორის, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ა) გლობალიზაციის ფალსიფიცირებული ისტორია

გლობალიზაციის შესახებ ფართო მასებში გავრცელებულ მოკლე ისტორიას თუ დავუჯერებთ, მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში ბრიტანეთმა თავისუფალი ბაზრის კურსი აიღო და, შედეგად, მე-19 საუკუნისთვის მათი ეკონომიკური უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით აშკარა გახდა, ამგვარი წარმატების მოპოვების მიზნით, სხვა ქვეყნებმაც გადაწყვიტეს თავიანთი შიდა ეკონომიკის დერეგულაცია და ვაჭრობის ლიბერალიზაცია. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ქვეყნების „არაგონივრული“ ნაბიჯი - შემოედოთ სავაჭრო ბარიერები, რასაც აშშ-ში, მაგალითად, ცნობილი ე.წ. „სმუთ-ჰოულის სატარიფო აქტი“ („Smoot-Hawley Tariff Act“) შემოღება მოჰყვა. თუმცა პროტექციონიზმი დიდხანს არ გავრძელებულა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკვე აშშ-ს ჰეგემონიის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკამ კვლავ ლიბერალური პოლიტიკა აირჩია, რასაც ხელი შეუწყო GATT-ის მოლაპარაკებებმა. 1980-იან წლებში კი არალიბერალური პოლიტიკური კურსი მსოფლიოს მასშტაბით თითქმის მთლიანად ჩაბარდა წარსულს და დაიწყო ნეოლიბერალური პოლიტიკის აღზევა. ამ გზაზე განვითარებადი ქვეყნებისთვის „შთაგონების წყარო“ იყო, ერთი მხრივ, 1989 წელს „ისტორიული ანომალიის“ დასრულება კომუნიზმის დამარცხების სახით და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ-აზიის ქვეყნების (სამხრეთ კორეა, იაპონია, სინგაპური...) „ეკონომიკური სასწაული“, რომელიც, თუ მასობრივად გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, თავისუფალი ეკონომიკის შედეგი იყო. და ბოლოს, 1995 წელს GATT-ი გარდაიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად - ძლევამოსილ სააგენტოდ არა მარტო ვაჭრობის, არამედ უცხოური ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ლიბერალიზაციის პოლიტიკური კურსით, რომელიც საერთაშორისო

სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ერთად ქმნის ეკონომიკური მმართველობის სისტემას.⁸³ გლობალიზაციის ეს ისტორია, რომელიც ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რეალურად დღეს არსებული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღზევების დამახინჯებულ ისტორიას ხატავს.

ბ) გლობალიზაციის რეალური ისტორია

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებული თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის სიკეთეების აღწერისას, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ეთმობა კოლონიალიზმსა და კოლონიებთან დადებულ კაბალურ ხელშეკრულებებს. უფრო მეტიც, ისტორია იმდენად დამახინჯებულია, რომ კოლონიალიზმი ეკონომიკური კუთხით დადებით კონტექსტშიც კი განიხილება ხოლმე მაშინ, როდესაც სტატისტიკა სხვა სურათს გვიხატავს. არათანასწორი მოპყრობის გამო კოლონიებს ცუდი ეკონომიკური მაჩვენებლები ჰქონდათ; მაგალითად, 1870-1913 წლებში (ლიბერალიზმის „ოქროს ხანა“) დასავლეთ ევროპა და აშშ აფიქსირებდნენ 1.3% და 1.8% მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდას,⁸⁴ მაშინ, როცა აზიასა (იაპონიის გამოკლებით) და აფრიკაში განვითარების მაჩვენებლები 0.4% და 0.6% იყო.⁸⁵ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლათინო-ამერიკული ქვეყნები, რომლებსაც ამ პერიოდში სატარიფო ავტონომია ჰქონდათ და, შესაბამისად, საკმაოდ მაღალი ტარიფებითაც გამოირჩეოდნენ, ისეთივე სისწრაფით ვითარდებოდნენ, როგორც აშშ. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მაღალი განვითარების მაჩვენებლები იმ ისტორიულ ფაქტში მდგომარეობს, რომ კაბალური ხელშეკრულებების საფუძველზე სუსტი ქვეყნები იძულებულნი იყვნენ აერჩიათ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, მაშინ როდესაც

⁸³ Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002, pp. 13-15.

⁸⁴ Maddison, Angus. *The World Economy: Historical Statistics*. Paris: OECD Publishing, 2003, Table 8.b.

⁸⁵ Chang, Ha-Joon. *Why Developing Countries Need Tariffs—How WTO NAMA Negotiations Could Deny Developing Countries' Right to a Future*. Geneva: South Centre, 2005, Tables 5 and 7.

ბრიტანეთი და აშშ მაღალ ტარიფებს ინარჩუნდებდნენ (განსაკუთრებით, ინდუსტრიულ ტარიფებს).⁸⁶

საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითი. 1721 წელს, დე ფაქტო პირველი პრემიერ-მინისტრის, რობერტ ვალპოლის მიერ ინიცირებული კანონმდებლობა მიზნად ისახავდა ბრიტანეთის სამეწარმეო ინდუსტრიის აღორძინებას, რომელიც იმჟამად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონტინენტური ევროპის წამყვანი ქვეყნების განვითარებულ ინდუსტრიებს. კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მომხდარიყო ბრიტანული მეწარმეობის დაცვა უცხოური კონკურენციისგან ტარიფების გაზრდის, სუბსიდირების, მათი ექსპორტზე გატანის წახალისების გზით და ა.შ.⁸⁷ ვალპოლის პროტექციონისტულმა კურსმა მე-19 საუკუნის ნახევრამდე გასტანა და ამ პერიოდის განმავლობაში, ბრიტანულმა ინდუსტრიებმა მოახერხეს კონტინენტური ევროპის ქვეყნების ინდუსტრიებზე უფრო მეტად განვითარება.⁸⁸ საყურადღებოა, რომ 1820 წლისთვის, დიდი ბრიტანეთის საშუალო ტარიფი მეწარმეობის იმპორტზე იყო 45-55% მაშინ, როცა ბენელუქსის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 6-8% იყო, გერმანიასა და შვეიცარიაში - 8-12%, ხოლო საფრანგეთში - 20%.⁸⁹ რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის კოლონიებს, ოფიციალურმა ლონდონმა კოლონიებიდან შეწყვიტა ისეთი პროდუქტების ექსპორტი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის ადგილობრივ პროდუქციას როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე. მაგალითად, მათ შეწყვიტეს კოტონის იმპორტი ინდოეთიდან, რომელიც იმ

⁸⁶ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 340.

⁸⁷ Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002, pp. 21-22; მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Brisco, Norris A., *The Economic Policy of Robert Walpole*. New York: The Columbia University Press, 1907, pp. 131-133, 148-155, 169-171; Davis, Ralph. 'The Rise of Protection in England, 1689-1786,' *Economic History Review* 19, no. 2, 1966, pp. 313-314.

⁸⁸ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 340-341.

⁸⁹ Bairoch, Paul. *Economics and World History—Myths and Paradoxes*. London: Harvester Wheatsheaf, 1993, Table 3.3.

დროს ბრიტანეთის კოტონის პროდუქციას ჯაბნიდა. ასევე, 1699 წელს, „Wool Act“-ის (ე.წ. „აქტი შალის შესახებ“) ფარგლებში მათ აუკრძალეს თავიანთ კოლონიებს ექსპორტზე გაეტანათ შალი, რითიც, ფაქტობრივად, ჩაკლეს ირლანდიური შალის წარმოება და მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს ამერიკული შალის განვითარებადი ინდუსტრია.⁹⁰

დიდი ბრიტანეთის პროტექციონისტულ პოლიტიკურ კურსს შეეწინააღმდეგა თავისუფალი ვაჭრობის მომხრე, გამოჩენილი ეკონომისტი ადამ სმიტი თავისი ნაშრომით - *“The Wealth of Nations.”* საინტერესოა ადამ სმიტის დასაბუთება პროტექციონიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებდა პროტექციონიზმის დადებით როლს ბრიტანული ინდუსტრიის გადარჩენასა და შემდგომ მის განვითარებაში, მისი აზრით, მოცემული პერიოდისთვის, პროტექციონიზმიდან წარმოშობილი კონკურენციის არარსებობა ცუდი იყო ბრიტანეთის ეკონომიკისთვის. უფრო კონკრეტულად, სმიტის თქმით, რადგანაც ბრიტანეთის ინდუსტრიები საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანები გახდნენ, პროტექციონიზმის საჭიროება დაიკარგა და პირიქით, ეკონომიკურად გაუმართლებელიც კი გახდა, რადგან განვითარების ამ ეტაპზე დადგა საჭიროება, რომ ბრიტანულ პროდუქციას ქვეყნის გარეთ აეთვისებინა უცხოური ბაზარი. ამიტომაც, ადამ სმიტის აზრით, თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების იმ კონკრეტულ ეტაპზე ბრიტანეთის ინტერესებში იყო.⁹¹ მამასადაძმე, გამოჩენილი ისტორიკოსის, პოლ ბაიროხის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიტანეთმა აითვისა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკური კურსი მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკურენტებს გაუსწრო ტექნოლოგიური განვითარებით, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათ მიერ დაწესებული მაღალი

⁹⁰ Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002, p. 22.

⁹¹ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, p. 29; ვრცლად იხილეთ: Smith, Adam. *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. Hampshire: Harriman House Ltd. edition, 2007, p. 688.

სატარიფო ბარიერებით.⁹² საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მართალია დიდი ბრიტანეთის მთავრობა თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობაზე ქადაგებდა ქვეყნის გარეთ, თუმცა როდესაც მათი ქვეყნის ეკონომიკას სჭირდებოდა, ისინი არ ერიდებოდნენ ვაჭრობის შეზღუდვას. მაგალითად, როდესაც „საჭიროებამ“ მოითხოვა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ კოტონის მწარმოებლებს აუკრძალა ბრიტანული ტექსტილის მანქანის ექსპორტი, რათა ამით სარგებელი არ მიეღოთ უცხოელ კონკურენტებს.⁹³

ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ იმ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორიებშიც, რომლებიც დღეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ქადაგებენ და თავისუფალი ეკონომიკის წარმატების სიმბოლოდ ითვლებიან.⁹⁴ საინტერესოა აშშ-ს მაგალითი. ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ ამერიკამ იგივე ბედი გაიზიარა, რაც სხვა ბრიტანულმა კოლონიებმა - მათ საკუთარი ინდუსტრიების დასაცავად ტარიფების გამოყენება ეკრძალებოდათ, არ შეეძლოთ იმ საქონლის ექსპორტი, რომელიც ბრიტანულ საქონელს საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენციას გაუწევდა, შეეძლოთ მხოლოდ ნედლეულის წარმოება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ადამ სმიტი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მამა, „ურჩევდა“ ამერიკელებს, არ მოეხდინათ წარმოების განვითარება. მისი თქმით, ამერიკელების მცდელობა, შეეჩერებინათ ევროპული წარმოების იმპორტი ადგილობრივი

⁹² Bairoch, Paul. *Economics and World History—Myths and Paradoxes*. London: Harvester Wheatsheaf, 1993, p. 46.

⁹² იხ. იქვე.; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341.

⁹³ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, pp. 31-32; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341.

⁹⁴ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341.

პროდუქციის სასარგებლოდ ზიანს მიაყენებდა აშშ-ს ეკონომიკურ პროგრესს.⁹⁵

აღამ სმიტის „კეთილმოსურნე“ რჩევების მიუხედავად, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამდეც და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, აშშ გეოგრაფიულად მკვეთრად იყო დაყოფილი თავისუფალი ბაზრის მომხრეებსა (სამხრეთით) და პროტექციონისტებს (ჩრდილოეთით) შორის. ჩრდილოეთის ინდუსტრიული შტატები მოითხოვდნენ ბრიტანული ინდუსტრიებისგან პროტექციას, ხოლო სამხრეთის პლანტაციის შტატები, რომლებსაც კონკურენტუნარიანი კოტონი ჰქონდათ საექსპორტოდ გასატანი, თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები იყვნენ, რადგან ეს მათ იაფი იმპორტი და დიდი ბრიტანეთის ბაზართან უფასო წვდომით უზრუნველყოფდა. ალექსანდრ ჰემილტონი, რომელიც ჩრდილოეთის ხმას წარმოადგენდა, ლობირებდა პროტექციონიზმის კურსით ინდუსტრიალიზაციას, ხოლო თომას ჯეფერსონი კი, სამხრეთელი პლანტატორების ინტერესებს იცავდა. შორს რომ არ წავიდეთ, საბოლოო ჯამში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ გახდა თავისუფალი ვაჭრობის ქვეყანა, თუმცა ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის ბოლოს პროტექციონიზმის დახმარებით ქვეყანამ წარმატებული ინდუსტრიალიზაცია მოახდინა. ამ წარმატების მისაღწევად თითქმის მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ამერიკის სატარიფო პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში.⁹⁶

მაშასადამე, თავისუფალი ვაჭრობის ორი წამყვანი ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი და აშშ - არათუ არ იყვნენ თავისუფალი ეკონომიკის გამტარებლები წარსულში, არამედ ყველაზე დიდ პროტექციონისტებს

⁹⁵ Smith, Adam. *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. Hampshire: Harriman House Ltd. edition, 2007, pp. 235-236.

⁹⁶ Ohno, Kenichi. 'Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,' *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001, p. 5; მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, pp. 32-35; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341.

წარმოადგენდნენ საერთაშორისო არენაზე მანამ, სანამ მათი ინდუსტრიები მსოფლიო დომინენტები გახდებოდნენ. კერძოდ, თუკი დიდი ბრიტანეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც „ახალშობილი ინდუსტრიის“ თეორიის ფართომასშტაბიანი სტრატეგიის დანერგვა დაიწყო, აშშ, როგორც პოლ ბაიროხი აღნიშნავს, „თანამედროვე პროტექციონიზმის მშობლიური ქვეყანა და ბასტიონი“ გახლავთ.⁹⁷ სხვადასხვა დროს საკუთარი ინდუსტრიების გასავითარებლად პროტექციონიზმის გზა აირჩიეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ნორვეგია, ფინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური და ა.შ.⁹⁸

საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს ჰონგ კონგი, რომელმაც ეკონომიკურ პროგრესს თავისუფალი ვაჭრობითა და „laissez-faire“ ინდუსტრიული პოლიტიკური კურსით მიაღწია. თუმცა აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჰონგ კონგი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა არ ყოფილა - 1997 წლამდე იგი წარმოადგენდა ბრიტანეთის კოლონიას, ხოლო ამჟამად ჩინეთის ფინანსური ცენტრია. მიუხედავად იმისა, რომ ჰონგ კონგი მოიაზრება თავისუფალი ეკონომიკის მოდელად, აქაც კი ვხვდებით გარკვეულ შეზღუდვებს; მაგალითად, ჰონგ კონგის მთავრობა მთლიანად ფლობდა მიწებს (სინგაპურის მსგავსად), რათა სამოსახლო სიტუაცია გაეკონტროლებინა.⁹⁹ იგივე ითქმის ნიდერლანდებსა და შვეიცარიაზე, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ყოველთვის მისდევდნენ თავისუფალ ვაჭრობას, დღევანდელი გაგებით „იდეალური“ ნეოლიბერალები მაინც არ ყოფილან, რადგან პატენტის დაცვას მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არ მისდევდნენ.¹⁰⁰

⁹⁷ Bairoch, Paul. *Economics and World History—Myths and Paradoxes*. London: Harvester Wheatsheaf, 1993, p. 40.

⁹⁸ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341; მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002, pp. 32-51.

⁹⁹ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, p. 12.

¹⁰⁰ იხ. იქვე, გვ. 44.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკულად ყველა მდიდარი ქვეყანა თავისი ახალშობილი ინდუსტრიის გასავითარებლად გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყენებდა პროტექციონიზმის მეთოდებს: იქნება ეს ტარიფების დაწესება, სუბსიდია, იმპორტის გადასახადი, კვოტები, გაცვლითი კურსის კონტროლი, უცხოურ ვაჭრობაზე შეზღუდვები თუ სხვა. ყველა ეს ღონისძიება კი, მიზნად ისახავდა ქვეყნის ახალშობილი ინდუსტრიებისთვის დროის მიცემას გასავითარებლად და ამ პერიოდში საერთაშორისო კონკურენციისგან მათ დაცვას.¹⁰¹ შესაბამისად, აშშ-მ და ევროკავშირის ქვეყნებმა, რომლებიც დღეს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობაზე აპელირებენ, უნდა ახსნან, როგორ შეიძლება მათი ეკონომიკური წარმატება თავისუფალ ვაჭრობას მიეწეროს მაშინ, როცა ისტორიულად მათი აბსოლუტური უმრავლესობა პროტექციონიზმს მისდევდა ადგილობრივი ინდუსტრიების სათანადოდ განვითარებამდე, რომლის შემდეგაც თავიანთი ბაზრები თანდათანობით და სელექციური მიდგომით გახსნეს. ასევე, მათ კონკრეტული და რეალისტური პასუხი უნდა გასცენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ ესახებათ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში განვითარებადი ქვეყნების მიერ ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასთან ან განვითარებული ქვეყნების ბაზრების კონკურენციასთან გამკლავება. და ბოლოს, მდიდარმა ქვეყნებმა უნდა განმარტონ, თუ რატომ ცდილობენ ისინი განვითარებადი ქვეყნებისთვის იმ გზის ჩახერგვას, რომელმაც ისინი წარმატებამდე მიიყვანა. სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ეძახდა ფრიდრიხ ლისტი და შემდგომ ჰა-ჯუნ ჩენგი განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის იმ კიბის წართმევას („kicking away the ladder“), რომლითაც მათ შეძლეს განვითარების მიღწევა.¹⁰²

¹⁰¹ Hartwich Frank and Pataconi Gerardo. 'Beyond infant industries and trade liberalization: Productive development in a value chain and cluster context,' United Nations Industrial Development Organization, 2014, p. 5.

¹⁰² ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 341-342.

1.3.3. პროტექციონიზმის კრიტიკის საპირწონე არგუმენტები

ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, უსაფუძვლო და უხერხულიც კი ხდება მდიდარი ქვეყნების წარმომადგენლების კრიტიკა განვითარებადი ქვეყნების მიერ პროტექციონიზმით და სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობაზე. იმისათვის, რომ შევაფასოთ, რამდენად საფუძვლიანია განვითარებული ქვეყნების მიერ გაჟღერებული კრიტიკა, ქვემოთ განხილული იქნება პროტექციონიზმის წინააღმდეგ წარმოდგენილი ყველაზე გავრცელებული რამდენიმე არგუმენტი და შეფასებული იქნება მათი საფუძვლიანობა.¹⁰³

დარგის ერთ-ერთი მკვლევარი, ნისან აჰმადი თავის ნაშრომში აცხადებს, რომ პროტექციონიზმი „არარეალური და სადავოა;“ მისი აზრით, თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას მხოლოდ ერთეული ქვეყანები თუ ახერხებენ იმ ინდუსტრიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაცვას საჭიროებენ.¹⁰⁴ ვფიქრობ, აჰმადის განცხადება პროტექციონიზმის არარეალურობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა თუნდაც იმ ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე, რომლებიც ნაშრომში განვიხილეთ. რაც შეეხება პროტექციისთვის საჭირო ინდუსტრიის იდენტიფიკაციას, ვეთანხმები აჰმადს იმაში, რომ რთულია ასეთი ინდუსტრიების იდენტიფიცირება, თუმცა არა შეუძლებელი. სათანადო ინდუსტრიების იდენტიფიცირების მაგალითად მკითხველს შეუძლია ნახოს მკვლევრის, ქენიჩი ოჰნოს ნაშრომი, სადაც იგი აღწერს ინდუსტრიის სელექციის მეთოდებს თავისი ქვეყნის, ტაივანის მაგალითზე.¹⁰⁵ ასევე საყურადღებოა ე.წ. მილ-ბესტებლის ტესტის („Mill–Bastable Test“) არსებობაც, რომელიც მოიცავს იმ პირობების ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც

¹⁰³ იხ. იქვე, გვ. 342.

¹⁰⁴ Nisar, Ahmad. 'Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,' *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013, p. 43.

¹⁰⁵ Ohno, Kenichi. 'Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,' *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001, pp. 15-17.

პროტექციონიზმი გამართლებულია.¹⁰⁶ მაგალითად, ინდუსტრიების იდენტიფიცირებისას უნდა დავადგინოთ კუმულაციური სარგებელი, რასაც დაცული ინდუსტრიისგან უნდა იღებდეს ქვეყნის ეკონომიკა; ეს სარგებელი კი უნდა აღემატებოდეს პროტექციონიზმის კუმულაციურ ხარჯს და ა.შ.¹⁰⁷ საჭირო ინდუსტრიის სელექციის მაგალითები მრავლადაა პრაქტიკაში არა მარტო უკვე განვითარებულ ქვეყნებში, არამედ ისეთ ქვეყნებშიც, როგორც საქართველოა. მაგალითად, საქართველო ათი წლის განმავლობაში ახორციელებდა ყურძნის სუბსიდირებას, რის შემდეგაც ამ სექტორის სუბსიდირებაზე საქართველოს მთავრობამ უარი თქვა, რადგან ათი წლის განმავლობაში, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდა ბაზრის მიწოდება-მოთხოვნის დასტაბილურება და, მეორე მხრივ, გაიზარდა ქართული ღვინის სექტორის ბაზრები მსოფლიოს მასშტაბით.¹⁰⁸

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც თავისუფალი ეკონომიკის მომხრეები აპელირებენ, არის ის ჰიპოთეზა, თითქოს პროტექციის მოხსნა მისი დაწესების შემდეგ ძნელია.¹⁰⁹ როგორც წესი, ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ლიტერატურაში აშშ-ს ლობისტური ინდუსტრიის მაგალითი მოჰყავთ. მართლაც, წლებია, რაც აშშ-ში შაქრის ფასი ორჯერ-სამჯერ უფრო მაღალია მსოფლიო ფასთან შედარებით. ეს განპირობებულია აშშ-ს მთავრობის მიერ უცხოური შაქრის იმპორტის რაოდენობაზე დაწესებული შეზღუდვებით, რაც შაქრის ფასს შიდა ბაზარზე ავტომატურად მაღალს ხდის. შედეგად, რამდენიმე ათას ამერიკულ შაქრის მწარმოებელს აქვს მილიარდობით დოლარის წლიური შემოსავალი, მაშინ როცა წაგებულ მდგომარეობაში არიან შაქრის მომხმარებლები, რომლებიც პროდუქტში მაღალ თანხას

¹⁰⁶ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 342.

¹⁰⁷ Melitz, Marc J. ‘When and how should Infant Industries be protected?’ *Journal of International Economics* 66, 2005, p. 178.

¹⁰⁸ ხაზიური, მაკა. ‘მეორე რთველი სუბსიდიის გარეშე - ინფოგრაფიკა’ (Knews.ge, 2 ნოემბერი, 2019), retrieved from <www.knews.ge> [25.04.2022].

¹⁰⁹ Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 400.

იხდიან. შესაბამისად, ისმის კითხვა - რატომ აქვს დღემდე ამ სუბსიდირების პროგრამას მხარდაჭერა კონგრესისგან?!

პასუხი ამერიკული ლობიზმის სისტემაში მდგომარეობს. როგორც ნინო ფარსადანიშვილმა თავის ნაშრომში სწორად აღნიშნა, მსო-ს წევრი ქვეყნების „უკან დგანან ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, რომლებიც, ამავე დროს, მოქმედ ხელისუფლებათა მთავარი სპონსორები და მათივე ხელისუფლების შენარჩუნების მთავარი გარანტები არიან.“¹¹⁰ გამომდინარე იქიდან, თუ რამხელა შემოსავალი მოდის შაქრის მწარმოებლებზე, გასაკვირი არაა, რომ ისინი თავიანთ სიმდიდრესა და ძალაუფლებას იყენებენ იმ პოლიტიკოსების მხარდასაჭერად, რომლებიც კონგრესში მათ ინტერესებს ატარებენ. ეს მხარდაჭერა კი არჩევნების პერიოდში კონკრეტული კონგრესმენების საარჩევნო კამპანიებში ფულადი დახმარების გადარიცხვაში გამოიხატება. სწორედ ამ ფულადი მხარდაჭერით აიხსნება ის ფაქტი, რომ კონგრესმენები დღემდე აქტიურად ლობირებენ ტარიფებისა და კვოტების არსებობას ისეთ ინდუსტრიებზე, რომლებიც უკვე დიდი ხანია კონკურენტუნარიანები არიან (მაგალითად, ტექსტილი, ხე-ტყის მასალა, ფოლადი და სხვ.).¹¹¹ სწორედ ამგვარი ლობისტური სისტემის მავნებლობიდან გამომდინარე, ისეთი წონიანი ფიგურა, როგორცაა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი დევიდ თარი, ერთიანი ტარიფების მხარდასაჭერად გამოდის და პროტექციონიზმს „ადანაშაულებს“ როგორც ლობიზმის წახალისებაში, ისე ადმინისტრაციულ ბიუროკრატიასა და კონტრაბანდისა და კორუფციის ხელშეწყობაში.¹¹²

ლობიზმის წახალისების მართლაც საფუძვლიანი ბრალდების საპირწონედ, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში

¹¹⁰ ფარსადანიშვილი, ნინო. „საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით,“ *უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი, 2015, გვ. 138.

¹¹¹ Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 134.

¹¹² Tarr, David G. 'On the Design of Tariff Policy: A Practical Guide to the Arguments for and Against Uniform Tariffs,' World Bank Group, 2000, p. 2.

არსებულ თითოეულ ქვეყანას ინდივიდუალური პოლიტიკური სისტემა აქვს, ლობისტური ინდუსტრიაც ყველგან სხვადასხვანაირად მოქმედებს და მათი გავლენებიც განსხვავებულია. შესაბამისად, ვფიქრობ, უსაფუძვლოა პროტექციონიზმის უგულებელყოფა ერთი ქვეყნის ლობისტური ინდუსტრიის მაგალითიდან გამომდინარე, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც თავად პროტექციონიზმის კრიტიკოსებიც აღიარებენ, რომ სექტორის თავდაპირველად დაცვამ რეალურად ის ინდუსტრიები მართლაც განავითარა, რომლებიც ამჟამად უსაფუძვლოდაა ლობირებული.

პროტექციონიზმს აკრიტიკებს დარგის კიდევ ერთი გამორჩეული ექსპერტი უილიამ ქერი. თავის ნაშრომში ქერი, *inter alia*, გამოყოფს პროტექციონიზმის ფარგლებში მთავრობის სერვისების მონოპოლიის პრობლემატიკას.¹¹³ აღნიშნული პრობლემის არსებობა აღიარებულია პროტექციონიზმის მომხრეების მიერ და მოცემულია მათი გადაჭრის გზებიც. მაგალითად, ფრიდრიხ ლისტი მონოპოლიის აღმოსაფხვრელად და მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს თავად შიდა ბაზრის ფარგლებში კონკურენციის წახალისებას.¹¹⁴ გარდა ამისა, მისი აზრით, დაცული ზომიერება უნდა იყოს - პროტექციონიზმი არც ისეთი გადაჭარბებული უნდა იყოს რომ უცხოური ფირმების კონკურენცია მთლიანად აღმოფხვრას და არც ისეთი უმნიშვნელო, რომ ადგილობრივი ინდუსტრიები უცხოური ფირმების კონკურენციისგან სათანადოდ ვერ დაიცვას.¹¹⁵ საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ემსახურება ქვეყნებში ანტი-მონოპოლიური სამსახურების საქმიანობაც, თუმცა ამ უკანასკნელის ეფექტური ფუნქციონირება, თავისთავად, მთავრობის პოლიტიკური ნებისგან უნდა მომდინარეობდეს.¹¹⁶

¹¹³ Kerr, William A. 'Special and Differential Treatment: A Mechanism to Promote Development?' *Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 6, no. 2, 2005, p. 90.

¹¹⁴ List, Friedrich. *The National System of Political Economy by Friedrich List*. Philadelphia: JB Lippincott and Co., 1856, p. 113.

¹¹⁵ იხ. იქვე, გვ. 79.

¹¹⁶ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 342.

აღსანიშნავია, რომ მთავრობების მიერ გარკვეული სერვისების მონოპოლია აპრიორი ნეგატიურ მოვლენად არ უნდა განიხილებოდეს. მაგალითად, სინგაპურის ავიახაზები („Singapore Airlines“), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ავიაკომპანიაა მსოფლიო ბაზარზე და საუკეთესო ავიაკომპანიების მოწინავე პოზიციებზეც არაერთხელ დასახელებულა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას წარმოადგენს. გარდა ამისა, სინგაპურის მთავრობა უძღვება საბჭოებს (ე.წ. Statutory Boards), რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ გარკვეულ სერვისებსა და პროდუქციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, ქვეყნის თითქმის მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებაშია და საცხოვრებლის 85%-ს განაგებს ე.წ. საბინაო და განვითარების საბჭო („Housing and Development Board“). ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სახელმწიფოს მიერ გარკვეული სექტორების სრული ან ნაწილობრივი მონოპოლია, თუმცა ამ მონაცემების მიუხედავად, საინტერესო და, ამასთანავე, ირონიულიცაა ის ფაქტი, რომ სინგაპურს ხშირ შემთხვევაში იხსენიებენ, როგორც წარმატებულ ქვეყანას კერძო-სექტორული ეკონომიკური განვითარების ორიენტაციით.¹¹⁷

რაც შეეხება პროტექციონიზმის წინააღმდეგ გაჟღერებულ კიდევ ერთ ბრალდებას - კორუფციის წახალისებას - ამ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია ჰა-ჯუნ ჩენგის ანალიზი წიგნში *“Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism.”* ჩენგის თანახმად, კორუფციისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ურთიერთმიმართება სწორხაზოვანი არ არის და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. კერძოდ, კორუფციის ეკონომიკური შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ გადაწყვეტილებებზე აქვს გავლენა კორუფციულ საქმიანობას, როგორ იყენებს სახელმწიფო მოხელე ქრთამს, როგორ იქნებოდა ფული გამოყენებული იმ შემთხვევაში, რომ არ არსებულებოდა ქვეყანაში კორუფცია

¹¹⁷ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, p. 95.

და ა.შ.¹¹⁸ განიხილა რა კორუფციის მაგალითები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, ჩენგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როდესაც ქვეყანას განვითარებული ეკონომიკა აქვს, ამ დროს უფრო ადვილია კორუფციის შემცირება, თუმცა ავტომატური ურთიერთმიმართება კორუფციის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის არ არსებობს და ქვეყნის ნაკლებად კორუფციული მაჩვენებელი უფრო მეტად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გადადგმულ შეგნებულ ნაბიჯებზე.¹¹⁹ ჩენგს ვეთანხმები და ვფიქრობ, მისი არგუმენტის სისრულეზე სტატისტიკაც მეტყველებს. მაგალითისთვის, შეგვიძლია ავიღოთ ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობის („Transparency International“) მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის ე.წ. კორუფციის აღქმის ინდექსის („Corruption Perception Index) მაჩვენებლები, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოყენებულ კორუფციის ინდიკატორს წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული ინდიკატორით იდენტიფიცირებული სიის მიხედვით, 2019 წელს საქართველო, ანუ პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყანა, კორუფციის ნიშნულით 198 ქვეყნიდან 44-ე ადგილს იკავებდა მაშინ, როცა იტალია - განვითარებული ქვეყანა - 51-ე ადგილზე იყო, ხოლო რუსეთი - დიდი ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყანა - 137-ე ადგილზე.¹²⁰

და ბოლოს, ქერი პრინციპულად ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, თითქოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების საწინდარია. მისი აზრით, ეს მუხლები შეიძლება მივიჩნიოთ დროებით, საჭირო ბოროტებად, თუმცა იმის თქმა, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობა ეკონომიკას ავითარებს, იმ მთავრობების წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებსაც არ სურთ ეკონომიკის გახსნის

¹¹⁸ იხ. იქვე, გვ. 151.

¹¹⁹ იხ. იქვე, გვ. 151-152.

¹²⁰ Transparency International, ‘Corruption around the World in 2019’, retrieved from <<https://www.transparency.org/en/cpi/2019>> [25.04.2022].

თანმდევრი პროგრესული რეფორმების განხორციელება.¹²¹ შესაბამისად, ქერი მიზანშეწონილად არ მიიჩნევა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების სახით პროტექციონიზმის ლეგიტიმაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში იმ საფუძველზე, თითქოს ის ავითარებს ეკონომიკას.¹²²

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, თეორიულად, მსო-ს საქმიანობასა და ეკონომიკის განვითარებას შორის კავშირის არსებობა დადასტურებულია თვით მარაკემის ხელშეკრულების პრეამბულაში. პრეამბულის თანახმად, ორგანიზაციის წევრი ქვეყნები თანხმდებიან, რომ *„სავაჭრო და ეკონომიკური კუთხით მათი ურთიერთობები უნდა წარიმართოს საცხოვრებელი პირობების სტანდარტების ამაღლების მხედველობაში მიღებით ... და ამისთვის ქვეყნებს უფლება აქვთ გამოიყენონ მსოფლიოს რესურსები ისე, რომ მდგრადი განვითარების მიზნებთან თანხვედრაში იყვნენ.*“¹²³ ზემოაღნიშნულით მარაკემის ხელშეკრულება ადასტურებს, რომ განვითარება ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. რაც შეეხება კონკრეტულად სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებსა და ეკონომიკის განვითარებას შორის კავშირს, დოჰას მინისტერიალის დეკლარაციაში ვხვდებით მათ შორის ურთიერთკავშირის არსებობის მინიშნებას. ამ უკანასკნელში წერია, რომ წევრი ქვეყნების მიერ უნდა იყოს მცდელობა იმისა, რომ *„უზრუნველყონ განვითარებადი და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის წილი მსოფლიო ვაჭრობის გაზრდისას, რაც პროპორციული იქნება მათი ეკონომიკური განვითარების საჭიროებებისთვის.*“¹²⁴

¹²¹ Kerr, William A. 'Special and Differential Treatment: A Mechanism to Promote Development?' *Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 6, no. 2, 2005, p. 91.

¹²² ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 343-343.

¹²³ Agreement on Agriculture, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 410, preamble.

¹²⁴ World Trade Organization [WTO], Doha Ministerial Declaration, (WT/MIN(01)/DEC/1, 14 November 2001), para. 2; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ თეორიული კუთხით, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობასთან, რომლის ერთ-ერთ მიზანს ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, ვფიქრობ, რომ თავად ის ფაქტი, რომ ზოგადად, პროტექციონიზმი რიგ შემთხვევებში მართლაც, ეკონომიკის განვითარების კატალიზატორია, დასაბუთებულია ნაშრომში უკვე განხილული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორიული მაგალითებით.¹²⁵ მიუხედავად ამისა, რეალურად უწყობენ თუ არა ხელს ეკონომიკის განვითარებას კონკრეტულად დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, ინდივიდუალური საკითხია და ქვემოთ იქნება განხილული.

1.3.4. არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების რეალური ეფექტი ეკონომიკაზე

თუკი გადავხედავთ სავაჭრო ხელშეკრულებებზე არსებულ თეორიულ ლიტერატურას, ვნახავთ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების დღევანდელ ფორმას დიდი მხარდაჭერა არ აქვს.¹²⁶ კრიტიკოსების ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომლის საფუძველზეც ისინი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მთლიანად შეწყვეტას მოითხოვენ, არის ის ვარაუდი, თითქოს ეს მუხლები რეალურად დადებითად არ მოქმედებენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. აღნიშნულზე საინტერესო თეორიული და ემპირიული კვლევა აქვს ჩატარებული ემანუელ ორნელასს ნაშრომში „*Special and Differential Treatment for Developing Countries*,“ რომელიც მიზნად ისახავს დაადგინოს, საჭიროა თუ

განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 343

¹²⁵ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 343.

¹²⁶ Ornelas, Emanuel. ‘Special and Differential Treatment for Developing Countries,’ CEP Discussion Paper No. 1415, 2016, p. 24.

არა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების დღევანდელი ფორმით არსებობა.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ფორმალური მიზანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისთვის ხელის შეწყობა. კითხვაზე რეალურად ემსახურება თუ არა ამ მიზანს დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, ორნელასი პასუხობს, რომ ემპირიული კუთხით ამ საკითხზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია.¹²⁷ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ეფექტის ემპირიული შეფასება გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ეს უკანასკნელი გამოხატულებას ჰპოვებს მრავალ სხვადასხვა ფორმაში. შესაბამისად, ორნელასის აზრით, აჯობებს დაისვას „დამხმარე“ კითხვები, რომელთა ემპირიული ანალიზიც უფრო შესაძლებელია და რომელზეც პასუხმა შეიძლება გამოააშკარავოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების გავლენა ეკონომიკაზე.¹²⁸ მაგალითად, უპრიანია პასუხი გაეცეს კითხვას - აქვს თუ არა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს გავლენა ქვეყნის ექსპორტის ზრდაზე?¹²⁹ პასუხის გაცემა კი შესაძლებელია GSP პროგრამის ემპირიული ანალიზით, რომლითაც შეგვიძლია დავადგინოთ არაორმხრივი უპირატესობის გავლენა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის ზრდაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ის რამდენიმე კვლევა, რომელიც დაფუძნებულია სანდო სტატისტიკურ მონაცემსა და ანალიზზე, გვიჩვენებს, რომ არაორმხრივი უპირატესობის მინიჭება ექსპორტის ზრდას ხელს ნამდვილად უწყობს. იმის მიუხედავად, რომ ჩატარებული კვლევები პოზიტიურ უკუკავშირს ხედავენ, ორნელასი მაინც ფიქრობს, რომ საჭიროა უფრო მეტი კვლევის ჩატარება ფართო და

¹²⁷ იხ. იქვე, გვ. 1.

¹²⁸ იხ. იქვე.

¹²⁹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 343.

ნათელი სურათის დასანახად და იმის გასაგებად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობა ზოგადად, ეკონომიკურ ზრდასაც უწყობს თუ არა ხელს.¹³⁰ რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ფაქტია, დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე უარყოფითად არ მოქმედებენ;¹³¹ თუმცა აქვე წინამდებარე დისერტაცია ავითარებს აზრს, რომლის თანახმადაც, იმისათვის, რომ საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადმა ქვეყნებმა მეტი სარგებელი მიიღონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებისგან, საჭიროა მოხდეს ამ მუხლების განვითარებადი ქვეყნების დონესა და საჭიროებებზე მორგება (და არა მათი ამოღება). აღნიშნულს უფრო დეტალურად დისერტაციის მომდევნო თავებში განვიხილავთ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები არათუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე, არამედ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზეც კი არ მოქმედებენ უარყოფითად. პირიქით, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით იმაზეც კი შეიძლება ვიდავოთ, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა მსო-ს ხელშეკრულებებში თავად განვითარებული ქვეყნების ინტერესშია. უფრო კონკრეტულად, მაკროეკონომიკაში ისწავლება, რომ აგრეგატი მოთხოვნის გაზრდის ერთ-ერთი ფაქტორია სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში მცხოვრებლების შემოსავლების გაზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა X-ის მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამ ქვეყნის ექსპორტის მოთხოვნაზე. მაგალითად, ევროპაში, მექსიკასა და კანადაში მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა პოტენციურად ზრდის ამ ქვეყნების მომხმარებელთა მოთხოვნას ამერიკაში წარმოებულ პროდუქტებზეც და პირიქით, როდესაც აშშ-ს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკა რეცესიას განიცდის, შედეგად ამ ქვეყნების

¹³⁰ Ornelas, Emanuel. 'Special and Differential Treatment for Developing Countries,' CEP Discussion Paper No. 1415, 2016, p. 62.

¹³¹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021, გვ. 343-344.

მოსახლეობა აღარ ყიდულობს ბევრ პროდუქტს, მათ შორის ამერიკიდან იმპორტირებულ პროდუქტებსაც, რაც, თავის მხრივ, აშშ-ს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.¹³² შესაბამისად, განვითარებული ქვეყნების ინტერესში უნდა შედიოდეს განვითარებადი ქვეყნების მშპ ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდა, რადგან ამ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ჭარბად წარმოებული პროდუქტების გასასაღებლად უფრო დიდი ბაზარი ექნებათ ასათვისებელი სხვა ქვეყნებში.¹³³ აქედან გამომდინარე, თუ იმ ჰიპოთეზას გავყვებით, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსით განვითარებადი ქვეყნები უფრო ნელა ვითარდებიან ვიდრე დროებითი პროტექციონიზმის შემთხვევაში, მაშინ ვასკვნით, რომ მდიდარი ქვეყნები მომავალში ბევრად უფრო სასარგებლო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუკი ამჟამად განვითარებად ქვეყნებს „ნებას დართავენ“ პროტექციონიზმის დახმარებით ჩქარა განავითარონ თავიანთი ეკონომიკა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ეკონომისტებისა და მკვლევრების კრიტიკის მიუხედავად, სპეციალური და განსხვავებული მუხლების არსებობა არა მარტო ლეგიტიმური, არამედ აუცილებელიცაა. შესაძლოა განვითარებადმა ქვეყანამ, მაგალითად საქართველომ, კონკრეტული ინდუსტრიის განვითარების მიზნით პროტექციონიზმის მეთოდები საერთოდ არ გამოიყენოს, თუმცა მსო-ს ხელშეკრულებების ფარგლებში, გარკვეულ შემთხვევებში განვითარებადი ქვეყნის კანონმდებელს, გამონაკლისის სახით, მაინც უნდა ჰქონდეს პროტექციონიზმის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, თუკი ეს უკანასკნელი აღნიშნულ მეთოდებს განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტად ჩათვლის. აღნიშნულ პოზიციას კი საფუძვლად შემდეგი არგუმენტები უდევს:

¹³² Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011, p. 219.

¹³³ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, p. 207.

- პრაქტიკულად ყველა მდიდარი ქვეყანა თავისი ახალშობილი ინდუსტრიის გასავითარებლად გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყენებდა პროტექციონიზმის მეთოდებს: იქნება ეს ტარიფების დაწესება, სუბსიდია, იმპორტის გადასახადი, კვოტები, გაცვლითი კურსის კონტროლი, უცხოურ ვაჭრობაზე შეზღუდვები თუ სხვა. ყველა ეს ღონისძიება კი, მიზნად ისახავდა ქვეყნის ახალშობილი ინდუსტრიებისთვის დროის მიცემას გასავითარებლად და ამ პერიოდში საერთაშორისო კონკურენციისგან მათ დაცვას.
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებში სპეციალური და განსხვავებული მუხლების არსებობა მრავალგზის მოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული საჭიროებების აღიარების შედეგია. ამ გზით განვითარებადი ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად მიიღონ ის პრივილეგიები, რომლებსაც მდიდარი ქვეყნები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ თავიანთი ეკონომიკის განვითარებისთვის.
- თეორიული კუთხით, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობასთან, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ეკონომიკის განვითარებაა.
- პრაქტიკული კუთხით, მართალია, უფრო მეტი კვლევაა საჭირო იმისთვის, რომ ზუსტად დადგინდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებში დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული მუხლები, ზოგადად, ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება თუ არა, თუმცა დღევანდელი მონაცემებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაორმხრივი უპირატესობის მინიჭება განვითარებადი ქვეყნებისთვის ექსპორტის ზრდას ხელს ნამდვილად უწყობს.

- განვითარებადი ქვეყნებისთვის სათანადო „პრივილეგირებული“ წესებით სარგებლობის უზრუნველყოფა აპრიორი ნეგატიური არც განვითარებული ქვეყნებისთვისაა, რადგან განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების შედეგად გამოწვეული საცხოვრებელი სტანდარტების აწევით იზრდება მოთხოვნა მდიდარი ქვეყნების მიერ ექსპორტირებულ საქონელზე. მოვლენების ამგვარი განვითარება კი მოგებულ მდგომარეობაში ამყოფებს ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დისერტაცია ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში ქვეყნების განვითარების მიხედვით კლასიფიკაციის რეფორმა უნდა მდგომარეობდეს არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებების სპეციალური და განსხვავებული მუხლებისგან გათავისუფლებაში, არამედ განვითარებადი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის რეფორმაში, რაც პოტენციურად გამოიწვევს არსებული სპეციალური და განსხვავებული მუხლების მოდიფიცირებას და მათ მორგებას შესაბამისი განვითარებადი ქვეყნების რეალურ ეკონომიკურ საჭიროებებზე.

თავი 2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის მიზანშეწონილობის არგუმენტები

განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების იდეა არახალია; დარგის ერთ-ერთი გამოჩენილი ექსპერტი, ედ ქოექეჟი, მას ჯერ კიდევ 1992 წელს აჟღერებდა.¹³⁴ ამის მიუხედავად, რაიმე ფუნდამენტური ცვლილება დღემდე არ მომხდარა.¹³⁵ დიდი ხნის განმავლობაში, დღევანდელი სტატუს კვოს მთავარ მიზეზად მიიჩნეოდა ის გარემოება, რომ არსებული „თავის მოკატუნების“ პოლიტიკა ხელსაყრელია როგორც განვითარებული, ასევე მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნებისთვის (მაგ., ინდოეთი, ჩინეთი, რუსეთი...). კერძოდ, განვითარებული ქვეყნები „თავს იკატუნებენ“, თითქოს ქმედითი და მნიშვნელოვანი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის უპირატესობას ანიჭებენ განვითარებად ქვეყნებს, მაშინ როცა პრაქტიკაში მათი „ვალდებულებები“ სამართლებრივად არააღსრულებადია.¹³⁶ რაც შეეხება მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების პოზიციას, როგორც ერთ-ერთმა აფრიკელმა დიპლომატმა განაცხადა, ისინი ჰგვანან „სპილოებს, რომლებიც თავგების უკან იმალებიან“, რადგან ისინი იღებენ შეღავათებით სარგებლობის უფლებას იმის მიუხედავად, რომ მათი ეკონომიკა გაცილებით უკეთ არის განვითარებული, ვიდრე პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ეკონომიკების.¹³⁷

ვითარება შეიცვალა უკანასკნელ წლებში, როდესაც რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა გენერალურ სამდივნოში გაგზავნილ თავიანთ კომუნიკაციებში უკვე აქტიურად დააფიქსირეს უკმოფილება არსებული სტატუს კვოს მიმართ და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება დაიწყეს.

¹³⁴ იხ. Koekkoek, Ad. 'Exports of developing countries: differentiation and comparative advantage,' *The International Trade Journal* 6, no. 3, 1992.

¹³⁵ Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 48.

¹³⁶ Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' World Bank Working Papers – International Economics No. 2388, 2000, p. 33.

¹³⁷ Schwab, Susan C. 'After Doha: Why the Negotiations are Doomed and What We Should Do About It,' *Foreign Affairs* 90 no. 3, 2011, pp. 104-105.

აღნიშნული კომუნიკაციების საპასუხოდ, რამდენიმე განვითარებადმა ქვეყანამ კოლექტიურად წარადგინა კომუნიკაცია, სადაც ისინი იცავენ სტატუს კვოს არსებობის მნიშვნელობას და აცხადებენ, რომ დღესაც, ისევე როგორც ადრე, არსებობს დიდი განსხვავება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებს შორის.¹³⁸ შესაბამისად, წინამდებარე თავში განხილული იქნება, თუ რამდენად საფუძვლიანი და მიზანშეწონილია განვითარებული ქვეყნების მოთხოვნა, დაირღვეს არსებული სტატუს კვო და მოხდეს ქვეყნების კლასიფიკაციის არსებული მეთოდის რეფორმა.

მიმდინარე თავში განვითარეთ ორი ჰიპოთეზა:

- 1) მსო-ს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უკვე მრავლად გვხვდება ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევის და განვითარებად ქვეყნებს შორის დიფერენცირების მაგალითები, რაც რეფორმის მზაობაზე და საფუძვლიანობაზე მიგვანიშნებს;
- 2) რეფორმა მეტ-ნაკლებად მომგებიანია მსო-ს თითოეული კატეგორიის წევრი ქვეყნისთვის, მიუხედავად მათი განვითარების დონისა, რაც რეფორმის მიზანშეწონილობაზე მიგვანიშნებს.

ამ ორი ჰიპოთეზის ფარგლებში წინამდებარე თავის პირველ ქვეთავში განხილულია წლების განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოვლენილი ცვლილებები, რომლებიც რეფორმის აუცილებლობასა და მზადყოფნაზე მიგვითითებენ; მეორე ქვეთავში კი, წარმოდგენილი იქნება მიზეზები და არგუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია, რადგან რეფორმა ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი წევრისთვის.

¹³⁸ იხ. World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 83.

2.1. ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევა მსო-ს სისტემაში

როგორც უკვე აღინიშნა, მსო-ს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, ე.წ. თვითიდენტიფიცირების მეთოდი წარმოადგენს ორგანიზაციაში არსებული წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის ძირითად მეთოდს. თუმცა, აქვე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში სხვა მეთოდების გამოყენებაც ხდება. მიუხედავად იმისა, რომ „სხვა მეთოდები“ იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება, მათი არსებობა ცხადყოფს, რომ მსო-ს ვებგვერდზე წარმოდგენილი თვითიდენტიფიცირების საფუძველზე მკაცრად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდი უბრალოდ მითია, რადგანაც ეს მეთოდი ექვემდებარება გარკვეულ გამონაკლისებს. ასევე, აშკარა ხდება, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მსო-ს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში გამოვლენილი ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევის შემთხვევები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების სხვადასხვაგვარი მოპყრობის საშუალებას იძლევიან, თავის მხრივ, განვითარებადი ქვეყნების უფრო ღრმა დიფერენცირების მზადყოფნასა და აუცილებლობაზე მიუთითებენ.¹³⁹ შესაბამისად, წინამდებარე თავში გამოვლენილი იქნება:

- განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციისთვის მსო-ს სისტემაში დღეს გამოყენებული მეთოდები და
- პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად დახარისხების პროცესი მსო-ში უკვე დაწყებულია.

2.1.1. კლასიფიკაციის მეთოდები მსო-ს ხელშეკრულებებში

განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირების მეთოდების ჯამური რაოდენობის შესახებ კონსენსუსი არ არსებობს. მაგალითად, ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდების კვლევის დროს დარგის ერთ-ერთი

¹³⁹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძველები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 84.

სპეციალისტი, გუგლიელმო ვერიდამე იზიარებს ფრანგულ ლიტერატურაში არსებულ ფართო კლასიფიკაციას და გამოყოფს სამ მეთოდს: მკაფიო სამართლებრივი განსაზღვრება, თვითარჩევა („self-selection“) და სიითი ჩამონათვალი („listing“).¹⁴⁰ ვერიდამესგან განსხვავებით, მკვლევარმა ფენ ქუიმ თავის ნაშრომში განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირების უფრო დეტალური გზები წარმოადგინა. მისი ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ მეთოდებს: GATT-ის XVIII მუხლის „დეფინიცია“, სიითი ჩამონათვალი, კლასიფიკაცია, თვითიდენტიფიცირება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მიმღების მიერ და იდენტიფიცირება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის გამცემის მიერ.¹⁴¹ დისერტაციის მიზნებისთვის მსო-ს სამართლებრივ სისტემაში არსებულ მოდელებს ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ.

ა) GATT-ის XVIII მუხლის “დეფინიცია”

არც GATT-ი და არც ზოგადად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ იძლევიან განვითარებადი ქვეყნის ზუსტ და ნათელ განმარტებას.¹⁴² ამის მიუხედავად, ითვლება, რომ GATT-ის ხელშეკრულების XVIII:4 მუხლი იძლევა განვითარებადი ქვეყნის იდენტიფიცირების გარკვეულ კრიტერიუმებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, განვითარებადია ქვეყანა, რომლის ეკონომიკა მოიაზრებს მხოლოდ „დაბალი ცხოვრების სტანდარტს“ და რომელიც „განვითარების ადრეულ საფეხურზეა.“¹⁴³ საყურადღებოა, რომ არსებობს პრეცედენტიც, როდესაც დავის

¹⁴⁰ Veridame, Guglielmo. ‘The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,’ *German Yearbook of International Law* 39, 1996, p. 172.

¹⁴¹ Cui, Fan. ‘Who Are the Developing Countries in the WTO,’ *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 133. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 84.

¹⁴² Cho, Youngjeen. ‘The Concept of “Developing Countries” in the Context of the WTO Fisheries Subsidies Negotiation,’ *Beijing Law Review* 9, 2018, p. 141.

¹⁴³ GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 33 I.L.M. 1153 (1994), Article XVIII.

განხილვისას, ქვეყნის სტატუსის დადგენა XVIII მუხლის საფუძველზე მოხდა. კერძოდ, ქეისში *Ceylon*-ი („ცილონი“), GATT-ის პანელს უნდა დაედგინა, აკმაყოფილებდა თუ არა ცილონი (დღევანდელი შრი-ლანკა) XVIII მუხლის მოთხოვნებს, რათა შემდგომ, როგორც განვითარებადი ქვეყანა, გარკვეული ვალდებულებებისგან გაეთავისუფლებინათ. ცილონის ეკონომიკური მდგომარეობის გასარკვევად, პანელმა გამოიკვლია ქვეყნის ისეთი ინდიკატორები, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, წარმოების, სამშენებლო ინდუსტრიისა და სამთო მრეწველობის დონე.¹⁴⁴ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ინდიკატორები გაწერილი არ არის მუხლში და მათი შერჩევა თვითნებურად მოხდა.

ბ) თვით-არჩევა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მიმღების მიერ ფორმალურად, სტატუსის იდენტიფიცირება მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მიმდინარე მეთოდს წარმოადგენს. ამ დროს ქვეყნები თავად ირჩევენ თავიანთი განვითარების სტატუსს. თუმცა, საყურადღებოა, რომ გამოცხადებული სტატუსი საბოლოო არაა, რადგან სხვა წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სტატუსის დავის საგნად ქცევა. ამის მაგალითია ქეისი *United States – Definitive Safeguard Measures on Imports of Certain Steel Products* (“*US Safeguard Measures on Steel*”), სადაც ჩინეთი ამტკიცებდა, რომ თვითიდენტიფიცირების მეთოდი შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, ისარგებლოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით მანამ, სანამ ეს უფლება გასაჩივრებული არ იქნება სხვა წევრი ქვეყნის მიერ ადეკვატური და საფუძვლიანი ახსნა-განმარტების საფუძველზე.¹⁴⁵

¹⁴⁴ იხ. *Ceylon-Article XVIII Applications*, GATT Panel Report, (GATT Doc. L/71, 26 November 1957); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 85.

¹⁴⁵ *United States: Definitive Safeguard Measures on Imports of Certain Steel Products*, WTO Panel Report, (WT/DS252/R, 11 July 2003), para. 7.1886; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 85.

აღსანიშნავია, რომ გასაჩივრების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი იმ წევრ სახელმწიფოზეა, რომელიც ქვეყნის სტატუსს სადავოს გახდის.¹⁴⁶

გ) სიითი ჩამონათვალი და იდენტიფიცირება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის გამცემის მიერ

ქვეყნების კლასიფიკაციის კიდევ ერთი მოქმედი მეთოდია იმ ქვეყნების სიის შედგენა, რომლებიც ეკონომიკურად განვითარებადნი არიან კონკრეტული ნორმის ან კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში.¹⁴⁷ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არსებული ხელშეკრულებებიდან სიითი ჩამონათვალის მეთოდი გამოყენებულია, მაგალითად, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ ხელშეკრულებაში („Agreement on Subsidies and Countervailing Duties“ ან „SCM“); ასევე, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონტექსტშიც, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიას განსაზღვრავს გაერო და შემდგომ აღიარებს მსო.¹⁴⁸ განსხვავებული მიდგომა აქვს SCM-ის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში, თუკი წევრი ქვეყანა განვითარებადი ქვეყნის სტატუსს აირჩევს, ეს აპრიორი იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანას ექნება ისეთივე უპირატესი მოპყრობა, როგორც ხელშეკრულების VII მუხლის ფარგლებში განვითარებული ქვეყნების სპეციალური ქვეკატეგორიის წევრ ქვეყნებს აქვთ განსაზღვრული.¹⁴⁹

¹⁴⁶ Cui, Fan. ‘Who Are the Developing Countries in the WTO,’ *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 139. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.

¹⁴⁷ Veridame, Guglielmo. ‘The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,’ *German Yearbook of International Law* 39, 1996, pp. 172-173.

¹⁴⁸ იხ. UN-OHRLS, ‘Criteria for Identification and Graduation of LDCs,’ retrieved from <<http://unohrlls.org/about-ldcs/criteria-for-ldcs/>> [25.04.2022]); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 85.

¹⁴⁹ Agreement on Subsidies and Countervailing Measures, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14., Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14, Annex VII.

სიითი მეთოდის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს მასში შეყვანილი ქვეყნების სტატუსის სიზუსტეში.¹⁵⁰ თუმცა საყურადღებოა, რომ იმ შემთხვევაში თუკი არ არსებობს ზუსტი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება ქვეყნის განვითარების სტატუსის შეფასება, ქვეყნის სიაში შეყვანა შეიძლება იყოს დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს არ ეხება.¹⁵¹ მაგალითად, ასეთ პირობებში გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს პოლიტიკურმა ფაქტორებმა; მათ შორის, ბენეფიციარი ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის მიმდებლობამ საერთაშორისო ასპარეზზე ან კონკრეტულად დახმარების გამცემ ქვეყანასთან.¹⁵² სიითი მეთოდის ეს კონკრეტული უარყოფითი მხარე განსაკუთრებით პრობლემატურია ე.წ. GSP პროგრამებში, როდესაც GSP-ის გამცემი განვითარებული ქვეყანა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ იქნება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი.¹⁵³ ამ გზით განვითარებულ ქვეყნებს ეძლევათ საშუალება, სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, კონკრეტული პრივილეგია არ მიანიჭონ რიგ თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყნებს.¹⁵⁴ მაგალითად, აშშ-ს საკუთარი GSP პროგრამა არაერთხელ აქვს გამოყენებული იმ მიზნით, რომ დასაჯოს ან წნეხის ქვეშ მოაქციოს „... ის განვითარებადი ქვეყნები, რომელთა შიდა, სავაჭრო ან საერთაშორისო პოლიტიკური კურსი შესაბამისობაში არ მოდის აშშ-ს ინტერესებთან ან

¹⁵⁰ Cui, Fan. 'Who Are the Developing Countries in the WTO,' *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 135. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.

¹⁵¹ Veridame, Guglielmo. 'The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,' *German Yearbook of International Law* 39, 1996, p. 173.

¹⁵² მაგალითად, ისრაელმა, რომლის მშპ 2018 წელს 369.69 მილიარდი დოლარი იყო (მსოფლიო ბანკის სტატისტიკა), 2019 წელს მიიღო 3.3 მილიარდი დოლარის დახმარება აშშ-სგან და, ამვარად, იგი აშშ-ს უცხოური დახმარების ბენეფიციართა სიის სათავეშია (იხ. Foreign Assistance, retrieved from <<https://www.foreignassistance.gov/explore/country/Israel>> [25.04.2022]).

¹⁵³ Cui, Fan. 'Who Are the Developing Countries in the WTO,' *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 141. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.

¹⁵⁴ Veridame, Guglielmo. 'The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,' *German Yearbook of International Law* 39, 1996, p. 174.

პოლიტიკასთან.¹⁵⁵ იგივე ითქმის ევროკავშირის მიერ GSP-ის გამოყენების რიგ შემთხვევებზეც.¹⁵⁶

სქემა 1-ში წარმოდგენილია, მსო-ს რომელ ხელშეკრულებებში მოხდა მკაცრად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციიდან გადახვევა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის შესახებ ხელშეკრულებაში (“Agreement on Agriculture“ ან „AoA“), SCM ხელშეკრულების მსგავსად, განვითარებადი ქვეყნების კიდევ უფრო მეტი დახარისხების მიზნით, დაემატა განვითარებადი ქვეყნების ორი ქვეჯგუფი: ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და სურსათის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნები (“Net Food-Importing Developing Countries” ან „NFIDCs”).¹⁵⁷ აღნიშნული ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, TFA-ს ხელშეკრულება კიდევ უფრო შორს წავიდა და მოიცავს ისეთ სპეციალური და განსხვავებული მოპრობის მუხლებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს აძლევს ფართო დისკრეციას, თავად განსაზღვრონ, როდის მოახდენენ ხელშეკრულების თითოელი მუხლის იმპლემენტაციას.¹⁵⁸

ამგვარად, ზემოაღნიშნული მაგალითები იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ დღესდღეობით მსო-ს კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგადად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი კლასიფიკაციიდან გადახვევის შემთხვევებს, რომლებიც თვითიდენტიფიცირებული განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებას და განსხვავებული მოპრობის საშუალებას იძლევიან.¹⁵⁹

¹⁵⁵ Sanchez, Arnau. *The Generalized System of Preferences and the World Trade Organisation*. London: Cameron May Ltd., 2002, p. 270.

¹⁵⁶ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 86.

¹⁵⁷ Agreement on Agriculture, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 410, Article 16.

¹⁵⁸ იხ. World Trade Organization [WTO], General Council, (WT/L/940, 28 November 2014); ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 86.

¹⁵⁹ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 86.

2.1.2. ზოგადი კლასიფიკაციიდან გადახვევის მაგალითები მსო-ს პრაქტიკაში

ის ფაქტი, რომ მსო-ს სისტემაში უკვე გვაქვს განვითარებადი ქვეყნების დახარისხების მაგალითები, კარგად ჩანს მსო-ს პრაქტიკაშიც - კერძოდ, პრეცედენტულ სამართალსა და ქვეყნების მიერთების პროტოკოლებში („Accession Protocols“).¹⁶⁰ პრეცედენტული სამართლიდან აღსანიშნავია *EC - Tariff Preferences* ქეისი, სადაც ინდოეთმა გაასაჩივრა ევროკავშირის მიერ GSP პროგრამის საფუძველზე 12 განვითარებადი ქვეყნისთვის მინიჭებული უპიტარესი სატარიფო განაკვეთი.¹⁶¹ ინდოეთის საჩივრის თანახმად, ევროკავშირმა ამ ქმედებით დაარღვია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, რომელიც წარმოდგენილია GATT-ის ხელშეკრულების I:1 მუხლით.¹⁶²

ზემოაღნიშნულზე სააპელაციო ორგანომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ enabling clause-ის საშუალებით განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ განსხვავებული და უპირატესი სატარიფო განაკვეთი მიანიჭონ განვითარებადი ქვეყნიდან წარმოშობილ პროდუქტს; თუმცა, უპირატესი მოპყრობის მინიჭებისას სახეზე უნდა გვქონდეს ორი პრერეკვიზიტი: პირველი ის, რომ დაწესებული სატარიფო განაკვეთი პოზიტიურად უნდა ეხმიანებოდეს კონკრეტული ქვეყნის „განვითარების, ფინანსურ ან სავაჭრო საჭიროებას“ და მეორე ის, რომ ეს განსხვავებული სატარიფო განაკვეთი უნდა მიენიჭოს მსგავს მდგომარეობაში მყოფ ყველა ბენეფიციარს, რომელსაც ამის საჭიროება აქვს; ეს საჭიროება კი, განსაზღვრული უნდა იყოს ობიექტური სტანდარტით.¹⁶³ ამ გადაწყვეტილებით სააპელაციო ორგანომ,

¹⁶⁰ Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. ‘Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,’ Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005, p. 4.

¹⁶¹ *European Communities - Conditions for the Granting of Tariff Preferences to Developing Countries*, Appellate Body Report, (WT/DS246/AB/R, 20 April 2004), para. 3.

¹⁶² იხ. იქვე, para. 6; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 87

¹⁶³ *European Communities - Conditions for the Granting of Tariff Preferences to Developing Countries*, Appellate Body Report, (WT/DS246/AB/R, 20 April 2004), para. 165.

ფაქტობრივად, ცნო და ავტორიზაცია მიანიჭა განვითარებადი ქვეყნების დახარისხების შესაძლებლობას.¹⁶⁴

განვითარებადი ქვეყნის სტატუსის ქონა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ განვითარებად ქვეყანას შეუძლია სარგებელი მიიღოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით დაწესებული ყველა პრივილეგიით. არსებობს შემთხვევები, როდესაც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით დაწესებული უპირატესობა შეზღუდულია ახალი განვითარებადი წევრი ქვეყნის მიერთების პროტოკოლით. ამის საუკეთესო მაგალითია ჩინეთის მსო-ში გაწევრიანების პროტოკოლი. კერძოდ, ჩინეთის მიერთების პროტოკოლის სამუშაო ანგარიშის თანახმად, *„ჩინეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სიდიდის, სწრაფი ზრდისა და გარდამავალი ბუნების გამო, პრაგმატული მიდგომა უნდა იქნეს მიღებული, რათა განისაზღვროს, აქვს თუ არა ჩინეთს იმის საჭიროება, დახმარების მიზნით მოითხოვოს გარდამავალი პერიოდები და მსო-ს ხელშეკრულებებში განვითარებადი წევრი ქვეყნებისთვის განკუთვნილი სხვა განსაკუთრებული მუხლები.“*¹⁶⁵

„პრაგმატული მიდგომის“ შედეგად ჩინეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც არათუ განვითარებად, არამედ მსო-ს განვითარებულ ქვეყნებსაც კი არა აქვთ აღებული. მაგალითად, ვალდებულება, რომ არ დააწესონ ტარიფები მათ მიერ ექსპორტზე გატანილი საქონლის უმეტესობაზე;¹⁶⁶ ეს და ჩინეთისთვის დაწესებული სხვა შეზღუდვები არ გვხვდება 1995 წლის შემდეგ მსო-ში გაწევრიანებული ისეთი ქვეყნების მიერთების პროტოკოლებსა თუ მიერთების პროტოკოლის სამუშაო ანგარიშებში, როგორცაა საქართველო, სომხეთი, უკრაინა და

¹⁶⁴ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 87

¹⁶⁵ იხ. იქვე, გვ. 88; World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of China, (WT/ACC/CHN/49, 1 October 2001), para. 9.

¹⁶⁶ World Trade Organization [WTO], Accession of the People’s Republic of China, (WT/L/432, 23 November 2001), para. 11.3.

საუდის არაბეთი კი.¹⁶⁷ შესაბამისად, ის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის შეზღუდვები, რომლებიც გვხვდება ჩინეთის მიერთების პროტოკოლში, აშკარა ილუსტრირებაა იმ ფაქტისა, რომ განვითარებადი წევრი ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და აღნიშნული შეზღუდვა სპეციალურად ფოკუსირებულია დიდი ბაზრის მქონე მაღალ დონეზე მყოფ განვითარებად ქვეყანაზე.¹⁶⁸

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წლების განმავლობაში გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობა ზოგიერთი მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნისთვის (მაგ., ჩინეთისთვის) იმდენად შესუსტდა, რომ უკვე აშკარაა ცვლილებების განხორციელების როგორც მზადყოფნა, ასევე საჭიროება.¹⁶⁹ გარდა ამისა, დღესდღეობით, განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნების უფრო ძირეული დახარისხების შესაძლებლობას იძლევა როგორც მსო-ს კანონმდებლობა რიგ ხელშეკრულებებში, ასევე მისი სასამართლო პრაქტიკაც.

2.2. რეფორმის მიზანშეწონილობის არგუმენტები

როგორც უკვე აღინიშნა, განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან, მოხდეს განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის უფრო მეტი დიფერენცირება, რასაც დიდი ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ეწინააღმდეგებიან. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დემოკრატიულ საწყისებს ეფუძნება, ცვლილებების ჩასატარებლად აუცილებელია, ორგანიზაციაში მყოფი ყველა წევრი ქვეყანა,

¹⁶⁷ იხ. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Armenia, (WT/ACC/ARM/23, 26 November 2002); World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Georgia, (WT/ACC/GEO/31, 31 August 1999); World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Ukraine, (WT/ACC/UKR/152, 25 January 2008); World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Saudi Arabia, (WT/ACC/SAU/61, 1 November 2005).

¹⁶⁸ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 88.

¹⁶⁹ იხ. იქვე.

მიუხედავად ეკონომიკური განვითარების დონისა, შეთანხმდეს რეფორმის იდეაზე. შესაბამისად, ქვემოთ, ერთი მხრივ, იდენტიფიცირებული იქნება ის მიზეზები, რომლებიც რეფორმის აუცილებლობაზე მეტყველებენ და, მეორე მხრივ, მოყვანილი იქნება არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ სტატუს კვო უარყოფითად აისახება მსო-ს ყველა წევრ ქვეყანაზე მათი განვითარების სტატუსის მიუხედავად. შედეგად დავასკვნით, რომ დღევანდელი კლასიფიკაციის სისტემა ცვლილებებს საჭიროებს და ეს ცვლილება მეტ-ნაკლებად მომგებიანია ყველა წევრი ქვეყნისთვის, მიუხედავად მათი განვითარების დონისა.

2.2.1. რეფორმის საჭიროების ეკონომიკური არგუმენტი

განვითარებადი ქვეყნების მეტი დიფერენცირების ეკონომიკური არგუმენტი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ (“one size does not fit all”), ანუ შეუძლებელია ერთ ყალიბში მოაქციო დღეს არსებული მრავალფეროვანი განვითარებადი ქვეყნები.¹⁷⁰ იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების შეღავათებით სარგებლობენ როგორც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნები, ასევე ეკონომიკურად განვითარებულნიც, რომლებიც რეალურად განსხვავებულ მოპყრობას აღარ საჭიროებენ.¹⁷¹ მართლაც, ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში თვალნათლად მოხდა მსოფლიოს ტრანსფორმაცია.¹⁷² ამას მოწმობს თუნდაც, გაეროს განვითარების პროგრამის („United Nations Development Programme“ ან „UNDP“) 2016 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად სამომავლო გამოწვევებისა, 1990 წლიდან

¹⁷⁰ Keck Alexander and Low Patrick. ‘Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?’ WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, p. 10.

¹⁷¹ Mangeni, Francis. ‘Strengthening Special and Differential Treatment in the WTO Agreements: Some Reflections on the Stakes for African Countries,’ *Sustainable Development and Trade Issues ICTSD Resource Paper* no. 4, 2003, p. 24.

¹⁷² ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 88.

ადამიანის განვითარების „შთამბეჭდავი“ პროგრესი სხვადასხვა სტატისტიკით დასტურდება. მაგალითისთვის, 1 მილიარდზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი უკიდურეს სიღარიბეს; 2.1 მილიარდ ადამიანს აქვს გაუმჯობესებული წვდომა სანიტარიასთან; 2.6 მილიარდ ადამიანზე მეტმა მოიპოვა წვდომა სასმელ წყალზე და ა.შ.¹⁷³

მსოფლიოს ტრანსფორმაცია თვალშისაცემია ეკონომიკური მაჩვენებლებითაც, რომელიც ილუსტრირებულია ცხრილში მოცემულ სქემებსა და გრაფებში. მაგალითად, საინტერესოა 1995-2017 წლებში 20 ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მშპ მაჩვენებლების ცვლილება. **სქემა 2**-ში ვხედავთ, რომ მოწინავე პოზიციებზე გადაინაცვლეს ისეთმა განვითარებადმა წევრმა ქვეყნებმა, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ნიგერია. კერძოდ, 22 წლის განმავლობაში ნიგერიამ 26-ე ადგილიდან მე-18 ადგილზე გადაინაცვლა, მაშინ როცა ჩინეთი 1 საფეხურით დაწინაურდა და დღეს აშშ-ს შემდეგ სიდიდით მეორე ეკონომიკას წარმოადგენს. ხუთი საფეხურით დაწინაურდა ინდოეთი, რომელიც 2017 წლის მონაცემით სიდიდით მეხუთე ეკონომიკას წარმოადგენდა.¹⁷⁴

ყურადღებას იქცევს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (“The Organization for Economic Cooperation and Development” ან „OECD“) წევრი ქვეყნების სიაც. OECD წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს მაღალშემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ადამიანის განვითარების ინდექსის (“Human Development Index” ან „HDI“) მაღალი მაჩვენებლით. OECD-ს კონვენციის პრეამბულის თანახმად, *„ეკონომიკურად უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ იმისთვის, რომ მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, დაეხმარონ სხვა ქვეყნებს ეკონომიკური*

¹⁷³ United Nations Development Programme [UNDP]. ‘Human Development Report 2016: Human Development for Everyone,’ United Nations Development Programme, 2016, p. 53, retrieved from < https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/25212016_human_development_report.pdf > [25.04.2022]

¹⁷⁴ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 89.

განვითარების პროცესში.¹⁷⁵ რადგანაც OECD-ს წევრი ქვეყნები მიჩნეულნი არიან განვითარებულ ქვეყნებად, არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც OECD-ს წევრობას განვითარებული ქვეყნის სტატუსის დამდგენ კრიტერიუმად იყენებენ.¹⁷⁶

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის აბსურდულობა იკვეთება OECD-ს წევრი ქვეყნების სიის გაცნობისას. მაგალითად, OECD-ს წევრი ქვეყნები დღესდღეობით არიან ჩილე, ისრაელი, მექსიკა და თურქეთი.¹⁷⁷ აღნიშნული ქვეყნები ამავდროულად, მსო-ს ფარგლებში, თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ. საინტერესოა OECD-ს მთავარი პარტნიორების ჩამონათვალიც, რომელშიც შედიან ჩინეთი და ინდოეთი.¹⁷⁸ რაც შეეხება რუსეთს, კიდევ ერთ თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყანას მსო-ში, OECD-ის მინისტრიალის საბჭომ (“OECD Ministerial Council“) ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო რუსეთის მიერთების დისკუსიები, რომელიც 2014 წელს შეჩერდა ყირიმის ანექსიის მიზეზით.¹⁷⁹ თუმცა, რომ არა ყირიმის ანექსია, ივარაუდება, რომ ამ დროისთვის რუსეთი ორგანიზაციის წევრად მოგვევლინებოდა. თუკი OECD-ს წევრობა განვითარებადი ქვეყნის სტატუსის უფლებამოსილებას ნიშნავს, მაშინ იმ ქვეყნებს, რომლებიც მისი წევრები არიან ან რომლებიც მის წევრობას ელიან, ლოგიკურად მსო-შიც განვითარებადი ქვეყნის სტატუსი უნდა ჰქონდეთ. რა თქმა უნდა, მსო-ს წევრობა რეალურად ქვეყნის ნამდვილი განვითარების მაჩვენებელი არ არის,

¹⁷⁵ Organization for Economic Co-operation and Development [OECD], ‘Convention on the Organisation for Economic Co-operation and Development,’ (14 December 1960), preamble.

¹⁷⁶ Nielsen, Lynge. ‘Classifications of Countries Based on their Level of Development: How it is Done and How it Could Be Done,’ IMF Working Papers 11/31, 2011, p. 4; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 89.

¹⁷⁷ *ib.* Organization for Economic Co-operation and Development [OECD], List of OECD Member countries - Ratification of the Convention on the OECD, retrieved from <<https://www.oecd.org/about/document/list-oecd-member-countries.htm>> [25.04.2022].

¹⁷⁸ Organization for Economic Co-operation and Development [OECD], Key Partners, retrieved from <<http://www.oecd.org/global-relations/keypartners/>> [25.04.2022].

¹⁷⁹ Organization for Economic Co-operation and Development [OECD], Statement by the OECD regarding the status of the accession process with Russia & co-operation with Ukraine, retrieved from <www.oecd.org> [25.04.2022].

თუმცა ის ფაქტი, რომ მსო-ში არსებული განვითარებადი ქვეყნების ნაწილი ამ ექსკლუზიური ორგანიზაციის წევრია, ხოლო რიგი ქვეყნები მასში გაერთიანებას ცდილობენ, უკვე იმის მანიშნებელია, რომ ეს ქვეყნები გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებლებით სხვა განვითარებად ქვეყნებზე უპირატესნი არიან.¹⁸⁰ აღნიშნულს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ 2019 წელს აშშ-ს მიერ ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის საკითხის წინ წამოწევის და უკმაყოფილების არაერთხელ დაფიქსირების შემდეგ, სამხრეთ კორეამ (რომელიც OECD-ს წევრია 1996 წლიდან),¹⁸¹ და სინგაპურმა¹⁸² უარი განაცხადეს სპეციალური და განსხვავებული მუხლების გამოყენებაზე, ხოლო ბრაზილიამ კი განვითარებადი ქვეყნის სტატუსი დათმო იმ მიზნით, რომ აშშ-სგან მეტი მხარდაჭერა მიეღო OECD-ში გაწევრიანების გზაზე.¹⁸³

საინტერესოა მთლიანი ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე („GNI per capita“) სტატისტიკაც, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ეკონომიკურ სხვაობას განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს შორის. კერძოდ, გრაფა 1-ში ნათლად ჩანს, რომ 1995 წელს ჩინეთის მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სუბსაჰარული აფრიკის მაჩვენებელზე ოდნავ მაღალი იყო. 1995 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში, სუბსაჰარული აფრიკისგან განსხვავებით, ჩინეთის მაჩვენებელი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. სუბსაჰარული აფრიკის მონაცემებს გადაუსწრეს ინდოეთმა და ვიეტნამმაც, რომელთა მონაცემები 1995 წელს აფრიკაზე ნაკლები იყო. ამასთან ერთად, სინგაპური და ჰონგ კონგი, რომლებსაც დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ 1995 წელს, 2016 წლისთვის არა მარტო

¹⁸⁰ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 90.

¹⁸¹ Chung, Jane and Roh, Joori. 'South Korea to give up developing country status in WTO talks' (Reuters, 25 October 2019), retrieved from <<https://www.reuters.com/article/us-southkorea-trade-wto-idUSKBN1X401W>> [25.04.2022].

¹⁸² CNA, 'Singapore supports update of WTO rules, will not use special provisions for developing nations: Chan Chun Sing' (Channelnewsasia, 18 September 2019), retrieved from <<https://www.channelnewsasia.com/singapore/singapore-supports-update-of-wto-rules-developing-country-status-861881>> [25.04.2022].

¹⁸³ Alves, Lise. 'Brazil Agrees to Surrender Special WTO Status for OECD Entry' (Riotimes, 20 March 2019), retrieved from <<https://www.riotimesonline.com/brazil-news/rio-politics/brazil-agrees-to-surrender-special-wto-status-for-oecd-entry/>> [25.04.2022].

მიუახლოვდნენ, არამედ გაუსწრეს კიდევ OECD-ის წევრი ქვეყნების ზრდის მაჩვენებლებს. მსო-ს დაარსებიდან მომდევნო ორი დეკადის განმავლობაში ეკონომიკური ნახტომი დააფიქსირეს ისეთმა ქვეყნებმაც, როგორცაა ჩილე, კოლუმბია, ეგვიპტე, ისრაელი, მალაიზია, მექსიკა, პერუ, ტაილანდი, თურქეთი და ა.შ.

საყურადღებოა მსოფლიო ექსპორტის წილების ცვლილების სტატისტიკაც. **გრაფა 2-ში** ნათლად ჩანს ის არათანაბარი პროგრესი, რაც წევრმა ქვეყნებმა განიცადეს 1995 წლიდან 2017 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და სუბსაჰარული აფრიკის წილები გლობალურ ექსპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაშინ როდესაც ინდოეთის წილი, რომელიც 1995 წელს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების წილის თითქმის ტოლფასი იყო, იმდენად გაიზარდა, რომ გადაუსწრო სუბ-საჰარული აფრიკის წილს და 2017 წლისთვის რუსეთის ფედერაციის წილს მცირედით ჩამორჩებოდა. საყურადღებოა ჩინეთის პროგრესიც, რომლის წილი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა და 2008 წლიდან მსოფლიოს ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყანა გახდა. ამასობაში, აშშ-ს, გერმანიისა და საფრანგეთის წილები შემცირდა, ხოლო დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის წილები თითქმის განახევრდა.¹⁸⁴

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ლოგიკურია განვითარებული ქვეყნების მიდგომის - „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ - საფუძვლიანობა და მათი სურვილი, შეიცვალოს არსებული სტატუს კვო. რაც შეეხება მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების პოზიციას, მათი მიდგომა შემდეგში მდგომარეობს: იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ დეკადებში რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა მართლაც განიცადეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესი, განვითარებადი ქვეყნები მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან განვითარებულ ქვეყნებს

¹⁸⁴ World Trade Organization [WTO], ‘An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,’ (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), pp. 4-5.

ცხოვრების სტანდარტის გათვალისწინებით. განვითარებადი ქვეყნები ასევე მიიჩნევენ, რომ განვითარების მთავარი არსი მდგომარეობს ადამიანში - სწორედ ამიტომ, ქვეყნის განვითარების შეფასებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე ("GDP per capita") ინდიკატორებს. აღნიშნული არგუმენტის საფუძველად მათ ის ფაქტიც მოჰყავთ, რომ მსო-ს ხელშეკრულებებში, განვითარების შესაფასებლად გამოყენებული ყველა ინდიკატორი ეფუძნება ერთ სულ მოსახლეზე კალკულაციას.¹⁸⁵ მაგალითად, წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების გაზომვის მიზნებისთვის SCM ხელშეკრულების 8.2(b)(iii) მუხლში ინდიკატორებად ნახსენებია შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ("income per capita"), ოჯახის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ("household income per capita") და მშპ ერთ სულ მოსახლეზე.¹⁸⁶

საყურადღებოა გრაფა 3-ში მოცემული 2017 წლის მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარში) მონაცემები. მაგალითად, გრაფა 3-ის მიხედვით, 2017 წელს აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის 60,000 აშშ დოლარს უტოლდებოდა, ავსტრალიის, კანადისა და ახალი ზელანდიის 40,000 აშშ დოლარს აღემატებოდა, ხოლო ევროკავშირის კი - 30,000 აშშ დოლარს აჭარბებდა; რაც შეეხება ისეთ განვითარებად ქვეყნებს, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი თუ სამხრეთ აფრიკა, მათი მაჩვენებელი 10,000 აშშ დოლარზე ნაკლები იყო.¹⁸⁷ გარდა ამისა, საინტერესოა სქემა 3-ის მონაცემები, სადაც ყველაზე ღარიბი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ტოპ ათეულის პოზიციებზე სწორედ რამდენიმე მაღალი დონის განვითარებად ქვეყანას ვხედავთ.

¹⁸⁵ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 2.

¹⁸⁶ Agreement on Subsidies and Countervailing Measures, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14., Article 8.2(b)(iii).

¹⁸⁷ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 3.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ ჩინეთის მაგალითი. 2011 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის გაწევრიანების 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ფორუმზე პრეზიდენტმა ჰუ ძინტაომ განაცხადა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩინეთმა უზარმაზარ პროგრესს მიაღწია, *inter alia*, ცხოვრების სტანდარტის გაზრდის კუთხით, თუმცა ჩინეთი მაინც რჩება ყველაზე დიდ განვითარებად ქვეყნად მსოფლიოში.¹⁸⁸ განვითარებადი ქვეყნის სტატუსის შენარჩუნების გამართლების მიზნით, ჩინეთი სტრატეგიულად იყენებს ერთ სულ მოსახლეზე ინდიკატორებს, რათა აჩვენოს, რომ უკანასკნელ დეკადებში მართალია ჩინეთის ეკონომიკური მაჩვენებლები მთლიანობაში შთამბეჭდავია, თუმცა კვლავ დაბალია ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლები, დაუბალანსებელი განვითარებაა ქალაქებსა და სოფლებში, არსებობს სტრუქტურული პრობლემები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.¹⁸⁹ ამ ნარატივით კი ჩინეთის ხელისუფლება ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებული სიღარიბის პრობლემას, რაც თავის მხრივ უნდა ამართლებდეს ჩინეთის მეორე მსო-ში სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე წვდომას.

ერთ სულ მოსახლეზე ინდიკატორები მართალია, მხედველობაში მისაღებია, თუმცა თუკი გავითვალისწინებთ იმ მრავალფეროვან სექტორებს, რომელსაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არეგულირებს, ვფიქრობ, მიზანშეწონილი არ არის მხოლოდ აღნიშნული ერთი ინდიკატორის გამოყენება ქვეყნის განვითარების დონის გამოსავლენად. შესაბამისად, წინამდებარე დისერტაციაში არგუმენტირებულად ვავითარებთ აზრს, რომ განვითარებადი ქვეყნების სტატუსი უნდა გამოვლინდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ინდიკატორის საფუძველზე ყოველ ინდივიდუალურ სექტორსა თუ შემთხვევაში. აღნიშნული მოსაზრების საფუძველსა და

¹⁸⁸ Weinhardt, Clara. 'Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,' *Global Society*, 2020, p. 10. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>

¹⁸⁹ Embassy of the People's Republic of China in the Republic of India, 'White Paper - China's Peaceful Development,' 2011, retrieved from <https://www.mfa.gov.cn/ce/cein//eng/zt/peaceful/t855717.htm> [25.04.2022].

მიზეზებზე კი, უფრო დეტალურად დისერტაციის მესამე თავში ვისაუბრებთ. გასაკვირი არ არის, რომ ჩინეთის მიერ ერთ სულ მოსახლეზე ინდიკატორებით მანიპულირებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან განვითარებული ქვეყნები, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ისინი ჩინეთს კონკურენტად აღიქვამენ. აშშ-ს ოფიციალური პირები, მაგალითად მაიკლ ფუნკე, ჩინეთს, ბრაზილიასა და ინდოეთს მოიხსენიებენ მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებად (“Advanced Developing Countries”). ამ ტერმინოლოგიით კი ისინი ერთმანეთისგან განასხვავებენ მოწინავე განვითარებად ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებს.¹⁹⁰ აღსანიშნავია, რომ ჰუ მინტაომ თავის 2011 წლის გამოსვლაში ისიც აღნიშნა, რომ ჩინეთი უფრო მეტ საერთაშორისო პასუხისმგებლობას მაშინ იტვირთებს, როცა ამის ქმედუნარიანობა ექნება.¹⁹¹ თუმცა აქ გაურკვეველია, როდის იქნება ჩინეთი მზად უფრო მეტი პასუხისმგებლობის ასაღებად. აღნიშნული განცხადების საპირწონედ კი საყურადღებოა პასკალ ლამის, მსო-ს ყოფილი გენერალური მდივნის სიტყვები, რომლის თანახმადაც ჩინეთმა არ უნდა გამოიყენოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი საერთაშორისო ვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად.¹⁹²

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ დეკადებში მსო-ს განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე წევრი ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური პროგრესი ნათლად გვიჩვენებს მათ შორის რადიკალურ განსხვავებას ეკონომიკური განვითარების კუთხით. აღნიშნული გარემოება კი საფუძვლიანს ხდის განვითარებული ქვეყნების მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ და საჭიროა რეფორმის

¹⁹⁰ Weinhardt, Clara. ‘Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,’ *Global Society*, 2020, pp. 11-12. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>.

¹⁹¹ იბ. იქვე, გვ. 13.

¹⁹² Lamy, Pascal. ‘China should be more active in global economic governance’, Speech of the WTO Director General at the China Development Forum, 2013, retrieved from <[https://www.biblioteca.fundacionicbc.edu.ar/index.php/China should be more active in global economic governance, Lamy tells Beijing forum](https://www.biblioteca.fundacionicbc.edu.ar/index.php/China%20should%20be%20more%20active%20in%20global%20economic%20governance,%20Lamy%20tells%20Beijing%20forum)> [25.04.2022].

ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების უფრო სიღრმისეული დიფერენცირება.

2.2.2. მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის არგუმენტი

სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩიხშია.¹⁹³ ერთი მხრივ, არიან განვითარებული ქვეყნები, რომლებიც დიდი ბაზრების მქონე განვითარებადი ქვეყნებისგან უფრო მეტი ვალდებულების აღებას მოითხოვენ და ამ უკანასკნელთა ინერტულებას იყენებენ იმისთვის, რომ თავად აღარ გასცენ უფრო ქმედითი და განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებზე მორგებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები.¹⁹⁴ მეორე მხრივ, არიან დიდი ბაზრების მქონე განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც სტატუს კვოს, ანუ თვითიდენტიფიცირების მეთოდის გამოყენების შენარჩუნება სურთ.

წევრი ქვეყნების რადიკალურად განსხვავებულ ინტერესებს თან ისიც ერთვის, რომ საკითხის ბუნდოვანებას ნათელს ვერ ჰფენს მსო-ს სასამართლო პრაქტიკაც, სადაც დღემდე არაა განსაზღვრული, რომელმა ქვეყანამ უნდა მიიღოს პრივილეგიები და რა საფუძველზე. კერძოდ, *EC-Tariff Preferences* ქეისში, სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ დონორ ქვეყანას აქვს დისკრეტია, თავად შეარჩიოს, როგორ განსაზღვრავს ბენეფიციარი ქვეყნის ფინანსურ, განვითარების და სავაჭრო საჭიროებებს.¹⁹⁵ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, დონორმა ქვეყნებმა „წესები“ შეიძლება ნებისმიერ დროს შეცვალონ. არსებული სიტუაცია კი, იწვევს

¹⁹³ Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. 'Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,' Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005, p. 3.

¹⁹⁴ Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, p. 35.

¹⁹⁵ Moon, Gillian. 'Trade and Equality: A Relationship to Discover,' *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009, p. 634. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 84.

გაურკვევლობასა და უპირატესი მოპყრობის მანიპულაციას, რაც ხშირად გვხვდება GSP პროგრამებში. თვით *EC-Tariff Preferences* ქეისიც პოლიტიკური მანიპულაციის შედეგია. კონკრეტულად, 1998 წელს ევროკავშირმა გასცა სპეციალური უპირატესობები იმ განვითარებად ქვეყნებზე, რომლებიც ახორციელებდნენ ეფექტურ პროგრამებს არალეგალური ნარკოტიკების წარმოების და ტრეფიკინგის წინააღმდეგ (ე.წ. „the Drug Arrangements“). შედეგად, ყოველგვარი პროცედურული ტრანსპარანტულობისა და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე, ევროკავშირმა წარმოადგინა ბენეფიციარების სია, რომელშიც პაკისტანი პოლიტიკური საფუძვლით ფიგურირებდა. კერძოდ, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ეს უკანასკნელი თანამშრომლობდა დასავლეთის ქვეყნებთან თალიბანისა და ალ ქაიდას წინააღმდეგ. „მაღლიერების“ ნიშნად კი, ევროკავშირის მიერ ინიცირებული პაკეტი, ინდოეთის საზიანოდ, მორგებული იყო პაკისტანის ტექსტილისა და ტანსაცმლის პროდუქციის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში.¹⁹⁶ შესაბამისად, *EC-Tariff Preferences* ქეისიდან ნათლად ჩანს, რომ როდესაც არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმები, რომლითაც მოხდება განვითარებადი ქვეყნების დახარისხება კონკრეტული შეღავათიანი პაკეტისთვის, იქმნება გაურკვევლობისა და უნდობლობის განცდა.¹⁹⁷

იმისათვის, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნილი ჩიხიდან შეძლონ გამოსვლა და კვლავ მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ, მათ უნდა გაიაზრონ ორი ფუნდამენტური ფაქტი: 1. არსებული სტატუს კვო და გაყინული მოლაპარაკებები რეალურად არც ერთი მხარის ინტერესში არ შედის; 2. კონსენსუსის მისაღწევად საჭიროა, ორივე მხარე დათმობებზე წავიდეს. ზემოაღნიშნული შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

¹⁹⁶ Gregory Shaffer and Apea Yvonne. 'Institutional Choice in the GSP Case: Who Decides the Conditions for Trade Preferences? The Law and Politics of Rights,' *Journal of World Trade* 39 no. 6, 2005, pp. 982, 985-986.

¹⁹⁷ Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, pp. 84-85.

თუკი მოხდება ქვემოთ მოცემული იმ ორი არგუმენტის გაბათილება, რომელსაც განვითარებული და მაღალ საფეხურზე მყოფი განვითარებადი ქვეყნები ეყრდნობიან თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად:

- სტატუს კვოს მომხრეების განმარტება, თითქოს დღევანდელი სისტემა და განვითარებადი ქვეყნების უფლება მოახდინონ თვითიდენტიფიცირება გადამწყვეტი ფაქტორი იყო 1995 წელს მათი მსო-ს ორგანიზაციის წევრობისა;¹⁹⁸
- განვითარებული ქვეყნების მიდგომა, თითქოს მსო-ს კანონმდებლობის „ყველა წესი ეხება რამდენიმე განვითარებულ ქვეყანას და მხოლოდ რამდენიმე წესი ... თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყნებს.“¹⁹⁹

ა) განვითარებადი ქვეყნების მიდგომის არამიზანშეწონილობა

განვითარებადი ქვეყნების პოზიცია, რომ ორი დეკადის წინ არსებული მდგომარეობით გაამართლონ დღევანდელი სიტუაციის მიზანშეწონილობა, ჩემი აზრით, სრულიად მიუღებელია. ისტორიულ კონტექსტში ვიზიარებთ იმ არგუმენტს, რომ განვითარებულ ქვეყნებს ესმოდათ განვითარებად ქვეყნებში არსებული განსხვავებული ეკონომიკური ვითარება; ამიტომაც, განვითარებადი ქვეყნების მსო-ში გაწევრიანების წახალისების მიზნით მათ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების შემოღებას მხარი დაუჭირეს.²⁰⁰ საყურადღებოა ის ინტერპრეტაცია, რასაც განვითარებადი ქვეყნები სპეციალური და განსხვავებული მუხლების არსს ანიჭებენ. ისინი ამ მუხლებს განიხილავენ, როგორც განვითარებადი ქვეყნებისგან

¹⁹⁸ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 13.

¹⁹⁹ იხ. იქვე, გვ. 2.

²⁰⁰ Mampolokeng, Monyakane. 'Special and Differential Treatment under the World Trade Organisation (WTO) with Specific Reference to the Application of the WTO Agreement on Agriculture,' Master's thesis, University of South Africa, 2005, p. 73, retrieved from <https://www.researchgate.net/> [25.04.2022]; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 49.

ეკონომიკურად ძლიერი კონკურენტის ჩამოყალიბების საშუალებას; ამიტომაც მიიჩნევენ, რომ მათი იძულება - განვითარებად ქვეყნებთან თანაბარი უფლებებით და ვალდებულებებით ჩაერთონ კონკურენციაში - არაპირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენს. შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნები მოელიან განვითარებული ქვეყნების მხარდაჭერას და სწორედ ეს მოლოდინი გახდა ბევრი განვითარებადი ქვეყნის ორგანიზაციისთან მიერთების საწინდარი მსო-ს შექმნის შემდგომ.²⁰¹

ადრეული ისტორიული რაკურსის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ორგანიზაციის წევრების გარკვეული ნაწილი უალტერნატივოდ ებლაუჭება თვითიდენტიფიცირების მეთოდის შენარჩუნებას, გარკვეულწილად არამიზანშეწონილია, რადგან ამ გზით ეს ქვეყნები ცდილობენ ორგანიზაცია ამყოფონ ისეთ სამყაროში, რომელიც რეალურად აღარ არსებობს. ეს კი, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის მარაკემის ხელშეკრულების პრეამბულაში გაწერილ მიზნებთან.²⁰² განვითარებადი ქვეყნების არგუმენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ თუკი თავდაპირველად თვითიდენტიფიცირებული ქვეყნების სტატუსი მათ რეალურ ეკონომიკურ განვითარების დონეს მართლაც შეესაბამებოდა, დღესდღეობით, რიგ განვითარებად ქვეყნებში მომხდარმა რადიკალურმა ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ცვლილებებმა განვითარებად ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებები წარმოაჩინა, რის გამოც რეალობის არასწორი აღქმა მიზანშეწონელი გახდა. შესაბამისად, იქმნება სიტუაცია, როდესაც არსებული სტატუს კვო აღარ ესადაგება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების თავდაპირველ მიზნებს - დახმარებოდნენ განვითარებად წევრ ქვეყნებს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში ინტეგრაციაში.²⁰³

²⁰¹ იხ. იქვე.

²⁰² WTO Agreement: Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Apr. 15, 1994, 1867 U.N.T.S. 154, 33 I.L.M. 1144 (1994), preamble.

²⁰³ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 10; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51

ბ) განვითარებული ქვეყნების მიდგომის არამიზანშეწონილობა

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ თავის 2019 წლის კომუნიკაციაში აშშ აშკარად აბუქებს განვითარებადი ქვეყნების ნეგატიურ როლს, ერთი მხრივ, არშემდგარ მოლაპარაკებებში და, მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნის სტატუსის არაკეთილსინდისიერად გამოყენებაში. როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ს პოზიციის თანახმად, რომელსაც რამდენიმე სხვა განვითარებული ქვეყანაც იზიარებს, მსო-ს ხელშეკრულებებში არსებული ყველა მუხლი ვრცელდება განვითარებულ ქვეყნებზე და მხოლოდ რამდენიმე თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყანაზე.²⁰⁴ სიტუაციის ამგვარი აღწერა, რბილად რომ ვთქვათ, რეალობას არ შეესაბამება.²⁰⁵

უპირველეს ყოვლისა, ზემოაღნიშნული განცხადება უგულვებელყოფს GATT/WTO-ის 70 წელზე მეტი ხნის ისტორიას და იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულებებში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები მრავალწლიანი მოლაპარაკებებისა და კომპრომისების შედეგია და არა უბრალოდ „საჩუქარი.“²⁰⁶ აშშ-ს განცხადება, ასევე, უგულვებელყოფს იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ მოლაპარაკებების პროცესში განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი ძალა გამოიყენეს იმისთვის, რომ შეთანხმებულიყვნენ და ესარგებლათ ე.წ. შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით (“Reverse S&DT”), რომელიც მოიაზრებს განვითარებული ქვეყნების მიერ მოპოვებულ პრივილეგიებს

²⁰⁴ World Trade Organization [WTO], ‘An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,’ (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 2.

²⁰⁵ Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51

²⁰⁶ World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 8.

მათი ინტერესის სფეროებში.²⁰⁷ ამის ილუსტრაციას მოვახდენთ მსო-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა სადავო ხელშეკრულების, AoA-ს მაგალითით. თუმცა, სანამ დღევანდელ ვითარებაზე გადავიდოდეთ, საინტერესოდ მიგვაჩნია ისტორიული პარალელების მოკლე ექსკურსი.

ისტორიულად, განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე, განვითარებული ქვეყნების მიერ ზოგადი წესებიდან გადახვევა და გარკვეული უპირატესობით სარგებლობა სიახლეს არ წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია ომისშემდგომი ევროპის რეკონსტრუქციისთვის გაწეული დახმარება. კონკრეტულად, 1950 წელს, GATT -ის XIV მუხლის გვერდის ავლით, დასავლეთ ევროპის ქვეყნები შეთანხმდნენ ერთმანეთთან ვაჭრობისას რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნაზე; ეს ყოველივე ხდებოდა აშშ-ს წინააღმდეგ „დისკრიმინაციის“ ძალაში დატოვების ფონზე.²⁰⁸ აქვე საინტერესოა თავად აშშ-ს მიერ გამონაკლისი უპირატესობებით სარგებლობის მაგალითებიც; მაგ., 1955 წელს, დროებით „გათავისუფლდა“ რა GATT-ის XI:1 მუხლის ვალდებულებისგან, აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, რაოდენობრივი შეზღუდვა დაეწესებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმპორტზე. მართალია ამ ვალდებულებისგან გათავისუფლება „დროებითი“ უნდა ყოფილიყო, თუმცა აშშ ამ უპირატესობით დაახლოებით 40 წელი სარგებლობდა.²⁰⁹ აღსანიშნავია აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების მიერ მოლაპარაკებების გზით მიღწეული კიდევ ერთი შეთანხმება ე.წ. გამონაკლისის სახით, რომლის წყალობითაც GATT-ის XI მუხლის გვერდზე ავლით, მათ შეზღუდვები დააწესეს იმპორტირებულ ტექსტილზე.

²⁰⁷ იხ. იქვე, გვ. 2; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51.

²⁰⁸ South Centre. ‘The WTO’s Special and Differential Treatment negotiation (paragraph 44),’ Analytical Note SC/AN/TDP/2017/3, 2017, p. 4.

²⁰⁹ World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 9.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ „დროებით ღონისძიებას“ აშშ 43 წლისა და 3 თვის განმავლობაში იყენებდა.²¹⁰

დღესდღეობით სასოფლო-სამეურნეო სექტორი GATT/WTO ერთ-ერთ ყველაზე სადავო არეალად ითვლება. AoA-ს ხელშეკრულება, რომელიც ურუგვას რაუნდის პროდუქტს წარმოადგენს, საერთო სავაჭრო წესებიდან გადახვევის არაერთ მაგალითს იძლევა. ეს საგამონაკლისო შემთხვევები განვითარებულმა ქვეყნებმა „მოიპოვეს“ როგორც დოჰას რაუნდის მოლაპარაკებების პერიოდში (მაგალითად, Revised Draft Modalities for Agriculture Text Rev.4, იგივე სოფლის მეურნეობის შესწორებული პროექტის მოდალობების ტექსტი ვერსია #4), ასევე ნაირობის რაუნდისას (მაგალითად, Nairobi Decision on Export Subsidies, იგივე ნაირობის გადაწყვეტილება ექსპორტის სუბსიდიების შესახებ).²¹¹ აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის მინიჭებული საგამონაკლისო უპირატესობები ოფიციალურად სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს არ წარმოადგენენ, თუმცა რეალურად მათ ისეთივე ეფექტი აქვთ, როგორც განვითარებადი ქვეყნებისთვის მინიჭებულ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების უპირატესობებს, რის გამოც, მათ შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები ეწოდა.²¹²

როგორც განვითარებადი ქვეყნების სამთავრობოთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის, სამხრეთის ცენტრის („South Centre“) ანგარიშშია აღნიშნული, შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები უფრო ეფექტური და მოქმედია

²¹⁰ იხ. იქვე.; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51

²¹¹ იხ. World Trade Organization [WTO], Revised Draft Modalities for Agriculture, (TN/AG/W/4/Rev.4, 6 December 2008).

²¹² World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 8; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, pp. 51-52.

პრაქტიკაში, ვიდრე ის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი.²¹³ შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ეს ჰიპოთეზა რეალობისგან შორს არ არის. მაგალითისთვის, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებისთვის განკუთვნილი ე.წ. მწვანე ყუთი („Green Box“) გამიზნულადაა მორგებული განვითარებული ქვეყნების ფერმის პროგრამებს, სადაც ულიმიტო სუბსიდიების გაღებაა შესაძლებელი.²¹⁴ შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ფარგლებში, განვითარებული ქვეყნები თავიანთი შიდა სასოფლო მეურნეობის მწარმოებლებზე დღესდღეობით გასცემენ 160 მილიარდის დოლარის სუბსიდიას, რაც წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაცემული სუბსიდიების 90%-ზე მეტს. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას ამგვარ ღონისძიებებთან წვდომა არ გააჩნია.²¹⁵

შებრუნებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის საშუალებით განვითარებულ ქვეყნებში მთავრობების მიერ ფერმერებისთვის გამოყოფილი დიდი სუბსიდიები მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მათ პროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე. 2016 წელს თითოეული ფერმერისთვის გაწეული შიდა მხარდაჭერა აშშ-ში \$60,586 იყო. სხვა წევრ ქვეყნებთან კი შემდეგი მონაცემებია: იაპონია (\$10,149), კანადა (\$16,562), ევროკავშირი (\$6,762), ჩინეთი (\$863), ბრაზილია (\$345) და ინდოეთი (\$227).²¹⁶ განვითარებული ქვეყნების მიერ მიღებული

²¹³ Kwa Aileen and Lunenborg Peter. ‘Why the US Proposals on Development will Affect all Developing Countries and Undermine WTO,’ South Centre Policy Brief No. 58, 2019, p. 4.

²¹⁴ Agreement on Agriculture, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 410, Annex II.

²¹⁵ მეტი ინფორმაციისთვის იხ.: World Trade Organization [WTO], Elimination of AMS to Reduce Distortion in Global Agricultural Trade, (JOB/AG/102, 17 July 2017).

²¹⁶ World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), pp. 3-4.

სარგებლის მასშტაბები და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი უფრო ნათელი და შთამბეჭდავი ხდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ არაერთ განვითარებად ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო სექტორი დასაქმების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საარსებო წყაროს წარმოადგენს, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნების ფერმერებისთვის აღნიშნული სექტორი უფრო კომერციული ხასიათისაა.²¹⁷

ამგვარად, პრაქტიკაში მსო-ს კანონმდებლობა იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სელექციური დერეგულაციის საშუალებას, რათა დიდ საექსპორტო ქვეყნებს/ბლოკებს (მაგ., აშშ, ევროკავშირი) ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეინარჩუნონ მაღალი სუბსიდიები. შედეგად, ხელშეკრულება მოქმედებს განვითარებული ქვეყნების მსხვილი კორპორაციული აგრობიზნესების სასარგებლოდ, რომელსაც განვითარებადი ქვეყნების წვრილი ფერმერები კონკურენციას ვერ უწევენ.²¹⁸ სამწუხაროდ, ამ ვითარებაში ყველაზე არასასურველ მდგომარეობაში ყველაზე მოწყვლადი განვითარებადი ქვეყნები ექცევიან, რადგან ისინი ეკონომიკურ დარტყმას იღებენ არა მარტო განვითარებული ქვეყნებისგან, არამედ მაღალი შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყნებისგანაც. კერძოდ, ამგვარი ქვეყნებისთვის პრობლემურია არა მარტო განვითარებული ქვეყნების მიერ საკუთარ ფერმერებზე გაღებული სუბსიდიები, არამედ დიდი ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ გაღებული სუბსიდიებიც, რადგან ისინი კოლექტიურად აყენებენ ზიანს ყველაზე მოწყვლად განვითარებად ქვეყნებს. მაგალითისთვის, ბრიტანული ორგანიზაციის, Fair-trade Foundation-ის (იგივე „სამართლიანი ვაჭრობის ფონდი“) თქმით, ზამბის მწარმოებელი მდიდარი ქვეყნების მწარმოებლებმა (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, ინდოეთი) 2000-2010 წლებში მიიღეს \$47 მილიარდის სუბსიდია, რომელმაც პირდაპირი დარტყმა მიაყენა დასავლეთ

²¹⁷ იხ. იქვე, გვ. 3; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 52.

²¹⁸ Nisar, Ahmad. 'Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,' *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013, pp. 41-50.

აფრიკის დაახლოებით 15 მილიონ ბამბის ფერმერს, რომლებიც სიღარიბისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ.²¹⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილისმომგვრელია განვითარებული ქვეყნების მიერ დღევანდელი ვითარების ისე წარმოჩენა, თითქოს ისინი შექმნილი სიტუაციის მსხვერპლნი არიან, მაშინ როცა, რეალურად, „...განვითარებულმა ქვეყნებმა შექმნეს ისეთი ვითარება, რომელიც მათი განვითარების ტრექტორიას კარგად ერგება...“²²⁰ ამასთანავე, არამიზანშეწონილია მაღალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნების მიერ „ისტორიულ სამართლიანობაზე“ აპელირებაც იმ მარტივი მიზეზით, რომ „ისტორიული“ კლასიფიკაციის მეთოდის დატოვება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის მიზნების აღსრულებას ვეღარ უზრუნველყოფს. განვითარებული და მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების „პრეტენზიებით“ კი, ზარალდება საერთო მიზანი - მოლაპარაკებების გზით მოხდეს მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა; კონკრეტულად იმით, რომ დიდი ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნები ითხოვენ ისეთივე მოპყრობას, როგორც პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ; დიდი ქვეყნები ქმნიან ისეთ ასიმეტრიულობას, რომ მსო-ს მოლაპარაკებების ამბიციები სუსტდება, რადგან ივარაუდება, რომ ხელშესახები შედეგი ამ მოლაპარაკებებს მაინც არ ექნება. ამ პირობებში წევრი ქვეყნები ერთმანეთს ვერ სთავაზობენ ისეთი ვაჭრობის საგანს, რომელიც ორივე მხარეს

²¹⁹ Nisar, Ahmad. ‘Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,’ *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013, pp. 46-47; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 52.

²²⁰ World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), pp. 9-10; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 52.

დააკმაყოფილებდა.²²¹ მაგალითისთვის, ის ნეგატიური ეფექტი, რაც მსო-ში მოლაპარაკებების ეტაპზე თვითიდენტიფიცირების მეთოდს მოაქვს, კარგად გამოვლინდა თევზეულის სუბსიდიების მოლაპარაკებების დროს. თევზეულის სუბსიდიებზე მოლაპარაკება მიზნად ისახავს რეგულაციების მიღებას, რომელიც აკრძალავს ისეთი თევზეულის სუბსიდირებას, რომელიც წახალისებს არალეგალურ ან/და გადაჭარბებული რაოდენობის თევზჭერას. ამგვარი რეგულაცია ეფექტურობისთვის საჭიროა, რომ იგი იმპლემენტირებული იყოს მსოფლიოს მასშტაბით ყველა მსხვილ თევზჭერ ქვეყანაში, რაც გულისხმობს, რომ რეგულაცია უნდა დაინერგოს რამდენიმე თვითიდენტიფიცირებულ განვითარებად ქვეყანაშიც.²²² ამიტომაც, სანამ მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნები არ დათანხმდებიან განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის უფრო მეტ დიფერენცირებას, ივარაუდება, რომ მნიშვნელოვანი ვალდებულებების იმპლემენტაცია თევზეულის სუბსიდიების საკითხზე ვერ შედეგა.²²³

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ იმისათვის, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნილი ჩიხიდან გამოსვლა და კვლავ მოლაპარაკებების მაგიდაზე დაბრუნება შეძლონ, თავდაპირველად საჭიროა მათ უგულვებელყონ დღევანდელი მდგომარეობით ის უსაფუძვლო არგუმენტები, რომელზეც ისინი თავიანთ უმოქმედობას აფუძნებენ და მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას კომპრომისებზე წასვლის გზით. კერძოდ:

- განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა დათმონ მსხვერპლის როლი და ის მიდგომა, თითქოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები სარგებლობენ;
- მაღალი დონის განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეწყვიტონ ორი დეკადის წინ მათი მსო-ში გაწევრიანების საფუძვლების არგუმენტად

²²¹ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 11.

²²² იხ. იქვე.

²²³ Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' World Bank Working Papers – International Economics No. 2388, 2000, p. 26.

მოყვანა იმის დასასაბუთებლად, რომ სტატუს კვო მათთვის მისაღებია. რეალურად, მაღალ საფეხურზე მყოფი განვითარებადი ქვეყნები იმ ვითარებაში იმყოფებიან, როდესაც თვითონაც სათანადოდ ვერ სარგებლობენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით და სხვა, დაბალ საფეხურზე მყოფ განვითარებად ქვეყნებსაც არ აძლევენ საშუალებას, მათ საჭიროებებზე მორგებული შეღავათებით ისარგებლონ;

- საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თვითიდენტიფიცირების მეთოდი განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში სწორედ მათ ეკონომიკებს აყენებს. მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: მოლაპარაკებების წინ წაწევით იქნებოდა უფრო მეტი შესაძლებლობა, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები დახვეწილიყო და მათ საჭიროებებს მორგებოდა.²²⁴ მოცემულ რეალობაში კი აღნიშნული ქვეყნები ვერ სარგებლობენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის განკუთვნილი პრივილეგიებით და ისეთივე ვალდებულებები გააჩნიათ, როგორც დიდი ბაზრების მქონე განვითარებად ქვეყნებს. შესაბამისად, საქართველო და საქართველოსნაირი ქვეყნები უნდა მიემხრონ მოლაპარაკებების განახლებას ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის თაობაზე.

2.2.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პრეცედენტები

დღეს არსებული მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის შესაძლო რეფორმაზე დისკუსიისას, სკეპტიკოსების მიერ წამოჭრილი ერთ-ერთი მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად რეალურია რეფორმა. დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ პოლიტიკური ნების

²²⁴ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 11.

შემთხვევაში, რეფორმა რეალურია და ამას ადასტურებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში განხორციელებული ცვლილებები ქვეყნების კლასიფიკაციის კუთხით. უფრო კონკრეტულად, პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, როდესაც ეკონომიკურ ჭრილში მსოფლიოს ტრანსფორმაციის შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მათ მიერ ქვეყნების კლასიფიცირებაში ცვლილებების შეტანა, რათა უფრო ეფექტურად მოეხდინათ თავიანთი მიზნების განხორციელება. მაგალითისთვის ავიღოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე არაერთგზის მოახდინა ცვლილებები კლასიფიკაციაში, რათა უფრო ეფექტური რეაგირება მოეხდინა ისეთ კომპლექსურ საკითხზე, როგორც განვითარება. კონკრეტულად, 1980-იანი წლებიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ქვეყნების დიფერენცირება მოახდინა მარტივ „ინდუსტრიულ“ ("industrial countries") და „განვითარებად“ ("developing countries") ჯგუფებად, თუმცა ეს მარტივი მიდგომა შეიცვალა 1993, 1997 და 2004 წლებში.²²⁵ ცვლილებების სახით ხდებოდა როგორც ჯგუფების სახელების შეცვლა, ასევე ახალი ჯგუფების ჩამოყალიბებაც.²²⁶ მაგალითად, 2014 წელს შეიქმნა „დამწყები და განვითარებადი ქვეყნების“ კატეგორია ("emerging and developing countries"), რომელიც 2014 წლის ცვლილებების შემდეგ ორ ქვეჯგუფად გაიყო - “ფართო მოხმარების საგნების ექსპორტიორი” (“commodity exporters”) და „დივერსიფიცირებული ექსპორტიორი“ (“diversified exporters”) ქვეყნები.²²⁷

²²⁵ Nielsen, Lyng. ‘Classifications of Countries Based on their Level of Development: How it is Done and How it Could Be Done,’ IMF Working Papers 11/31, 2011, pp. 16-18.

²²⁶ ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 90; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51

²²⁷ Nielsen, Lyng. ‘Classifications of Countries Based on their Level of Development: How it is Done and How it Could Be Done,’ IMF Working Papers 11/31, 2011, p. 19; Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 51.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გარდა, გაეროს განვითარების პროგრამა²²⁸ და მსოფლიო ბანკიც²²⁹ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან, რომლებმაც საჭიროდ ჩათვალეს ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა განეხორციელებინათ იმ მიზნით, რომ მორგებოდნენ შეცვლილ გარემოს.²³⁰ მაგალითად, მსოფლიო ბანკი ანალიტიკური მიზნებისთვის 1978 წლიდან ეწევა ქვეყნების კლასიფიკაციას შემოსავლების მიხედვით. თუკი თავდაპირველი კლასიფიკაცია ქვეყნებს ყოფდა სამ კატეგორიად (განვითარებადი, ინდუსტრიალიზებული და ე.წ. ჭარბი კაპიტალის („capital-surplus“) ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები), 1989 წელს მსოფლიო ბანკმა კლასიფიკაცია შეცვალა და ქვეყნების ოთხი კატეგორია გამოყო: დაბალშემოსავლიანი, საშუალოდ დაბალშემოსავლიანი, მაღალი საშუალოშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი ქვეყნები.²³¹

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუხდათ თავდაპირველი ქვეყნების კლასიფიკაციის სისტემის შეცვლა იმისთვის, რომ მორგებოდნენ სწრაფად ცვლად არსებულ რეალობას და განხორციელებული ცვლილების წყალობით უფრო ეფექტურად მოეხდინათ ორგანიზაციის მიზნების განხორციელება. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სტატუს კვოს მომხრე განვითარებადი ქვეყნების იმ არგუმენტის უსაფუძვლობაში, რომლის თანახმადაც დღევანდელი კლასიფიკაციის სისტემა მათთვის გადამწყვეტი წამახალისებელი ფაქტორი იყო მსო-ში გასაწევრიანებლად და ამიტომაც სტატუს კვო უნდა

²²⁸ იხ. Nielsen, Lyng. 'Classifications of Countries Based on their Level of Development: How it is Done and How it Could Be Done,' IMF Working Papers 11/31, 2011, pp. 8-9.

²²⁹ იხ. Fantom Neil and Serajuddin Umar. 'The World Bank's Classification of Countries by Income,' World Bank Group Policy Research Working Paper No. 7528, 2016, pp. 2-3.

²³⁰ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 8; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 90.

²³¹ Fantom Neil and Serajuddin Umar. 'The World Bank's Classification of Countries by Income,' World Bank Group Policy Research Working Paper No. 7528, 2016, pp. 2-3 and 8.

შენარჩუნდეს.²³² რადგანაც არსებობს მაგალითები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოახდინეს ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა, ამ მაგალითების პარალელურად მსო-ში არსებული მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების მიერ 25 წლის წინანდელ რეალობაზე აპელირება უსაფუძვლო და უხერხული ხდება.

2.2.4. სასამართლო სისტემის გადატვირთულობის არგუმენტი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებობს შემთხვევები, როდესაც დავის განხილვისას განვითარებადი ქვეყნის სტატუსი განვითარებულმა ქვეყანამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.²³³ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა მავანმა გამოთქვას შემდეგი მოსაზრება: თუკი განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე დავა შესაძლებელია მსო-ს დავების მოგვარების ორგანოში (“Dispute Settlement Body” ან “DSB”), ხომ არ არის მიზანშეწონილი არსებული კლასიფიკაციის სისტემის, ანუ, თვითიდენტიფიცირების მეთოდის შენარჩუნება?! ამ მოსაზრების მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ თუკი აღნიშნული დავების გადაწყვეტა დავების მოგვარების ორგანოს დაევალება, საჭირო გახდება უფრო ფართომანდატიანი სააპელაციო პროცედურის არსებობა.²³⁴ თუკი გავითვალისწინებთ სააპელაციო ორგანოში დღეს არსებულ კრიზისს და მის გამომწვევ მიზეზებს, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში სააპელაციო ორგანოს სრული დესტრუქციით დასრულდა, ასევე თუკი მხედველობაში მივიღებთ ამ კრიზისის გამომწვევ მიზეზებს, ვფიქრობ, დავების მოგვარების ორგანოს გადატვირთვა განვითარებადი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის საქმეებით ოპტიმალური არჩევანი არ არის. აღნიშნული ჰიპოთეზის გასამყარებლად, ქვემოთ

²³² იხ. იქვე, გვ. 13.

²³³ იხ. *United States: Definitive Safeguard Measures on Imports of Certain Steel Products*, WTO Panel Report, (WT/DS252/R, 11 July 2003).

²³⁴ Keck Alexander and Low Patrick. ‘Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?’ WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, p. 25.

მიმოხილული იქნება დავების მოგვარების ორგანოს მუშაობის წესი და მანდატი, სააპელაციო ორგანოს კრიზისის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემა სამი ფაზისგან შედგება: კოსულტაციები, დავების განხილვა სასამართლოზე (პანელი და სააპელაციო ორგანო) და აღსრულება. დავების გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების („Dispute Settlement Understanding“ ან „DSU“) მე-17 მუხლის თანახმად, სააპელაციო ორგანოში საქმის განხილვა სამართალწარმოების მეორე ეტაპს წარმოადგენს და ამ დროს პანელის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხდება.²³⁵ საყურადღებოა, რომ სააპელაციო ორგანოს მანდატი შეზღუდულია: ორგანოს წევრები განიხილავენ მხოლოდ სამართლებრივ კითხვებს ისე, რომ მხედველობაში არ იღებენ ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებს.²³⁶ რაც შეეხება სააპელაციო ორგანოს შემადგენლობას, აქ თავს იყრის 7 წევრი, რომელთაც აქვთ ოთხწლიანი სამუშაო მანდატი კიდევ ერთხელ დანიშვნის პერსპექტივით. იმისათვის, რომ სააპელაციო ორგანო ფუნქციონირებდეს და, შესაბამისად, ქვორუმი შედგეს, აუცილებელია მინიმუმ სამი წევრის დანიშვნა.²³⁷

სააპელაციო ორგანოს კრიზისი ინიცირებულია აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ. წლების განმავლობაში, მინისტრიალების კონფერენციებსა თუ კომიტეტების სხდომებზე, აშშ უკმაყოფილებას გამოხატავდა დავების მოგვარების ორგანოს და კონკრეტულად, სააპელაციო ორგანოს საქმიანობის მიმართ.²³⁸ აშშ-ს კრიტიკა,

²³⁵ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Article 17.

²³⁶ იხ. იქვე, მუხლი 17.6.

²³⁷ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Articles 17.1 and 17.2.

²³⁸ Bahri, Amrita. ‘Appellate Body Held Hostage: Is Judicial Activism at Fair Trial?’ *Journal of World Trade* 53, no. 2, 2019, p. 296.

როგორც წესი, უპასუხო რჩებოდა, რის გამოც აშშ-მ ობამას ადმინისტრაციის პერიოდში გადაწყვიტა უფრო ხისტი პოლიტიკის გატარება, რომელიც სააპელაციო ორგანოს დესტაბილიზაციაში გამოიხატა.

კონკრეტულად, ობამას ადმინისტრაციამ, ისარგებლა რა სააპელაციო ორგანოს მოსამართლეების კონსენსუსით არჩევის წესით, გადაწყვიტა პროტესტის ნიშნად დაებლოკა მოსამართლეობის კანდიდატები. მაგალითად, მათ მეორე ვადით არ წარადგინეს ამერიკელი კანდიდატები, მერთ ჯენოუ (სააპელაციო ორგანოს წევრი 2003-2007წწ.) და ჯენიფერ ჰილმანი (სააპელაციო ორგანოს წევრი 2007-2011წწ.). მიზეზად დასახელდა ის არგუმენტი, თითქოს ისინი „საკმარისად აგრესიულად“ არ იცავდნენ აშშ-ს პოზიციებს.²³⁹ ფაქტობრივად, ამ არგუმენტით ობამას ადმინისტრაციამ სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა დააყენა ეჭვქვეშ. გაოცებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ობამას მიერ დაწყებული ხისტი პოლიტიკა სიამოვნებით გააგრძელა მომდევნო პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმაც, რაც დაგვირგვინდა სააპელაციო ორგანოს სრული დესტრუქციით - 2019 წლის 11 დეკემბერს სააპელაციო ორგანოს დარჩენილი სამი წევრიდან ორს ვადა გაუვიდა; რადგანაც ქვორუმი ვეღარ შედგა, სააპელაციო ორგანო დღესდღეობით აპელაციებს ვეღარ განიხილავს.

რაც შეეხება აშშ-ს ადმინისტრაციის უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებს, მათი კრიტიკა მოიცავს პროცედურულ-ტექნიკურ საკითხებს და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სისტემურ პრობლემებს. კერძოდ, აშშ-ს ადმინისტრაცია სააპელაციო ორგანოს „სასამართლო აქტივიზმში“ ადანაშაულებს. მათი თქმით, სააპელაციო ორგანო იმისთვის შეიქმნა, რომ გაესწორებინა პანელის შეცდომები და არა იმისთვის, რომ შეექმნა ახალი წესები და კანონები ორგანიზაციის წევრებისთვის. სააპელაციო ორგანოს მიერ მანდატის „გადამეტების“ (“overreaching”) ფაქტებს ამწვავებს *stare decisis* ტრადიციის ჩამოყალიბება

²³⁹ Kuijper, Pieter J. ‘From the Board: the US Attack on the Appellate Body,’ *Legal Issues of Economic Integration* 45, no. 1, 2018, p. 2.

მსო-ს სასამართლო პრაქტიკაში,²⁴⁰ რომლის შედეგადაც პანელები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ გადაუხვევენ ხოლმე სააპელაციო ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ანალოგიურ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას.²⁴¹

ზემოაღნიშნულის გარდა, აშშ-ს ადმინისტრაციის მტკიცებით, სააპელაციო ორგანო შემჩნეულია ისეთი საკითხების განხილვაში, რომლებიც მხარეების მიერ არ იყო ინიცირებული; ეს კი *obiter dicta*-ს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.²⁴² მაგალითად, აშშ-ს ადმინისტრაციის თანახმად, *Argentina – Financial Services* ქეისში,²⁴³ სააპელაციო ორგანოს ანალიზი *obiter dicta* იყო, რადგან მათ განმარტეს მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების („General Agreement on Trade in Services“ ან „GATS“) ის მუხლები, რომელიც განსახილველ დავას არ ეხებოდა; მაშასადამე, გადაუხვიეს მანდატს.²⁴⁴ ამგვარი ქმედებით სააპელაციო ორგანო უხეშად არღვევს DSU-ს ხელშეკრულების 3.2 და 19.2 მუხლებში გაწერილ ვალდებულებებს, რომელთა მიხედვითაც სააპელაციო ორგანოს არ შეუძლია შექმნას ან გააუქმოს ის უფლებები და ვალდებულებები, რაც დაწესებულია მსო-ს ხელშეკრულებების მიერ წევრი ქვეყნებისთვის.²⁴⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავების მოგვარების ორგანო თითქოს „უფრო ხის“ კიდევ წევრი ქვეყნის სტატუსის

²⁴⁰ *United States – Final Anti-dumping Measures in Stainless Steel from Mexico*, Appellate Body Report, (WT/DS344/AB/R, 30 April 2008), paras. 156-162.

²⁴¹ *United States – Continued Existence and Application of Zeroing Methodology*, Appellate Body Report, (WT/DS350/AB/R, 4 February 2009), para. 365.

²⁴² Payosova Tatyana, Hufbauer Gary Clyde and Schott Jeffrey J. ‘The Dispute Settlement Crisis in the World Trade Organization: Causes and Cures,’ *Peterson Institute for International Economics Policy Brief* no. 18-5, 2018, p. 4.

²⁴³ იხ. *Argentina – Measures relating to Trade in Goods and Services*, Appellate Body Report, (WT/DS453/AB/R, 14 April 2016).

²⁴⁴ იხ. World Trade Organization [WTO], Statement by the United States at the Meeting of the WTO Dispute Settlement Body, 2016, retrieved from <https://www.wto.org/english/news_e/news16_e/us_statment_dsbmay16_e.pdf> [25.04.2022].

²⁴⁵ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Articles 3.2 and 19.2; Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 85.

განსაზღვრას. ეს კარგად ჩანს *US Safeguard Measures on Steel* ქეისში. კერძოდ, ჩინეთი დაობდა, რომ მას, როგორც განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყანას, შეეძლო დაცვის საშუალებების შესახებ შეთანხმების („The Agreement on Safeguards“ ან „SG Agreement“) 9.1 მუხლში არსებული პრივილეგიის გამოყენება, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აშშ. იმის გამო, რომ პანელმა დაცვის სხვა ნაწილებში დაადგინა დარღვევა, მან ჩინეთის განვითარებადი ქვეყნის სტატუსის განხილვას თავი აარიდა სასამართლო დროის ეკონომიური გამოყენების („Judicial Economy“) საფუძვლით.²⁴⁶

და ბოლოს, დავების მოგვარების ორგანოსთვის ქვეყნის სტატუსის საკითხის განსახილველად გადაცემა განსაკუთრებით არამიზანშეწონილია ისეთი პატარა განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. ეს არამიზანშეწონილობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პატარა განვითარებადი ქვეყნები გარკვეულ შეზღუდვებს აწყდებიან, როდესაც ჯერი დავების მოგვარების ორგანოში სარჩელის აღძვრამდე მიდის - მაგალითად, სამართალწარმოების მაღალი ხარჯები.²⁴⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში არავინ დაობს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სამართალწარმოების დაწყება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამისთვის ქვეყანა იძულებულია კერძო იურიდიული ფირმის იურისტები დაიქირავოს. ზოგიერთი გაანგარიშებით, კერძო იურიდიული ფირმის მიერ წარმოებული მარტივი სავაჭრო საქმე კლიენტს შესაძლოა, კარგ შემთხვევაში, 100,000 დოლარიდან ერთ მილიონ დოლარამდე დაუჯდეს.²⁴⁸ სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნისთვის ხარჯები კიდევ უფრო მაღალია; იმის გამო, რომ ეს ქვეყნები უფრო იშვიათად მონაწილეობენ დავებში, როგორც წესი, მათ არ გააჩნიათ წვდომა გამოცდილ ინტელექტუალურ

²⁴⁶ *United States: Definitive Safeguard Measures on Imports of Certain Steel Products*, WTO Panel Report, (WT/DS252/R, 11 July 2003), para. 10.714.

²⁴⁷ Kazzi, Habib. ‘Reshaping the WTO Dispute Settlement System: Challenges and Opportunities for Developing Countries in the Doha Round Negotiations,’ *European Scientific Journal* 11, no. 31, 2015, p. 201.

²⁴⁸ Bohl, Kristin. ‘Problems of Developing Country Access to WTO Dispute Settlement,’ *Chicago-Kent Journal of International and Comparative Law* 9, 2009, p. 15.

რესურსზე, ანუ ექსპერტებზე, რომლებიც სწორედ სავაჭრო დავებისთვის არიან გამოწვრილებილები.²⁴⁹ ამ დროს მათ უწევთ ექსპერტების *ad hoc* რეკრუტირება, რაც, თავისთავად, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.²⁵⁰ აღნიშნულის გამო, პატარა განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტი არ არის მზად გრძელვადიანი დავების წარმოებისთვის იმ მიზნით, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, თავიანთი განვითარებადი სტატუსის სიცხადე დაამტკიცონ.²⁵¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო ორგანოს ბრალს სდებენ, თითქოს ეს უკანასკნელი სასამართლო აქტივიზმითაა დაკავებული; ასევე მაშინ, როცა იკვეთება აშშ-ს მიერ დავების მოგვარების ორგანოს მიუკერძოებლობაში ჩარევის მცდელობის ნიშნები და იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო ორგანო ბლოკირებულია, მიმაჩნია, რომ განვითარებადი ქვეყნის სტატუსის გარკვევის მიზნით დავების მოგვარების ორგანოსთვის მიმართვა არამიზანშეწონილია. გარდა ამისა, ვფიქრობ, სააპელაციო ორგანოს კრიზისი დროებითი არ არის და სიტუაცია არც აშშ-ში სხვა პრეზიდენტის მოსვლით შეიცვლება. ამ არგუმენტის საფუძველს კი ის ფაქტი მამლევს, რომ სააპელაციო ორგანოს მიმართ აშშ-ს უკმაყოფილება გაზიარებულია სხვა წევრი ქვეყნების მიერ (მაგალითად, ინდოეთი, კანადა, ავსტრალია, ჩინეთი, სინგაპური, ევროკავშირი და ა.შ.), რასაც მოწმობს მათ მიერ წარდგენილი წინადადებები რეფორმებზე.²⁵² მართალია აშშ-ს კრიტიკის გაზიარების მიუხედავად, ისინი აშშ-ს ადმინისტრაციის ხისტი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და სააპელაციო ორგანოს ვაკანტური ადგილების შევსებას

²⁴⁹ იხ. იქვე, გვ. 20.

²⁵⁰ იხ. იქვე.

²⁵¹ Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, pp. 85-86.

²⁵² Tirkey, AArshi. 'The WTO's Appellate Body Crisis: Implication for Trade Rules and Multilateralism' (Orfonline, 13 January 2020), retrieved from <<https://www.orfonline.org/expert-speak/the-wtos-appellate-body-crisis-implication-for-trade-rules-and-multilateralism-60198/>> [25.04.2022].

ითხოვდნენ,²⁵³ თუმცა, მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ სააპელაციო ორგანოს მანდატის გაფართოებას ქვეყნების გარკვეული ნაწილი არ მიესალმება, რის გამოც წევრი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის საკითხის გადაჭრის გზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

2.2.5. მოლაპარაკების წარმოებისას ვაჭრობის ძალის ცვლილების არგუმენტი

2001 წელს ალექს მაკკალამ 148 განვითარებადი ქვეყნის ანალიზზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია თუ რა უტილიტარული მიზნები ამოძრავებთ განვითარებად ქვეყნებს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან მიმართებით. სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიუხედავად კვლევაში წარმოდგენილი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების განსხვავებული დონისა, ყველას აერთიანებს სურვილი, *inter alia*, დაცული იყოს დიდი ქვეყნებისა თუ ფირმების შევიწროებისგან.²⁵⁴ შევიწროების რესურსი მომდინარეობს მოლაპარაკებების პროცესში ე.წ. ვაჭრობის ძალის („Bargaining Power“) ფლობისგან, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია სახელმწიფოს ხელში არსებული საბაზრო რესურსით.²⁵⁵ თუკი ქვეყანას გააჩნია დიდი შიდა ბაზარი, რომლის შეღწევაზე სხვა წევრი ქვეყნებიც არიან ორიენტირებულნი ან რომელზეც უკვე დამოკიდებულნი არიან ვაჭრობის კუთხით, ეს ვითარება აძლევს სახელმწიფოს იმის საშუალებას, რომ მოახდინოს ამ ქვეყნების მანიპულირება - მუქარით, დაპირებით, დახმარების აღმოჩენით და სხვ. ამგვარი მანევრები კი, თავისთავად, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, გავლენა იქონიოს ან/და

²⁵³ World Trade Organization [WTO], ‘Farewell speech of Appellate Body member Peter Van den Bossche,’ 2019, retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/farwellspeech_peter_van_den_bossche_e.htm> [25.04.2022].

²⁵⁴ McCalla, Alex F. ‘What the Developing Countries Want from the WTO’, *The Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 2, no. 1, 2001, p. 175.

²⁵⁵ Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, pp. 52-53.

განსაზღვროს სავაჭრო მოლაპარაკებების შედეგები.²⁵⁶ მაგალითად, 1984 წელს სავაჭრო ძალის მქონე აშშ-მ შესწორებები შეიტანა 1974 წლის სავაჭრო აქტში („Trade Act 1974“) და აშშ-ს GSP პროგრამაში არსებული პრივილეგიების გავრცელება მიაბა იმ პირობას, რომ ბენეფიციარებს საკუთარ ქვეყნებში უნდა მოეხდინათ ინტელექტუალური საკუთრების პროტექციის ადეკვატური სტანდარტების შემოღება. შედეგად, ურუგვაის რაუნდის მიმდინარეობისას რიგი განვითარებადი ქვეყნების მიმართ განხორციელდა მუქარა, რომ შეწყდებოდა GSP პროგრამებიდან მომდინარე პრივილეგიების გაცემა, თუკი ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ადეკვატურ სტანდარტს.²⁵⁷

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსით ხდება, რაც თეორიულად ყველა წევრ ქვეყანას გადაწყვეტილების მიღების თანაბარ უფლებას აძლევს. თუმცა, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ღარიბი ქვეყნების მომლაპარაკებლები შეხვედრებზე არც კი მიუწვევიათ. მაგალითად, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სინგაპურის მინისტერიალის კონფერენციაზე 1996 წელს, რომელსაც მხოლოდ „რჩეული“ ქვეყნები ესწრებოდნენ.²⁵⁸ აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, მკვლევართა და ექსპერტთა ვარაუდით, თუკი ერთიანი განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის დაშლა და დახარისხება მოხდება, განვითარებად ქვეყნებს თავიანთი პოზიციის დაცვა ინდივიდუალურად მოუწევთ, რის შედეგადაც ვაჭრობის ძალა უპირობოდ განვითარებული ქვეყნების მხარეს გადავა და განვითარებად ქვეყნებს სუსტი პოზიციიდან მოუწეთ მოლაპარაკებების წარმოება.²⁵⁹

²⁵⁶ Drahos, Peter. ‘When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,’ *International Negotiation* 8, no. 1, 2003, p. 6. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>

²⁵⁷ იხ. იქვე.

²⁵⁸ Nisar, Ahmad. ‘Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,’ *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013, p. 47.

²⁵⁹ South Centre. ‘The WTO’s Special and Differential Treatment negotiation (paragraph 44),’ *Analytical Note SC/AN/TDP/2017/3*, 2017, p. 5.

ზემოაღნიშნული არგუმენტის სისუსტე იმ ფაქტში მდგომარეობს, რომ განსხვავებული ეკონომიკური დონის განვითარებადი ქვეყნების არაფორმალური არსებობა უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ეს ქვეყნები „არ ლაპარაკობენ ერთ ხმაში“, რადგან მათ განსხვავებული პრობლემები აწუხებთ, რომლებიც განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ.²⁶⁰ განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებული დისბალანსი ამ ეტაპზეც კი, იმდენად აშკარაა, რომ ეს ასიმეტრიულობა შეუძლებელია დაბრალდეს განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტ დიფერენცირებას. აღნიშნული დისბალანსი ნათლად იკვეთება მოლაპარაკებების მაგიდაზე არსებული საკითხების აქტუალურობით - ის საკითხები, რომლებითაც განვითარებული ქვეყნები არიან დაინტერესებულნი, წინა პლანზეა წამოწეული და პირიქით. გარდა ამისა, დღესდღეობით IT პროდუქტებზე, რომლის წარმოებაშიც განვითარებულ ქვეყნებს აშკარა უპირატესობა აქვთ, ნულოვანი სატარიფო კურსი ვრცელდება, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნო სექტორი, სადაც განვითარებად ქვეყნებს შეფარდებითი უპირატესობა აქვთ, სუბსიდიებითა და სატარიფო კვოტებითაა გაჯერებული.²⁶¹ აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ განვითარებულ ქვეყნებს უკვე მოპოვებული აქვთ უპირატესი პოზიცია მოლაპარაკებების წარმოებისას.²⁶²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატუს კვოს შენარჩუნებით, ვფიქრობ, ვერ მოხდება იმ უპირატესობის განეიტრალება, რომელიც განვითარებულ ქვეყნებს მოლაპარაკებების დროს გააჩნიათ. ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს იმ ფაქტს, რომ ღარიბი ქვეყნები დღესდღეობით ნამდვილად ცუდი მომლაპარაკებლები არიან. კერძოდ, როდესაც საქმე მსო-ში წარმოებულ მოლაპარაკებებს ეხება, ფაქტია, რომ განვითარებადი და

²⁶⁰ Matthews, Alan. 'More Differentiated Special Treatment in the Agriculture Agreement: beyond concept to practice,' IIS Discussion Paper No. 108, 2006, p. 4.

²⁶¹ Cui, Fan. 'Who Are the Developing Countries in the WTO,' *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 130. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.

²⁶² იხ. იქვე; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 53.

განვითარებული ქვეყნები არ სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით. თეორიულად, როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზაციის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება და როდესაც საქმე ეხება ორგანიზაციაში გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღებას, ისინი სარგებლობენ ვეტოს უფლებით. ეს, ერთი შეხედვით, მიანიშნებს ორგანიზაციაში დემოკრატიულობის მაღალ ხარისხზე და ამყარებს იმ მოსაზრებას, თითქოს მსო-ში გადაწყვეტილების მიღება თანასწორობის საფუძველზე ხდება. თუმცა, სინამდვილეში წევრ ქვეყნებს შორის არსებული ძალაუფლებისა და შესაძლებლობების დისბალანსი ადასტურებს კლასიკურ ორუელისეულ ჭეშმარიტებას, რომელიც ლაკონურად აქვს ჩამოყალიბებული მსო-ს ყოფილ გენერალურ მდივანს, მაიკლ მურს: „ როდესაც საქმე გავლენას ეხება, ზოგიერთი წევრი უფრო თანასწორია ვიდრე სხვები.“²⁶³

South Centre-ის ერთ-ერთი ანგარიშის თანახმად, არსებობს მთელი რიგი კრიტერიუმები, რომელსაც ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ეფექტურად იყოს მომზადებული სავაჭრო მოლაპარაკებებისთვის. აღნიშნული კრიტერიუმები, *inter alia*, მოიცავს:

- კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომელიც წევრ ქვეყანას უზრუნველყოფს მოლაპარაკების წარმოების გამოცდილებით;
- ტექნიკურ ექსპერტიზას, პოლიტიკის კვლევას და ანალიტიკურ მომზადებასა და მხარდაჭერას;
- ტექნიკურ რესურსებს;
- მოლაპარაკების მაგიდასთან ფიზიკურად ყოფნას და ა.შ.²⁶⁴

სამწუხაროდ, თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, განვითარებადი ქვეყნები ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ვერ

²⁶³ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 1-2; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 88.

²⁶⁴ იხ. იქვე.

აკმაყოფილებენ. შესაბამისად, მოლაპარაკებების წარმოების ფარგლებში, მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი ინტერესების გატარებას და მოლაპარაკებების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენას. ამრიგად, პრაქტიკაში, მოლაპარაკებისთვის საჭირო მცირე რესურსის მქონე ქვეყნები სრულყოფილად ვერ სარგებლობენ მსო-ში წარმოებულ მოლაპარაკებებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებით. შედეგად კი მოლაპარაკებისთვის განკუთვნილი ავანსცენა რჩებათ განვითარებული ქვეყნების იმ დელეგაციებს, რომლებსაც სავაჭრო მოლაპარაკებებში მონაწილეობის შესაბამისი რესურსი გააჩნიათ.²⁶⁵

გასაკვირი არ არის, რომ მსო-ს დაარსების პირველივე დღეებიდან მოლაპარაკების წარმოებისას განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების განვითარება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამას ადასტურებს დოჰას მინისტრიალის დეკლარაციაც, სადაც განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების განვითარებას სხვა საკითხებზე მეტი ადგილი დაეთმო.²⁶⁶ პრაქტიკაში, სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების პროგრამებმა მოლოდინი დიდად ვერ გაამართლა მათი ნაკლოვანებების გამო. შესაბამისად, წინამდებარე დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ თუკი განვითარებულ ქვეყნებს სურთ განვითარებადი ქვეყნები რეფორმაზე დაითანხმონ, კომპრომისის სახით საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მოლაპარაკებებში განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების ქონის პრობლემატიკას და შემოთავაზებული უნდა იყოს ადეკვატური ტექნიკური დახმარების პაკეტი აღნიშნული შეზღუდვების აღმოსაფხვრელად.

²⁶⁵ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004; p. 2; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 89.

²⁶⁶ იბ. World Trade Organization [WTO], Doha Ministerial Declaration, (WT/MIN(01)/DEC/1, 14 November 2001).

აღნიშნული საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი კვლევა და პრობლემის გადაჭრა სცილდება წინამდებარე დისერტაციის მიზნებს; მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ იმის საილუსტრაციოდ, რომ საჭიროა აღნიშნულ საკითხს მეტი ყურადღება დაეთმოს და, მეორე მხრივ, იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება რეფორმის თაობაზე კომპრომისული გადაწყვეტილების მიღწევის ღირებული საშუალებაა, ქვემოთ ილუსტრირებული იქნება განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების პროგრამების დღეს არსებული რიგი ნაკლოვანებები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები, რომელთა აღსრულებაც უნდა მოითხოვონ განვითარებადმა ქვეყნებმა კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ.

ა) შეზღუდული შესაძლებლობები სავაჭრო მოლაპარაკებებში

განვითარებადი წევრი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ჰყავდეს სპეციალიზირებული ცოდნის მქონე ექსპერტების ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ განსაზღვრონ, ერთი მხრივ, სავაჭრო მოლაპარაკებების პოტენციური შედეგები შიდა ბაზარზე და, მეორე მხრივ, სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო მოლაპარაკებების შედეგების შესაბამისობას ქვეყნის ინტერესებთან. სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას ამ კუთხით არ ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი - კერძოდ, მათ არ ჰყავთ ან ვერ ახერხებენ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ფართო პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოქალაქეების იდენტიფიცირებას.²⁶⁷ ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო განვითარებადი ქვეყნები, როგორც წესი, განიცდიან გამოცდილი მომლაპარაკებლების რაოდენობის ნაკლებობას, რაც იმას განაპირობებს, რომ ასეთ ქვეყნებს მოლაპარაკებების პროცესში არ შეუძლიათ თავიანთი ინტერესების გატარება და სავაჭრო მოლაპარაკებების საბოლოო შედეგებზე

²⁶⁷ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 6.

გავლენის მოხდენა. უფრო მეტიც, მთავრობის ბიუჯეტი იმდენად მწირია, რომ ხშირ შემთხვევაში, მთავრობისგან წარგზავნილი მომლაპარაკებლები მონაწილეობასაც კი ვერ იღებენ მოლაპარაკებებში.²⁶⁸

იმის საილუსტრაციოდ, რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინტელექტუალურ და მოლაპარაკების რესურსებს შორის დიდი უფსკრული არსებობს, ჰა-ჯუნ ჩენგს მოჰყავს მისი სტუდენტის მაგალითი, რომელიც წარმოშობით აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნიდანაა და ამ ქვეყნის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის რანგში მსო-ს მოლაპარაკებებში იღებდა მონაწილეობას. სტუდენტის ნარატივის თანახმად, მისი ქვეყნიდან წარგზავნილი იყო მხოლოდ სამი ადამიანი, რაც არასაკმარისი იყო იმ ათეულობით შეხვედრისთვის, რომელიც ყოველდღიურად იმართებოდა ორგანიზაციაში. შესაბამისად, სამივე წარმომადგენელი ინაწილებდა შეხვედრების გარკვეულ რაოდენობას (რიგ შეხვედრებს საერთოდ ვერ ესწრებოდნენ), რომელზეც მხოლოდ 2-3 საათის განმავლობაში რჩებოდნენ ხოლმე, მიუხედავად მათი რეალური ხანგრძლივობისა. ეს დრო კი, რიგ შემთხვევებში, არასაკმარისი იყო იმისთვის, რომ მათ კონტრიბუცია მოეხდინათ მოლაპარაკებების მსვლელობაზე. სტუდენტის წარმგზავნი აფრიკული ქვეყნისგან განსხვავებით, აშშ-ს ათეულობით ექსპერტი ჰყავს დაქირავებული მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების საკითხზე, მაშინ

²⁶⁸ World Trade Organization [WTO], ‘The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People’s Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,’ (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 6; Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 89; საკითხით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ იხ.: Organization for Economic Co-operation and Development [OECD], ‘The DAC guidelines: Strengthening Trade Capacity for Development, International Development,’ Organization for Economic Co-operation and Development, 2001, retrieved from <<https://www.oecd.org/dac/aft/2672878.pdf>> [25.04.2022]; Willems Stéphane and Baumert Kevin. ‘Institutional Capacity and Climate Actions,’ OECD and IEA Information Paper, COM/ENV/EPOC/IEA/SLT, 2003.

როდესაც არიან რიგი განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც მოლაპარაკებებზე ერთი წარმომადგენელიც კი არ ჰყავს.²⁶⁹

საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების შეზღუდვებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც განვითარებადი ქვეყნების დელეგაციები აწყდებიან, არის ეროვნული პოლიტიკის არათანმიმდევრულობა და ინსტიტუციური კოორდინაციის ნაკლებობა; აღნიშნულში იგულისხმება ის, რომ სავაჭრო მოლაპარაკებების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა შესაძლოა მკაფიოდ არ იყოს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. უფრო კონკრეტულად, პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ მოლაპარაკებების დაწყებამდე განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა არ აწარმოებს შესაბამისი სტრატეგიული განვითარების ეკონომიკურ კვლევასა და ანალიზს, რომელიც განსაზღვრავდა მოლაპარაკებების დაწყების საჭიროების მიზეზებს და ამ მოლაპარაკებებში ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიზნებს. ამ უკანასკნელის არარსებობის პირობებში, რიგი განვითარებადი ქვეყნის დელეგაციებს „ბრმად“ უწევთ მოლაპარაკებების წარმოება, რადგან მათ არ გააჩნიათ სრული წარმოდგენა მოლაპარაკების შედეგების იმ შესაძლო გავლენების შესახებ, რაც მათ შესაძლოა მოახდინონ მათი წარმგზავნი ქვეყნის ეკონომიკასა და ვაჭრობაზე.²⁷⁰

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, თუკი განვითარებადი ქვეყნები ტექნიკური მხარდაჭერით/დახმარებით არ არიან უზრუნველყოფილი გარე წყაროებიდან, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას უჭირს მსო-ს მოლაპარაკებებში მონაწილეობა; ტექნიკური მხარდაჭერა/დახმარება კი, როგორც წესი, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება კვლევითა და ინფორმაციით უზრუნველყოფით, ასევე შეხვედრებისა და მოლაპარაკებების

²⁶⁹ Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007, p. 20.

²⁷⁰ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 12.

სესიების მოსამზადებელ სამუშაოებში დახმარებით და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, გარე მხარდაჭერა საერთოდაც არ არის თავსებადი თავად განვითარებადი ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან და მიზნებთან. ამას კი მივყავართ განვითარებადი ქვეყნების წინაშე არსებულ მეორე არსებით პრობლემამდე, რაც მდგომარეობს მათ მიერ მიღებული ტექნიკური დახმარების ხარისხში.²⁷¹

ბ) განვითარებადი ქვეყნებისთვის მიწოდებული ტექნიკური დახმარების ხარისხი

განვითარებადი ქვეყნებისთვის შეთავაზებულ ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების („Trade-related technical assistance“ ან „TRTA“) და ვაჭრობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარების („Trade-related capacity-building“ ან „TRCB“) ინიციატივებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებთ. დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ არსებული TRTA/TRCB ინიციატივები დიდი ხანია განვითარებადი ქვეყნების დელეგაციებში უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ისინი დონორების სასარგებლო დახმარებად მოიაზრებიან. უფრო კონკრეტულად, დონორების სასარგებლო დახმარებას უწოდებენ განვითარებადი ქვეყნებისთვის აღმოჩენილ იმგვარ აქტივობებს, რომლებიც შინაარსობრივად თანხვედრაშია და ეხმიანებიან თავად დონორების ინტერესებს; დონორები კი, როგორც წესი არიან განვითარებული ქვეყნები ან ისეთი ინსტიტუტები, რომლებშიც დომინირებენ განვითარებული ქვეყნები (მაგ., მსო, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი). მაგალითად, მსო-ს შემთხვევაში, TRTA/TRCB პროგრამები იმგვარადაა შემუშავებული, რომ ისინი აკმაყოფილებენ არა ბენეფიციარების, არამედ დონორთა კონკრეტულ ინტერესებს.²⁷² ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარებს არ შეუძლიათ

²⁷¹ Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 89.

²⁷² Shaffer, Gregory C. ‘Can WTO Technical Assistance and Capacity Building Serve Developing Countries?’ *Wisconsin International Law Journal* 23, 2005, p. 659. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.653842>.

გავლენის მოხდენა ისეთ საკითხებზე, როგორცაა დონორების მიერ შემუშავებული TRTA/TRCB ინიციატივების შინაარსი, იმპლემენტაცია და მათი შედეგები; თუკი ჩვენ TRTA/TRCB ინიციატივებს მივიჩნევთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე განვითარებადი ქვეყნების განვითარების ინსტრუმენტებად, მაშინ დონორებისთვის სასარგებლო დახმარებების მიწოდება მათთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი ხდება.²⁷³

გასაკვირი არ არის, რომ მუსირებს აზრი, თითქოს განვითარებული ქვეყნები მანიპულირებენ ტექნიკური დახმარების დაპირებებით და სანაცვლოდ უზრუნველყოფენ განვითარებადი ქვეყნების მიერ მსო-ს მოლაპარაკებებში იმ საკითხების მხარდაჭერას, რომლებიც მათი ინტერესის სფეროშია.²⁷⁴ არსებობს მაგალითები ამ არგუმენტის გასამყარებლად. მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების აღსრულება განვითარებადი ქვეყნებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით კი იმ ფორმით, როგორც ამას განვითარებული ქვეყნები ითხოვენ; მიუხედავად ამისა, ბედის ირონიით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (“World Intellectual Property Organization” ან “WIPO”) იყო პირველი ორგანიზაცია, რომელთანაც მსო-მ ხელი მოაწერა “თანამშრომლობის შეთანხმებას” ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის თაობაზე.²⁷⁵ გარდა ამისა, 2003 წლის კანკუნის მინისტრიალის შეხვედრამდე, მსო-ს სამდივნოსთვის მიწოდებული TRTA/TRCB ინიციატივების დიდი უმრავლესობა, ეხებოდა ე.წ. „სინგაპურის საკითხებს“ (კონკურენციის პოლიტიკა, ინვესტიციები, გამჭვირვალობა

²⁷³ იხ. იქვე, გვ. 670; Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, 89-90.

²⁷⁴ Shaffer, Gregory C. ‘Can WTO Technical Assistance and Capacity Building Serve Developing Countries?’ *Wisconsin International Law Journal* 23, 2005, p. 659. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.653842>.

²⁷⁵ World Trade Organization [WTO], ‘A New Strategy for WTO Technical Cooperation: Technical Cooperation for Capacity Building, Growth and Integration - Note by the Secretariat,’ (WT/COMTD/W/90, 21 September 2001), p. 3.

სახელმწიფო შესყიდვებში და ვაჭრობის ხელშეწყობა); აღნიშნული საკითხები კი წარმოადგენდნენ ევროკავშირის მთავარი მოთხოვნებს.²⁷⁶

გ) განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობების აღმოფხვრის შესაძლო ინიციატივები

წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის სანაცვლოდ, განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მოითხოვონ ტექნიკური დახმარების ინიციატივების გაუმჯობესება; შესაძლო ინიციატივებიდან რამდენიმე შემოთავაზებულია წინამდებარე დისერტაციაში. მსო-ს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, 2020-2021 წლების ტექნიკური დახმარების მიზანი იყო ვაჭრობის შესაძლებლობების გაძლიერება შემდეგ სფეროებში:

- სავაჭრო პოლიტიკის ფორმულირება და იმპლემენტაცია;
- მსო-ს ვალდებულებებთან შესაბამისობა;
- მსო-ს უფლებების განხორციელება და
- მსო-სთან დაკავშირებული სავაჭრო მოლაპარაკებები.²⁷⁷

წინამდებარე დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ არცერთი ზემოაღნიშნული მიზანი, მათ შორის სავაჭრო პოლიტიკის ფორმულირება და მისი იმპლემენტაცია, არ უწყობს ხელს განვითარებადი ქვეყნების მიერ მათი სავაჭრო მიზნების განსაზღვრას. მაგალითად, პოლიტიკის ფორმულირება გულისხმობს ეფექტური და მისაღები ქმედებების ერთობლიობის შემუშავებას, რომელიც ეხმიანება უკვე გაწერილი

²⁷⁶ ICTSD Doha Round Briefing Series, 'Technical Assistance and Capacity-building,' 2003, retrieved from <https://www.iisd.org/system/files/publications/wto_doha_tech_assist.pdf> [25.04.2022]; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 90.

²⁷⁷ World Trade Organization, 'WTO technical assistance and training,' retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/teccop_e/tct_e.htm#:~:text=WTO%20technical%20assistance%20and%20training,more%20effectively%20in%20global%20trade> [25.04.2022]; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 90.

პოლიტიკის დღის წესრიგის მიზნებს.²⁷⁸ თუმცა, განვითარებადი ქვეყნების წინაშე არსებული პრობლემა სწორედ იმის დადგენაში მდგომარეობს, თუ რა უნდა იყოს მათი პოლიტიკის დღის წესრიგი, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ადეკვატურად ასახავდა. აქედან გამომდინარე, დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ მსო-ს ფარგლებში არსებული ე.წ. შესაძლებლობების განვითარების ინიციატივების ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვის თავიანთი სავაჭრო მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრაში დახმარება, მათი მიზნების ინტეგრირება შიდა მარეგულირებელ პოლიტიკასა და განვითარების გეგმებში, საერთაშორისო დონეზე მათი მიზნების იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ამ გზით TRTA/TRCB ინიციატივები უფრო მეტად ასახავენ ბენეფიციარების ინტერესებს და მხოლოდ დონორების პრიორიტეტების ასახვაზე არ იქნებიან ორიენტირებული. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ყველა განვითარებადი წევრი ქვეყნის საჭიროებებს ინდივიდუალურად მივუდგეთ, საჭიროა დაინერგოს ე.წ. იმპლემენტაციის საჭიროებების შეფასებისა („Implementation Needs Assessment“) და იმპლემენტაციის შემდგომი გავლენის შეფასების („Post-implementation Impact Evaluation“) სისტემა. უფრო კონკრეტულად, ე.წ. იმპლემენტაციის საჭიროებების შეფასება უზრუნველყოფს, რომ TRTA/TRCB დონორები თავიანთ ინიციატივებს მოარგებენ ბენეფიციარების მიერ იდენტიფიცირებულ სავაჭრო თუ განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს; იმპლემენტაციის შემდგომი გავლენის შეფასება კი უნდა ასახავდეს, რამდენად ეფექტურად მიესადაგებოდა TRTA/TRCB ინიციატივები ბენეფიციარი ქვეყნების განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.²⁷⁹ თუკი TRTA/TRCB პროგრამები ადეკვატურად არ პასუხობენ განვითარებადი წევრი ქვეყნების საჭიროებებს, ე.წ.

²⁷⁸ Defining Policy Formulation, retrieved from <<http://profwork.org/pp/formulate/define.html#:~:text=Definition%20of%20Policy%20Formulation,placed%20on%20the%20policy%20agenda>> [25.04.2022].

²⁷⁹ Shaffer, Gregory C. 'Can WTO Technical Assistance and Capacity Building Serve Developing Countries?' *Wisconsin International Law Journal* 23, 2005, p. 666. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.653842>.

იმპლემენტაციის შემდგომი გავლენის შეფასების სისტემა დამატებით უზრუნველყოფს, რომ მოხდეს შესაბამისი ცვლილებები და სამომავლოდ TRTA/TRCB ინიციატივები უფრო მეტად პასუხობდნენ ბენეფიციარების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.²⁸⁰

პრობლემურია TRTA/TRCB ინიციატივების ბენეფიციართა ჯგუფის განსაზღვრაც. ქვეყნის განვითარების პოლიტიკა და მიზნები უფრო მრავლისმომცველი და ადეკვატურად განსაზღვრული იქნებოდა, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს რომ დაეარსებინათ საკოორდინაციო მექანიზმი, სადაც ქვეყნის ეკონომიკური საჭიროებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით ჩართული იქნებოდნენ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები; აღნიშნული უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებას და ეფექტურ წარმოდგენას სავაჭრო მოლაპარაკებებების ეტაპზე.²⁸¹ შესაბამისად, ვაჭრობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერება პოტენციურად უფრო ეფექტური იქნებოდა, ის რომ პასუხობდეს კერძო სექტორის, აკადემიკოსებისა და სხვა სამოქალაქო აქტორების მოთხოვნებს და ინტერესებს.²⁸² საგულისხმოა, რომ მსო-ს ვებგვერდზე არსებული 2020-2021 წლების ტექნიკური დახმარების მიზნები, ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ეხმიანებოდა; კერძოდ, დახმარების პაკეტი მიზნად ისახავდა, *inter alia*, ტექნიკური დახმარება მიეწოდებინათ მთავრობის წარმომადგენლებისთვის, პარლამენტის წევრებისთვის, ჟურნალისტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის,

²⁸⁰ Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, pp. 90-91.

²⁸¹ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 5.

²⁸² Shaffer, Gregory C. 'Can WTO Technical Assistance and Capacity Building Serve Developing Countries?' *Wisconsin International Law Journal* 23, 2005, p. 671. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.653842>.

სტუდენტებისთვის, აკადემიური დაწესებულებებისთვის და ა.შ.²⁸³ თუმცა, თუ გადავხედავთ 2020 წლის ტექნიკური დახმარების არქივს, აშკარა ხდება, რომ დახმარების პაკეტის აქტივობების აბსოლუტური უმრავლესობა განკუთვნილია მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის; ის აქტივობები, რომლებიც განკუთვნილია ჟურნალისტებისთვისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მიზნად ისახავენ მსო-ს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ნაკლებად ემსახურებიან სტრატეგიული ეროვნული განვითარების პოლიტიკისა და პრიორიტეტების გამოვლენას.²⁸⁴ ამის გათვალისწინებით, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ საჭიროა რესურსები გამოიყოს განვითარებად ქვეყნებში, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციური კავშირებისა და ტრენინგ პროგრამების დახმარებით, ასევე სამთავრობო უწყებებისა და ადგილობრივი აქტორების ჩართულობით ეროვნული ექსპერტების ჯგუფის შექმნას.²⁸⁵

და ბოლოს, კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ქვეყნის სტრატეგიული ეროვნული განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ასევე პრიორიტეტებისა და მოლაპარაკების დროს ქვეყნის ინტერესების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, არის ის გარემოება, რომ აღნიშნული შესაძლოა გახდეს განვითარებადი ქვეყნის კოალიციებში ჩართვის საფუძველი მოლაპარაკებების გუნდურად წარმოების მიზნით; კოალიციებში ჩართვა კი დიდი ალბათობით გააუმჯობესებს განვითარებადი ქვეყნების მოლაპარაკებების წარმოების პოტენციალს.²⁸⁶ მართლაც,

²⁸³ იხ. World Trade Organization, 'WTO technical assistance and training,' retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/teccop_e/tct_e.htm#:~:text=WTO%20technical%20assistance%20and%20training,more%20effectively%20in%20global%20trade> [25.04.2022].

²⁸⁴ იხ. იქვე.

²⁸⁵ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 19; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 91

²⁸⁶ South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4, 2004, p. 18; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 92.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა სიდიდით პატარაა. ამრიგად, მოლაპარაკებების წარმოებისას მსო-ს სისტემაში არსებული ძალაუფლების დისბალანსის გამო, ნაკლებსავარაუდოა ამ ქვეყნებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად მოახერხონ თავიანთი ინტერესების დაცვა და გატარება. შესაბამისად, ვეთანხმები სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც განვითარებული წევრი ქვეყნების დელეგაციებთან სავაჭრო მოლაპარაკებების დაიწყებამდე, განვითარებადმა ქვეყნებმა მეტი ძალისხმევა უნდა ჩადონ არა მარტო რეგიონალური ჯგუფების, არამედ კონკრეტულ საკითხებზე დაფუძნებული ალიანსებისა და კოალიციების ჩამოყალიბებაში.²⁸⁷

მსო-ში ჯგუფურად მოლაპარაკებების წარმოება როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების მიერ აპრობირებული მეთოდია. განვითარებადი ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობები მოლაპარაკებების წარმოებისას კოალიციების ჩამოყალიბებას საერთაშორისო მოლაპარაკებების აუცილებელ ინსტრუმენტად აქცევს, რადგან ამ გზით მათ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მოლაპარაკებებში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რამდენიმე სახის გაერთიანება/ჯგუფი ოპერირებს. ფართო კატეგორიებად თუ მოვახდენთ მათ დაყოფას, გვხვდება რეგიონალური ჯგუფები - მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (“Association of Southeast Asian Nations” ან „ASEAN“), რომელიც მსო-ს წევრი რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის ერთობლივი წარმატებული საქმიანობის მაგალითია; ასევე, არსებობენ ჯგუფები, რომელთა იდენტიფიცირებაც საერთაშორისო რეჟიმიდან გამომდინარე ხდება - მაგალითად, გაეროს მიერ იდენტიფიცირებული ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფი. და ბოლოს, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ყალიბდებიან საერთო

²⁸⁷ Bernal Luisa E. et al., ‘South-South Cooperation in the Multilateral Trading System: Cancun and Beyond,’ South Centre TRADE Working Paper No. 21, 2004, pp. 29-30; Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 92.

ინტერესიდან გამომდინარე კონკრეტული საკითხის გარშემო (მაგალითად, ე.წ. Cairns Group, იგივე ქერნის ჯგუფი) და განსხვავდებიან ერთმანეთისგან არსებობის ხანგრძლივობით ან/და ფორმალურობის ხარისხით.²⁸⁸

წინამდებარე დისერტაციის თემას არ წარმოადგენს იმის განხილვა, თუ რომელი კოალიციის ტიპი - ფორმალური თუ არაფორმალური - უნდა აირჩიონ განვითარებადმა ქვეყნებმა იმისათვის, რომ წარმატებულად მოახერხონ მოლაპარაკებების წარმართვა მსო-ში, ამდენად, ჩვენ მას ვრცლად არ შევხებით; უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ თითოეულ ტიპს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, არაფორმალური გაერთიანებების დადებითი მხარეა ნაკლები დანახარჯი და მოლაპარაკებების მოქნილობა, თუმცა უარყოფით მხარედ მიიჩნევა მენეჯმენტის შესაძლო პრობლემები.²⁸⁹ რაც შეეხება ფორმალურ გაერთიანებებს, ამგვარი დაჯგუფების უარყოფით მხარედ ითვლება მისი ორგანიზებისა და შენახვის მაღალი ხარჯები. ამის მიუხედავად, რაიმე საკითხთან დაკავშირებით გრძელვადიანი თანამშრომლობის საჭიროების შემთხვევაში ითვლება, რომ ფორმალური გაერთიანების შექმნა უფრო პროდუქტიულია, ვიდრე არაფორმალურის.²⁹⁰

თითოეული კოალიციის ტიპი შეიძლება იყოს ეფექტური ან არაეფექტური; ეს დამოკიდებულია კონკრეტული საკითხის გარემოებებზე.²⁹¹ ჩვენთვის მთავარია ის ფაქტი, რომ ისტორიულად არსებობენ წარმატებული კოალიციები, რომლებიც ძირითადად, განვითარებადი ქვეყნებით იყო დაკომპლექტებული. მაგალითად, Cairns Group შედგებოდა 18 წევრი ქვეყნისგან, რომელთაგან 14 - განვითარებადი

²⁸⁸ Drahos, Peter. 'When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,' *International Negotiation* 8, no. 1, 2003, p. 14. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 53.

²⁸⁹ Drahos, Peter. 'When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,' *International Negotiation* 8, no. 1, 2003, p. 33. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>.

²⁹⁰ იხ. იქვე, გვ. 19.

²⁹¹ საკითხით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ იხ.: Narlikar, Amrita. *International Trade and Developing Countries: Bargaining Coalitions in the GATT&WTO*. London/New York: Routledge, 2003, p. 256.

სტატუსის მქონე იყო. ეს კოალიცია შეიქმნა ევროკავშირისა და აშშ-ს საპირწონედ და მიზნად ისახავდა ურუგვაის რაუნდის მსვლელობისას სასოფლო-სამეურნეო სექტორის რეფორმის საკითხისთვის პრიორიტეტულობის მინიჭების უზრუნველყოფას.²⁹² Cairns Group-ის კოალიცია წარმოადგენს იმის მაგალითს, რომ შედარებით ”სუსტი“ ქვეყნების კოლექტიური მოქმედება შესაძლებელია პროდუქტიული იყოს.²⁹³

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ე.წ. ვაჭრობის ძალის საკითხი არ უნდა გახდეს ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის ხელისშემშლელი ფაქტორი, რადგან მოლაპარაკებებში განვითარებული ქვეყნების უპირატესი პოზიციის დაბალანსება შესაძლებელია განვითარებადი ქვეყნების მიერ ფორმალური თუ არაფორმალური კოალიციების შექმნით. ამასთან ერთად ვფიქრობ, რომ განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად დიფერენცირება შესაძლოა, დადებითი მოვლენაც კი იყოს კოალიციების შექმნის კუთხით, რადგან ყოველი ახალი მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების დროს ადვილად მოხდება პოტენციური კოალიციის წევრების ამოცნობა მათი საერთო ინტერესებისა და პოზიციის გათვალისწინებით.²⁹⁴ აქედან გამომდინარე, არ ვეთანხმები იუსტ პაუველინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განვითარებული ქვეყნების „დაშალე და იბატონე“ სტრატეგიის ნაცვლად, შესაძლოა ღარიბი განვითარებადი ქვეყნებისთვის უპრიანი იყოს მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების გვერდით ყოფნა.²⁹⁵ ვფიქრობ, საქართველოსნაირი ღარიბი და პატარა ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, „აღმოაჩინოს“ საერთო ინტერესების მქონე ქვეყნები კონკრეტულ საკითხებში მათი განვითარების დონის მიუხედავად. საერთო

²⁹² Drahos, Peter. ‘When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,’ *International Negotiation* 8, no. 1, 2003, p. 18. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>.

²⁹³ Nachkebia, Lara. ‘Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?’ *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 53

²⁹⁴ იბ. იქვე, გვ. 53-54.

²⁹⁵ Pauwelyn, Joost. ‘The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,’ *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, p. 35.

ინტერესების ირგვლივ გაერთიანებების შექმნა კი, უზრუნველყოფს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არა მხოლოდ დიდი ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების, არამედ, რიგ შემთხვევებში, განვითარებული ქვეყნების გაწევრიანებასაც კი. მაგალითად, Cairns Group-ის გაერთიანების წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ავსტრალიამ, რომლის ინტერესიც სასოფლო-სამეურნეო საკითხებში განვითარებადი ქვეყნების ინტერესს დაემთხვა.²⁹⁶

ექვგარეშეა, რომ საერთო პოზიციების შემუშავება და ჩამოყალიბება განვითარებადი ქვეყნების მხრიდან საჭიროებს მნიშვნელოვან რესურსებსა და პოლიტიკურ ნებას. აღნიშნულმა განვითარებადმა ქვეყნებმა იმგვარი კოორდინაციის მექანიზმი უნდა დაანერგონ, რომელიც უზრუნველყოფს მსო-ს განვითარებადი წევრი ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებსა და ალიანსებს შორის რეგულარულ ინტერაქციას/ურთიერთობას. აღნიშნული კოოპერაცია და რეგულარული დისკუსიები მნიშვნელოვანია, რადგან ეს ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომების ერთმანეთთან დაახლოებას, ამაღლებს ცნობიერებას მათი ინდივიდუალური პოზიციების და მოლაპარაკებების დროს მათი კოლექტიური მიზნების შესახებ, ასევე იმ დათმობებისა და კომპრომისების შესახებ, რაზეც ისინი კოლექტიურად შეიძლება წავიდნენ.²⁹⁷ ამ გადმოსახედიდან, წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის სანაცვლოდ, განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა მოითხოვონ ისეთი ტექნიკური დახმარების პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამგვარ კოორდინაციას.

დასასრულს, სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში მოლაპარაკების წარმოებისას წევრი ქვეყნების ძალთა დისბალანსის პრობლემის ერთ-ერთი გადაწყვეტის გზად განიხილება მსო-ს ინსტიტუციური დიზაინის გაუმჯობესებაზე მუშაობა.²⁹⁸ მიმაჩნია, რომ ეს ოფცია მიზანშეწონილი არ

²⁹⁶ Drahos, Peter. 'When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,' *International Negotiation* 8, no. 1, 2003, p. 18. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>.

²⁹⁷ იხ. იქვე.

²⁹⁸ იხ. იქვე, გვ. 5.

არის და აღნიშნულთან დაკავშირებით სავსებით გავიზიარებდი პიტერ დრაჰოსის შეხედულებას, რომლის თანახმად, მოლაპარაკებების რაიმე სახით შეზღუდვამ შესაძლოა დაასუსტოს მსო-ს, როგორც მოლაპარაკებების წარმოების ფორუმის ფუნქცია იმდენად, რომ ორმხრივ ან რეგიონალურ ფორუმებზე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი გახადოს.²⁹⁹ აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, უფრო ოპტიმალური და, რაც მთავარია, რეალურად არსებული გამოსავალი იქნებოდა, რომ განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირების სანაცვლოდ, მსო-მ და შესაძლო დონორმა ქვეყნებმა დაადასტურონ მზადყოფნა, რომ ისინი გაუწევენ მნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებას იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ამას საჭიროებენ თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე. ამგვარი კომპრომისი პოტენციურად დიდი სარგებლის მომტანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებში განვითარებადი ქვეყნების რეალური საჭიროებების გათვალისწინება, ამ შემთხვევაში ტექნიკური დახმარების მუხლების მეშვეობით, წაახალისებს და გააუმჯობესებს მოლაპარაკებებში მათი ეფექტური ჩართულობის შესაძლებლობებს.

დასკვნის სახით, კითხვაზე - უნდა გახდეს თუ არა მოლაპარაკებებში განვითარებადი ქვეყნების სუსტი პოზიცია და მწირი ქმედითუნარიანობა ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის განვითარებაზე უარის თქმის საფუძველი - ჩემი აზრით, პასუხი უნდა იყოს - არა! ფაქტია, რომ რეფორმის განუხორციელებლად განვითარებადი ქვეყნები არამომგებიან ვითარებაში იმყოფებიან და მოლაპარაკების უპირატესი პოზიცია განვითარებულ ქვეყნებს აქვთ. შესაბამისად, მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების მიერ სტატუს კვოზე აპელირების ნაცვლად, მათ შეუძლიათ აღნიშნული სიტუაცია სათავისოდ გამოიყენონ და კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ მოითხოვონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იმგვარი

²⁹⁹ იხ. იქვე.

დახვეწა, რომ უფრო მეტი ტექნიკური დახმარება მიიღონ მოლაპარაკებებისა და გაერთიანებების შექმნის პროცესში.

2.2.6. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების აღსრულების არგუმენტი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დღევანდელი სისტემა კრიტიკის ობიექტი ხდება იმ მიზეზითაც, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების უმეტესი ნაწილი სამართლებრივად არააღსრულებადია. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ტიპოლოგიისა და მათი უმეტესობის სამართლებრივად არააღსრულებადობის პრობლემა ერთ-ერთ აქტუალურ და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს სამეცნიერო ლიერატურაში და ამ საკითხს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს ისეთმა მკვლევრებმა, როგორცაა ედვინი ქესი, იონგ-შიქ ლი, დონატელა ალესანდრინი, ფრენკ გარსია, სონია როლანდი, ვინეტ ჰეგდე და იან ვოუტერსი და სხვ.³⁰⁰ იმის გასაგებად, სამართლებრივად აღსრულებადია თუ არა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლი, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ორ კითხვას: შეუძლიათ თუ არა განვითარებად ქვეყნებს, აიძულონ განვითარებული ქვეყნები, მოახდინონ მათ სასარგებლოდ გარკვეული ღონისძიებების გატარება ან შეუძლიათ თუ არა განვითარებად ქვეყნებს დაეყრდნონ სპეციალური და

³⁰⁰ ob. Kessie, Edwini. 'The Legal Status of Special and Differential Treatment Provisions under the WTO Agreements' in George A. Bermann and Petros C. Mavroidis (eds.), *WTO Law and Developing Countries*. Cambridge: Cambridge University Press, 2010, pp. 23-34; Lee, Yong-Shik. *Reclaiming Development in the World Trading System*. 1st ed., Cmbridge: Cambridge University Press, 2009, p. 39; Alessandrini, Donatella. *Developing countries and the multilateral trade regime: the failure and promise of the WTOs' development mission*. Hart Publishing, 2010, p. 174; Garcia, Frank J. 'Beyond Special and Differential Treatment,' *Boston College International and Comparative Law Review* 27, no. 2, 2004, pp. 291-317, 310-311; Rolland, Sonia E. *Development at the WTO*. Oxford: Oxford University Press, 2012, pp. 109-138; Hegde Vineet and Wouters Jan. 'Special and Differential Treatment under the World Trade Organization: A Legal Typology,' Working Paper No. 227, 2020.

განსხვავებული მოპყრობის მუხლებს, როდესაც ახორციელებენ მსო-ს სამართალთან შეუსაბამო ღონისძიებას.³⁰¹

იმის დადგენას, სამართლებრივად აღსრულებადია თუ არა კონკრეტული მუხლი, ხელს უშლის განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების წარმოდგენები თავად სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლის მიზნებზე და, ასევე, ამ მუხლების ენა. სავალდებულო და არასავალდებულო მუხლების კლასიფიცირება რამდენიმეჯერ მოახდინა მსო-ს სამდივნომ. სამდივნოს 2001 წლის ანგარიშის თანახმად, თუკი მუხლი ფორმულირებულია სიტყვით “should” („უნდა“), მაშინ იგი მიიჩნევა არასავალდებულოდ, ხოლო თუკი ფორმულირებულია სიტყვით “shall” („უნდა“) - სავალდებულოდ მიიჩნევა.³⁰² მართალია, ქართულ ენაზე ორივე სიტყვა ითარგმნება, როგორც „უნდა“, თუმცა კონტექსტის მიხედვით, როგორც წესი, “shall” წარმოშობს ვალდებულებებს. კერძოდ, “shall“-ის მნიშვნელობა, როგორც წესი, მიუთითებს ვალდებულების იურიდიულად სავალდებულო ხასიათზე, რადგან იგი ასახავს ბრძანებას ან მიმართულებას.³⁰³ აღნიშნული განმარტება თანხვედრშია მსო-ს სასამართლო პრაქტიკასთანაც - *EC – Sardines*-ის საქმეში პანელმა განაცხადა, რომ სიტყვა „shall“ აღნიშნავს სავალდებულო მოთხოვნას და არა უბრალო წახალისებას.³⁰⁴ მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ ის მუხლებიც, რომლებიც ფორმულირებულია სიტყვით “shall” და თეორიულად სავალდებულოდ ითვლება, შესაძლოა მათი იმპლემენტაციის შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე პრაქტიკაში სავალდებულო არ იყოს. შესაბამისად, სამდივნოს

³⁰¹ Kessie, Edwini. ‘Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,’ *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000, p. 957.

³⁰² იხ. World Trade Organization [WTO], 2001a: Implementation of Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions. Mandatory and Non-Mandatory Special and Differential Treatment Provisions, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.1, 21 December 2001)

³⁰³ Merriam Webster Dictionary, ‘Shall’, <<https://www.merriam-webster.com/dictionary/shall>> [09.01.2022]

³⁰⁴ *European Communities – Trade Description of Sardines*, Panel Report (WT/DS231/R and Corr.1, 23 October 2002), para. 7.110.

განცხადებით, „სავალდებულო მუხლები შესაძლოა საერთოდ არ აღმოჩნდეს ეფექტური.“³⁰⁵

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ არათანმიმდევრულია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ჩანაწერებში გამოყენებული ენა, საინტერესოა ვნახოთ სიტყვა „Should“-ის ინტერპრეტაციის მაგალითები მსო-ს ხელშეკრულებებში. განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, იგი „მიზანშეწონილობის“ ვალდებულებას გამოხატავს³⁰⁶ და ბუნებით დისკრეციულია. თუმცა, მსო-ს ხელშეკრულებებში გვხვდება გარკვეული დებულებები, რომლებიც არ მიუთითებენ „Should“-ის დისკრეციულ ხასიათზე. კერძოდ, მუხლის განმარტებისას სიტყვა „Should“ იძენს სავალდებულო ხასიათს, თუკი მუხლი აღწერს/ითვალისწინებს კონკრეტულ ქმედებას.³⁰⁷ გარდა ამისა, *Canada – Aircraft*-ის საქმეში სააპელაციო ორგანომ დაადგინა, რომ სიტყვა „Should“, როგორც წესი, გამოიყენება პრეფერენციის გამოსახატავად, თუმცა ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მოვალეობის გამოხატვის მიზნითაც.³⁰⁸

მსო-ს ხელშეკრულებებში ასევე გვხვდება დებულებები, რომლებშიც გამოიყენება სიტყვა “Recognize” („აღიარებს“). მიიჩნევა, რომ სიტყვა “Recognize” არ მიუთითებს რაიმე სამართლებრივ ვალდებულებაზე და მხოლოდ ე.წ. საუკეთესო მცდელობის დებულებებში გვხვდება. მაგალითისთვის, *Japan – Alcoholic Beverages II* საქმეში პანელმა განაცხადა, რომ GATT-ის III:1 მუხლში სიტყვა “Recognize” უნდა აღვიქვათ როგორც ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპი და არა სამართლებრივი

³⁰⁵ იხ. World Trade Organization [WTO], 2002: Non-Mandatory Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.3, 4 February 2002); Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 87.

³⁰⁶ Merriam Webster Dictionary, ‘Should’, <<https://www.merriam-webster.com/dictionary/should>> [09.01.2022]

³⁰⁷ *European Communities – Anti-Dumping Duties on Imports of Cotton-Type Bed Linen from India – Recourse to Article 21.5 of the DSU by India*, Panel Report (WT/DS141/RW, 24 April 2003), para. 6.267.

³⁰⁸ *Canada – Measures Affecting the Export of Civilian Aircraft*, Appellate Body Report, (WT/DS70/AB/R, 20 August 1999), para. 187.

ვალდებულება.³⁰⁹ საინტერესოა სიტყვა “May”-ს („შეიძლება/შესაძლოა“) განმარტებაც ხელშეკრულებების დებულებებში. აღნიშნული სიტყვა ხაზს უსვამს ნორმის ადრესატის პრივილეგიას. მაგალითად, *EC – Tariff Preferences*-ის საქმეში პანელმა განმარტა, რომ ე.წ. enabling clause-ის მუხლის პირველ პარაგრაფში გამოყენებული სიტყვა “May” არ გულისხმობს, რომ ევროკავშირს ავტომატურად ჰქონდა ინდოეთისთვის პრივილეგიების მინიჭების ვალდებულება თავისი GSP პროგრამის ფარგლებში.³¹⁰

ენობრივი პერსპექტივის გარდა, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ეფექტურობას დამატებით განაპირობებს განსხვავება „შედეგის ვალდებულებასა“ („obligations of result“) და „ქმედების ვალდებულებას“ („obligations of means“) შორის.³¹¹ შედეგის ვალდებულების დროს მთავარია შედეგის დადგომა; ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, რა ღონისძიებით მიიღწევა ეს შედეგი, მაშინ როდესაც ქმედების ვალდებულების დროს კონკრეტული მიზანი დასახული არ არის. მიიჩნევა, რომ ქმედების ვალდებულებას სავალდებულო ხასიათი ნაკლებად აქვს.³¹² აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ვინეტ ჰეგდესა და იან ვოუტერსის ემპირიული კვლევა, რომლის თანახმადაც მსო-ს ხელშეკრულებებში დღეს არსებული 227 სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის დებულებიდან, განვითარებული ქვეყნებისთვის სამართლებრივად მბოჭავია სულ 98 ვალდებულება. ამ 98 ვალდებულებიდან 51 წარმოადგენს „ქმედების ვალდებულების“ დებულებას, ხოლო 47 - შედეგის ვალდებულების დებულებებს. შესაბამისად, მსო-ს ხელშეკრულებებში დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული

³⁰⁹ *Japan – Taxes on Alcoholic Beverages*, Panel Report (WT/DS8/R, WT/DS10/R, WT/DS11/R, 1 November 1996), para. 6.12.

³¹⁰ *European Communities – Conditions for the Granting of Tariff Preferences to Developing Countries*, Appellate Body Report, (WT/DS246/AB/R, 20 April 2004), para. 7.38.

³¹¹ *ib. World Trade Organization [WTO], 2001b: Implementation of Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions. A Review of Mandatory Special and Differential Treatment Provisions*, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.2, 21 December 2001).

³¹² Fritz, Thomas. ‘Special and Differential Treatment for Developing Countries,’ *Global Issue Paper*, No. 18, 2005, p. 13.

მოპყრობის მუხლების მხოლოდ 21% (47 მუხლი 227-დან) ავალდებულებს განვითარებულ ქვეყნებს, რომ მართლაც განსხვავებულად მოეპყრან ისინი განვითარებად ქვეყნებს.³¹³ დანარჩენი დებულებები კი დასახულ მიზანს ვერ აღწევენ.

ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში გავრცელებული აზრით, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არაზუსტი და ბუნდოვანი ჩანაწერის გამო, მათი უმეტესობა წარმოადგენს ე.წ. „საუკეთესო მცდელობის ვალდებულებებს“ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, სამართლებრივად მზოჭავ მოვალეობებს.³¹⁴ ამ აზრს ავითარებდა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის („United Nations Conference on Trade and Development“ ან „UNCTAD“) ანგარიში ჯერ კიდევ 1994 წელს.³¹⁵ სწორედ ამიტომაც იყო, რომ 2001 წლის დოჰას მინისტერიალის დეკლარაციაში იკითხება მოწოდება, რომლის თანახმადაც, მათი მიზანია გააძლიერონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები და გახადონ ისინი „ზუსტი, ეფექტური და ქმედითი.“³¹⁶ ჩანაწერის მიუხედავად, დღემდე სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები ამ სამ ელემენტსა და აღსრულების უნარს მოკლებულნი არიან.

აღნიშნული სიტუაციის აღმოსაფხვრელად, განვითარებადი ქვეყნები არაერთი წელია ითხოვენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებისთვის სამართლებრივი აღსრულების ძალის მინიჭებას, მაშინ როცა

³¹³ Hegde Vineet and Wouters Jan. ‘Special and Differential Treatment under the World Trade Organization: A Legal Typology,’ Working Paper No. 227, 2020, p. 47.

³¹⁴ Paola Conconi and Perroni Carlo. ‘Special and Differential Treatment of Developing Countries in the WTO,’ *World Trade Review* 14, no. 1, 2015, p. 84; Kessie, Edwini. ‘Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,’ *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000, p. 975.

³¹⁵ იხ. United Nations Conference on Trade and Development [UNCTAD]. ‘The Outcome of the Uruguay Round: An Initial Assessment,’ Secretariat of the United Nations Conference on Trade and Development, 1994.

³¹⁶ World Trade Organization [WTO], Doha Ministerial Declaration, (WT/MIN(01)/DEC/1, 14 November 2001), para. 44.

განვითარებული ქვეყნები ამისგან თავს იკავებენ.³¹⁷ განვითარებადი ქვეყნები თავიანთ მოთხოვნას აფუძნებენ იმ არგუმენტზე, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები მსო-ს ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია და, აქედან გამომდინარე, აღსრულებადია ისევე, როგორც სხვა მუხლები. განზრახვა ის რომ ყოფილიყო, რომ მათ არ შეექმნათ სასამართლოს განხილვას დაქვემდებარებული უფლებები, მაშინ მსო-ს ხელშეკრულებებში მათ ჩაწერას აზრი დაეკარგებოდა.³¹⁸ მეორე მხრივ, განვითარებული ქვეყნები აღნიშნავენ, რომ ის ენა, რომლითაც გაწერილია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, ცხადს ხდის, რომ ხელშეკრულების ავტორების განზრახვას არ წარმოადგენდა განვითარებადი ქვეყნებისთვის სასამართლოს განხილვას დაქვემდებარებული უფლებების მიცემა; პირიქით, ეს მუხლები ერთგვარი ალტრუიზმის გამოვლინებაა განვითარებული ქვეყნების მხრიდან და მათ არჩევანს ექვემდებარება.³¹⁹

რადგანაც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები შეძენილ პოლიტიკურ უფლებად მიიჩნევა, მათი ეფექტურობა დამოკიდებულია არა ვალდებულებების სამართლებრივ აღსრულებაზე, არამედ მთავრობების მონდომებაზე, განახორციელონ ან თავი შეიკავონ რაიმე ღონისძიების განხორციელებისგან.³²⁰ შედეგად, აღსრულების ძალის ნაკლებობის გამო, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებზე დამყარებულმა სარგებლის მიღების მოლოდინებმა არ გაამართლა.³²¹

³¹⁷ Kessie, Edwini. 'Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,' *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000, p. 957.

³¹⁸ იხ. იქვე.

³¹⁹ იხ. იქვე, გვ. 957; Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 87.

³²⁰ Mampolokeng, Monyakane. 'Special and Differential Treatment under the World Trade Organisation (WTO) with Specific Reference to the Application of the WTO Agreement on Agriculture,' Master's thesis, University of South Africa, 2005, p. 73, retrieved from <https://www.researchgate.net/> [25.04.2022]

³²¹ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 2.

სწორედ ამიტომ, საჭიროა მიდგომის შეცვლა: სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები უნდა განვიხილოთ არა შეძენილი პოლიტიკური უფლების ქრილში, არამედ როგორც ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივად მზოქავი ინსტრუმენტი კონკრეტულ სექტორებში. ცვლილებისთვის საჭიროა მსო-ს განვითარებულმა წევრებმა გაიაზრონ ის რთული და კომპლექსური ეკონომიკური ვითარება, რომელშიც განვითარებადი წევრები იმყოფებიან. თუმცა, აქვე განვითარებადმა წევრებმა (უფრო კონკრეტულად, მაღალი დონის განვითარებადმა ქვეყნებმა) უნდა შეწყვიტონ იმ ნარატივის ჯიუტად განმეორება, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობა გადახედვას არ ექვემდებარება. პირიქით, განვითარებადი ქვეყნების და განსაკუთრებით კი საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესში არ არის იმგვარი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების უპირობოდ არსებობა, რომლებსაც რეალურად მათთვის არანაირი სასიკეთო შედეგი არ მოაქვთ განვითარების კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი დონის განვითარებადი ქვეყნისთვის სასურველია, მომავალში სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება მოხდეს.³²² სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების აღსრულების პრობლემის მოგვარება კი, საბოლოო ჯამში, დაიყვანება დღევანდელი ქვეყნების კლასიფიკაციის სისტემის რეფორმაზე. აღნიშნულისთვის კი, საჭიროა მსო-ს წევრი ქვეყნების მიერ კომპრომისებზე წასვლა. შესაბამისად, ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნები უნდა დათანხმდნენ მსო-ში ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დათმობის საპირწონედ, მათ უნდა მიიღონ გარანტია იმისა, რომ მოხდება სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების

³²² Kessie, Edwini. 'Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,' *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000, p. 975.

იდენტიფიცირება და, რიგ შემთხვევებში, მუხლების ჩანაწერის გასწორება ენობრივი კუთხით.³²³

2.2.7 დავების მოგვარების სისტემაში გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემის მოგვარების არგუმენტი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავების მოგვარების სისტემა დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო, ეფექტურ დავების განმხილველ ორგანოდ საერთაშორისო არენაზე. ამის აღსანიშნავად, დარგის სპეციალისტები მას გვირგვინის ძვირფას ქვასაც უწოდებენ (“Jewel in the crown”).³²⁴ მიუხედავად ასეთი პოზიტიური შეფასებისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დღის წესრიგში აქტიურად დგას გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის რეფორმირების საკითხი.³²⁵ წინამდებარე დისერტაცია კი ავითარებს მოსაზრებას, რომ წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმამ შესაძლოა ხელი შეუწყოს დავების მოგვარების სისტემაში გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემას, რაც მომგებიანი იქნებოდა ზოგადად მსო-ს სისტემისთვის და განსაკუთრებით - საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ქვეყნებისთვის.

ა) გადაწყვეტილების აღსრულების არსებული მექანიზმები და გამოწვევები

მსო-ს დავების მოგვარების სისტემა ორსაფეხურიანია; თავდაპირველად, დავას განიხილავს ე.წ. პანელი; ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საქმე განსახილველად გადაეცემა სააპელაციო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა. მას შემდეგ, რაც დავების მოგვარების ორგანო მიიღებს პანელის ან სააპელაციო

³²³ Nachkebia, Lara. ‘Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?’ *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021, p. 88.

³²⁴ Van den Bossche, Peter and Zdouc, Werner. *The Law and Policy of the World Trade Organization – Test, Cases and Materials*. Cambridge: Cambridge University Press, 2017, pp. 102 and 294.

³²⁵ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ.170.

ორგანოს გადაწყვეტილებას, წაგებული მხარე ვალდებულია გააუქმოს ან შეცვალოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისთვის შეუსაბამო და შეუთავსებელი ღონისძიება, რომელმაც დავა წარმოშვა.³²⁶ თუკი მხარეები დავების მოგვარების ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად არ მოიქცევიან, დავების გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების 22-ე მუხლით განსაზღვრულია ორი დროებითი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის მიზანია მოპასუხის ქმედების მსო-ს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.³²⁷ ეს საშუალებებია: კომპენსაცია და წაგებული მხარისთვის სამაგიეროს მიგება/გადახდა (ე.წ. „retaliation“).³²⁸

კომპენსაცია ნებაყოფლობითი სამართლებრივი დაცვის საშუალებაა და მხარეები მის გამოყენებაზე ორმხრივად უნდა შეთანხმდნენ.³²⁹ პრაქტიკაში კომპენსაცია გვხვდება ორი ფორმით: ფინანსური კომპენსაცია და სავაჭრო კომპენსაცია, რომლის დროსაც კანონდამრღვევ მოპასუხეს, რომელიც არ აღასრულებს გადაწყვეტილებას, აქვს ვალდებულება, კომპენსაციის სახით მოსარჩელე მხარეს გაუადვილოს ბაზართან წვდომა რომელიმე სხვა სექტორში. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები კომპენსაციაზე ვერ შეთანხმდებიან, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სამაგიეროს მიგებას.³³⁰ განასხვავებენ სამაგიეროს მიგების სამ სახეს. პირველი არის ე.წ. პარალელური სამაგიეროს გადახდა („parallel retaliation“), რომელიც საშუალებას აძლევს მოსარჩელეს, სამაგიერო გადაუხადოს კანონდამრღვევ მხარეს იმ სექტორსა და იმ WTO ხელშეკრულების ფარგლებში, სადაც შეუსაბამო ღონისძიება განხორციელდა.³³¹ თუკი პარალელური სამაგიეროს

³²⁶ იხ. იქვე, გვ. 171; DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Articles 3.7, 19.1 and 1.3..

³²⁷ იხ. იქვე, მუხლი 22.

³²⁸ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ.171-172.

³²⁹ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), მუხლი 22.1.

³³⁰ იხ. იქვე, მუხლები 3.7 და 22.2.

³³¹ იხ. იქვე, მუხლი 22.3(a).

გადახდა „არაეფექტური და არაპრაქტიკული“, მაშინ დავების მოგვარების ორგანოს ავტორიზაციის შემდგომ, მხარემ შეიძლება მიმართოს ე.წ. ჯვარედინ სამაგიეროს მიგებას („cross-retaliation“), რაც გულისხმობს სამაგიეროს მიგებას სხვა სექტორში, თუმცა იგივე WTO ხელშეკრულების ფარგლებში.³³² ამ უკანასკნელის „არაეფექტურობის და არაპრაქტიკულობის“ შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს ე.წ. ჯვარედინ-ხელშეკრულებით სამაგიეროს მიგებას („cross-agreement retaliation“), რაც გულისხმობს სამაგიეროს მიგებას სხვა სექტორში და სხვა WTO ხელშეკრულების ფარგლებში.³³³ აღსანიშნავია, რომ „არაეფექტური და არაპრაქტიკული“ სამაგიეროს მიგების კონკრეტული ფორმა მაშინ ხდება, როდესაც მისი გამოყენება მოპასუხის მიერ გადაწყვეტილების აღსრულებას არ გამოიწვევს ან მოსარჩელის ეკონომიკას უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე სარგებელს.³³⁴

იმის მიუხედავად, რომ კომპენსაციაც და სამაგიეროს მიგებაც მიზნად ისახავენ დავების მოგვარების ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებას, პრაქტიკაში გარკვეული სიძნელები იკვეთება. ოპონენტების კრიტიკის თანახმად, არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება იწვევს წევრი ქვეყნების „უთანასწორო მოპყრობას.“³³⁵ კერძოდ, ორივე მექანიზმი მდიდარ და ძლიერ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ მსო-ს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ღონისძიება, რაც ღარიბ წევრ ქვეყნებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.³³⁶ ეს მოსაზრება ამყარებს შემდეგ ორ არგუმენტს:

³³² იხ. იქვე, მუხლი 22.3(b).

³³³ იხ. იქვე, მუხლი 22.3(c).

³³⁴ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 172.

³³⁵ Peter Sutherland et al., ‘The Future of the WTO: Addressing the institutional challenges in the new millennium,’ Report of the Consultative Board to the WTO Director-General Supachi Panitchpakdi, 2004, paras. 242-243.

³³⁶ იხ. იქვე.; ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 172.

- ეკონომიკურად ძლიერ წევრებს ხელეწიფებათ მოლაპარაკებების შემდეგ მოსარჩელეს გადაუხადონ კომპენსაცია და ძალაში დატოვონ მსო-ს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ღონისძიება, რომელმაც დავა წარმოშვა;
- წევრ ქვეყნებს არა აქვთ თანასწორი ძალა, გამოიყენონ სამაგიეროს მიგება, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება, რადგან ამით დიდი ეკონომიკის ქვეყნებს ისეთ ეკონომიკურ ზიანს ვერ მიაყენებენ, რომელიც მათ აიძულებს თავიანთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება მსო-ს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ.³³⁷

როდესაც ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში განსხვავების გაკეთება „მდიდარ“ და „ღარიბ“ ქვეყნებს შორის არ არის მიზანშეწონილი, რადგან ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ერთი შეხედვით „ღარიბი“ არის დაბალი მშპ ერთ სულ მოსახლეზე მონაცემებით, რეალურად დიდი საბაზრო წილის გამო მაინც წონიან მოთამაშეს წარმოადგენს სავაჭრო სივრცეში. შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ერთი მხრივ, საქართველოსნაირი „პატარა“ ეკონომიკისა და საბაზრო წილის მქონე ქვეყნები და მეორე მხრივ, “დიდი” ეკონომიკის/საბაზრო წილის მქონე ქვეყნები, რომელსაც განვითარებული ქვეყნების გარდა მიეკუთვნებიან ისეთი განვითარებადი წევრი ქვეყნებიც, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი ან რუსეთი.³³⁸

თეორიულად, ეფექტური სამაგიეროს მიგების განხორციელება სასარგებლო უნდა იყოს იმ ქვეყნისთვის, რომელიც ამ ინსტრუმენტს იყენებს და პირიქით, ზიანის მომტანი იმ ქვეყნის ეკონომიკისთვის, რომლის წინააღმდეგაც იყენებენ მას.³³⁹ შესაბამისად, პრობლემატურია ისეთი

³³⁷ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 173.

³³⁸ იხ. იქვე; Bartels, Lorand. 'Making WTO Dispute Settlement Work for African Countries: An Evaluation of Current Proposals for Reforming the DSU,' *Law and Development Review* 6, no. 2, 2013, p. 6. <https://doi.org/10.1515/ldr-2013-0020>;

³³⁹ Subramanian Arvind and Watal Jayashree. 'Can TRIPS Serve as an Enforcement Device for Developing Countries in the WTO?' *Journal of International Economic Law* 3 no. 3, 2000, pp. 405-406. <https://doi.org/10.1093/jiel/3.3.403>.

შემთხვევები, როდესაც მომჩივანის პატარა საბაზრო წილის გამო, შესაძლოა ამ უკანასკნელმა ვერ მიაყენოს სათანადო ეკონომიკური დარტყმა ეკონომიკურად ძლიერ წევრებს.³⁴⁰ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლოა აღსრულების მექანიზმმა ვერ იმუშაოს იმ შემთხვევაში, „როდესაც მომჩივან და მოპასუხე ქვეყნებს შორის დიდი ეკონომიკური განსხვავებაა ... და როდესაც მომჩივანი ქვეყანა დამოკიდებულია მოპასუხე ქვეყნის იმპორტზე.“³⁴¹ ამ შემთხვევაში, სამაგიეროს მიგება პატარა ეკონომიკას უფრო მეტად დააზარალებს, ვიდრე სარგებელს მოუტანს.³⁴² მაგ., სამაგიეროს მიგების სახით ტარიფის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ფასის გაზრდა ან პროდუქტის მარაგის შემცირება პატარა ეკონომიკის შიდა ბაზარზე.³⁴³ სანაცვლოდ, სამაგიეროს მიგების ღონისძიება თითქმის არ დააზარალებს დიდ ეკონომიკას, თუ მოსარჩელე მხარე მისი ექსპორტის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს იკავებს.³⁴⁴

აქვე ავლნიშნავთ, რომ სამაგიეროს მიგების არაეფექტურობის საკითხი აქტუალურია საქართველოსთვისაც. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დღემდე დავების მოგვარების ორგანოსთვის არ მიუმართავს, თუკი გავითვალისწინებთ უახლოეს წარსულში რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებულ ემბარგოს ღვინოსა და მინერალურ წყლებზე და შემდგომ, არაერთ მუქარას ემბარგოზე, არ არის გამორიცხული, ამის საჭიროება მომავალში დადგეს. ავიღოთ ჰიპოთეტური მაგალითი: რუსეთმა საქართველოში წარმოებულ ღვინოსა და მინერალურ წყლებს ემბარგო კვლავ

³⁴⁰ Marco Bronckers and Van Den Broek Naboth. 'Financial Compensation in the WTO: Improving the Remedies of WTO Dispute Settlement,' *Journal of International Economic Law* 9, 2006, p. 103; ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 173.

³⁴¹ *European Communities – Regime for the Importation, Sale and Distribution of Bananas*, Recourse to Article 22.6 Arbitration Report, (WT/DS27/ARB/ECU, 24 March 2000), para. 73.

³⁴² *United States – Subsidies on Upland Cotton*, Recourse to Article 22.6 Arbitration Report, (WT/DS267/ABR/1, 31 August 2009), paras. 5.77 and 5.77.

³⁴³ Mitchell Andrew D. and Salonidis Constantine. 'David's Sling: Cross-Agreement Retaliation in International Trade Disputes,' *Journal of World Trade* 45, 2011, p. 463.

³⁴⁴ Marco Bronckers and Van Den Broek Naboth. 'Financial Compensation in the WTO: Improving the Remedies of WTO Dispute Settlement,' *Journal of International Economic Law* 9, 2006, p. 303; ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 173-174.

დაუწესა, ხოლო საპასუხოდ საქართველომ სარჩელი შეიტანა მსო-ს დავების მოგვარების ორგანოში. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო დაამტკიცებს, რომ რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება მსო-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებს და, შესაბამისად, დავების მოგვარების ორგანო გადაწყვეტილებას საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანს, დღის წესრიგში დადგება გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი. თუკი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის მიერ წაგებული და დღემდე აღუსრულებელი საქმეების რაოდენობას გადავხედავთ (მათ შორის, ცნობილ საქმეს „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“),³⁴⁵ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება რუსეთის „ძლიერი მხარე“ არ არის. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, საქართველოს მომავალში ამ პრობლემასთან გამკლავება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების ორგანოშიც მოუწიოს.³⁴⁶

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დაისმის სამართლიანი კითხვა: რა სახის ბერკეტით შეიძლება აიძულონ საქართველოსნაირმა პატარა საბაზრო წილის მქონე ქვეყნებმა „დიდი“ ქვეყნები, აღასრულონ გადაწყვეტილება?! ამ კითხვას მივყავართ რეფორმის განხორციელების აუცილებლობამდე.³⁴⁷

ბ) შესაძლო რეფორმის წინადადება

სამეცნიერო წრეებში მუსირებს მოსაზრებები დავების მოგვარების სისტემაში გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემის გადაწვეტის თაობაზე. წინამდებარე დისერტაციის მიზნებიდან გამომდინარე მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ წინადადებას, რომლის თანახმადაც თუკი

³⁴⁵ იხ. *Case of Georgia v Russia (I) (Application no. 13255/07) (just satisfaction)*, Council of Europe: European Court of Human Rights, (ECLI:CE:ECHR:2019:0131JUD001325507, 31 January 2019).

³⁴⁶ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 170-171.

³⁴⁷ იხ. იქვე, გვ. 174.

ჯვარედინი სამაგიეროს მიგება ხდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების („The Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights“ ან „TRIPS“) ფარგლებში, ამ დროს შესაძლებელია ძალთა უთანასწორობის აღმოფხვრა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში.³⁴⁸

TRIPS-ის ხელშეკრულება ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტებს. ეს კი ის სფეროა, სადაც განვითარებული ქვეყნების დიდი ინტერესებია კონცენტრირებული. შესაბამისად, ივარაუდება, რომ ჯვარედინი სამაგიეროს მიგების ინსტრუმენტი განვითარებად ქვეყნებს აძლევს ბერკეტს, აიძულონ განვითარებული ქვეყნები, აღასრულონ მათ საწინააღმდეგოდ გამოტანილი გადაწყვეტილება. TRIPS-ის ხელშეკრულების ქვეშ არსებული ვალდებულებების შეჩერების ფარგლებში, მოსარჩელე მხარეს შეუძლია დიდი ეკონომიკის ქვეყანას გაუუქმოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხრით პროტექცია, მაგალითად, ფარმაცევტული ან ტექნოლოგიური ინდუსტრიის პროდუქციაზე.³⁴⁹ შედეგად, მომჩივან მხარეს შეუძლია ადგილობრივ კომპანიებს მისცეს საშუალება, აწარმოონ და გაყიდონ წამლის უპატენტო ვერსიები (ე.წ. „generic drugs“) პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე; ასევე, საავტორო უფლება შეაჩერონ ჰოლივუდურ ფილმებზე, მაიკროსოფტის კომპიუტერულ პროგრამებზე, წიგნების რეპროდუქციებზე და ა.შ.³⁵⁰ შედეგად, მომჩივანი პატარა ეკონომიკის ქვეყნისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება მედიკამენტები, განათლება, გასართობი პროდუქტები თუ საინფორმაციო სერვისები, რასაც მოცემული ქვეყნისთვის

³⁴⁸ იხ. იქვე.

³⁴⁹ იხ. იქვე; Slater, Gabriel L. ‘The Suspension of Intellectual Property Obligations under TRIPS: A Proposal for Retaliating against Technology-Exporting Countries in the World Trade Organization,’ *Georgetown Law Journal* 97, 2009, pp. 1368–1369.

³⁵⁰ Slater, Gabriel L. ‘The Suspension of Intellectual Property Obligations under TRIPS: A Proposal for Retaliating against Technology-Exporting Countries in the World Trade Organization,’ *Georgetown Law Journal* 97, 2009, pp. 1368–1369;

პოტენციურად კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.³⁵¹ ეს კი, გარკვეულწილად, დააკომპენსირებს იმ დაკარგულ სავაჭრო შესაძლებლობებს, რაც წაგებული მხარის მიერ გადაწყვეტილების აღსრულებლობამ გამოიწვია.³⁵²

ის ფაქტი, რომ, ჯვარედინი სამაგიეროს მიგებას რიგ შემთხვევებში, იძულების ეფექტი მართლაც აქვს კანონდამრღვევ ქვეყანაზე, ილუსტრირებულია მსო-ს სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითისთვის, აღსანიშნავია *US-Upland Cotton*-ის ქეისი,³⁵³ სადაც ბრაზილიამ TRIPS-ის ფარგლებში არსებული ვალდებულებების შეჩერების მუქართ აიძულა აშშ დათანხმებოდა კომპენსაციას. აქვე, მართალია, ჯერჯერობით მსო-ს სასამართლო პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ „პატარა“ ქვეყანას, სამაგიეროს მიგების მუქარის შემდგომ, მართლაც შეეჩერებინოს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის ვალდებულება, თუმცა ფაქტია, რომ ჯვარედინი სამაგიეროს მიგება გახდა ერთგვარი ინსტრუმენტი ძლიერი ქვეყნების მოლაპარაკების მაგიდასთან დასასმელად.³⁵⁴ რობერტ ჰუდეკმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „*ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მცირედი უარყოფის თუნდაც უმნიშვნელო შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს იმაზე გაცილებით მეტი პოლიტიკური დისკომფორტი, ვიდრე ჩვეულებრივმა მცირე ზომის სამაგიეროს მიგებამ სავაჭრო კუთხით.*“³⁵⁵ მართლაც, რადგანაც TRIPS-ის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერების მიზანი ძლიერი ეკონომიკური სექტორებისთვის - მედიკამენტები, გართობა, საინფორმაციო

³⁵¹ Subramanian Arvind and Watal Jayashree. ‘Can TRIPS Serve as an Enforcement Device for Developing Countries in the WTO?’ *Journal of International Economic Law* 3 no. 3, 2000, p. 405. <https://doi.org/10.1093/jiel/3.3.403>.

³⁵² ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 174-175.

³⁵³ იხ. *United States – Subsidies on Upland Cotton*, Recourse to Article 22.6 Arbitration Report, (WT/DS267/ABR/1, 31 August 2009).

³⁵⁴ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 176.

³⁵⁵ Hudec, Robert E. ‘The Adequacy of WTO Dispute Settlement Remedies’ in Bernard Hoekman, Aaditya Mattoo and Philip English (eds.), *Development, Trade, and the WTO*. Washington, D.C.: World Bank, 2002, p. 90.

ტექნოლოგიების ინდუსტრიები - ზიანის მიყენებაა,³⁵⁶ ივარაუდება, რომ ეს გავლენიანი ინდუსტრიები ქვეყნის შიგნით ლობირებას გაუწევენ მთავრობის სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებას და მოუწოდებენ კანონდამრღვევი ქვეყნის მთავრობას, დაემორჩილოს მსო-ს მოთხოვნებს.³⁵⁷ ეს კი, თავის მხრივ, უბიძგებს „ძლიერ“ ქვეყნებს, წავიდნენ მოლაპარაკებებზე.³⁵⁸

როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ მოხდეს ჯვარედინი სამაგიეროს მიგების ფარგლებში TRIPS-ის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებების შეჩერება, აუცილებელია მოსარჩელემ დაამტკიცოს ერთგვარი დათქმა, რომ პარალელური სამაგიეროს მიგება მისთვის არ არის „ეფექტური და პრაქტიკული“. რადგანაც ამკარაა ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმის მეტ-ნაკლები ეფექტურობა „პატარა“ ქვეყნებისთვის, სავსებით ვიზიარებ მოსაზრებას, რომლის თანახმად განვითარებად ქვეყნებს უნდა გაუმარტივდეთ ჯვარედინი სამაგიეროს მექანიზმზე წვდომა და მიეცეთ შესაძლებლობა, ზემოაღნიშნული დათქმის დაკმაყოფილების გარეშე მიმართონ მას.³⁵⁹ ასევე მიმაჩნია, რომ ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმზე ავტომატური წვდომა უნდა ჰქონდეს არა ყველა განვითარებადი სტატუსის მქონე წევრ ქვეყანას, არამედ მხოლოდ პატარა საბაზრო წილის მქონე განვითარებად ქვეყნებს. მართალია ამ ეტაპზე მსო-ში არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის წამყვანი მეთოდი ზოგადად საშუალებას არ იძლევა მოხდეს განვითარებადი

³⁵⁶ Spadano, Lucas. ‘Cross-Agreement Retaliation in the WTO Dispute Settlement System: An Important Enforcement Mechanism for Developing Countries?’ *World Trade Review* 7, no. 3, 2008, p. 533. <https://doi.org/10.1017/S1474745608003960>.

³⁵⁷ Subramanian Arvind and Watal Jayashree. ‘Can TRIPS Serve as an Enforcement Device for Developing Countries in the WTO?’ *Journal of International Economic Law* 3 no. 3, 2000, p. 408. <https://doi.org/10.1093/jiel/3.3.403>.

³⁵⁸ ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022, გვ. 176.

³⁵⁹ იხ. იქვე, გვ. 176-177; WTO Dispute Settlement Body, ‘DSU Negotiations: Special and Differential Treatment for Developing Countries – Proposals on DSU by Cuba, Honduras, India, Indonesia, Malaysia, Pakistan, Sri Lanka, Tanzania and Zimbabwe,’ (TN/DS/W/19, 9 October 2002).

ქვეყნების დიდი ჯგუფის უფრო მეტი დახარისხება,³⁶⁰ თუმცა, დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის ფარგლებში, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მაინც შეგვიძლია მოვახდინოთ „დიდი“ და „პატარა“ საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნების გამიჯვნა,³⁶¹ აღნიშნული კი, თავისთავად, ხელს შეუწყობს საქართველოსნაირი „პატარა“ საბაზრო წილის მქონე განვითარებად ქვეყნებს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავების მოგვარების სისტემაში დღეს არსებული აღსრულების მექანიზმების არაეფექტურობას საფუძველად უდევს წვერი ქვეყნების ასიმეტრიული ძალთა ბალანსი. არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად კი ერთ-ერთი ოპტიმალური რეფორმის გზა საქართველოსნაირი პატარა საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმზე ავტომატურ წვდომაში გამოიხატება. მართალია, შესაძლოა აღნიშნული არ იყოს საკმარისი განვითარებული ქვეყნების იძულებისთვის, ადასრულონ გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული გზით, პატარა ბაზრის მქონე განვითარებად ქვეყნებს ნამდვილად მიეცემათ ბერკეტი „დიდი“ ქვეყნები მოლაპარაკების მაგიდასთან დააბრუნონ, რაც თავისთავად, წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ.³⁶² საქართველოსნაირი პატარა საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმზე ავტომატური წვდომისთვის კი საჭიროა წვერი ქვეყნების დიფერენცირების ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხდინა „დიდი“ და „პატარა“ საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნების გამიჯვნა. სწორედ ამიტომ, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის

³⁶⁰ იხ. ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძველები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 82-98.

³⁶¹ იხ. იქვე, გვ. 177.

³⁶² იხ. იქვე, გვ. 178.

რეფორმა სასარგებლოა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან აღნიშნული რეფორმის შედეგად ეს უკანასკნელნი შეძლებენ დავების მოგვარების სისტემაში აღსრულების მექანიზმი უფრო ეფექტურად გამოიყენონ.

2.2.8. პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესების დაცვის არგუმენტი

დღესდღეობით საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების მიდგომა წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის თაობაზე გაუგებარია. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა კლარა ვაინჰარდტის 2016 წელს გამოცემული ნაშრომი, რომელიც, *inter alia*, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების 31 სავაჭრო წარმომადგენელთან და ვაჭრობის ექსპერტებთან ჩაწერილი ინტერვიუების ერთგვარ კომპილაციას მოიცავს. ნაშრომის თანახმად, პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნები ვერ ბედავენ ღიად ისაუბრონ წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის საკითხზე, ერთი მხრივ ჩინეთთან მათი ეკონომიკური დამოკიდებულების გამო (კერძოდ, ჩინეთი შესაძლოა მათ უზრუნველყოფდეს ინვესტიციებით, სესხით ან სხვაგვარი დახმარებით), ხოლო მეორე მხრივ აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გამო. შედეგად კი ვიღებთ ვითარებას, სადაც შესაძლო რეფორმის ირგვლივ დისკუსია მიმდინარეობს განვითარებულ და ე.წ. მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებს შორის, ხოლო საქართველოსნაირი პატარა განვითარებადი ქვეყნების ინტერესები იგნორირებულია.³⁶³

ჯილიან მუნი არის ერთ-ერთი იმ მკვლევართაგანი, რომელმაც გამოხატა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ მსო-ს ხელშეკრულებებში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები არ ეხმიანებიან ქვეყნების ნამდვილ სავაჭრო საჭიროებებს და ამ ქვეყნების

³⁶³ Weinhardt, Clara. 'Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,' *Global Society*, 2020, p. 16. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>

მახასიათებლებს; შესაბამისად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები არ არიან ისეთი ქმედითი და სარგებლის მომტანნი, როგორც პოტენციურად შესაძლოა ყოფილიყვნენ.³⁶⁴ აღნიშნული მოსაზრება სამართლიანადაა გამოთქმული აშშ-ს დელეგაციის 2019 წლის კომუნიკაციაშიც, რომელიც ასკვნის, რომ მარაკემის ხელშეკრულების მიზანი, რომელიც, *inter alia*, წვერი განვითარებადი ქვეყნების განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობს, არ არის მიღწეული.³⁶⁵ საყურადღებოა, რომ თავად განვითარებადი ქვეყნებიც ფიქრობენ, რომ აუცილებელია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების შესაბამისობა მათ სპეციფიურ საჭიროებებთან. ამაზე მეტყველებს აშშ-ს კომუნიკაციების საპასუხოდ რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის მიერ გაგზავნილი კომუნიკაცია, რომელშიც ხაზგასმულია განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებსა და სპეციფიკურ სირთულეებზე სათანადო რეაგირების მნიშვნელობა, რომლის გარეშე შეუძლებელია „ისინი წახალისო, რომ მიიღონ მონაწილეობა და გასწიონ კონტრიბუცია სამომავლო მოლაპარაკებებში“.³⁶⁶ აქედან გამომდინარე, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანი და ქმედითი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეფექტურად ეხმიანება განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.³⁶⁷

³⁶⁴ Moon, Gillian. 'Trade and Equality: A Relationship to Discover,' *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009, p. 636. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 90.

³⁶⁵ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 13.

³⁶⁶ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), p. 11.

³⁶⁷ Keck Alexander and Low Patrick. 'Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?' WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, p. 25.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ განვითარებადი ქვეყნების რეალური ეკონომიკური მდგომარეობის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რაც გავრცობილია დისერტაციის მესამე თავში. აღნიშნულ აზრს ავითარებს დარგის ცნობილი მკვლევარი, კონსტანტინ მიჩალოპოულოსი, რომლის თანახმადაც, სანამ განვითარებადი ქვეყნები არ დათანხმდებიან განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის უფრო მეტ დახარისხებას და განსხვავებულ მოპყრობას, მანამდე ნაკლებად უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ მოხდება ღირებული, სამართლებრივად აღსრულებადი ვალდებულებების იმპლემენტაცია განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ.³⁶⁸ დარგის კიდევ ერთი სპეციალისტის, ფენ ქუსის თქმით, განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებისთვის ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამის გარეშე ე.წ. "საუკეთესო მცდელობის" მუხლებისთვის სამართლებრივად მხოლოდ ძალის მიცემაც კი ვერ უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანას.³⁶⁹

საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეფორმის გატარება შემდეგ გარემოებაშიც ვლინდება - ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც არც ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ან განვითარებული ქვეყნების ჯგუფებს განეკუთვნებიან და არც მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნებს წარმოადგენენ, არსებული სტატუს კვოს გამო ყველაზე არასასურველ ვითარებაში იმყოფებიან. მაგალითისთვის, ასეთ განვითარებადი ქვეყნებს უწევთ კონკურენცია გაუწიონ თუნდაც ჩინეთს ისეთ სფეროებში, როგორცაა თევზეულის ექსპორტი და სოფლის მეურნეობა, სადაც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ფარგლებში

³⁶⁸ Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' World Bank Working Papers – International Economics No. 2388, 2000, p. 26.

³⁶⁹ Cui, Fan. 'Who Are the Developing Countries in the WTO,' *Law and Development Review* 1, no. 1, 2008, p. 152. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.

ჩინეთს უფლება აქვს მიიღოს შედარებით მაღალი ადგილობრივი/შიდა სუბსიდიები.³⁷⁰ ჩინეთის მიერ თავისი სოფლის მეურნეობისთვის გაწეული შიდა სუბსიდიები განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს იმ განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც კონკრეტულად იმ პროდუქციის ექსპორტირებას ახდენენ, რომლის სუბსიდიასაც ჩინეთი ახორციელებს თავის შიდა ბაზარზე; მაგალითისთვის, აფრიკის ქვეყნებისთვის ასეთი პროდუქციაა კოტონი/ბამბა, ლათინო-ამერიკული ქვეყნებისთვის - სოიო, ლაოსისთვის და ბანგლადეშისთვის - ბრინჯი და ა.შ.³⁷¹ ჩინეთის დელეგაციის განცხადებით, ჩინეთი საშინაო მხარდაჭერის პროგრამებსა და სუბსიდიებს იყენებს მხოლოდ იმ ფერმერებისთვის, რომლებიც შიდა ბაზარს ამარაგებენ. თუმცა, აქ საყურადღებოა, რომ ამგვარი „შეზღუდული“ სახის დახმარებაც კი უარყოფითად აისახება პატარა განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობაზე, რადგან ამგვარად ისინი ნაკლებად ახორციელებენ სხვა განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის იმპორტს.³⁷² საგულისხმოა, რომ კონკურენცია ჩინეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებს შორის იარსებებდა მსო-ში ჩინეთის სტატუსის მიუხედავად; თუმცა, ამ ვითარებაში მთავარი ის ფაქტორია, რომ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი ჩინეთს აძლევს მეტ თავისუფლებას გაიღოს მეტი მხარდაჭერა/სუბსიდია შიდა ბაზრისთვის, რაც ავტომატურად ცუდ მდგომარეობაში აგდებს ჩინეთის კონკურენტ იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც ამგვარი შიდა მხარდაჭერის გაღების რესურსი არ გააჩნიათ.³⁷³

მსგავსი სურათი იხატება მეთევზეობაზე მოლაპარაკებების ფარგლებშიც. ევროკავშირთან და იაპონიასთან ერთად ჩინეთი თევზეულის სუბსიდიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმწოდებელია.³⁷⁴ აღნიშნული

³⁷⁰ Weinhardt, Clara. 'Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,' *Global Society*, 2020, p. 17. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>.

³⁷¹ იხ. იქვე, გვ. 18.

³⁷² იხ. იქვე.

³⁷³ იხ. იქვე.

³⁷⁴ მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Mallory Tabitha Grace, Hao Chen and Danyan Leng. 'China's Financing and Subsidization of Capture Fisheries,' *Oceana Report*, 2021, retrieved

სუბსიდიების გასამართლებლად ჩინეთი აქტიურად მიუთითებს მისი განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე და იმ სპეციალურ უფლებებზე, რაც ამ სტატუსიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, ჩინეთის დელეგაციის მოსაზრებით, ყველაზე ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნები ერთნაირი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობით უნდა სარგებლობდნენ.³⁷⁵ ამ მოთხოვნის საფუძველად ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი და მექსიკა თავიანთ 2010 წლის კომუნიკაციაში მიუთითებენ იმ გარემოებას, რომ თევზჭერას და, შესაბამისად, თევზჭერის სუბსიდიებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში - კერძოდ, სიღარიბის შემცირების და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების კუთხით.³⁷⁶

მაშინ როცა ჩინეთის, ინდოეთის და მექსიკის მსგავსი მოწინავე განვითარებადი ქვეყნებისთვის ზემოაღნიშნული მიდგომა სასარგებლოა, იგი მიუღებელია პატარა ბაზრის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც დიდი კონკურენციის გაწევა უწევთ აღნიშნული ქვეყნების ფლოტებთან. შესაბამისად, ჩინეთის პოზიციით, რომელიც ითვლისწინებს მისთვის განვითარებადი სტატუსიდან გამომდინარე პრივილეგიის მიღებას, სარგებლობენ მხოლოდ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც ჩინეთის ეკონომიკური ინტერესების მსგავსი ინტერესები აქვთ.³⁷⁷ სამწუხაროდ, საქართველოს და საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ქვეყნების უმეტესობის ინტერესები ჩინეთისას არ ემთხვევა.

from: <<https://oceana.org/reports/chinas-fisheries-subsidies-propel-distant-water-fleet/>> [25.04.2022]

³⁷⁵ United Nations Conference on Trade and Development [UNCTAD]. 'Trade and Environment Review 2016 - Fish Trade,' United Nations Conference on Trade and Development, UNCTAD/DITC/TED/2016/3, 2016, retrieved from: <https://unctad.org/system/files/official-document/ditcted2016d3_en.pdf> [25.04.2022]

³⁷⁶ World Trade Organization [WTO], 'Fisheries Subsidies: Special and Differential Treatment - Communication from Brazil, China, India and Mexico,' (TN/RL/GEN/163, 11 February 2010)

³⁷⁷ Weinhardt, Clara. 'Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,' *Global Society*, 2020, p. 19. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>.

პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვფიქრობ, დღევანდელი კლასიფიკაცია განსაკუთრებით სავალალოა მათი სუსტი ინსტიტუციებისა და მწირი რესურსების გამოც. აღნიშნული ქვეყნები დღეს არსებული სტატუს კვოთი კარგავენ ისეთი სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც პოტენციურად მეორე საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენენ ეკონომიკის განვითარებისთვის.³⁷⁸ კონკრეტულად, დარგის ექსპერტების ნაწილისთვის (მაგალითად, ჰოეკმანი, ქეჯი და ლოუ), სხვადასხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული წარმატებული სავაჭრო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა ინსტიტუციური მმართველობა, ინფრასტრუქტურასა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტიცია, საგადასახადო სისტემასა და საბაზრო რეგულაციების გაუმჯობესება. რაც შეეხება ღარიბ ქვეყნებს, იმის გათვალისწინებით, რომ მათ მწირი რესურსები და ინსტიტუციური ქმედითუნარიანობა გააჩნიათ და ზემოხსენებული ალტერნატივებით ვერ სარგებლობენ, მათთვის სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტები წარმოადგენენ კარგ, შეიძლება ითქვას უნიკალური განვითარების შესაძლებლობას.³⁷⁹ მაგალითისთვის, როდესაც საფრთხე ემუქრება საკვების საიმედოობას, მაღალი დონის განვითარებად ქვეყანას უფრო აქვს შესაძლებლობა, მიმართოს სადაზღვევო სქემებს, ბაზრობაზე დაფუძნებული რისკის მენეჯმენტის მექანიზმებს იმისათვის, რომ გაანეიტრალოს შემოსავლის რისკი. უფრო ღარიბ, პატარა ქვეყნებს ამგვარი ფუფუნება, როგორც წესი, არ გააჩნიათ. ამიტომაც, მათთვის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმით სარგებლობა აუცილებელია,

³⁷⁸ Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters L. Alan. 'More Favorable and Differential Treatment of Developing Countries: Toward a New Approach in the World Trade Organization,' World Bank Policy Research Working Paper No. 3107, 2003, p. 19.

³⁷⁹ Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. 'Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,' Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005, p. 8; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 91.

რადგან ამ დროს მათთვის ე.წ. დაცვის საშუალებების ტარიფების („safeguard tariffs“) იმპლემენტაცია პოტენციურად, სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.³⁸⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ღარიბი ქვეყნები, დღევანდელი სტატუს კვოს გათვალისწინებით, ყველაზე მეტს კარგავენ, რადგან უფრო მეტი დიფერენცირების გარეშე, განვითარებული ქვეყნები მათ მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს სთავაზობენ.³⁸¹ ამგვარად, ღარიბი ქვეყნები კარგავენ იმ სარგებელს, რომლის მიღებაც პოტენციურად შეეძლოთ, თუკი ეს მუხლები მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული.³⁸²

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რეფორმის მზაობა უკვე არსებობს, რასაც ადასტურებს ის გარემოებები, რომ:

- დღესდღეობით მსო-ს რიგი შეთანხმებები ითვალისწინებს ზოგადად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი კლასიფიკაციიდან გადახვევის შემთხვევებს, რომლებიც თვითიდენტიფიცირებული განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებას და განსხვავებული მოპყრობის საშუალებას იძლევიან;
- წლების განმავლობაში მსო-ს პრაქტიკაში (მაგ., პრეცედენტულ სამართალსა და ქვეყნების მიერთების პროტოკოლებში) გამოიკვეთა განვითარებადი ქვეყნების დახარისხების მაგალითები. გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობა ზოგიერთი მაღალი დონის

³⁸⁰ Matthews, Alan. 'More Differentiated Special Treatment in the Agriculture Agreement: beyond concept to practice,' IIS Discussion Paper No. 108, 2006, p. 4.

³⁸¹ იხ. იქვე, გვ. 15; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 91.

³⁸² World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), p. 11; ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 91.

განვითარებადი ქვეყნისთვის (მაგ., ჩინეთისთვის) იმდენად შესუსტდა, რომ უკვე აშკარაა ცვლილებების განხორციელების როგორც მზადყოფნა, ასევე საჭიროებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატუს კვოს შენარჩუნებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აიძულებს წევრ ქვეყნებს ოპერირება მოახდინონ ისეთ გარემოში, რომელიც რეალურად აღარ არსებობს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ, ერთი მხრივ, არსებობს რიგი მიზეზები, რომლებიც რეფორმის აუცილებლობაზე მეტყველებენ და, მეორე მხრივ, არსებობს არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ სტატუს კვო უარყოფითად აისახება მსო-ს ყველა წევრ ქვეყანაზე მათი განვითარების სტატუსის მიუხედავად. კერძოდ, რეფორმის აუცილებლობას თვალნათლივ გვიჩვენებს შემდეგი გარემოებები:

- უკანასკნელ დეკადებში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე წევრი ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური პროგრესი ნათლად გვიჩვენებს მათ შორის რადიკალურ განსხვავებას ეკონომიკური განვითარების კუთხით. აღნიშნული გარემოება კი საფუძვლიანს ხდის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ და, შესაბამისად, საჭიროა რეფორმის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების უფრო სიღრმისეული დიფერენცირება;
- პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებს (მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) მოუხდათ თავდაპირველი ქვეყნების კლასიფიკაციის სისტემის შეცვლა იმისთვის, რომ მორგებოდნენ სწრაფად ცვლად არსებულ რეალობას და განხორციელებული ცვლილების წყალობით უფრო ეფექტურად მოეხდინათ ორგანიზაციის მიზნების განხორციელება. შესაბამისად, რადგანაც არსებობს მაგალითები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოახდინეს

ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა, ამ მაგალითების პარალელურად მსო-ში სტატუს კვოს შენარჩუნება და მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების მიერ 25 წლის წინანდელ რეალობაზე აპელირება უსაფუძვლო ხდება;

- მართალია მსო-ს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც დავის განხილვისას განვითარებადი ქვეყნის სტატუსი განვითარებულმა ქვეყანამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა თუკი აღნიშნული დავების გადაწყვეტა დავების მოგვარების ორგანოს დაევალება, საჭირო გახდება უფრო ფართომანდატიანი სააპელაციო პროცედურის არსებობა. იმ პირობებში, როდესაც მსო-ს სააპელაციო ორგანო ბლოკირებულია, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ განვითარებადი ქვეყნის სტატუსის გარკვევის მიზნით დავების მოგვარების ორგანოსთვის მიმართვა არამიზანშეწონილია. ამიტომ აუცილებელია, წევრი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის საკითხის გადაჭრის გზები სხვაგან ვეძებოთ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩიხშია. იმისათვის, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნილი ჩიხიდან გამოსვლა და კვლავ მოლაპარაკებების მაგიდაზე დაბრუნება შეძლონ, თავდაპირველად საჭიროა მათ უგულებელყონ დღევანდელი მდგომარეობით ის უსაფუძვლო არგუმენტები, რომელზეც ისინი თავიანთ უმოქმედობას აფუძნებენ და მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას კომპრომისებზე წასვლის გზით. კერძოდ:

- განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა დათმონ მსხვერპლის როლი და ის მიდგომა, თითქოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები სარგებლობენ;
- მაღალი დონის განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეწყვიტონ ორი დეკადის წინ მათი მსო-ში გაწევრიანების საფუძვლების არგუმენტად მოყვანა იმის დასასაბუთებლად, რომ სტატუს კვო მათთვის

მისაღებია. რეალურად, მაღალ საფეხურზე მყოფი განვითარებადი ქვეყნები იმ ვითარებაში იმყოფებიან, როდესაც თვითონაც სათანადოდ ვერ სარგებლობენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით და სხვა, დაბალ საფეხურზე მყოფ განვითარებად ქვეყნებსაც არ აძლევენ საშუალებას, მათ საჭიროებებზე მორგებული შედეგებით ისარგებლონ.

დისერტაციის თანახმად, იმისათვის, რომ სტატუს კვო უარყოფითად არ აისახოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებზე, განვითარებად წევრებს შეუძლიათ ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ განვითარებული ქვეყნები დაითანხმონ მთელ რიგ დათმობებზე, რაც მათ ინტერესებში შედის. მაგალითად:

- ნებისმიერი დონის განვითარებადი ქვეყნისთვის სასურველია, მომავალში სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება მოხდეს. აღნიშნულისთვის კი, საჭიროა მსო-ს წევრი ქვეყნების მიერ კომპრომისებზე წასვლა. შესაბამისად, ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნები უნდა დათანხმდნენ მსო-ში ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დათმობის საპირწონედ, მათ უნდა მიიღონ გარანტია იმისა, რომ მოხდება სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება და, რიგ შემთხვევებში, მუხლების ჩანაწერის გასწორება ენობრივი კუთხით.
- მოლაპარაკებებში განვითარებადი ქვეყნების სუსტი პოზიცია და მწირი ქმედითუნარიანობა ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის განვითარებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს. ფაქტია, რომ რეფორმის განუხორციელებლადაც განვითარებადი ქვეყნები არამომგებიან ვითარებაში იმყოფებიან და მოლაპარაკების პროცესში ვაჭრობის ძალა განვითარებულ ქვეყნებს აქვთ. შესაბამისად, სტატუს კვოზე აპელირების ნაცვლად, მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებს

შეუძლიათ აღნიშნული სიტუაცია სათავისოდ გამოიყენონ და კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ მოითხოვონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იმგვარი დახვეწა, რომ უფრო მეტი ტექნიკური დახმარება მიიღონ მოლაპარაკებებისა და გაერთიანებების შექმნის პროცესში.

და ბოლოს, დისერტაცია ასევე ავითარებს აზრს, რომ ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა და განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირება განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. მიზეზი შემდეგში მდგომარეობს:

- მოცემულ რეალობაში საქართველოსნაირი ქვეყნები ვერ სარგებლობენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის განკუთვნილი პრივილეგიებით და ისეთივე ვალდებულებები გააჩნიათ, როგორც დიდი ბაზრების მქონე განვითარებადი ქვეყნებს. საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ღარიბი ქვეყნები, დღევანდელი სტატუს კვოს გათვალისწინებით, ყველაზე მეტს კარგავენ, რადგან უფრო მეტი დიფერენცირების გარეშე, განვითარებული ქვეყნები მათ მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს სთავაზობენ. ამგვარად, ღარიბი ქვეყნები კარგავენ იმ სარგებელს, რომლის მიღებაც პოტენციურად შეეძლოთ, თუკი ეს მუხლები მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული. შესაბამისად, საქართველო და საქართველოსნაირი ქვეყნები უნდა მიემხრონ მოლაპარაკებების განახლებას ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის თაობაზე.
- დავების მოგვარების სისტემაში დღეს არსებული აღსრულების მექანიზმების არაეფექტურობას საფუძვლად უდევს წევრი ქვეყნების ასიმეტრიული ძალთა ბალანსი. არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად კი ერთ-ერთი ოპტიმალური რეფორმის გზა საქართველოსნაირი პატარა საბაზრო წილის მქონე განვითარებადი

ქვეყნებისთვის ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმზე ავტომატურ წვდომაში გამოიხატება. აღნიშნულ მექანიზმზე ავტომატური წვდომისთვის კი საჭიროა წვერი ქვეყნების დიფერენცირების ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა მოგვეხდინა „დიდი“ და „პატარა“ საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნების გამიჯვნა. სწორედ ამიტომ, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა სასარგებლოა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან აღნიშნული რეფორმის შედეგად ეს უკანასკნელნი შეძლებენ დავების მოგვარების სისტემაში აღსრულების მექანიზმი უფრო ეფექტურად გამოიყენონ.

თავი 3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის გზები

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებების შინაარსი განვითარების კუთხით წარმოადგენს კოლოსალურ შეცდომას მის წესებში არსებული უთანასწორობისა და დისბალანსის გამო, რომელიც ავტომატურ უპირატესობას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს.³⁸³ აღნიშნულთან დაკავშირებით, როდრიკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვაჭრობის წესები ხშირად საერთოდ არ არის დაკავშირებული გონივრულ ეკონომიკურ პრინციპებთან. მისი თქმით, მსო-ს წესები ანტიდემპინგის, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო გადასახადების, სოფლის მეურნეობის, ტექსტილის, ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ ეკონომიკურ საფუძველს, და გამოხატავენ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებული მცირერიცხოვანი ძლიერი ჯგუფების მერკანტილისტურ ინტერესებს. შესაბამისად, აღნიშნული წესებით განსაზღვრული უმეტესი მოთხოვნების ჭრილში განვითარების ასპექტის დანახვა რთულია.³⁸⁴

მსო-ს პრაქტიკისგან განსხვავებით, თეორიულ კონტექსტში უდავოა, რომ მსო-ს მთავარ მიზანს წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის თითოეული წევრის განვითარება. საილუსტრაციოდ მარაკუმის შეთანხმების პრეამბულაც გამოგვადგება, სადაც მსო-ს წევრები შეთანხმდნენ, რომ *“უცილებელია ისეთი პოზიტიური ზომების მიღება, რომელთა მიზანი იქნება შეთანხმების ნაკლებად განვითარებული მონაწილე მხარის მიერ საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაში მათი კუთვნილი წილის მიღების*

³⁸³ World Trade Organization [WTO], ‘Strengthening the WTO to Promote Development and Inclusivity - Communication from Plurinational State of Bolivia, Cuba, Ecuador, India, Malawi, Oman, South Africa, Tunisia, Uganda and Zimbabwe,’ (WT/GC/W/778/Rev.1, 22 July 2019), para. 1.3.

³⁸⁴ ob. Rodrik, Dani. ‘The Global Governance of Trade - As If Development Really Mattered,’ UNDP Background Paper, 2001, retrieved from: <<http://www.tinyurl.com/y4f83dvv>> [25.04.2022].

უზრუნველყოფა, რაც შეესაბამება მათი ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებებს”.³⁸⁵ რადგანაც მსო-ს წევრები, თუნდაც თეორიულად, დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ განვითარება მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, შესაბამისად, მსო-ს რეფორმა არ უნდა მოიაზრებდეს პრაქტიკაში არსებული უთანასწორობის მიმდებლობას ან ისეთი ახალი წინადადებების მიღებას, რომლებიც გააუარესებს არსებულ დისბალანსს. რეფორმები უნდა ეფუძნებოდეს ინკლუზიურობისა და განვითარების პრინციპებს და უნდა ეხმიანებოდეს იმ სირთულეებს, რომლებსაც განვითარებადი წევრები აწყდებიან ინდუსტრიალიზაციის გამოწვევების წინაშე.³⁸⁶ შედეგად, მსო-ს მიდგომა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმისადმი უნდა იყოს ჩამოყალიბებული განვითარების ფართო დეფინიციის კრილში. მიმდინარე დისერტაცია ემხრობა მოსაზრებას, რომ ქვეყნის განვითარების მრავალფეროვანი ასპექტებისა და ეტაპების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ისეთი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის განსაზღვრას, რომელიც საჭიროა მდგრადი განვითარების მისაღწევად. შესაბამისად, დღევანდელ ვითარებაში ქვეყნების დიქტომიური კლასიფიკაცია როგორც „განვითარებული“ ან „განვითარებადი“ აღარ არის საკმარისი. ამრიგად, თუკი ვთანხმდებით, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმმა უნდა შეითავსოს განვითარების როლი, მაშინ განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნების გათავისუფლება მსო-ს ხელშეკრულებების რიგი ვალდებულებებისგან უნდა მოხდეს განვითარებადი ქვეყნების განსხვავებული საჭიროებების საფუძველზე.³⁸⁷

³⁸⁵ GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 33 I.L.M. 1153 (1994), preamble;

³⁸⁶ World Trade Organization [WTO], ‘Strengthening the WTO to Promote Development and Inclusivity - Communication from Plurinational State of Bolivia, Cuba, Ecuador, India, Malawi, Oman, South Africa, Tunisia, Uganda and Zimbabwe,’ (WT/GC/W/778/Rev.1, 22 July 2019), para. 1.5.

³⁸⁷ Bacchus James and Manak Inu. ‘The Development Dimension: What to Do about Differential Treatment in Trade,’ Cato Institute Policy Analysis No. 887, 2020, p. 17.

მიმდინარე თავი განიხილავს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის რეფორმის გზებს და მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების ისეთი მექანიზმის პოვნას, რომელიც, ერთის მხრივ, მორგებული იქნება ერთმანეთისგან განსხვავებული განვითარებადი ქვეყნების რეალურ მოთხოვნებსა და სპეციფიკურ სავაჭრო საჭიროებებზე და, მეორეს მხრივ, მისაღები იქნება საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ამ მიზნის ფარგლებში წინამდებარე თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

1) სამეცნიერო ლიტერატურასა და წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარმოდგენილ კომუნიკაციებში არსებული მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები;

2) ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის მეთოდის მიღების შემთხვევაში, ქვეყნების შესაძლებლობების მაიდენტიფიცირებელი ობიექტური კრიტერიუმების გამოვლენის და მათი გაზომვის გზები TRIPS-ის, SCM-ის და DSU-ს ხელშეკრულებების მაგალითებზე.

3.1. წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზები

სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის კონცეფციის გადაფასების და რეფორმის გზების ძიების პროცესში რამდენიმე განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა. ქვემოთ მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში და რიგი წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ გაჟღერებული რეფორმის გზები და მეთოდები, რის შემდეგაც განხილულია მათი ავ-კარგიანობა. ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსით ხდება; შესაბამისად, აღნიშნული რეფორმების განხილვისას მხედველობაში გვაქვს მიღებული როგორც საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების, ასევე ე.წ. მაღალი დონის განვითარებადი

წევრებისა (მაგ., ჩინეთი, ინდოეთი...) და განვითარებული ქვეყნებისთვის მისაღები ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

3.1.1. ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულების პრეცედენტი

როდესაც საუბარია შექმნილი სტატუს კვოდან გამოსავალის ძიებაზე, განვითარებადი ქვეყნები ხშირად მიუთითებენ TFA-ს ხელშეკრულებაზე და აღნიშნავენ, რომ რეფორმის შემთხვევაში სწორედ ამგვარი მოდელი იქნებოდა მათთვის სასურველი. TFA-ს ხელშეკრულებაზე, როგორც პროგრესულ ნაბიჯზე საუბრობენ რიგი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებიც თავიანთ ბოლოდროინდელ კომუნიკაციებში. იმისათვის, რომ შევაფასოთ TFA-ს „მოდელის“ ავკარგიანობა და განვსაზღვროთ, რამდენად რეალურია ამ მოდელის იმპლემენტაცია მსო-ს სხვა ხელშეკრულებებში, თავდაპირველად საჭიროა ვნახოთ, რას წარმოადგენს თავად ეს ხელშეკრულება.

2017 წელს ამოქმედებული TFA-ს ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს დოჰას რაუნდის დაწყების შემდეგ ორგანიზაციის მთავარ პროგრესად. TFA-ს მიზანია უზრუნველყოს საზღვარზე ტვირთის შეუფერხებლად გადაადგილება. ამ მიზნის ფარგლებში, ხელშეკრულება განმარტავს და აუმჯობესებს ორგანიზაციაში არსებულ ვალდებულებებს გამოქვეყნებასა და ადმინისტრირებასთან, მოსაკრებლებსა და ფორმალობებთან, ასევე ტრანზიტის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს საქონლის გადაადგილების, გაშვებისა და გაფორმების დაჩქარება.³⁸⁸ რაც შეეხება სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმს, ამ მხრივ TFA-ს ხელშეკრულება რევოლუციურია, რადგან პირველად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ისტორიაში, განვითარებადი ქვეყნების და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიერ აღებული

³⁸⁸ Simo, Regis Y. 'Developing Countries and Special and Differential Treatment' in K. Kugler and F. Sucker (eds.), *International Economic Law: (Southern) African Perspectives and Priorities*. Cape Town: Juta & Company Ltd., 2021, p. 277.

ვალდებულებები უშუალოდ განპირობებულია მათი შესაძლებლობით, შეასრულონ შეთანხმების მოთხოვნები. ეს მიდგომა ასახავს 2004 წლის მოლაპარაკებების დასაწყისში მიღებულ მოდალობას, სადაც ხაზგასმული იყო, რომ „*მოლაპარაკების შედეგებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განსაკუთრებული და განსხვავებული მოპყრობის პრინციპი*“.³⁸⁹ გარდა ამისა, 2004 წლის ე.წ. ივლისის პაკეტი მოიცავდა ვალდებულებებს მოლაპარაკებების დროს და მის შემდეგ განვითარებადი და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევს შესახებ.³⁹⁰ ამ წინაპირობებმა მიგვიყვანა დღევანდელი სახით არსებულ TFA-ს ხელშეკრულებამდე, რომელიც აღიარებს ქვეყნების მიერ მათი ვალდებულებების საფეხურებრივ იმპლემენტაციას. კერძოდ, TFA-ის 13.2 მუხლის თანახმად, განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიერ ხელშეკრულების დებულებების განხორციელების მასშტაბი და დრო „*დაკავშირებული უნდა იყოს მათ მიერ ამ დებულებების განხორციელების შესაძლებლობებთან*“.³⁹¹ უფრო მეტიც, 13.2 მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ ქვეყნები აღჭურვილნი იყვნენ სათანადო შესაძლებლობებით, რათა მათ აღასრულონ წარმოშობილი ვალდებულებები, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი დახმარებით და მხარდაჭერით.³⁹² სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულების მექანიზმი („Trade Facilitation Agreement Facility“ ან „TFAF“), რომლის მიზანია იმ ქვეყნების დახმარებით და მხარდაჭერით უზრუნველყოფა, რომლებიც ამგვარ მხარდაჭერას საჭიროებენ.³⁹³

³⁸⁹ იხ. World Trade Organization [WTO], ‘Doha Work Programme: Decision Adopted by the General Council on 1 August 2004,’ (WTO Doc WT/L/579, 2 August 2004).

³⁹⁰ იხ. იქვე. პარაგრაფები 5-6.

³⁹¹ World Trade Organization [WTO], Trade Facilitation Agreement, entry into force 22 February 2017, Article 13.2, retrieved from <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/tfa-nov14_e.htm> [25.04.2022].

³⁹² იხ. იქვე.

³⁹³ World Trade Organization, ‘Trade Facilitation Agreement Facility,’ retrieved from <<https://www.tfafacility.org/>> [25.04.2022].

TFA-ს ხელშეკრულება სამი ნაწილისგან შედგება. მათგან საყურადღებოა II ნაწილი, რომელიც ასახავს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის დებულებებს და, ასევე, განსაზღვრავს განვითარებადი ქვეყნების მიდგომებს არსებითი დისციპლინების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, II ნაწილის თანახმად, განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები სამი კატეგორიის (A, B და C) შესაბამისად და მათ მოეთხოვებათ თითოეული კატეგორიის ფარგლებში მოახდინონ მათი ვალდებულებების თვით-დეკლარაცია.³⁹⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, TFA-ს ხელშეკრულება საშუალებას აძლევს თითოეულ განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას, დააჯგუფონ თავიანთი ვალდებულებები სამ კატეგორიად მათივე შეფასების საფუძველზე. კატეგორიებში განსხვავება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროის პერიოდს ირჩევს წევრი ქვეყანა ვალდებულებების შესასრულებლად. კატეგორია A შეიცავს დებულებებს, რომელთა იმპლემენტაციაც განვითარებად ქვეყნებს უნდა მოეხდინათ TFA-ის ძალაში შესვლისთანავე (ანუ 2017 წლის 22 თებერვალს), ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს - ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში (ანუ 2018 წლის 22 თებერვალს).³⁹⁵ B და C კატეგორიები წარმოადგენს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის მნიშვნელოვან რეფორმას. კერძოდ, B კატეგორიის ვალდებულებები შეიცავს დებულებებს, რომლებსაც განვითარებადი ან ნაკლებად განვითარებული ქვეყნები განახორციელებენ ე.წ. გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ.³⁹⁶ C კატეგორიაში კი გვხვდება დებულებები, რომლებსაც წევრი ქვეყანა, B კატეგორიის ვალდებულებების მსგავსად, განახორციელებს გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ; თუმცა B კატეგორიის ვალდებულებებისგან განსხვავებით, ამ კატეგორიის

³⁹⁴ World Trade Organization [WTO], Trade Facilitation Agreement, entry into force 22 February 2017, Article 14.2, retrieved from <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/tfa-nov14_e.htm> [25.04.2022].

³⁹⁵ იხ. იქვე, მუხლი 14.1(a).

³⁹⁶ იხ. იქვე, მუხლი 14.1(b).

ვალდებულებებისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ მათი იმპლემენტაცია საჭიროებს ქვეყნის უზრუნველყოფას დახმარებითა და მხარდაჭერით.³⁹⁷ ვალდებულებების იმპლემენტაციის ამგვარი მოქნილობა მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების შესაძლებლობების მხედველობაში მიღებას და სწორედ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამ ქვეყნების საფეხურეობრივ ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზართან.³⁹⁸

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფა TFA-ს ხელშეკრულების ფარგლებში აუცილებელი პირობაა, მაინც ნიშანდობლივია ის ენა, რომელიც TFA-ის ხელშეკრულებაში გამოიყენება და მსო-ს სხვა ხელშეკრულებებში გამოყენებული ენის ანალოგიურია. კერძოდ, მუხლი 13.2-ის შესაბამის ნაწილში ნათქვამია, რომ *“დახმარება და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი”* (ტექსტში გამოყენებულია სიტყვა „*should*“), რათა განვითარებადმა და ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა მოახდინონ ხელშეკრულების იმპლემენტაცია.³⁹⁹ ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ დახმარების მიწოდების საფუძველი დონორი ქვეყნების სურვილია და, შესაბამისად, პოტენციურ ბენეფიციარებს არ შეუძლიათ იურიდიული საფუძველით მოითხოვონ ტექნიკური დახმარების მიღება. მიუხედავად ამ გარემოებისა, ვინაიდან ხელშეკრულების ვალდებულებების იმპლემენტაცია განუყოფლად არის დაკავშირებული განვითარებადი და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიერ შესაბამისი შესაძლებლობების ქონასთან, სანამ ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ აღნიშნული შესაძლებლობები, მათ შეუძლიათ არ მოახდინონ შესაბამისი ვალდებულებების იმპლემენტაცია.⁴⁰⁰ სწორედ აქ გამოიხატება სპეციალური

³⁹⁷ იხ. იქვე, მუხლი 14.1(c).

³⁹⁸ Simo, Regis Y. ‘Developing Countries and Special and Differential Treatment’ in K. Kugler and F. Sucker (eds.), *International Economic Law: (Southern) African Perspectives and Priorities*. Cape Town: Juta & Company Ltd., 2021, p. 279.

³⁹⁹ World Trade Organization [WTO], Trade Facilitation Agreement, entry into force 22 February 2017, Article 13.2, retrieved from <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/tfa-nov14_e.htm> [25.04.2022].

⁴⁰⁰ იხ. იქვე.

და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმისადმი ის რეკოლუციური მიდგომა, რაც მსო-ს სხვა ხელშეკრულებებში არ გვხვდება - კერძოდ, თუკი დონორებს მართლაც სურთ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარებმა მოახდინონ ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების იმპლემენტაცია, მაშინ ისინი იძულებულნი ხდებიან გაიღონ დახმარებაც. გარდა ამისა, უპრეცედენტოა ისიც, რომ შეთანხმება იძლევა საშუალებას განვითარებადმა ქვეყნებმა ცალმხრივად შეცვალონ მათ მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობა - კერძოდ, საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად, მათ შეუძლიათ თავიანთი ვალდებულებები გადაიტანონ B კატეგორიიდან C-ში და პირიქით.⁴⁰¹ აღსანიშნავია ისიც, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარებს შეუძლიათ ვალდებულებების შესრულების პერიოდის გახანგრძლივებაც, უკი დადგენილ ვადებში ვერ ახორციელებენ ვალდებულებებს.⁴⁰² ამგვარად, TFA-ს ხელშეკრულება ქმნის ერთგვარ პრეცედენტს, რომლის ფარგლებშიც განვითარებად ქვეყნებს აქვთ ვალდებულებების განხორციელების მოქნილი ინსტრუმენტები, ასევე ვალდებულებების იმპლემენტაცია დაკავშირებულია კონკრეტული ქვეყნების ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან და ამგვარი შესაძლებლობების თვით-დეკლარაციასთან.⁴⁰³

გასაკვირი არ არის, რომ TFA-ს საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურებები აქვს სხვადასხვა წევრი ქვეყნების დელეგაციებში. მაგალითად, კანადის დელეგაციის მიერ წარდგენილი 2018 წლის კომუნიკაციის თანახმად, საჭიროა უფრო მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული ახალი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანა არ საჭიროებს და, შესაბამისად, არ უნდა სარგებლობდეს ერთნაირი მოქნილობით. მათი მოსაზრებით, სწორედ ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულებაში არსებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის

⁴⁰¹ იხ. იქვე, მუხლი 19.1.

⁴⁰² იხ. იქვე, მუხლი 17.

⁴⁰³ Simo, Regis Y. 'Developing Countries and Special and Differential Treatment' in K. Kugler and F. Sucker (eds.), *International Economic Law: (Southern) African Perspectives and Priorities*. Cape Town: Juta & Company Ltd., 2021, p. 280.

რეჟიმი იძლევა ამგვარ პრეცედენტს და შესაძლო სამომავლო გეგმასაც.⁴⁰⁴ TFA-ს ხელშეკრულების მახასიათებლების გათვალისწინებით, კანადის დელეგაციის წინადადების თანახმად, რეფორმის ფარგლებში ახალი მიდგომა შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- აღიარებას, რომ რეფორმის გრძელვადიანი მიზანია ყველა წევრი ქვეყნის მიერ მსო-ს ხელშეკრულებების ვალდებულებების შესრულება მიუხედავად იმისა, რომ რიგი ქვეყნების განვითარების საჭიროებები გარკვეულ ეტაპზე ამართლებს ხელშეკრულებების ვალდებულებების საფეხურებრივ განხორციელებას;
- ისეთი ქვეყნების კატეგორიების შექმნა, რომელთა შორის დიფერენცირება მოხდება მტკიცებულებებზე დაფუძნებით, მათი საჭიროებების შესაბამისად და მოლაპარაკებების საფუძველზე;
- ყველაზე რთული ვალდებულებების იმპლემენტაციის დაკავშირება ამ ვალდებულებების აღსრულებისთვის საჭირო შესაძლებლობით აღჭურვასთან. ამ უკანასკნელისთვის კი საჭიროა იმ განვითარებადი წევრი ქვეყნის მიერ დახმარების გაწევა, რომელიც დაინტერესებულია ვალდებულების შესრულებით.⁴⁰⁵

ყურადსაღებია ნორვეგიის 2019 წლის კომუნიკაციაც, რომელსაც შემდგომ კანადა, ჰონგ-კონგი, ისლანდია, მექსიკა, ახალი ზელანდია, სინგაპური და შვეიცარია შეუერთდნენ.⁴⁰⁶ კომუნიკაციის თანახმად, წევრი ქვეყნების დიქტომიური დაყოფა „განვითარებულ“ და „განვითარებად“ ქვეყნებად ხელს უშლის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმს, როგორც ვაჭრობის გზით განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტის ეფექტურობას. აშშ-ს წინადადებისგან განსხვავებით, ნორვეგიის დელეგაცია მიიჩნევს, რომ არაპროდუქტიულია

⁴⁰⁴ World Trade Organization [WTO], 'Strengthening and Modernizing the WTO: Discussion Paper: Communication from Canada' (JOB/GC/201, 24 September 2018), pp. 5-6.

⁴⁰⁵ იხ. იქვე, გვ. 6.

⁴⁰⁶ იხ. World Trade Organization [WTO], 'Pursuing the Development Dimension in WTO Rule-Making Efforts - Communication from Norway, Canada, Hong Kong, China, Iceland, Mexico, New Zealand, Singapore and Switzerland,' (WT/GC/W/770/ Rev.3, 26 April 2019).

მოლაპარაკებების წარმოება იმ კრიტერიუმების იდენტიფიცირების თაობაზე, რომლებიც განსაზღვრავს რამდენად უნდა ჰქონდეს წევრ ქვეყანას წვდომა სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე. კერძოდ, ნორვეგიის დელეგაცია მიიჩნევს, რომ არათუ ეფექტური, არამედ არარეალისტურია კონსენსუსის მიღწევა კრიტერიუმებზე, რომლითაც განისაზღვრება განვითარებადი ქვეყნების წვდომა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმზე.⁴⁰⁷ სანაცვლოდ, კომუნიკაციის თანახმად, მთავარია მოხდეს ადეკვატური რეაგირება წევრი ქვეყნების განვითარების სპეციფიურ საჭიროებებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმი უნდა მოერგოს იმ კონკრეტულ სიტუაციებს, რომლებსაც აწყდებიან განვითარებადი წევრები ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. ამგვარი მიდგომისთვის საჭირო ინსტრუმენტები კი, ნორვეგიის დელეგაციის განცხადებით, უკვე არსებობს. მაგალითად, ნორვეგიელები მიუთითებენ, TFA-ს ხელშეკრულებაზე და აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევს აირჩიონ საკუთარი გზა თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად.⁴⁰⁸

აქვე საინტერესოა 2019 წლის კომუნიკაციაში რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის მიერ (მათ შორის, ჩინეთის და ინდოეთის) გაჟღერებული მოსაზრება TFA-ს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მათი თქმით, იმის მიუხედავად, რომ თვითგამოცხადებულ განვითარებად ქვეყნებს აქვთ უფლება გამოიყენონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები, ისინი ყოველთვის არ სარგებლობენ ამ პრივილეგიით. სწორედ ამის დასტურია TFA-ს ხელშეკრულების ფარგლებში რიგი განვითარებადი ქვეყნების მიერ მათივე არჩევანით გარკვეული ვალდებულებების შესრულება. მათი თქმით, აღნიშნული ადასტურებს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში თვითიდენტიფიცირების მეთოდით

⁴⁰⁷ იხ. იქვე, პარაგრაფი 4.2.

⁴⁰⁸ იხ. იქვე, პარაგრაფი 3.10.

მოლაპარაკებების პარალიზება არ ხდება; პირიქით, სწორედ თვითგამოცხადების მეთოდი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მოლაპარაკებების წარმატებასა და მსოს ხელშეკრულებების იმპლემენტაციაში.⁴⁰⁹ აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვისაც TFA-ს მოდელი მისაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ TFA-ს ხელშეკრულება ნამდვილად წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ მოდელს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მიდგომამ დააკმაყოფილოს აშშ-ს მოთხოვნები სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის გადახედვის შესახებ. მიზეზი მარტივია - TFA-ს ხელშეკრულების მიდგომა დღევანდელი ზოგადი მიდგომის მსგავსად ეყრდნობა განვითარების სტატუსის თვითგამოცხადებას.⁴¹⁰ რადგანაც აღნიშნული ხელშეკრულება თვითგამოცხადებაზეა დაფუძნებული, ბუნებრივია იარსებებს საშიშროება, რომ მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნები შეეცდებიან მექანიზმის სათავესოდ გამოყენებას ისე, როგორც ეს დღეს ხდება. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტად TFA-ს ხელშეკრულების მიდგომის მომხრეებმა შესაძლოა მოიყვანონ ამ ხელშეკრულების პრაქტიკაში განხორციელების ფაქტობრივი გარემოებები - კერძოდ, დღესდღეობით ცხრა განვითარებადმა ქვეყანამ გამოთქვა მზადყოფნა დაუყოვნებლივ შეასრულოს TFA-ს ხელშეკრულების ყველა ვალდებულება, ხოლო ოცდაათმა განვითარებადმა ქვეყანამ, მათ შორის ჩინეთმა, დაუყოვნებლივ შეასრულა ვალდებულებების 75%.⁴¹¹ ამ ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად

⁴⁰⁹ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), para. 5.15.

⁴¹⁰ Bacchus James and Manak Inu. 'The Development Dimension: What to Do about Differential Treatment in Trade,' Cato Institute Policy Analysis No. 887, 2020, p. 16.

⁴¹¹ ob. González, Anabel. 'Revisiting 'special and differential treatment' in the WTO' (Eastasiaforum, 26 March 2019), retrieved from <<https://www.eastasiaforum.org/2019/03/26/revisiting-special-and-differential-treatment-in-the-wto/>> [25.04.2022].

ყურადსაღებია, რომ განხეთქილების წარმოშობა იმითაა განპირობებული, რომ რიგი განვითარებადი ქვეყნების მიერ გამოცხადებული სტატუსი მათ რეალურ განვითარების დონეს არ შეესაბამება; შესაბამისად, თვითიდენტიფიცირების მეთოდის არსებობის შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს მისი ბოროტად გამოყენების რისკი. აქედან გამომდინარე, ექვგარეშეა, რომ ამგვარი მექანიზმის არსებობას არ დათანხმდებიან რიგი განვითარებული ქვეყნები, მაგალითად, აშშ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს მოსაზრება, რომ მსო-ს სავაჭრო ვალდებულებებიდან არამიზნობრივად ბევრი გამონაკლისის დაშვება ძირს უთხრის საერთაშორისო ვაჭრობის არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპს, რომელიც წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ქვაკუთხედს.⁴¹² სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, აჯობებს გამოსავალი ისეთ სისტემაში ვეძიოთ, რომელიც ნაკლებ იქნება დამოკიდებული განვითარებადი ქვეყნების სუბიექტურ თვითიდენტიფიცირებაზე, და უფრო მეტად წევრი ქვეყნების რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე, საჭიროა ახალმა სისტემამ უზრუნველყოს ისეთი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას.⁴¹³ შესაბამისად, უნდა ვეძიოთ ისეთი კომპრომისული მეთოდი, რომელიც არც ერთ მხარეს არ ანიჭებს აშკარა უპირატესობას სხვებთან შედარებით და რომელიც ყველა მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია. მიმდინარე დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ ამგვარი მიდგომა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ქვეყნების დიფერენცირება უნდა იყოს, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

⁴¹² Bacchus James and Manak Inu. 'The Development Dimension: What to Do about Differential Treatment in Trade,' Cato Institute Policy Analysis No. 887, 2020, p. 20.

⁴¹³ იხ. იქვე.

3.1.2. ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული რეფორმის გზები

სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს წევრი ქვეყნების გადაჯგუფება მათი განვითარების მიხედვით. მაგალისთვის, ჰოეკმანი, მიჩალოპოლოსი და ვინტერი გვთავაზობენ ქვეყნებზე დაფუძნებულ, ანუ ე.წ. „country-based“ მიდგომას, რომლის თანახმადაც, რეფორმის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ე.წ. „ყველაზე ნაკლებად განვითარებული“ ქვეყნების ჯგუფი, სადაც შევლენ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით განსაზღვრულ პრივილეგიებს ნამდვილად საჭიროებენ.⁴¹⁴ საინტერესოდ გვეჩვენება პაუგამისა და ნოველის მოსაზრებაც, რომლის თანახმად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არსებული რიგი დისციპლინები წარმოშობენ მათი იმპლემენტაციის ხარჯებს და ამდენად, დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის ერთგვარ ტვირთს წარმოადგენენ. შესაბამისად, კონკრეტული ვალდებულების იმპლემენტაციამდე აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ იმპლემენტაციით გამოწვეულმა სარგებელმა გადაწონოს ის ხარჯები, რაც ქვეყანამ უნდა გაიღოს. ცხადია, რომ აღნიშნული მიდგომა კი დღეს არსებული წევრი ქვეყნების სამი ჯგუფის უფრო ზუსტ დახარისხებას მოითხოვს.⁴¹⁵ აღსანიშნავია ბერნარდ ჰოეკმანის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, საჭიროა „მკაცრი“ ეკონომიკური კრიტერიუმების შემოღება, რომელთა საფუძველზე მოხდება ქვეყნების გადაჯგუფება მათი

⁴¹⁴ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, p. 791. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>; საკითხით დაინტერესებულ პირებს ასევე ვურჩევთ გაეცნონ: Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' *World Bank Working Papers – International Economics* No. 2388, 2000; Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters L. Alan. 'More Favorable and Differential Treatment of Developing Countries: Toward a New Approach in the World Trade Organization,' *World Bank Policy Research Working Paper* No. 3107, 2003; Hoekman, Bernard. 'Operationalizing the concept of policy space in the WTO: beyond special and differential treatment,' *Journal of International Economic Law* 8, no. 2, 2005. <https://doi.org/10.1093/jielaw/jgi027>.

⁴¹⁵ Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. 'Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,' Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005, p. 14

შემოსავლების დონისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების მიხედვით. ამგვარი გადაჯგუფებით მხოლოდ დაბალშემოსავლიან და პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებს მიეცემა წვდომა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებზე.⁴¹⁶ საინტერესოა პროუზეს მიდგომაც, რომელიც გვთავაზობს ქვეყნების „აუდიტს“. აღნიშნულით კი მოხდება ვალდებულებებისგან დროებითი გათავისუფლების და ტექნიკური დახმარების განსაზღვრა იმ განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.⁴¹⁷

დისერტაციის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა სტივენსის მოსაზრება - იგი ემხრობა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარი ქვეყნების განსაზღვრას ეკონომიკური ფაქტორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე და წინასწარ დადგენილი ზღვრების გამოყენებით.⁴¹⁸ აღსანიშნავია, რომ სწორედ სტივენსი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ე.წ. ანალიტიკურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მიდგომა შეიმუშავა იმის გასარკვევად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი უნდა გახდეს თუ არა ყოველი კონკრეტული წევრი ქვეყანა. იგი თავის მიდგომას იმ არგუმენტით ხსნის, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ საერთო მახასიათებლები, რაც მათ განასხვავებს სხვა წევრი ქვეყნებისგან და რომლებიც დაკავშირებული იქნება იმ ვალდებულებებთან, რომლებისთვისაც არის შემოთავაზებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები.⁴¹⁹

დისერტაცია ავითარებს იმ აზრს, რომ ყოველი კონკრეტული მსო-ს ხელშეკრულების ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირება

⁴¹⁶ Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters Alan L. 'Special and differential treatment of developing countries in the WTO: moving forward after Cancun,' *The World Economy* 27, no. 4, 2004, p. 494.

⁴¹⁷ ob. Prowse, Susan. 'The Role of International and National Agencies in Trade-related Capacity Building,' *The World Economy* 25, no. 9, 2002. <https://doi.org/10.1111/1467-9701.00490>.

⁴¹⁸ ob. Stevens, Christopher. 'The Future of Special and Differential Treatment (SDT) for Developing Countries in the WTO,' IDS Working Papers 163, 2002.

⁴¹⁹ ob. იქვე, გვ. 6.

არის ყველაზე ეფექტური გამოსავალი არსებული სტატუს კვოს მდგომარეობიდან. ამას ე.წ. კონკრეტული შეთანხმების, იგივე „agreement-specific“ მიდგომა ეწოდება და ეს მეთოდი ლავირების საშუალებას იძლევა - კერძოდ, თუკი ერთ-ერთი მსო-ს შეთანხმების ფარგლებში ქვეყანა A-ს კონკრეტული სექტორი განვითარებული აქვს, ამ კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში ქვეყანა A განვითარებულად ჩათვლება წინასწარ შერჩეული გაზომვადი ობიექტური კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე, მაშინ, როცა სხვა მსო-ს ხელშეკრულების ფარგლებში ქვეყანა A შეიძლება განვითარებადი ქვეყნის სიაში აღმოჩნდეს.⁴²⁰ აქედან გამომდინარე, ეს მიდგომა აღიარებს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე ქვეყანა განვითარების მაღალ საფეხურზე იყოს კონკრეტულ სექტორში და, შესაბამისად, კონკრეტული მსო-ს ხელშეკრულების ფარგლებში და პირიქით;⁴²¹ ამგვარად, ე.წ. agreement-specific მიდგომა საშუალებას იძლევა პრივილეგიები მიენიჭოს მხოლოდ იმ ქვეყნებს და მხოლოდ იმ სფეროში, სადაც მათ ეს რეალურად სჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ე.წ. agreement-specific მიდგომის რელევანტურობა გამყარებულია ცნობილი ჰოლანდიელი ეკონომისტის და ნობელის პრემიის ლაურეატის, იან თინბერგენის ეკონომიკური თეორიით, რომელიც აღწერილი აქვს ვან დალენს მონოგრაფიაში *“Tinbergen, Jan” in R. J. Barry Jones (ed.) Routledge Encyclopedia of International Political Economy (2001)*.⁴²² კერძოდ, თინბერგენის თეორიის თანახმად, თითოეული ეკონომიკური მიზნის მისაღწევად საჭიროა კონკრეტულად ამ მიზნისთვის განსაზღვრული ინსტრუმენტი; ორი მიზნის მიღწევა ერთი და იმავე გზით არაეფექტურია.⁴²³ ფაქტობრივად, თინბერგენის თეორიის ქვეყნის განვითარების პოლიტიკასთან მისადაგებით ვასკვნით,

⁴²⁰ Veridame, Guglielmo. ‘The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,’ *German Yearbook of International Law* 39, 1996, pp. 172-173.

⁴²¹ Sanford Jonathan E. and Sandhu Anjula. ‘Developing Countries: Definitions, Concepts and Comparisons,’ CRS Report for Congress, 2002, p. 1.

⁴²² Van Dalen H. P., ‘Tinbergen, Jan’ in R. J. Barry Jones (ed.), *Routledge Encyclopedia of International Political Economy*. Vol. 3, London: Routledge, 2001, pp. 1566-1567.

⁴²³ იხ. იქვე.

რომ როცა სახეზე გვაქვს განსხვავებული მიზნები, ყოველ კონკრეტულ მიზანს უნდა ჰქონდეს მისადაგებული კონკრეტულად მისთვის განკუთვნილი პროგრამა ან პროცედურა.⁴²⁴ გარდა ამისა, თინბერგენის თეორია ამბობს, რომ იმ შემთხვევაში თუკი დღის წესრიგში არსებული საკითხები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, ცვლილებები და გაუმჯობესებები ერთი სფეროს ფარგლებში აპრიორი არ იწვევს ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს სხვა სფეროში.⁴²⁵ აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ ქვეყნების განვითარების დონე სექტორების მიხედვით მნიშვნელოვნად ლავირებს, და, ასევე, **სქემა 1**-ში მოცემული მსო-ს ხელშეკრულებების მრავალფეროვნების გამო, დისერტაცია ავითარებს იმ იდეას, რომ ე.წ. agreement-specific მეთოდი ქვეყნების კლასიფიკაციის ყველაზე ეფექტური მეთოდია. გარდა ამისა, თუკი გავითვალისწინებთ სპეციალური და განსხვავებული მუხლების მრავალფეროვნებას, რასაც ხელშეკრულებებში ვაწყდებით,⁴²⁶ ვფიქრობ, მხოლოდ agreement-specific მიდგომა საკმარისი არ იქნება. რიგ შემთხვევებში, ე.წ. კონკრეტული დებულების, იგივე „provision-specific” ან/და ე.წ. კონკრეტული საკითხის, იგივე „issue-specific” მიდგომების გამოყენებაც შესაძლოა საჭირო გახდეს. ეგრეთწოდებული provision-specific მიდგომა გულისხმობს წვერი ქვეყნების კლასიფიკაციას ხელშეკრულებაში არსებული კონკრეტული მუხლების ქვეშ, ხოლო issue-specific მიდგომა კი - კონკრეტული საკითხის ფარგლებში.

ე.წ. provision-specific მიდგომის უპირატესობა კარგად აქვს წარმოდგენილი სტივენსს, რომელმაც თავის ნაშრომში გააანალიზა ის ანალიტიკური კრიტერიუმები, რომელიც AoA-ს ხელშეკრულების, იგივე სოფლის მეურნეობის შესახებ ხელშეკრულების ქვეშ მოცემული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებისთვისაა რელევანტური. შემდგომ, აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე მან

⁴²⁴ Sanford Jonathan E. and Sandhu Anjula. 'Developing Countries: Definitions, Concepts and Comparisons,' CRS Report for Congress, 2002, p. 27.

⁴²⁵ იხ. იქვე.

⁴²⁶ იხ. World Trade Organization [WTO], 'Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions – Note by the Secretariat,' (WT/COMTD/W/239, 12 October 2018).

მოახდინა იმ განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირება, რომლებსაც საკვების ნაკლებობის პრობლემა აქვთ.⁴²⁷ ის ფაქტი, რომ ე.წ. provision-specific დიფერენცირების მიდგომა უფრო ეხმიანება ბენეფიციარი ქვეყნების კონკრეტულ საჭიროებებს მაშინ გამოიკვეთა, როდესაც სტივენსმა AoA-ს ხელშეკრულების ქვეშ იდენტიფიცირებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარების სია შეადარა SCM-ის ხელშეკრულების 27.4 მუხლის ქვეშ⁴²⁸ არსებული გარდამავალი პერიოდის (ე.წ. „fast-track“) კრიტერიუმების საფუძველზე გამოვლენილი განვითარებადი ქვეყნების სიას.⁴²⁹ ამ შედარებამ ცხადყო განსხვავება იდენტიფიცირებულ ორ ჯგუფს შორის, რადგან სიები ერთმანეთს არ დაემთხვა. შესაბამისად, სტივენსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუკი ერთი და იგივე კრიტერიუმებით მოვახდენდით ორივე ხელშეკრულების ქვეშ ქვეყნების განვითარების დონის იდენტიფიცირებას, ბენეფიციარი ქვეყნების სია, რომლებიც რეალურად მართლაც იმსახურებენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობას, ზუსტი არ იქნებოდა.⁴³⁰ მაგალიათად, SCM-ის ხელშეკრულების fast-track კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, სტივენსის მიერ გამოვლენილ რამდენიმე საკვების დეფიციტის მქონე წევრ ქვეყანას არ ექნებოდა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით სარგებლობის უფლება AoA-ის ხელშეკრულების ფარგლებში.⁴³¹ აღნიშნული მიდგომა თავიანთ კვლევაში შეაფასეს ქექმა და ლოუმ და დაასკვნეს, რომ დიდ გამოწვევას წარმოადგენს იმ ანალიტიკური კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს კონკრეტული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარების განსაზღვრას. თუმცა,

⁴²⁷ Stevens, Christopher. 'The Future of Special and Differential Treatment (SDT) for Developing Countries in the WTO,' IDS Working Papers 163, 2002, pp. 13-23.

⁴²⁸ Agreement on Subsidies and Countervailing Measures, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14., Article 27.4.

⁴²⁹ Keck Alexander and Low Patrick. 'Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?' WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, pp. 26-27.

⁴³⁰ იხ. იქვე, გვ. 27.

⁴³¹ იხ. იქვე.

მიუხედავად ამ გამოწვევისა, ქეჩი და ლოუ თვლიან, რომ შემდგომი კვლევები ამ მიდგომის ირგვლივ უნდა წახალისდეს, რადგან ამ უკანასკნელს არსებული პრობლემის გადაჭრის პოტენციალი გააჩნია.⁴³²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარების გამოსავლენად უმჯობესია გამოვიყენოთ ე.წ. agreement-specific და provision-specific/issue-specific მიდგომები. აღნიშნული მიდგომების უპირატესობა ე.წ. country-based მიდგომასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელი იქნება თავიდან ავიცილოთ გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია დამატებითი ქვეყნების ჯგუფების/კატეგორიების შექმნასთან, რაც თავის მხრივ უცილობლად გამოიწვევს პოლიტიკურ სირთულეებსა და დაუსრულებელ მოლაპარაკებებს, რათა რიგმა ქვეყნებმა მიიღონ უპირატესობები, რომლებიც მათ შესაძლოა არც სჭირდებოდეთ.⁴³³ თუკი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება მოხდება ყოველი კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე და არა ავტომატურად სტატუსიდან გამომდინარე, მაშინ საკუთარი თავის „განვითარებად ქვეყნად“ თვითგამოცხადების უპირატესობა მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან სტატუსის მიუხედავად, სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე წვდომა განისაზღვრება ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე.⁴³⁴ გარდა ამისა, აღნიშნულ მიდგომას შესაძლოა კიდევ ერთი დადებითი ეფექტიც მოჰყვეს - განვითარებული ქვეყნები დღესდღეობით შეშფოთებულნი არიან სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მიკუთვნებით ისეთი განვითარებული სტატუსის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც რეალურად მათ კონკურენტებს წარმოადგენენ საერთაშორისო ბაზარზე; შესაბამისად, როგორც უკვე დისერტაციის მეორე თავში აღინიშნა, ისინი არ თანხმდებიან

⁴³² იხ. იქვე.

⁴³³ Cortez Ana Luiza and Arda Mehmet. 'Global trade rules for supporting development in the post-2015 era,' CDP Background Paper No. 19, ST/ESA/2014/CDP/19, 2014, p. 17.

⁴³⁴ Bacchus James and Manak Inu. 'The Development Dimension: What to Do about Differential Treatment in Trade,' Cato Institute Policy Analysis No. 887, 2020, p. 18.

უფრო სიღრმისეული და შინაარსობრივი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების შემოღებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, საზიანოა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. რეფორმის შემთხვევაში, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ განვითარებული ქვეყნები დათანხმდებიან უფრო შინაარსობრივი და მრავლისმომცველი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმები გავრცელდეს იმ განვითარებად ქვეყნებზე, რომლებიც ამ უპირატესობას საჭიროებენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსნაირი პატარა ეკონომიკის ქვეყნებისთვის იქნება მომგებიანი.⁴³⁵

საყურადღებოა, რომ ცნობილი მკვლევრები - მათ შორის, კოტიერი,⁴³⁶ მუნი,⁴³⁷ პაუველინი⁴³⁸ - ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ agreement-specific და provision-specific ან/და issue-specific მიდგომები ეხმიანებიან განვითარებადი ქვეყნების რეალურ მოთხოვნებს და, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების უფრო მისაღებ მეთოდს წარმოადგენენ. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს განვითარების ყველა ასპექტს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში. უფრო კონკრეტულად, იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებული ქვეყნები სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ყველა განვითარებად ქვეყანაზე გავრცელების წინააღმდეგნი არიან, სამართლებრივად მბოჭავი ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მას შეუძლია არსებული სისტემა უფრო სამართლიანი გახადოს ე.წ. გრადაციის მექანიზმის

⁴³⁵ Cortez Ana Luiza and Arda Mehmet. 'Global trade rules for supporting development in the post-2015 era,' CDP Background Paper No. 19, ST/ESA/2014/CDP/19, 2014, p.17.

⁴³⁶ ob. Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

⁴³⁷ Moon, Gillian. 'Trade and Equality: A Relationship to Discover,' *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009, pp. 638-639. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>

⁴³⁸ Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, pp. 36-38.

დანერგვის გზით.⁴³⁹ ამ მექანიზმით, ის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწევს შეწყვეტს სუბსიდიების გამოყენებას⁴⁴⁰ და შედეგად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები გათვლილი იქნება მხოლოდ მოწყვლად ქვეყნებზე. არსებობს მთელი რიგი მიზეზები, რაც ადასტურებს გრადაციის შემოღების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარების წრე. მაგალითისთვის, გრადაციის გარეშე განვითარებული ქვეყნები: (ა) გააგრძელებენ განვითარებადი ქვეყნების წინაშე ზოგადი, და არა კონკრეტული, ვალდებულებების აღებას, რომელიც მორგებული არ იქნება განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებზე; (ბ) აიღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს მხოლოდ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების წინაშე, რომლებსაც მსოფლიო ვაჭრობაში ძალიან მცირე წილი აქვთ; (გ) დაეყრდნობიან საკუთარ კრიტერიუმებს - ხშირად არატრანსპარანტულს და პოლიტიკურად მოტივირებულს - იმის განსაზღვრისას, თუ რომელი ქვეყნები უზრუნველყონ უფრო ხელსაყრელი მოპყრობით.⁴⁴¹

თავისთავად, განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირება და გრადაციაზე დათანხმება „დიდი“ განვითარებადი ქვეყნებისთვის რთულად მისაღებია. თუმცა, როგორც უკვე დისერტაციის მეორე თავში აღინიშნა, ჩვენ გვაქვს სიღრმისეული დიფერენცირების მაგალითები რიგ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში და გაეროს განვითარების პროგრამაშიც კი. მაგალითისთვის, მსოფლიო ბანკის შემთხვევაში, რიგი განვითარებადი ქვეყნები საერთოდ არ იღებენ დახმარებას, ზოგიერთს სესხის აღება შეუძლია მხოლოდ „მძიმე“ პირობებით, მაშინ როცა რიგი

⁴³⁹ იხ. UN-OHRLS, 'Criteria for Identification and Graduation of LDCs,' retrieved from <<http://unohrlls.org/about-ldcs/criteria-for-ldcs/>> [25.04.2022].

⁴⁴⁰ Yu III, Vicente Paolo B. and Fonseca, Marti D. 'Reflecting Sustainable Development and Special and Differential Treatment for Developing Countries in the Context of New WTO Fisheries Subsidies Rules,' United Nations Environment Programme, 2005, 26.

⁴⁴¹ Singh, Ajit. 'Special and Differential Treatment, The Multilateral Trading System and Economic Development in the 21st Century,' MPRA Paper No. 24301, 2003, p. 34.

ქვეყნები სესხს შეღავათიანი პირობებით ან შერეული სახით იღებენ.⁴⁴² შესაბამისად, ისმის კითხვა - თუკი ფინანსურ სექტორში დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოხდა, რატომ არ შეიძლება იგივე მიდგომა სავაჭრო საკითხებზეც გავავრცელოთ?

აღსანიშნავია ისიც, რომ მსო-ს პრაქტიკაში გრადაციის პრეცედენტები უკვე არსებობს; მაგალითისთვის, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში, სადაც გაერო ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრავს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიას და ავლენს იმ ქვეყნებსაც, რომლებმაც გრადაცია უნდა მოახდინონ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კატეგორიიდან განვითარებადი ქვეყნების კატეგორიაში.⁴⁴³ საყურადღებოა GATT-ის ე.წ. “enabling clause”, რომელიც განვითარებადი ქვეყნის გრადაციის შესაძლებლობას იძლევა მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მიაღწევს ეკონომიკის განვითარების საკმარის დონეს და გაუმჯობესებს სავაჭრო მდგომარეობას. უფრო კონკრეტულად, “enabling clause”-ის მე-7 პარაგრაფის თანახმად, *„ნაკლებად განვითარებული ხელშემკვრელი მხარეები ელიან, რომ მათი ეკონომიკის პროგრესულ განვითარებასა და სავაჭრო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად გაუმჯობესდება მათი შესაძლებლობაც შეიტანონ წვლილი ან მოლაპარაკებულ დათმობაზე წავიდნენ ან ორმხრივად შეთანხმებული ქმედებები განახორციელონ გენერალური შეთანხმების დებულებებისა და პროცედურების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, აქვთ მოლოდინი, რომ ისინი უფრო სრულყოფილ მონაწილეობას მიიღებენ გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებული*

⁴⁴² Bretton Woods Project, ‘Who can borrow from the World Bank?’ (Brettonwoodsproject, 10 December 2020), retrieved from <<https://www.brettonwoodsproject.org/2020/12/art-320866/>> [25.04.2022].

⁴⁴³ იხ. United Nations, ‘Graduation from the LDC category,’ retrieved from <<https://www.un.org/development/desa/dpad/least-developed-country-category/ldc-graduation.html>> [25.04.2022].

უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში“.⁴⁴⁴ მე-9 პარაგრაფიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გრადაციის პრინციპის მოქმედებას და ამბობს, რომ არსებობს მოლოდინი, რომ განვითარებადი ქვეყნები აიღებენ ორმხრივ სავაჭრო ვალდებულებებს მათი შესაძლებლობების გაუმჯობესების შემდგომ.⁴⁴⁵ აქ ჩანს განვითარებადი ქვეყნების გრადაციის შესაძლებლობის იდეა გარკვეული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე და ხორანამ თავიანთ კვლევაში სწორად აღნიშნეს, რომ ე.წ. “enabling clause” იძლევა შესაძლებლობას მოხდეს განვითარებადი ქვეყნების განსხვავებული მოპყრობა გარკვეული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.⁴⁴⁶

საყურადღებოა, რომ გრადაცია გამოყენებულია GSP პროგრამებშიც;⁴⁴⁷ მაგალითისთვის, გრადაციის მუხლი მოცემულია ევროკავშირის GSP პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც განვითარებად ქვეყნებს შესაძლოა ჩამოერთვათ ხელსაყრელი შეღავათები ვაჭრობაზე დაფუძნებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.⁴⁴⁸ მიზეზი კი ისაა, რომ როდესაც ქვეყნები კონკურენტუნარიანები ხდებიან კონკრეტული პროდუქტის ექსპორტში, მათი განსხვავებულად მოპყრობის გამართლება აღარ არსებობს. შესაბამისად, ქვეყნები უბრუნდებიან ე.წ. MFN-ის ტარიფებს იმ პროდუქტებისთვის, სადაც კონკურენტუნარიანობა მიღწეულია. ამრიგად, დღესდღეობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართალში გრადაცია თავისი ტრადიციული შინაარსით უკვე გამოიყენება.

⁴⁴⁴ GATT Contracting Parties, ‘Differential and more favourable treatment reciprocity and fuller participation of developing countries,’ (L/4903, B28 November 1979), para. 7, retrieved from: <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/enabling1979_e.htm> [25.04.2022].

⁴⁴⁵ იხ. იქვე, პარაგრაფი 9.

⁴⁴⁶ Ukpe Aniekan and Khorana Sangeeta. ‘Special and differential treatment in the WTO: framing differential treatment to achieve (real) development,’ *Journal of International Trade Law and Policy* 20, no. 2, 2021, p. 90

⁴⁴⁷ Cottier, Thomas. ‘From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,’ *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, p. 782. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

⁴⁴⁸ მეტი ინფორმაციისთვის იხ. European Commission, ‘Generalised Scheme of Preferences (GSP),’ retrieved from <<https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/development/generalised-scheme-of-preferences/>> [25.04.2022].

გრადაციის შემოღებისას საყურადღებოა, რომ იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ზღურბლთან ახლოს მყოფი წევრი ქვეყნების რეგულარული გრადაცია (რომლის საფუძველზეც ისინი ან მიიღებენ უპირატეს მოპყრობას ან არა), შესაძლებელია განვიხილოთ ვაჭრობაზე დაფუძნებული ზღვრების დაწესება საშუალოდ რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში გრადაცია დამოკიდებული იქნება წინასწარ დადგენილ რამდენიმეწლიან პერიოდში წევრი ქვეყნის მიერ ზღვრის გადაცილებაზე. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება ევროკავშირის მიერ თავის GSP-ის პროგრამაში გამოყენებულ ტექნიკას, რომლითაც იგი ბენეფიციარების გრადაციას ახდენს, ასევე SCM-ის ხელშეკრულების 27.5 მუხლს, რომელიც აღიარებს კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობას, როგორც გრადაციის წამყვან იდეას და პროფუქციის კონკურენტუნარიანობის დასადგენად გვთავაზობს ორწლიან პერიოდს.⁴⁴⁹

და ბოლოს, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გრადაცია სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ყველა მუხლის ფარგლებში ვერ მოხდება - კერძოდ, იმის დასადგენად, კონკრეტული ნორმა ექვემდებარება თუ არა გრადაციას, უნდა გაირკვეს ნორმათა ერთობლიობის მიზანი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, თომას კოტიერს განხილული აქვს რიგი ნორმები, სადაც გრადაცია ვერ მოხერხდება.⁴⁵⁰ ერთ-ერთ ასეთ მაგალითად იგი პროდუქციის უსაფრთხოებას ასახელებს. კერძოდ, სანიტარული და ფიტოსანიტარული („sanitary and phytosanitary“ ან „SPS“) ღონისძიებები და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში („technical barriers to trade“ ან „TBT“) ემსახურება ადამიანის, მცენარეების, ცხოველების და გარემოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას. შესაბამისად, დადგენილი სტანდარტები განსაზღვრულია ამ მიზნების მისაღწევად და ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ნორმებთან მიმართებით

⁴⁴⁹ Agreement on Subsidies and Countervailing Measures, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14., Article 27.5.

⁴⁵⁰ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' Journal of International Economic Law 9, no. 4, 2006, pp. 800-803. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

გრადაცია. მიუხედავად იმისა პროდუქტი წარმოებულია განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში, უსაფრთხოების შესახებ დანაწესები თუ წარმოების მეთოდი ერთნაირი უნდა იყოს ყველა პროდუქტისთვის.⁴⁵¹ მეორე მხრივ, პროდუქციის უსაფრთხოების ნორმებისგან განსხვავებით, თომას კოტიერი დასაშვებად მიიჩნევს გრადაციის შემოღებას TRIPS-ის ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან მიმართებით.⁴⁵²

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპეციალური და განსხვავებული მუხლების ბენეფიციარების გამოსავლენად არა მარტო საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, არამედ ყველა მხარისთვის უმჯობესია დაინერგოს ე.წ. agreement-specific და provision-specific/issue-specific მიდგომები და შემოღებული იყოს გრადაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწევს შეწყვეტს პრივილეგირებული მდგომარეობის გამოყენებას. ამგვარი რეფორმა უზრუნველყოფს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები მუდმივად გათვლილი იქნება მხოლოდ მოწყვლად ქვეყნებზე. ზემოაღნიშნული მეთოდის უპირატესობა და მისი აღსრულების სპეციფიკა მოცემულია მომდევნო ქვეთავში.

3.2. ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ქვეყნების შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მათი „გაზომვა“

გონსალესის მიერ გამოყენებული მეთოდი, რომლის განზოგადებაც შესაძლებელია მსო-ს სხვა ხელშეკრულებებზე, შემდეგნაირია: თავდაპირველად უნდა მოხდეს იმ ქვეყნების შეზღუდვების და იმ უარყოფითი შედეგების იდენტიფიკაცია, რაც შეიძლება მსო-ს კონკრეტული ვალდებულების იმპლემენტაციამ გამოიწვიოს. შემდგომ უნდა

⁴⁵¹ იხ. იქვე, გვ. 800.

⁴⁵² იხ. იქვე, გვ. 802.

განისაზღვროს ამ შეზღუდვებთან შინაარსობრივად დაკავშირებული კრიტერიუმების ერთობლიობა. იმისათვის, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმი უფრო მიზანმიმართული და საჭიროებებზე დაფუძნებული გავხადოთ, საჭიროა იდენტიფიცირებული კრიტერიუმების გასაზომად შემოვიღოთ გარკვეული ეკონომიკური ინდიკატორები და დავაწესოთ ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგაც წევრი ქვეყანა აღარ იქნება შესაბამისი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლის ბენეფიციარი.⁴⁵³ აღნიშნული მიდგომა არის როგორც გამჭვირვალე, ასევე პროგნოზირებადიც.

ვფიქრობ, აღნიშნული პროცედურა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ თვითიდენტიფიცირებული „განვითარებადი“ სტატუსის მქონე ქვეყნებისთვის. მიზეზი მარტივია - განვითარებული და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. განსხვავებული მოპყრობის გამოყენების პრობლემა ძირითადად წარმოიშვება განვითარებადი ჯგუფის ჰეტეროგენურობის გამო, რომლის ფარგლებშიც, ერთის მხრივ, ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორც ქუვეითია და ისეთი კონკურენტუნარიანი ქვეყანა, როგორც ჩინეთია და, მეორეს მხრივ, ისეთი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყანა, როგორც საქართველოა ერთნარი სტატუსით სარგებლობენ. გარდა ამისა, სწორედ განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნების შესაძლებლობებში ვხედავთ ყველაზე დიდ განსხვავებებს - ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა მეტადაა მზად მოახდინოს მსო-ს ვალდებულებების იმპლემენტაცია; ამრიგად, შერჩეული ობიექტური ანალიტიკური კრიტერიუმების საფუძველზე სწორედ ამგვარი ქვეყნების დიფერენცირება უნდა მოხდეს.

ისეთი კრიტერიუმების მოძიება, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაშია მსო-ს თითოეული ხელშეკრულების სპეციფიურ

⁴⁵³ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 35.

საკითხებთან და, მეორე მხრივ, დღეს არსებული მონაცემებით გაზომვადია, დიდ გამოწვევას წარმოადგენს.⁴⁵⁴ განვითარება არის მრავალგანზომილებიანი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს.⁴⁵⁵ აქედან გამომდინარე, გამოიყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი თუ ინდიკატორი, რომელთა მიზანია ქვეყნების განვითარების დონე განსაზღვროს და მათი შესაბამისი რანჟირება მოახდინოს. როგორც სქემა 4-შია ნაჩვენები, ამ საზომი პარამეტრების ფართო სპექტრიდან ყველაზე ხშირად იყენებენ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე; თუმცა, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე იყენებენ სოციალურ, სტრუქტურულ და სხვა პარამეტრებს იმ საფუძვლით, რომ ეს პარამეტრებიც განვითარების აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ.

ამრიგად, განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით - საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხშირად გამოყენებული ერთი-ორი კრიტერიუმით შემდგარი მარტივი მეთოდებიდან დაწყებული უფრო რთული მეთოდების გამოყენებით დამთავრებული.⁴⁵⁶ როგორც წესი, მარტივი მეთოდებით ხდება ქვეყნების ფართო კლასიფიკაცია.⁴⁵⁷ რადგანაც მოცემული დისერტაცია ავითარებს იმ აზრს, რომ საჭიროა მსო-ს განვითარებადი წევრი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირება, შესაბამისად მიზანშეწონილია უფრო რთული მეთოდების გამოყენება მათი კლასიფიკაციისთვის. ამრიგად, მსო-ს სხვადასხვა ხელშეკრულებების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი იმ ობიექტური კრიტერიუმების პირდაპირ გადმოტანა და გამოყენება, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ზოგადად იყენებენ. ამის ნაცვლად, გათვალისწინებული უნდა იყოს მსო-ს ყოველი კონკრეტული

⁴⁵⁴ Keck Alexander and Low Patrick. 'Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?' WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004, p. 27.

⁴⁵⁵ Sanford Jonathan E. and Sandhu Anjula. 'Developing Countries: Definitions, Concepts and Comparisons,' CRS Report for Congress, 2002, p. 1.

⁴⁵⁶ Kasteng Jonas, Karlsson Arne and Lindberg Carina. 'Differentiation Between Developing Countries in the WTO,' Swedish Board of Agriculture, Report 2004:14 E, 2004, 15.

⁴⁵⁷ იხ. იქვე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სფეროს სპეციფიკა და ობიექტურ კრიტერიუმებზე შეთანხმებაც სწორედ ამ სპეციფიკის მხედველობაში მიღებით უნდა მოხდეს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში კრიტერიუმების გაზომვის მიზნით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მაინც უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც მიუკერძოებელი ინფორმაციისა და ექსპერტული მოსაზრებების წყაროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, TRIPS-ის და SCM-ის ხელშეკრულებების მაგალითებით, ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ეს შეთანხმებები შეეხება განსხვავებულ სფეროებს. ამგვარად, თითოეული ხელშეკრულების ქვეშ წვერი ქვეყნების განვითარების დასადგენად და კრიტერიუმების განსასაზღვრად საჭიროა ე.წ. agreement-specific მიდგომა, რადგან კრიტერიუმები იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ ისინი თითოეული ხელშეკრულების შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა ახდენდნენ განვითარებადი ქვეყნების რეალური საჭიროებების იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს „საფუძვლიანი“ კავშირი სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობასა და კონკრეტული საჭიროების შემსუბუქებას შორის. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ეხმიანება მსო-ს სააპელაციო ორგანოს მოთხოვნას, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა „დადებითად უნდა უპასუხონ განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს“.⁴⁵⁸ ამავდროულად, აშშ-ს ბოლოდროინდელ წინადადებაში მოცემული ქვეყნების კლასიფიკაციის კრიტერიუმებისგან განსხვავებით, რომელთა უმეტესობას ვაჭრობასთან არანაირი კავშირი არ აქვს,⁴⁵⁹ ვფიქრობ, მსო-ს

⁴⁵⁸ *European Communities - Conditions for the Granting of Tariff Preferences to Developing Countries*, Appellate Body Report, (WT/DS246/AB/R, 20 April 2004), para. 164.

⁴⁵⁹ აშშ-ს კომუნიკაციის თანახმად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით არ უნდა ისარგებლონ მსო-ს წევრმა შემდეგმა ქვეყნებმა: (1) ქვეყნები, რომლებიც უკვე არიან OECD-ის წევრები ან დაწყებული აქვთ მიერთების პროცესი; (2) დიდი ოცეულის წვერი ქვეყნები; (3) მსოფლიო ბანკის მიერ კლასიფიცირებული „მაღალი შემოსავლის“ მქონე ქვეყნები; ან (4) ქვეყნები, რომელთა ვაჭრობის წილი (იმპორტი და ექსპორტი) გლობალური ვაჭრობის არანაკლებ 0.5%-ს შეადგენს (იხ. World Trade Organization [WTO], ‘Draft General Council Decision: Procedures to Strengthen the Negotiating Function of the WTO,’ (WT/GC/W/764, 15 February 2019), pp. 1-2).

მანდატიდან გამომდინარე, შემოთავაზებული ობიექტური კრიტერიუმები ვაჭრობასთან დაკავშირებული უნდა იყოს. გარდა ამისა, ქვემოთ განხილული იქნება დავების გადაწყვეტის შესახებ შეთანხმებაც, იგივე DSU-ს ხელშეკრულება; DSU-ს მაგალითიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მსო-ს ერთი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს, არამიზანშეწონილი ხდება, ერთი და იგივე კრიტერიუმი შევუსაბამოთ, მაგალითად, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის მუხლებსა და ისეთ საკითხს, როგორცაა ე.წ. სამაგიეროს მიგება. აქედან გამომდინარე, დისერტაციაში განვავითარებ აზრს, რომ მსო-ს კომპლექსურ შეთანხმებებში საჭიროა ე.წ. provision-specific ან issue-specific მიდგომების გამოყენება.

3.2.1. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება TRIPS-ის ფარგლებში

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება, იგივე TRIPS-ის ხელშეკრულება აწესებს სავალდებულო სტანდარტებს რამდენიმე ინტელექტუალური საკუთრების უფლების (“Intellectual Property Rights” ან “IPR”) დასაცავად, მათ შორის პატენტების, სავაჭრო ნიშნების, საავტორო უფლებების, დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების.⁴⁶⁰ დღეს არსებული TRIPS-ის დებულებები გარკვეულწილად ზღუდავენ განვითარებადი წევრი ქვეყნების განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესს, რადგან TRIPS-ის ფარგლებში დაწესებული ვალდებულებები ზედმეტად ინტრუზიული და დაუბალანსებელია (მაგალითად, TRIPS-ის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო მონოპოლიურ რენტას და შეამცირა ტექნოლოგიების გადაცემის შესაძლებლობა).⁴⁶¹ მოწინავე ტექნოლოგიებისა

⁴⁶⁰ *ib. Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197.*

⁴⁶¹ *World Trade Organization [WTO], ‘Strengthening the WTO to Promote Development and Inclusivity - Communication from Plurinational State of Bolivia, Cuba, Ecuador, India, Malawi, Oman, South Africa, Tunisia, Uganda and Zimbabwe,’ (WT/GC/W/778/Rev.1, 22 July 2019), para 1.4*

და ცოდნის შექმნა მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რათა მათ გააუმჯობესონ თავიანთი მრეწველობა და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ განვითარებას.⁴⁶² ამდენად, სამეცნიერო წრეებში მუსირებს აზრი, რომ TRIPS-ის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული მსო-ს მოქმედი წესები უნდა გადაიხედოს განვითარების კუთხით. აღნიშნული კი იწვევს უთახმოებას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მათი ინტერესების სხვადასხვაობის გამო; კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების პრიორიტეტია მოწინავე ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნა, ხოლო განვითარებული ქვეყნების ინტერესია აკონტროლონ მათ კონტროლირებად ინტელექტუალურ საკუთრებაზე სხვების წვდომა.⁴⁶³ TRIPS-ის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები კი სწორედ განვითარებული ქვეყნების ინტერესებს ეხმიანება, რაც თავისთავად, მძიმე ტვირთად აწევთ განვითარებად ქვეყნებს.

რადგანაც TRIPS-ის ხელშეკრულება მრავალ სხვადასხვა დარგს არეგულირებს, ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს - ფარმაცევტული ნაწარმის საპატენტო დაცვას განვიხილავთ, რაც საქართველოსთვის აქტუალურ თემას წარმოადგენს ქვეყანაში იმპორტირებული მედიკამენტების მაღალი ფასებიდან გამომდინარე. პრობლემა ერთი შეხედვით მარტივია - სათანადო რეგულაციების შემუშავება და პატენტის დაცვის აღსრულების მექანიზმის ჩამოყალიბება საკმაოდ ძვირადღირებული „სიამოვნებაა“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქედან სარგებლის დიდ ნაწილს იღებენ განვითარებული ქვეყნების კორპორაციები. გარდა ამისა, აღნიშნული რეგულაციების აღსრულება გავლენას ახდენს როგორც საჭირო მედიკამენტების ფასზე, ასევე მათ ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, რეფორმის ფარგლებში უნდა შეიქმნას იმგვარი მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, მხედველობაში მიიღებს განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების შეზღუდვებს და,

⁴⁶² Lee, Yong-Shik. *Reclaiming Development in the World Trading System*. 1st ed., Cambridge: Cambridge University Press, 2009, p. 123.

⁴⁶³ Lee, Yong-Shik. 'The Long and Winding Road – Path Towards Facilitation of Development in the WTO: Reflections on the Doha Round and Beyond,' *Law and Development Review* 9, no. 2, 2016, p. 455. <https://doi.org/10.1515/ldr-2016-0011>.

მეორე მხრივ, ფარმაცევტულ კომპანიებს მისცემს საშუალებას სარგებელი მიიღონ თავიანთი ინოვაციური წამოწყებებიდან.⁴⁶⁴

TRIPS-ის შეთანხმების 27-ე მუხლის თანახმად, ფარმაცევტული საშუალებების დაპატენტება ერთ-ერთ სავალდებულო მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს. ყველა განვითარებადი ქვეყანა ვალდებულია დანერგოს აღნიშნული მუხლით განსაზღვრული პატენტის დაცვის მექანიზმები, მიუხედავად მათი კონკურენტუნარიანობისა ამ სექტორში.⁴⁶⁵ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა განვითარებადი ქვეყანას ერთნაირად ევალება საჭირო ინსტიტუციური ინსტრუმენტების შემუშავება და პატენტების სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა მათი განვითარების დონისა და ფარმაცევტული ინდუსტრიის მდგომარეობის მიუხედავად.⁴⁶⁶ მართალია ყველა წევრი ქვეყანა ერთნაირადაა ვალდებული ყველა დაპატენტებულ პროდუქტს მიანიჭოს იგივე დონის დაცვა, თუმცა ერთადერთი პრივილეგია, რასაც განვითარებადი ქვეყნები მაინც იღებენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ფარგლებში არის მათთვის გახანგრძლივებული პერიოდის მინიჭება, რათა მათ მოახერხონ ეროვნული სამართლის მოდიფიკაცია TRIPs-ის ვალდებულებების შესაბამისად და შეცვლილი კანონდებლობის იმპლემენტაცია.⁴⁶⁷ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გახანგრძლივებული პერიოდი წარმოადგენს სტანდარტულ „გარდამავალ“ დებულებას, რომელიც მსო-ს შეთანხმებების უმეტესობაში გვხვდება და რომელიც შესაძლოა არც კი ეხმიანებოდეს იმ კონკრეტულ საჭიროებებსა და შეზღუდვებს, რასაც განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან.

⁴⁶⁴ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. ‘TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,’ NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 2; მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Maskus, Keith E. *Intellectual Property Rights in the Global Economy*. Washington, D.C.: Institute for International Economics, 2000.

⁴⁶⁵ Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Article 27.

⁴⁶⁶ Cottier, Thomas. ‘From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,’ *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, p. 814. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

⁴⁶⁷ Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Article 65.

თუმცა აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „გარდამავალი“ პერიოდის მიცემით TRIPs-ის ხელშეკრულება ფაქტობრივად ირიბად აღიარებს, რომ დებულებების იმპლემენტაციისთვის სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებს განსხვავებული ტექნიკური შესაძლებლობები აქვთ და რომ მათ აღნიშნული შეზღუდვები ფიქსირებულ დროში უნდა გადალახონ.⁴⁶⁸ შესაბამისად, პერიოდის გახანგრძლივება არის ფიქსირებული და არ არის დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ან ამ უკანასკნელის ფაქტობრივ პროგრესზე. იმპლემენტაციის გადავადება მხოლოდ შესაძლებლობების გაზრდისა და სტრუქტურული კორექტირების საჭიროებას ასახავს.⁴⁶⁹ ამ პირობებში, არ არის გასაკვირი, რომ უკანასკნელ პერიოდში მედიკამენტებზე დაწესებულმა პატენტის დაცვის ვალდებულებამ, განსაკუთრებით კი აუცილებელ მედიკამენტებზე (მაგალითისთვის, აივ-ინფექციის მედიკამენტებზე) არსებულმა პატენტებმა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სამეცნიერო წრეებში.⁴⁷⁰ შესაბამისად, ჩნდება კითხვა - შესაძლებელია თუ არა TRIPs-ის ხელშეკრულების ფარგლებში ახალი ბალანსის პოვნა გრადაციის შემოღების გზით?

ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად, საჭიროა გავიგოთ რას წარმოადგენს პატენტი ფარმაცევტული სფეროს მიზნებისთვის. როდესაც ფარმაცევტული კომპანია ავითარებს ახალ წამალს დაავადებისთვის, აღნიშნულ შემთხვევაში ამას პატენტი ეწოდება. პატენტი იცავს ფარმაცევტული კომპანიის უფლებას აწარმოოს და გაყიდოს წამალი მოგების მიღების მიზნით, რაც ხელს უწყობს კვლევისა და წამლების შემუშავებისთვის გაწეული ხარჯების ამოღებას. განვითარებადი

⁴⁶⁸ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPs and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 5

⁴⁶⁹ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, p. 786. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

⁴⁷⁰ იხ. იქვე, გვ. 814; Abbott, Frederick M. 'The WTO Medicines Decision: World Pharmaceutical Trade and the Protection of Public Health,' *American Journal of International Law* 99, no. 2, 2005, p. 317.

ქვეყნებისთვის წამლის ფასის შემცირების ყველაზე ეფექტური და მდგრადი გზა არის სხვადასხვა გენერიკული მედიკამენტების მწარმოებლებს შორის კონკურენციის ხელშეწყობა. აღნიშნული კი შეუძლებელია, თუ წამალი ჯერ კიდევ დაპატენტებულია და პატენტის მფლობელს არ სურს კონკურენციის დაშვება.⁴⁷¹ მაგალითად, TRIPS-ის ხელშეკრულება ადგენს, რომ პატენტები მოქმედებს რეგისტრაციის დღიდან 20 წლის განმავლობაში.⁴⁷² ეს აძლევს მწარმოებლებს შესაძლებლობას, ამ პერიოდის განმავლობაში მედიკამენტები ექსკლუზიურად აწარმოონ, რათა მათ შეძლონ კვლევისა და წამლების შემუშავებისთვის დახარჯული თანხის უკან ამოღება. თუმცა ეს ექსკლუზივი მწარმოებლებს ასევე ანიჭებს მედიკამენტის ფასების მანიპულირების საშუალებას. კერძოდ, კონკურენციის არარსებობამ შესაძლოა წამლის ფასი ხელოვნურად გაზარდოს და მიუწვდომელი გახადოს ღარიბი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში.⁴⁷³ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუსირებს აზრი, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის პატენტი წარმოადგენს ერთგვარ ბარიერს, ჰქონდეს წვდომა ხელმისაწვდომ მედიკამენტებზე; ამის საპირწონედ, ფარმაცევტული ინდუსტრიის ლობისტებს ღრმად სწამთ, რომ აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა გლობალური მასშტაბით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამომავლო კვლევები და განვითარება, ასევე ინდუსტრიის კომერციული სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.⁴⁷⁴

მსოფლიო ბანკის მესვეურები ჯერ კიდევ 2001 წელს აცხადებდნენ, რომ პატენტის დაცვის ვალდებულების დაწესებით ეკონომიკურ სარგებელს

⁴⁷¹ Schellack, Natalie. 'How changing drug patent rules will affect developing nations' (Theconversation, 21 November 2016), retrieved from <<https://theconversation.com/how-changing-drug-patent-rules-will-affect-developing-nations-57175>> [25.04.2022].

⁴⁷² Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Article 33.

⁴⁷³ Penfold, Erica. 'Explainer: the problem drug patents pose for developing countries' (Theconversation, 6 August 2015), retrieved from <<https://theconversation.com/explainer-the-problem-drug-patents-pose-for-developing-countries-45667>> [25.04.2022].

⁴⁷⁴ Attaran, Amir. 'How Do Patents and Economic Policies Affect Access To Essential Medicines In Developing Countries?' *Health Affairs* 23, no. 3, 2004, p. 159.

მიიღებდნენ ის ქვეყნები, რომლებიც მეტ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მქონე პროდუქტს აწარმოებენ. პატენტის დაცვის აღსრულებით კი მოხდებოდა ფულის გადარიცხვა მწარმოებელ ქვეყნებში პატენტის არმქონე ქვეყნებიდან.⁴⁷⁵ ეს ნიშნავს, რომ პატენტის დაცვის აღსრულებას მივყავართ გარკვეული სავაჭრო ნაკადების ჩამოყალიბებისკენ; აღნიშნულს ადასტურებს გონსალესის კვლევაში მოყვანილი 2008 წლით დათარიღებული **სქემა 5**, რომელიც გვიჩვენებს ფარმაცევტული პროდუქტების სავაჭრო ნაკადს როგორც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ასევე თავად ამ სტატუსის ქვეყნებს შორისაც. სქემაში ნათლად ჩანს, რომ კონცენტრაცია აშკარაა - კერძოდ, ფარმაცევტული პროდუქტების ექსპორტის თითქმის 88% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო 12% - განვითარებადზე; რაც შეეხება იმპორტს, სავაჭრო ნაკადი აქ შედარებით ნაკლებად კონცენტრირებულია და 68% მიედინება განვითარებულ ქვეყნებში. სქემა ასევე გვიჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნების ექსპორტის დაახლოებით 70% მიმართულია სხვა განვითარებულ ქვეყნებზე.⁴⁷⁶

ისმის კითხვა - შესაძლებელია თუ არა მოიძებნოს ეკონომიკური ფაქტორები და კრიტერიუმები, რომელზეც დაფუძნებული იქნება საპატენტო წესების დაცვის ვალდებულება და რომელიც მხედველობაში მიიღებს ბენეფიციარების განვითარების დონესა და მათ კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე? აქვე ჩნდება მეორე კითხვაც - ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის ზედმეტად მრავლისმომცველი ვალდებულებების დაკისრების სანაცვლოდ არის თუა არა შესაძლებელი გრადაციაზე დაფუძნებული სისტემის შემოღება, რომლითაც განისაზღვრება იმ ქვეყნების წრე, რომლებსაც დაევალებათ

⁴⁷⁵ მეტი ინფორმაციისთვის იხ. World Bank. 'Intellectual property: balancing incentives with competitive access,' Washington, DC.: Global Economic Prospects, 2011, retrieved from: <<https://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/GEP/GEArchives/GEP2002/GEP2002Chap5.pdf>> [25.04.2022].

⁴⁷⁶ Gonzalez Javier L., Parra Maximiliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 18.

ვალდებულებების იმპლემენტაცია? კერძოდ, იმის ნაცვლად, რომ ყველა განვითარებად ქვეყანას დაევალოს პატენტის დაცვა, სრულიად შესაძლებელია გამოვიყენოთ TRIPS-ის შეთანხმების მე-11 და 14.4 მუხლებში უკვე არსებული ე.წ. ქირავნობის უფლების (იგივე „rental rights“) იდეა⁴⁷⁷ და, ასევე, გრადაციის მექანიზმი. ამ შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნები ვალდებულნი იქნებიან დანერგონ პატენტის დაცვა კონკრეტულ სექტორებში მას შემდეგ, რაც მათი შიდა ინდუსტრია „გადალახავს“ ეკონომიკური ფაქტორებისა და მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული გრადაციის ზღვარს და, შესაბამისად, მიაღწევს კონკურენტუნარიანობას. თუკი ქვეყანა იმყოფება გრადაციის ზღვრის ქვემოთ, მაშინ მას უნდა ჰქონდეს უფლება განვითარდეს მისი შიდა საჭიროებების შესაბამისად. ამ დროს ქვეყანას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს გენერიკული მედიკამენტების წარმოებაში იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა კონკრეტულ წამალზე პატენტის დაცვის ვალდებულება სხვა ქვეყნებისთვის. მას შემდეგ კი რაც ქვეყანა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას მიაღწევს, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამგვარი ქვეყნები თანაბარ პირობებში ოპერირებდნენ.⁴⁷⁸ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგეს ფარმაცევტულ სექტორში კვლევისა და ინოვაციის პროცესსაც.

ეკონომიკური მონაცემებისა და ანალიზის გამოყენების პრეცედენტები მსო-ს პრაქტიკაში უკვე არსებობს, თუნდაც TRIPS-ის შეთანხმებაში. კერძოდ, ზემოთ ნახსენები TRIPS-ის შეთანხმების მე-11 და 14.4 მუხლები ათავისუფლებენ წევრ ქვეყნებს კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებზე და ფონოგრამებზე ქირავნობის უფლებების შემოღებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ნამუშევრების ფართო კოპირებას, რაც არსებითად აზიანებს ავტორებისა და მათი

⁴⁷⁷ Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Articles 11 and 14.4.

⁴⁷⁸ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, pp. 816-817. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>; მეტი ინფორმაციისთვის, იხ.: Maskus, Keith E. *Intellectual Property Rights in the Global Economy*. Washington, D.C.: Institute for International Economics, 2000, p. 75.

მემკვიდრეებისთვის მინიჭებულ რეპროდუქციის ექსკლუზიურ უფლებას.⁴⁷⁹ ამრიგად, აღნიშნული დებულებით ქირავნობის უფლებების შემოღების ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოიშვება, თუკი ეკონომიკური მონაცემების საფუძველზე დადასტურდება, რომ ადგილი აქვს ნაწარმოების ფართო კოპირებას.⁴⁸⁰ აქედან გამომდინარე, მსო-ს პრაქტიკაში, წესის ჩამოყალიბების მიზნით ეკონომიკური მონაცემების გამოყენების პრეცედენტი არსებობს და ეს პრაქტიკა ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ.

მაშასადამე, TRIPS-ის ხელშეკრულების ფარგლებში რეფორმის აუცილებლობა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ყველაზე მოწყვლად ქვეყნებს უნდა გაუადვილდეთ მედიკამენტებზე წვდომა. ეს ქვეყნები, როგორც წესი, აწყდებიან შეზღუდვების ერთობლიობას, რაც აძვირებს მედიკამენტების შეძენას და რაც განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებით დაუცველს ხდის პატენტის დაცვის აღსრულების მიმართ. ამ შეზღუდვების იდენტიფიცირების შემდეგ ხდება მათი „გაზომვა“ წინასწარ შერჩეული ინდიკატორებით და, შედეგად, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარი ქვეყნების განსაზღვრა. ამ დროს კი, როგორც წესი, ვეყრდნობით არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური შეზღუდვების ინდიკატორებს, არამედ ჯანმრთელობის რისკებისა და ინსტიტუციური შეზღუდვების ინდიკატორებსაც.⁴⁸¹ მაგალითად, როგორც მოცემულია **სქემა 6-ში**, თავის სამეცნიერო ნაშრომში გონსალესმა, სტივენსის მსგავსად, თავდაპირველად გამოავლინა ის შეზღუდვები, რაც საერთო ჰქონდათ რიგ განვითარებად ქვეყნებს და რომელთა დაჯგუფებაც ამ საერთო შეზღუდვის

⁴⁷⁹ Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Articles 11 and 14.4.

⁴⁸⁰ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' Journal of International Economic Law 9, no. 4, 2006, p. 798. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

⁴⁸¹ Gonzalez Javier L., Parra Maximiliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, pp. 4-5.

საფუძვლით შეიძლება. შემდგომ გამოვლენილი შეზღუდვების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა კონკრეტული შეზღუდვის „მაიდენტიფიცირებელი“ კრიტერიუმები; და ბოლოს, გამოვლენილი კრიტერიუმების „გასაზომად“ მან განსაზღვრა შესაძლო ინდიკატორები (რაც წვერი ქვეყნების მოლაპარაკებების საგანი უნდა იყოს). გონსალესის კვლევის თანახმად, აღნიშნული კლასიფიკაციის ბოლო ნაბიჯის ფარგლებში საჭიროა თითოეულ შეზღუდვას მიენიჭოს წინასწარ შეთანხმებული ქულა და ამ ქულების რანჟირების საფუძველზე მოხდეს საერთო რეიტინგის შედგენა.⁴⁸²

რაც შეეხება გრადაციას TRIPS-ის ფარგლებში, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არეგულირებს ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქტებს შორის კონკურენციის პირობებს; შესაბამისად, გრადაციაც უნდა ეფუძნებოდეს იმის დასაბუთებას, თუ რამდენად კონკურენციაში არიან ერთმანეთთან პროდუქტები - კერძოდ, უნდა შევამოწმოთ, რამდენად კონკურენტუნარიანები არიან განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები, მათი სექტორები ან პროდუქტები.⁴⁸³ აქედან გამომდინარე, გრადაციის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას კონკურენტუნარიანობისა და კონკურენციის კონცეფცია წარმოადგენს შესწავლის მთავარ საგანს. ამრიგად, მედიკამენტების პატენტის დაცვის ვალდებულების აღსრულება არ უნდა მოეთხოვოს ისეთ ქვეყნებს, რომელთა ფარმაცევტული სექტორი შიდა ან/და გარე ბაზარზე კონკურენტუნარიანი არ არის - კერძოდ, იმ შემთხვევებში, როცა არ ჩანს კონკურენტული ურთიერთობა უცხოურ და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის. როგორც კი ეკონომიკა განვითარდება და წვერი ქვეყანა გარკვეულ სექტორებში კონკურენტუნარიანი გახდება, სწორედ მას შემდეგ ინტერესდებიან უცხოური მთავრობები, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა მოახდინონ ვალდებულებების იმპლემენტაცია, რათა

⁴⁸² იხ. იქვე, გვ. 14-27.

⁴⁸³ Cottier, Thomas. 'From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,' *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006, p. 804. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>

კონკურენტუნარიანი ქვეყნები ერთნაირ პირობებში იყვნენ.⁴⁸⁴ აქვე ჩნდება კითხვა - როგორ შეიძლება შეფასდეს კონკურენტუნარიანობა? ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან შეფასება ეხება არა მთლიან ქვეყანას და მის ეკონომიკას, არამედ კონკრეტულ სექტორებს.

გონსალესი სწორად აღნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანობის დადგენის დროს ყურადღებაა მისაქცევი ორ გარემოებაზე: პირველი, ექსპორტის რა წილს ფლობს საერთაშორისო ბაზარზე განვითარებადი ქვეყანა და მეორე, საკუთარ შიდა ბაზარს როგორ აკმაყოფილებს ეს ქვეყანა.⁴⁸⁵ მაგალითისთვის, **სქემა 7-ში**, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნების სია მთლიანი ექსპორტის ზომის მიხედვით, ნათლადაა წარმოდგენილი თუ რა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო ბაზარზე რამდენიმე განვითარებადი ქვეყანა. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით, ჩინეთს დაკავებული აქვს ფარმაცევტული პროდუქტების მთლიანი ექსპორტის 2,65% და წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტების უმსხვილეს ექსპორტიორს განვითარებად ქვეყნებს შორის. მოწინავე პოზიციებზე არიან ისეთი განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნებიც, როგორცაა ინდოეთი, ისრაელი, მექსიკა, სინგაპური, თურქეთი და არგენტინა მაშინ, როცა საქართველოს წილი უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარე, თუკი სამართლიანად ჩავთვლით, რომ ამ ქვეყნების ფარმაცევტული სექტორი კონკურენტუნარიანია, მაშინ ეს ქვეყნები გრადაციის ზღვარს ზემოთ არიან და, შესაბამისად, ვალდებულნი უნდა იყვნენ აღასრულონ TRIPS-ით გათვალისწინებული ვალდებულებები. თუმცა, სრული სურათის დასანახად, აუცილებელია შევხედოთ მათი იმპორტის მაჩვენებლებსაც.

კერძოდ, იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად შეუძლია ქვეყანას თავად დაიკმყოფილოს თავისი შიდა მოთხოვნა მედიკამენტებზე, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ **სქემა 7-ის** იმპორტის მაჩვენებლებს, სადაც ნათლად

⁴⁸⁴ იხ. იქვე.

⁴⁸⁵ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 19.

ჩანს, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტის საერთაშორისო წყაროებზე. თუმცა აქვე ჩანს, რომ ინდოეთის, ისრაელისა და სინგაპურის შემთხვევა ეწინააღმდეგება ზოგად სურათს, რადგან ამ ქვეყანაში არის ძლიერი შიდა წარმოება, რაც განაპირობებს იმპორტირებულ ფარმაცევტულ საშუალებებზე ნაკლებ დამოკიდებულებას. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ძლიერი შიდა ფარმაცევტული წარმოება აქვთ, შესაძლებელია მოეთხოვოთ პატენტის დაცვის ვალდებულების აღსრულება. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება კოტიერის შეხედულებას, რომელიც ფიქრობს, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ქვეყნის ფარმაცევტული სექტორის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, არამედ შიდა კონკურენტული გარემოც, ასევე ფარმაცევტული პროდუქტების შიდა და უცხოური წყაროების ურთიერთმიმართება.⁴⁸⁶ სქემა 7-ის ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებიდან გამომდინარე, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როგორც მინიმუმ, ინდოეთს, ისრაელსა და სინგაპურს გააჩნიათ როგორც ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი საერთაშორისო ბაზარზე, ასევე შესაძლებლობა, საკუთარი შიდა ბაზარი დააკმაყოფილონ. შესაბამისად, აღნიშნულ განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყნებზე TRIPs-ით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა გავრცელდეს განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც ვერცერთ კომპონენტს ვერ აკმაყოფილებს.

საყურადღებოა, რომ სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მართალია ფარმაცევტული პროდუქტების ფასზე პატენტის დაცვის ვალდებულების არსებობა გარკვეულწილად ხელს უწყობს მედიკამენტების მაღალ ფასებს, თუმცა პრობლემა უფრო ძირეულია და ამგვარი ვალდებულების არარსებობის შემთხვევაშიც, რიგ განვითარებად ქვეყნებში მაინც არსებობს პრობლემები ჯანდაცვის კუთხით. კერძოდ, როცა ქვეყანაში შემოსავლის დონე დაბალია, მედიკამენტებზე და ზოგად

⁴⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 21.

ჯანდაცვაზე წვდომა პრობლემური ხდება.⁴⁸⁷ აღნიშნული მოსაზრების საფუძვლიანობის შემოწმება, მიმდინარე დისერტაციის კვლევის მიზანს არ წარმოადგენს; თუმცა, ეს მოსაზრება სიმართლეს რომც შეესაბამებოდეს, მაინც თვალშისციემია ის ეფექტი, რასაც პატენტის დაცვა იწვევს მედიკამენტის ფასის ზრდაზე. მაგალითისთვის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ, ექიმები საზღვრებს გარეშე (“Medecins sans Frontières,” “MSF” ან “Doctors without Borders”), თავის 2005 წლის კვლევაში ინდოეთის მაგალითზე დამაჯერებელი მტკიცებულებები წარმოადგინა პატენტებისა და ფარმაცევტული პროდუქტების ღირებულების კავშირზე. კვლევის თანახმად, კონკურენტუნარიანი გენერიკების ბაზრის შექმნამ ინდოეთში აორტის სარქვლის ჩანაცვლების („Aortic Valve Replacement“ ან „AVR“) მკურნალობის ღირებულება 83%-ით შეამცირა. აღნიშნულს კი მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ *„გენერიკების კონკურენცია ყველაზე ეფექტური საშუალებაა მედიკამენტების ფასის შესამცირებლად“*.⁴⁸⁸

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აქვე ავლნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი ძირითადად ეხება იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა აწარმოონ გენერიკული მედიკამენტები. გენერიკული მედიკამენტების საწარმოებლად კი საჭიროა როგორც შესაბამისი კომპეტენტური ადამიანური რესურსი, ასევე შესაბამისი საწარმოების არსებობა, რაც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ნაკლებად გვხვდება. მაგალითისთვის, საინტერესოა **სქემა 8-ში** და **სქემა 9-ში** მოყვანილი სტატისტიკები. კერძოდ, **სქემა 8-ში** წარმოდგენილია მედიკამენტების მწარმოებელი მოწინავე კორპორაციების რეიტინგი და მითითებულია, სად მდებარეობს მათი სათაო ოფისი. გასაკვირი არაა, რომ მედიკამენტების მწარმოებელი კორპორაციების უმრავლესობა მდებარეობს

⁴⁸⁷ იხ. იქვე, გვ. 13-14.

⁴⁸⁸ მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Doctors Without Borders (Médicins sans frontières). ‘Untangling the web of price reductions: a pricing guide for the purchase of ARVs for developing countries,’ 2015, retrieved from: <https://www.rhsupplies.org/uploads/tx_rhscpublications/MSF_Untangling%20the%20web%20of%20price%20reductions%20-%20ARV%20-%208th%20edition_2005.pdf> [25.04.2022].

ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია. თუმცა აქვე თვალშისაცემია, რომ მედიკამენტების მწარმოებელი კორპორაციები მდებარეობენ განვითარებადი სტატუსის მქონე ისეთ ქვეყნებშიც, როგორცაა ჩინეთი და ისრაელი. რაც შეეხება, სქემა 9-ში მოცემულ სტატისტიკას, აქ ილუსტრირებულია ტოპ ქვეყნები ფარმაცევტულ მეცნიერებაში სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო რაოდენობის მიხედვით 2005 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში. სტატისტიკის თანახმად, მოწინავე ქვეყნების რიცხვში არიან განვითარებადი სტატუსის მქონე ისეთი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ინდონეზია. აღნიშნული სტატისტიკები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ იმ განსხვავებას, რაც არსებობს ერთის მხრივ ისეთი მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებს შორის, როგორცაა არიან ჩინეთი და ინდოეთი და, მეორეს მხრივ, საქართველოსნაირი პატარა ბაზრის განვითარებად ქვეყანას შორის, რომელსაც გენერიკული მედიკამენტების საწარმოებლად შესაბამისი რესურსები არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატენტის დაცვის ვალდებულების თავიდან აცილება შესაძლოა აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა იყოს იმისთვის, რომ შიდა გენერიკული პროდუქტების გამოყენებით მოხდეს ფასების შემცირება, რადგან საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს შესაძლებლობა, მოამარაგოს შიდა ბაზარი გენერიკული მედიკამენტებით.⁴⁸⁹ ჩვენს შემთხვევაში კი, საქართველოს რომც მიეცეს გენერიკული წამლების გამოცემის საშუალება, შესაძლოა მან ეს შესაძლებლობა ვერც კი გამოიყენოს. ზოგადად ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში ჯერჯერობით ვერ იყენებს სხვადასხვა შედარებით უპირატესობებს, ხაზგასმულია ნინო ფარსადანიშვილის ნაშრომშიც, რომელიც აღნიშნავს, რომ „...ერთია შეაღვათების არსებობა და მეორეა ის,

⁴⁸⁹ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, p. 15.

თუ რამდენად უნარიანია სახელმწიფო, გამოიყენოს ეს შედეგაღები. საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა აქტიურად ვერ იყენებს ყველა უპირატესობას, რაც საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებშია შესაძლებელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში არ არის სათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა...⁴⁹⁰ თუმცა, აქვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ რამდენადაც საქართველო ვერცერთ ასპექტში განიხილება კონკურენტუნარიან ქვეყნად TRIPS-ის ხელშეკრულების ფარგლებში, შესაბამისად, რეფორმის შემთხვევაში, საქართველოს და საქართველოს მსგავსი განვითარების ეტაპზე მყოფ ქვეყნებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა პროტექციონიზმის საშუალებით განავითარონ ფარმაცევტული სექტორი და აწარმოონ რიგი გენერიკული მედიკამენტები მანამ, სანამ კონკურენტუნარიანები არ გახდებიან.

3.2.2. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება SCM-ის ხელშეკრულების ფარგლებში

SCM-ის ხელშეკრულების ფარგლებში, განვიხილავთ მხოლოდ თევზჭერის სუბსიდირების საკითხს ამ უკანასკნელის კომპლექსურობიდან და დღეს არსებული თევზჭერის გლობალური კრიზისიდან გამომდინარე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის („Food and Agriculture Organization“ ან „FAO“) თანახმად, არსებობს „სტაბილური ტენდენცია მსოფლიოში თევზის რესურსის ამოწურვისკენ.“⁴⁹¹ მაგალითისთვის, გადაჭარბებული თევზაობისა და ამოწურული თევზის რესურსის წილი 2005 წელს 75%-ზე მერყეობდა, ხოლო 2013 წელს კი - 90%-

⁴⁹⁰ ფარსადანიშვილი, ნინო. „საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით,“ *უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი, 2015, გვ. 131.

⁴⁹¹ Schorr, David K. and Caddy, John F. ‘Sustainability Criteria for Fisheries Subsidies: options for the WTO and beyond,’ Geneva: UNEP and WWF, 2007, p. 3.

მდე გაიზარდა.⁴⁹² აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რა როლი აქვთ განვითარებად ქვეყნებს თევზის რესურსის არამდგრადი მოპოვების თვალსაზრისით. თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტის სტატისტიკაში განვითარებადი ქვეყნების დომინირება კარგად ჩანს **სქემა 10-ში**. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებადი ქვეყნები (ჩინეთი, ვიეტნამი, ტაილანდი...) თევზის წამყვან ექსპორტიორებს შორის არიან და პასუხისმგებელნი არიან მათ დაჭერა-წარმოებაზე, ვფიქრობ, რომ ისინი ვალდებულნი უნდა იყვნენ ხელი შეუწყონ თევზის მარაგების მდგრადობას. თუმცა, დღემდე ეს ქვეყნები ამ პასუხისმგებლობას გაურბიან.⁴⁹³

სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა ისეთი გეგმის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გლობალური თევზჭერის მდგრადობის კორექტირება. ამის მიზეზი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ დოჰას რაუნდის მოლაპარაკებების სხვა საკითხებისგან განსხვავებით, თევზჭერის სუბსიდირება კომპლექსური საკითხია და აერთიანებს სამ განზომილებას - ვაჭრობის, განვითარების და გარემოსდაცვით საკითხებს.⁴⁹⁴ შესაბამისად, როდესაც განვიხილავთ განვითარებადი ქვეყნებისთვის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის საკითხს, სამივე განზომილება მხედველობაშია მისაღები. გარდა ამისა, მეთევზეობის სუბსიდიების კონტექსტში განვითარებადი ქვეყნების სტატუსი არ უნდა ჰქონდეთ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ წამყვანი მეთევზეობის ინდუსტრია და რომლისთვისაც მთავრობები გასცემენ სუბსიდიებს.⁴⁹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი დისციპლინის მიზანი განუხორციელებელი იქნება. თევზჭერის სუბსიდირების შესახებ მოლაპარაკებების სირთულე გამოიხატება იმაშიც, რომ არ არსებობს

⁴⁹² Worrall Leah and Mendez-Parra Maxilimillano. 'Fisheries, The Implications of Current WTO Negotiations for Economic Transformation in Developing Countries,' Supporting Economic Transformation, 2017, p. 1.

⁴⁹³ Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization— Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022, p. 50.

⁴⁹⁴ Cho, Youngjeen. 'The Concept of "Developing Countries" in the Context of the WTO Fisheries Subsidies Negotiation,' *Beijing Law Review* 9, 2018, p. 139.

⁴⁹⁵ იხ. იქვე, გვ. 151.

შეთანხმებული განმარტებები და კლასიფიკაციები.⁴⁹⁶ ეს პრობლემაურია, რადგან ყველა ტიპის თევზჭერის სუბსიდირება არ აყენებს ზიანს თევზჭერის მსოფლიო მარაგს/რესურსს, რის გამოც აუცილებელია თევზჭერის სუბსიდირების მრავალფეროვანი ტიპოლოგიის გაგება. სუმაილას კვლევის თანახმად, ზოგიერთი სუბსიდია სასარგებლოცაა, თუკი ეს სუბსიდიები გაცემულია თევზჭერის მართვის პროგრამებისა და მომსახურებისთვის, თევზჭერის კვლევისა და განვითარებისთვის.⁴⁹⁷ ამგვარი სუბსიდიებისგან განსხვავებით, გვხვდება ე.წ. შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებული სუბსიდიები („capacity-enhancing subsidies“), რომლებიც ხელს უწყობენ გლობალური ბაზრების ფორმირებას და ამცირებენ თევზჭერის მომგებიანობას, რის გამოც ამგვარი სუბსიდიები საყურადღებოა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკებების დროს.⁴⁹⁸

რეფორმის ფარგლებში, დევიდ შორი გვთავაზობს კონკრეტული ქვეყნების კატეგორიების შექმნას, რომლებიც ან მთლიანად ან ნაწილობრივ მიიღებენ სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობას თევზჭერის სუბსიდიებთან მიმართებით.⁴⁹⁹ დევიდ შორის მიერ შემოთავაზებულ რეფორმაში ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ SCM-ის ხელშეკრულების თევზჭერის სუბსიდიების ფარგლებში ქვეყნების კატეგორიებად დასაყოფად, კვლავ მნიშვნელოვანია იმ ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა საშუალებითაც მოხდება განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების დადგენა. თევზჭერის სუბსიდიების ფარგლებში, TRIPS-ის ხელშეკრულებისთვის ჩვენ მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები

⁴⁹⁶ Bahety Smriti and Mukiibi Julian. ‘WTO Fisheries Subsidies Negotiations: Main Issues and Interests of Least Developed Countries,’ CUTS International, Geneva, 2017, p. 15.

⁴⁹⁷ Sumaila Rashid U. et al, ‘Global Fisheries Subsidies,’ Policy Department B: Structural and Cohesion Policies – Fisheries, EU Parliament, IP/B/PECH/IC/2013-146, 2013, pp. 21-22.

⁴⁹⁸ Worrall Leah and Mendez-Parra Maximiliano. ‘Fisheries, The Implications of Current WTO Negotiations for Economic Transformation in Developing Countries,’ Supporting Economic Transformation, 2017, p. 2.

⁴⁹⁹ Schorr, David K. ‘Healthy Fisheries, Sustainable Trade: Crafting New Rules on Fishing Subsidies in the World Trade Organization,’ WWF Position Paper and Technical Resource, 2004, pp. 99-101.

გამოუსადეგარია. სანაცვლოდ, უნდა მოხდეს ისეთი კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც თევზჭერის სუბსიდიების კუთხით ასახავენ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, სავაჭრო ასპექტებსა და გარემოს მდგრადობის ელემენტებს. თევზჭერის სუბსიდირებისთვის ეფექტური სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის შემუშავების მიზნით გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ („United Nations Environment Programme“ ან „UNEP“) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა („World Wide Fund for Nature“ ან „WWF“) ერთობლივად წარმოადგინეს 2005 და 2007 წლებით დათარიღებული ორი ანგარიში. საილუსტრაციოდ, **სქემა 11**-ში მოცემულია მათ მიერ შემოთავაზებული რამდენიმე ობიექტური კრიტერიუმი.

აღსანიშნავია, რომ გარდა მესამე კრიტერიუმისა (ექსპორტის წილი და ფლოტის სიმძლავრის კრიტერიუმი), ამ ანგარიშებში მოცემული ობიექტური კრიტერიუმები მსგავსია და თანხვედრაშია იმ ფაქტორებთან, რომლებიც, FAO-ს კვლევების თანახმად, ხელს უწყობენ მსოფლიოში გადაჭარბებული რაოდენობით მეთევზეობას.⁵⁰⁰ UNEP-მა და WWF-მა თავიანთ ანგარიშში ასევე შემოგვთავაზეს მოცემული კრიტერიუმების „გასაზომად“ საჭირო ინდიკატორებიც, რომელთა მცირე ნაწილი ილუსტრირებულია **სქემა 12**-ში. ეს ინდიკატორები, ისევე როგორც ამ დისერტაციაში მოცემული ყველა ინდიკატორი, არ არის ექსკლუზიური და ექვემდებარება წევრი ქვეყნების განხილვას და მოლაპარაკებებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ TRIPS-ის და SCM-ის ხელშეკრულებების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საკითხები განსხვავებულია და, შესაბამისად, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ. რადგანაც განსხვავებულია ის საკითხები, რასაც ეს ხელშეკრულებები არგეულირებენ, შესაბამისად განსხვავებული უნდა იყოს, ერთის მხრივ, ის ობიექტური

⁵⁰⁰ იხ. Food and Agriculture Organization. ‘Measuring fish capacity,’ Fisheries Technical Paper no. 445, 2003.

კრიტერიუმები, რომლებითაც განისაზღვრება განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები და, მეორეს მხრივ, ის ინდიკატორები/მაჩვენებლები, რომლებითაც იზომება აღნიშნული ობიექტური კრიტერიუმები. ამრიგად, თვალნათელი ხდება ე.წ. agreement-specific მიდგომის მიზანშეწონილობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2016 წელს არგენტინამ და სხვა დაინტერესებულმა ქვეყნებმა, ალტერნატივის სახით, წარმოადგინეს წინადადება, რომლის თანახმადაც თევზჭერის სუბსიდირების მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული TFA-ს ხელშეკრულების მიდგომა და ამ საკითხის ფარგლებში არსებული ვალდებულებები თითოეულ ქვეყანას უნდა გადაენაწილებინა A, B და C კატეგორიებში თავიანთი ინდივიდუალური მდგომარეობიდან გამომდინარე.⁵⁰¹ როგორც სწორად აღნიშნა South Centre-მა თავის ანგარიშში, TFA-ს ტიპის მიდგომის დანერგვა ამ კონკრეტულ ვითარებაში მიზანშეწონილი არ არის - კერძოდ, TFA-ს შემთხვევაში, არსებობს მთელი რიგი პოზიტიური ვალდებულებები (მაგ., ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა), მაშინ როცა თევზჭერის სუბსიდირების შემთხვევაში, დისციპლინების ძირითადი ნაწილი უარყოფით ვალდებულებებს წარმოადგენს (მაგ. არ მიაწოდო თევზჭერის სუბსიდირება გარკვეული ტიპის გემებს).⁵⁰² ამრიგად, თევზჭერის სუბსიდირების შემთხვევაში, C კატეგორიისთვის ვალდებულების მიკუთვნება (რაც მოიაზრებს შესაძლებლობების განვითარებას ვალდებულების იმპლემენტაციამდე) ნიშნავს იმას, რომ მხარდაჭერა პოტენციურად შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი დროით, რადგან TFA-ს ვალდებულებებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში რთული იქნება იმის დადგენა, თუ როდის მიაღწია კონკრეტულმა ქვეყანამ ვალდებულების იმპლემენტაციის შესაძლებლობას.⁵⁰³ აღსანიშნავია, რომ არგენტინამ და სხვა დაინტერესებულმა ქვეყნებმა თავიანთ 2017 წლის წინადადებაში აღარ

⁵⁰¹ World Trade Organization [WTO], 'A Framework to Guide the Multilateral Negotiations or Eliminate Harmful Fisheries Subsidies,' (TN/RL/GEN/183, 29 November 2016), para. 2.3.

⁵⁰² South Centre. 'The WTO's Fisheries Negotiations,' Analytical Note SC/AN/TDP/2017/5, 2017, p. 53.

⁵⁰³ იხ. იქვე.

განავითარეს TFA-ს მოდელის დანერგვის იდეა, რაც სავარაუდოდ იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ მათ თავად დაინახეს TFA-ს მოდელის ამ კონტექსტში გამოყენების მიზანშეუწონლობა.⁵⁰⁴

3.2.3. სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის ბენეფიციარი ქვეყნების იდენტიფიცირება DSU -ის ხელშეკრულების ფარგლებში

განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირებისთვის provision-specific/issue-specific მიდგომის მნიშვნელობა ილუსტრირებულია DSU-ს ხელშეკრულების ქვეშ არსებული ორი აქტუალური საკითხის მაგალითზე; ესენია წევრი ქვეყნების შესაძლებლობების/რესურსების და ძალის შეზღუდვები (ე.წ. „capacity and power constraints“), რაც უარყოფით როლს თამაშობს დავების მოგვარების ორგანოში განვითარებადი ქვეყნების მიერ საქმისწარმოების დაწყების დაბალ სტატისტიკაში. შეზღუდულ შესაძლებლობებში/რესურსებში ან ქმედითუნარიანობაში მოიაზრება ის გარემოება, რომ ღარიბ ქვეყნებს, როგორც წესი, არ აქვთ სათანადო ფინანსური თუ ტექნიკური რესურსი სამართალწარმოების დასაწყებად. რაც შეეხება ძალის ნაკლებობას, აქ სწორედ ის შემთხვევები მოიაზრება, როდესაც ძალების ასიმეტრიულობის გამო ეკონომიკურად სუსტი წევრი ქვეყნები პრაქტიკაში ვერ ახერხებენ სათანადოდ გამოიყენონ სამაგიეროს მიგების სამართლებრივი დაცვის საშუალება და ეკონომიკურად მძლავრი ქვეყანა აიძულონ, აღასრულოს გადაწყვეტილება.⁵⁰⁵ ძალისა და რესურსების შეზღუდვები *a priori* ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული არ არის: ქვეყანა A-ს შესაძლოა ჰქონდეს ფინანსები, მიმართოს დავების მოგვარების ორგანოს და აღძრას სარჩელი ყოველგვარი ტექნიკური დახმარების გარეშე; ამ შემთხვევაში, DSU-ს 27.2 მუხლის ფარგლებში ქვეყანა A-ს ექნება

⁵⁰⁴ იხ. იქვე.

⁵⁰⁵ Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. ‘Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,’ *Journal of Legal Studies* 34, no. 2, 2005, p. 559. <https://doi.org/10.1086/430767>.

„განვითარებული“ ქვეყნის სტატუსი.⁵⁰⁶ თუმცა, ამავედროულად ქვეყანა A-ს შესაძლოა არ ჰქონდეს სამაგიეროს მიგების ძალა, რის შედეგადაც, სამაგიეროს მიგების ფარგლებში, ამ ქვეყანას ექნება „განვითარებადი“ ქვეყნის სტატუსი. შესაბამისად, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, იმისათვის რომ უზრუნველვყოთ, რომ მოწყვლადი განვითარებადი ქვეყნები სამომავლოდ გადალახავენ ზემოაღნიშნულ შეზღუდვებს, მიმდინარე დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა და DSU-ს ხელშეკრულებაში არსებული თითოელი კონკრეტული საკითხის, ან შესაძლოა სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლის ფარგლებში მოწყვლადი განვითარებადი ქვეყნების იდენტიფიცირება შესაბამისი ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

ა) ძალის შეზღუდვები

როგორც უკვე დისერტაციის მეორე თავში აღნიშნეთ, დღესდღეობით, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შემთხვევაში, DSU-ს 22-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა სამაგიეროს მიგება/გადახდა.⁵⁰⁷ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება კი წევრი ქვეყნების „უთანასწორო მოპყრობას“ იწვევს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა აიძულონ, აღასრულოს გადაწყვეტილება, რაც ეკონომიკური ძალების ასიმეტრიულობის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია.⁵⁰⁸ აღნიშნულით კი ნათლად ჩანს, რომ ყველა წევრ ქვეყანას არ აქვს თანაბარი სამაგიეროს მიგების/გადახდის ძალა.

⁵⁰⁶ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Article 27.2.

⁵⁰⁷ იხ. იქვე, მუხლი 22.

⁵⁰⁸ Peter Sutherland et al., 'The Future of the WTO: Addressing the institutional challenges in the new millennium,' Report of the Consultative Board to the WTO Director-General Supachi Panitchpakdi, 2004, paras. 242-243.

სამაგიეროს მიგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც ნათლად აჩვენებს კონკრეტული ქვეყნის შესაძლებლობას, აღასრულოს სავაჭრო ხელშეკრულებები სამაგიეროს მიგების მუქარის ფონზე, არის ქვეყნის ეკონომიკური ძალა. ქვეყნის ეკონომიკური ძალის „გაზომვა“ კი შესაძლებელია ისეთი ინდიკატორებით, როგორცაა, ერთის მხრივ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი⁵⁰⁹ და, მეორეს მხრივ, მისი ბაზრის ზომა.⁵¹⁰ აღნიშნული მაჩვენებლების არჩევის საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს სახელმწიფოს რესურსებისა და გავლენის აბსოლუტურ საზომს; რაც შეეხება ბაზრის ზომას, ქვეყნებს, რომლებსაც მეტი წილი აქვთ ბაზარზე, პოტენციურად შეიძლება უფრო დივერსიფიცირებული ბაზარი ჰქონდეთ, რომლის შერჩევითი გამოყენებაც საჭიროებისამებრ იქნება შესაძლებელი.⁵¹¹ ამ ინდიკატორების ერთდროული არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ბაზრის ზომა ვაჭრობაში ყველაზე დიდი საბაზრო წილის მქონე ქვეყნების იდენტიფიცირებას ახდენს მათი განვითარების დონის მიუხედავად, მაშინ როცა მშპ მაჩვენებელი ავლენს იმ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებსაც შესაძლოა დიდი ბაზარი არ ჰქონდეთ.

ბ) ქვეყნების შესაძლებლობების/რესურსების შეზღუდვები

როგორც ნაჩვენებია გუზმანისა და სიმონსის ემპირიულ კვლევაში, რომელიც შემდგომ ბესონის ემპირიული მტკიცებულებებით დასტურდება, ქვეყნის შესაძლებლობები/რესურსები, იგივე ქმედითუნარიანობა, არის კიდევ ერთი მიზეზი რის გამოც განვითარებადი

⁵⁰⁹ Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. 'Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,' *Journal of Legal Studies* 34, no. 2, 2005, p. 574. <https://doi.org/10.1086/430767>.

⁵¹⁰ Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, p. 40.

⁵¹¹ Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. 'Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,' *Journal of Legal Studies* 34, no. 2, 2005, pp. 574-575. <https://doi.org/10.1086/430767>.

ქვეყნები ნაკლებად მიმართავენ დავების ორგანობებს.⁵¹² როგორც დისერტაციის მეორე თავში აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია საქმისწარმოების მაღალი ფასი, რომელიც კიდევ უფრო მაღალი ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც დავების ორგანოსთვის ნაკლები მიმართვიანობის გამო განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ წვდომა იმ მზა ადამიანურ რესურსზე, რომელსაც დაავალებდა საქმისწარმოებას. *Ad hoc* საფუძველზე ექსპერტების მოწვევა კი ზრდის ხარჯებს, რაც საქართველოსნაირი პატარა ეკონომიკის ქვეყნებს აიძულებს უარი თქვან დავის ორგანოსთვის მიმართვასა და საქმისწარმოებაში მონაწილეობაზე.

DSU-ს 27.2 მუხლი გარკვეულწილად ცდილობს შეამციროს უთანასწორობა და შესთავაზოს ტექნიკური ექსპერტიზა იმ ქვეყნებს, რომლებიც ამას საჭიროებენ.⁵¹³ ტექნიკური დახმარების საჭიროების გაზომვის ობიექტური კრიტერიუმი უნდა იყოს ქვეყნის ქმედითუნარიანობა, რომელიც, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე, იზომება *inter alia*, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტით. ეკონომიკური ძალის გასაზომად შერჩეული ინდიკატორებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, ბაზრის ზომის ინდიკატორის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან, პირობითად, თუ ინდოეთს ნორვეგიაზე უფრო დიდი საბაზრო წილი აქვს, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ნორვეგიას დავის ორგანოში საქმისწარმოების რესურსი არ გააჩნია. ბაზრის ზომის სანაცვლოდ, მშპ ინდიკატორთან ერთად, გუზმანმა და სიმონსმა წარმოადგინეს კიდევ ოთხი მაჩვენებელი, რომლებიც ერთად აღებული გარკვეულწილად ქმნიან ქვეყნის ქმედითუნარიანობაზე/რესურსზე თანმიმდევრულ წარმოდგენას. კერძოდ,

⁵¹² Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. 'Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,' *Journal of Legal Studies* 34, no. 2, p. 574. 2005. <https://doi.org/10.1086/430767>. Besson, Fabien. and Mehdi, Racem. 'Is WTO Dispute Settlement System Biased Against Developing Countries?: An Empirical Analysis,' Paper Presented at the International Conference on Policy Modelling, Paris, France, 2014, p. 16.

⁵¹³ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Article 27.2.

გუზმანისა და სიმონსის კვლევის თანახმად, გაზომვად ინდიკატორებად გამოყენებული უნდა იყოს:

- მსო-ში წვერი ქვეყნების დელეგაციის რაოდენობა - კერძოდ, იმ ექსპერტთა რაოდენობა, რომლებიც პირდაპირ მუშაობენ ორგანიზაციის საკითხებზე;
- საელჩოების რაოდენობა;
- შიდა ხარჯები და
- ბიუროკრატიის ხარისხი.⁵¹⁴

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ DSU-ს ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ორი სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად საჭიროა არა მარტო წვერი ქვეყნების ქმედითუნარიანობისა და ეკონომიკური ძალის იდენტიფიცირება განსხვავებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, არამედ განსხვავებული გაზომვადი ინდიკატორების გამოვლენაც, რომელთა საშუალებითაც „გაზომავთ“ ობიექტურ კრიტერიუმებს. აღნიშნული მაგალითი იმ მოსაზრების დასტურია, რომ შეთანხმებებში, სადაც გვხვდება მრავალფეროვანი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები (მაგალითად, DSU-ში), განვითარებადი ქვეყნების შეფასებისა და დიფერენცირების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია provision-specific/issue-specific მიდგომა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილულ ხელშეკრულებებში გამოკვეთილია FAO-სა და მსოფლიო ბანკის კალიბრის ორგანიზაციების დამოუკიდებელი შეფასებების მნიშვნელობა ობიექტური კრიტერიუმების გაზომვის კუთხით. ამრიგად, ჩნდება კითხვა იმის შესახებ, უნდა გამოიყენოს თუ არა მსო-მ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები და შეფასებები. მაგალითისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ FAO არის კომპეტენტური საერთაშორისო სააგენტო, რომელიც ფლობს დიდი მოცულობის ინფორმაციას მსოფლიოში თევზის მარაგის მდგომარეობის

⁵¹⁴ მეტი ინფორმაციისთვის, იხ.: Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. 'Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,' *Journal of Legal Studies* 34, no. 2, 2005. <https://doi.org/10.1086/430767>.

შესახებ, თევზაობის სუბსიდიების კონტექსტში FAO-ს მონაცემების გამოყენება ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ბრაზილიამ, მიზანშეწონილად მიიჩნია.⁵¹⁵ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ექვექვემ არ უნდა დააყენოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ თავიანთი მიზნებისთვის მიღებული ინდიკატორები და ბარიერები. საჭიროების შემხვევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა შესაძლოა შეცვალოს ან საერთოდ უგულვებელყოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ბარიერები და ინდიკატორები.

საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემების და შეფასებების გამოყენებისას შესაძლოა წარმოიშვას ორი პრობლემა: პირველი ეხება შეფასებების ხარისხს, ხოლო მეორე, მსო-ს წევრების მიერ მათ მიმღებლობას.⁵¹⁶ შეფასებების ხარისხი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მონაცემების ხელმისაწვდომობაზე და იმ ფაქტზე, თუ რამდენად აქვს პირობითად FAO-ს თევზჭერის შესახებ მონაცემები მსო-ს წევრ ყველა განვითარებად ქვეყანაზე.⁵¹⁷ თავისთავად, არ არის გამორიცხული, რომ რიგ ქვეყნებზე FAO-ს არ ჰქონდეს შეგროვებული მონაცემები, რაც, შედეგად, თევზჭერის საკითხზე არასრულ სურათს გვაძლევს. ამ პრობლემის გადაჭრა ნაწილობრივ შესაძლებელია South Centre-ის რეკომენდაციის მხედველობაში მიღებით. კერძოდ, ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიო თევზჭერაში მხოლოდ მცირედი წილი აქვთ (მაგალითად, საქართველო), შესაძლებელია საერთოდ გათავისუფლდნენ მონაცემების შეტყობინებისა და გამჭვირვალობის ვალდებულებისგან; სანაცვლოდ, ეს ტვირთი უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებზეც მეტად მოდის მსოფლიო თევზჭერის წილი და,

⁵¹⁵ World Trade Organization [WTO], 'Further Contribution to the Discussion on the Framework for Disciplines on Fisheries Subsidies,' (TN/RL/GEN/79, 16 November 2005), p. 10.

⁵¹⁶ Yu III, Vicente Paolo B. and Fonseca, Marti D. 'Reflecting Sustainable Development and Special and Differential Treatment for Developing Countries in the Context of New WTO Fisheries Subsidies Rules,' United Nations Environment Programme, 2005, p. 25.

⁵¹⁷ იხ. იქვე.

შესაბამისად, რომლებიც უფრო მეტად არიან პასუხისმგებელი მსოფლიო თევზის მარაგების შემცირებაზე.⁵¹⁸

რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ შეფასებების/მონაცემების მიღებას, DSU-ს მე-13 მუხლი პანელს საშუალებას აძლევს „გაიაროს კონსულტაცია ექსპერტებთან კონკრეტული საკითხის გარკვეულ ასპექტებზე მათი აზრის მისაღებად“⁵¹⁹ უფრო კონკრეტულად, მსო-ს საქმისწარმოების ფარგლებში, გარე ექსპერტების მოსაზრებები მსო-ს პანელისთვის შესაძლოა სავალდებულოც კი იყოს ან ჰქონდეს საკონსულტაციო ხასიათი.⁵²⁰ მაგალითად, ერთი მხრივ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პანელები ჩვენების სახით იღებენ ექსპერტების საკონსულტაციო მოსაზრებებს; მეორე მხრივ, GATT-ის XV:2 მუხლი ადგენს, რომ მსო-მ უნდა გაიაროს კონსულტაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მიიღოს მათი ანალიზი, როგორც იურიდიული ფაქტი ისეთ დავებში, რომელიც ეხება მონეტარულ პოლიტიკას.⁵²¹ ალტერნატივის სახით, ერთ-ერთი წინადადების თანახმად, რეკომენდირებულია მსო-ს ეგიდით მუდმივი ორგანოს შექმნა (მაგალითად, მეთევზეობის ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი - a Permanent Group of Fisheries Experts).⁵²² დელეგაციების მიერ კიდევ ერთი გაჟღერებული ვერსიაა ურთიერთგაგების მემორანდუმის საშუალებით არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მაგალითად, FAO-სთან) ოფიციალური ურთიერთობების ინიცირება და იმის გარკვევა, რა სახის დახმარება შეუძლიათ მათ გაუწიონ მსო-ს თავიანთი ექსპერტიზის

⁵¹⁸ South Centre. ‘The WTO’s Fisheries Negotiations,’ Analytical Note SC/AN/TDP/2017/5, 2017, p. 56.

⁵¹⁹ DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994), Article 13.

⁵²⁰ Schorr, David K. and Caddy, John F. ‘Sustainability Criteria for Fisheries Subsidies: options for the WTO and beyond,’ Geneva: UNEP and WWF, 2007, p. 37.

⁵²¹ Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197, Article XV:2.

⁵²² World Trade Organization [WTO], ‘Fisheries Subsidies - Submission of the European Communities,’ (TN/RL/GEN/134, 24 April 2006), Annex, Article 4.

ფარგლებში.⁵²³ ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ რადგანაც თოთოეულ საერთაშორისო ორგანიზაციას თავისი ინდივიდუალური მანდატი გააჩნია, განვითარებადი ქვეყნების მაიდენტიფიცირებელი ობიექტური კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ექსპორტი მსო-ში ბრმად არ უნდა მოხდეს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მსო-ს შეუძლია მის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გაზომვის მიზნით დაეყრდნოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც მიუკერძოებელი ინფორმაციისა და ექსპერტიზის წყაროს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურასა და წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარმოდგენილ ბოლოდროინდელ კომუნიკაციებში ვხვდებით მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზებს. შემოთავაზებული ალტერნატივების გაანალიზების საფუძველზე დისერტაცია ავითარებს შემდეგ დასკვნებს:

- TFA-ს ხელშეკრულება, რომელიც არაერთი წევრი ქვეყნის მოწონებას იმსახურებს, ნამდვილად წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ მოდელს; თუმცა, TFA-ს ხელშეკრულების მიდგომა დღევანდელი ზოგადი მიდგომის მსგავსად ეყრდნობა განვითარების სტატუსის თვითგამოცხადებას. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მიდგომამ დააკმაყოფილოს აშშ-ს მოთხოვნები სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის გადახედვის შესახებ, რადგან ყოველთვის იარსებებს საშიშროება, რომ მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნები შეეცდებიან მექანიზმის სათავისოდ გამოყენებას ისე, როგორც ეს დღეს ხდება.
- გამოსავალი ისეთ სისტემაში ვეძიოთ, რომელიც ნაკლებ იქნება დამოკიდებული განვითარებადი ქვეყნების სუბიექტურ თვითიდენტიფიცირებაზე, და უფრო მეტად წევრი ქვეყნების რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე, საჭიროა ახალმა სისტემამ

⁵²³ მეტი ინფორმაციისთვის იხ.: Schorr, David K. and Caddy, John F. 'Sustainability Criteria for Fisheries Subsidies: options for the WTO and beyond,' Geneva: UNEP and WWF, 2007, pp. 37-39.

უზრუნველყოს ისეთი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას. შესაბამისად, მიმდინარე დისერტაცია ავითარებს აზრს, რომ ამგვარი მიდგომა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ქვეყნების დიფერენცირება უნდა იყოს. კერძოდ, სპეციალური და განსხვავებული მუხლების ბენეფიციარების გამოსავლენად არა მარტო საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, არამედ ყველა მხარისთვის უმჯობესია დაინერგოს ე.წ. agreement-specific და provision-specific/issue-specific მიდგომები და შემოღებული იყოს გრადაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწევს შეწყვეტს პრივილეგირებული მდგომარეობის გამოყენებას. ამგვარი რეფორმა უზრუნველყოფს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები მუდმივად გათვლილი იქნება მხოლოდ მოწყვლად ქვეყნებზე.

- agreement-specific და provision-specific ან/და issue-specific მეთოდების გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს განვითარების ყველა ასპექტს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში.
- TRIPS-ის და SCM-ის ხელშეკრულებების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საკითხები განსხვავებულია და, შესაბამისად, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ. რადგანაც განსხვავებულია ის საკითხები, რასაც ეს ხელშეკრულებები არგეულირებენ, შესაბამისად განსხვავებული უნდა იყოს, ერთის მხრივ, ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებითაც განისაზღვრება განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები და, მეორეს მხრივ, ის ინდიკატორები/მაჩვენებლები, რომლებითაც იზომება აღნიშნული

ობიექტური კრიტერიუმები. ამრიგად, თვალნათელი ხდება ე.წ. agreement-specific მიდგომის მიზანშეწონილობა.

- მსო-ს ხელშეკრულებებში, სადაც გვხვდება მრავალფეროვანი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები (მაგალითად, DSU-ში), განვითარებადი ქვეყნების შეფასებისა და დიფერენცირების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია provision-specific/issue-specific მიდგომა. კერძოდ, DSU-ს მაგალითიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მსო-ს ერთი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს, არამიზანშეწონილი ხდება, ერთი და იგივე კრიტერიუმი შევუსაბამოთ, მაგალითად, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის მუხლებსა და ისეთ საკითხს, როგორცაა ე.წ. სამაგიეროს მიგება. ამიტომ, ამ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნების შეფასებისა და დიფერენცირების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია provision-specific/issue-specific მიდგომა.
- კითხვაზე, უნდა გამოიყენოს თუ არა მსო-მ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები და შეფასებები ობიექტური კრიტერიუმების გაზომვის კუთხით, დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეუძლია მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ თავიანთი მიზნებისთვის მიღებული ინდიკატორები და ბარიერები. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა შესაძლოა შეცვალოს ან საერთოდ უგულვებელყოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ბარიერები და ინდიკატორები.

დასკვნა

როგორც იუსტ პაუველინმა მართებულად აღნიშნა, დღესდღეობით „ძალიან ბევრი განსხვავებაა განვითარებად ქვეყნებს შორის იმისთვის, რომ ყველა მათგანს ერთნაირად მოეპყრან.“⁵²⁴ სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დღეს არსებული სტატუს კვო განვითარების კუთხით მსო-ს წევრი ქვეყნების კლასიფიკაციის თაობაზე კიდევ დიდხანს დარჩება გადაუწყვეტელ პრობლემად განვითარებულ და მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებს შორის არარსებული კონსენსუსის გამო, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების არათანმიმდევრულმა პროგრესმა და განვითარებული ქვეყნების ბოლოდროინდელმა უკმაყოფილებამ არსებული ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის რეფორმის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ და აქტუალურ საკითხად აქცია ორგანიზაციაში.

პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნები, დღევანდელი სტატუს კვოს გათვალისწინებით, ყველაზე მეტად ზარალობენ - კერძოდ, უფრო მეტი დიფერენცირების გარეშე, განვითარებული ქვეყნები მათ მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს სთავაზობენ და შედეგად, საქართველოსნაირი ქვეყნები კარგავენ იმ სარგებელს, რომლის მიღებაც პოტენციურად შეეძლოთ, თუკი ეს მუხლები მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული. გარდა ამისა, ისინი არათანაბარ კონკურენციაში არიან ჩაბმული როგორც განვითარებულ, ასევე მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დისერტაციაში განხილული პრობლემატიკა საქართველოსთვისაც აქტუალური და მნიშვნელოვანია,

⁵²⁴ Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013, p. 30.

სამწუხაროდ მსო-ში საქართველოს დელეგაციის პოზიცია შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გენერალურ სამდივნოში დღემდე წარდგენილ კომუნიკაციებსა და წინადადებებში არ ფიქსირდება. სწორედ აქ იკვეთება წინამდებარე დისერტაციის მიზნებისა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების მნიშვნელობა და სამეცნიერო სიახლე.

წინამდებარე დისერტაცია ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველ მონოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც მსო-ში ქვეყნების ეკონომიკური დონით განვითარების კლასიფიკაციის მეთოდსა და მის რეფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება; ამასთანავე, ნაშრომში პირველად განიხილება, თუ რამდენად შედის საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებში მსო-ს ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმირება და რეფორმის რომელი გზა ეხმიანება საქართველოს ინტერესებს. ამასთანავე, კვლევის შედეგებს პრაქტიკული ღირებულება აქვს არამარტო ვიწრო სპეციალიზაციის მკვლევრებისთვის (როგორც თეორიული ბაზა), ასევე პრაქტიკოსებისთვისაც - კერძოდ, ნაშრომში განხილული საკითხით დაინტერესებული სამინისტროებისთვის (მაგ., საქართველოს საგარეო საქმეთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისთვის).

დისერტაციის დასაწყისში აღნიშნულია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ნაშრომებსა და მსო-ს სამდივნოში სხვადასხვა წევრი ქვეყნის დელეგაციის მიერ წარდგენილ წინადადებებში მეტ-ნაკლებად ნათლად არის წარმოჩენილი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პოზიცია და ინტერესები დღევანდელ სტატუს კვოსა და შესაძლო რეფორმებზე. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულ ნაშრომებსა და მსო-ს დოკუმენტებში არ ჩანს, რამდენად შედის დღეს არსებული სტატუს კვო ან ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის შესაძლო რეფორმა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესებში. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ იმისათვის, რომ საერთაშორისო არენაზე ნათელი გახდეს, რომ

სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებზე მორგება და შესაბამისი რეფორმის განხორციელება საქართველოს და საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნების ინტერესს წარმოადგენს (განსხვავებით მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების ინტერესებისგან), ამისთვის სულ მცირე საჭიროა, რომ აღნიშნული მოსაზრება საქართველოს დელეგაციამ მის თანამოაზრე ქვეყნებთან ერთად მსო-ს გენერალურ სამდივნოში წარდგენილი კომუნიკაციით/წინადადებით დააფიქსიროს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე დისერტაციის დასკვნების, შედეგებისა და მასალების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს და მისი თანამოაზრე ქვეყნების მიერ გენერალური სამდივნოსთვის წარსადგენ კომუნიკაციაში/წინადადებაში პატარა ზომის განვითარებადი ქვეყნების ინტერესების და პოზიციის განსასაზღვრად და მათთვის მისაღები რეფორმის წინადადების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული დასაბუთების მიზნით. უფრო კონკრეტულად, საკვლევი მიზნებისა და ამოცანების შესწავლის საფუძველზე წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებულია დასკვნები, რომლებზეც რეკომენდირებულია საქართველოს პოზიციის დაფუძნება:

- თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ეკონომისტებისა და მკვლევრების კრიტიკის მიუხედავად, სპეციალური და განსხვავებული მუხლების არსებობა მსო-ს შეთანხმებებში არა მარტო ლეგიტიმური, არამედ აუცილებელიცაა. აღნიშნულ პოზიციას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ისტორიულ ჭრილში, პრაქტიკულად ყველა მდიდარი ქვეყანა თავისი ახალშობილი ინდუსტრიის განსავითარებლად გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყენებდა პროტექციონიზმის მეთოდებს: იქნება ეს ტარიფების დაწესება, სუბსიდია, იმპორტის გადასახადი, კვოტები, გაცვლითი კურსის კონტროლი, უცხოურ ვაჭრობაზე შეზღუდვები თუ სხვა. ყველა ეს ღონისძიება კი, მიზნად ისახავდა ქვეყნის ახალშობილი ინდუსტრიებისთვის დროის მიცემას

განსავითარებლად და ამ პერიოდში საერთაშორისო კონკურენციისგან მათ დაცვას. შესაბამისად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებში სპეციალური და განსხვავებული მუხლების არსებობა განვითარებად ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მეტ-ნაკლებად მიიღონ ის პრივილეგიები, რომლებსაც მდიდარი ქვეყნები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ თავიანთი ეკონომიკის განვითარებისთვის.

- თეორიული კუთხით, სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობასთან, რომლის ერთ-ერთი მიზანი ეკონომიკის განვითარებაა. პრაქტიკული კუთხით, უფრო მეტი კვლევა საჭირო იმისთვის, რომ ზუსტად დადგინდეს მსო-ს ხელშეკრულებებში დღეს არსებული სპეციალური და განსხვავებული მუხლები, ზოგადად, ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება თუ არა; თუმცა, მაინც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მსო-ს ფარგლებში ქვეყნების განვითარების მიხედვით კლასიფიკაციის რეფორმა უნდა მდგომარეობდეს არა მსო-ს ხელშეკრულებების სპეციალური და განსხვავებული მუხლებისგან გათავისუფლებაში, არამედ განვითარებადი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის რეფორმაში, რაც პოტენციურად გამოიწვევს არსებული სპეციალური და განსხვავებული მუხლების მოდიფიცირებას და მათ მორგებას შესაბამისი განვითარებადი ქვეყნების რეალურ ეკონომიკურ საჭიროებებზე.
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რეფორმის მზაობა უკვე არსებობს, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ დღესდღეობით მსო-ს რიგი შეთანხმებები ითვალისწინებს ზოგადად დადგენილი განვითარებული/განვითარებადი კლასიფიკაციიდან გადახვევის შემთხვევებს, რომლებიც თვითიდენტიფიცირებული განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებას და განსხვავებული მოპყრობის

საშუალებას იძლევიან. გარდა ამისა, წლების განმავლობაში მსო-ს პრაქტიკაში (მაგ., პრეცედენტულ სამართალსა და ქვეყნების მიერთების პროტოკოლებში) გამოიკვეთა განვითარებადი ქვეყნების დახარისხების მაგალითები. გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობა ზოგიერთი მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნისთვის (მაგ., ჩინეთისთვის) იმდენად შესუსტდა, რომ უკვე აშკარაა ცვლილებების განხორციელების როგორც მზადყოფნა, ასევე საჭიროებაც.

- სტატუს კვოს შენარჩუნებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აიძულებს წევრ ქვეყნებს ოპერირება მოახდინონ ისეთ გარემოში, რომელიც რეალურად აღარ არსებობს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, ერთი მხრივ, არსებობს რიგი მიზეზები, რომლებიც რეფორმის აუცილებლობაზე მეტყველებენ და, მეორე მხრივ, არსებობს არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ სტატუს კვო უარყოფითად აისახება მსო-ს ყველა წევრ ქვეყანაზე მათი განვითარების სტატუსის მიუხედავად. კერძოდ, რეფორმის აუცილებლობას ადასტურებს უკანასკნელ დეკადებში მსო-ში განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე წევრი ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური პროგრესი, რის შედეგადაც მივიღეთ ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების კუთხით რადიკალური განსხვავება. აღნიშნული გარემოება კი საფუძვლიანს ხდის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ და, შესაბამისად, საჭიროა რეფორმის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების უფრო სიღრმისეული დიფერენცირება. გარდა ამისა, პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებს (მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) მოუხდათ თავდაპირველი ქვეყნების კლასიფიკაციის სისტემის შეცვლა იმისთვის, რომ მორგებოდნენ სწრაფად ცვლად არსებულ რეალობას. შესაბამისად,

რადგანაც არსებობს მაგალითები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოახდინეს ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა, ამ მაგალითების პარალელურად მსო-ში სტატუს კვოს შენარჩუნება და მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნების მიერ 25 წლის წინანდელ რეალობაზე აპელირება უსაფუძვლო ხდება. და ბოლოს, მართალია მსო-ს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც დავის განხილვისას განვითარებადი ქვეყნის სტატუსი განვითარებულმა ქვეყანამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა თუკი აღნიშნული დავების გადაწყვეტა დავების მოგვარების ორგანოს დაევალება, საჭირო გახდება უფრო ფართომანდატიანი სააპელაციო პროცედურის არსებობა. იმ პირობებში, როდესაც მსო-ს სააპელაციო ორგანო ბლოკირებულია, დისერტაციაში განვითარებულია აზრი, რომ განვითარებადი ქვეყნის სტატუსის გარკვევის მიზნით დავების მოგვარების ორგანოსთვის მიმართვა არამიზანშეწონილია; ამიტომ აუცილებელია, წევრი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრის საკითხის გადაჭრის გზები სხვაგან ვეძებოთ.

- სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩიხშია. იმისათვის, რომ წევრმა ქვეყნებმა შექმნილი ჩიხიდან გამოსვლა და კვლავ მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნება შეძლონ, თავდაპირველად საჭიროა მათ უგულვებელყოფნა დღეს არსებული უსაფუძვლო არგუმენტები, რომლებზეც ისინი თავიანთ უმოქმედობას აფუძნებენ და მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას კომპრომისებზე წასვლის მიზნით. კერძოდ, განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა დათმონ მსხვერპლის როლი და ის მიდგომა, თითქოს სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები სარგებლობენ, ხოლო მაღალი დონის განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეწყვიტონ ორი დეკადის წინ მათი მსო-ში

გაწევრიანების საფუძვლების არგუმენტად მოყვანა იმის დასასაბუთებლად, რომ სტატუს კვო მათთვის მისაღებია.

- მაღალ საფეხურზე მყოფი განვითარებადი ქვეყნები იმ ვითარებაში იმყოფებიან, როდესაც თვითონაც სათანადოდ ვერ სარგებლობენ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებით და სხვა, დაბალ საფეხურზე მყოფ განვითარებად ქვეყნებსაც არ აძლევენ საშუალებას, მათ საჭიროებებზე მორგებული შეღავათებით ისარგებლონ.
- იმისათვის, რომ სტატუს კვო უარყოფითად არ აისახოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებზე, განვითარებად წევრებს შეუძლიათ ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ განვითარებული ქვეყნები დაითანხმონ მთელ რიგ დათმობებზე, რაც მათ ინტერესებში შედის. მაგალითად, ნებისმიერი დონის განვითარებადი ქვეყნისთვის სასურველია, მომავალში სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება მოხდეს. აღნიშნულისთვის კი, საჭიროა მსო-ს წევრი ქვეყნების მიერ კომპრომისებზე წასვლა. შესაბამისად, ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნები უნდა დათანხმდნენ მსო-ში ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დათმობის საპირწონედ, მათ უნდა მიიღონ გარანტია იმისა, რომ მოხდება სამართლებრივად აღსრულებადი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იდენტიფიცირება და, რიგ შემთხვევებში, მუხლების ჩანაწერის გასწორება ენობრივი კუთხით. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ მოლაპარაკებებში განვითარებადი ქვეყნების სუსტი პოზიცია და მწირი ქმედითუნარიანობა ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმის განვითარებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს. ფაქტია, რომ რეფორმის განუხორციელებლადაც განვითარებადი ქვეყნები არამომგებიან ვითარებაში იმყოფებიან და

მოლაპარაკების პროცესში ვაჭრობის ძალა განვითარებულ ქვეყნებს აქვთ. შესაბამისად, სტატუს კვოზე აპელირების ნაცვლად, მაღალი დონის განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ აღნიშნული სიტუაცია სათავისოდ გამოიყენონ და კლასიფიკაციის რეფორმის სანაცვლოდ მოითხოვონ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების იმგვარი დახვეწა, რომ უფრო მეტი ტექნიკური დახმარება მიიღონ მოლაპარაკებებისა და გაერთიანებების შექმნის პროცესში.

- ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა და განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტი დიფერენცირება განსაკუთრებით მომგებიანია საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. უფრო კონკრეტულად, მოცემულ რეალობაში საქართველოსნაირი ქვეყნები ვერ სარგებლობენ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის განკუთვნილი პრივილეგიებით და ისეთივე ვალდებულებები გააჩნიათ, როგორც დიდი ბაზრების მქონე განვითარებადი ქვეყნებს. საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე ღარიბი ქვეყნები, დღევანდელი სტატუს კვოს გათვალისწინებით, ყველაზე მეტად ზარალდებიან, რადგან უფრო მეტი დიფერენცირების გარეშე, განვითარებული ქვეყნები მათ მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლებს სთავაზობენ. ამგვარად, ღარიბი ქვეყნები კარგავენ იმ სარგებელს, რომლის მიღებაც პოტენციურად შეეძლოთ, თუკი ეს მუხლები მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული.
- დავების მოგვარების სისტემაში დღეს არსებული აღსრულების მექანიზმების არაეფექტურობას საფუძვლად უდევს წევრი ქვეყნების ასიმეტრიული ძალთა ბალანსი. არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად კი ერთ-ერთი ოპტიმალური რეფორმის გზა საქართველოსნაირი პატარა საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის ჯვარედინი სამაგიეროს მიგების მექანიზმზე ავტომატურ წვდომაში გამოიხატება. აღნიშნულ მექანიზმზე

ავტომატური წვდომისთვის კი საჭიროა წვერი ქვეყნების დიფერენცირების ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდებოდა „დიდი“ და „პატარა“ საბაზრო წილის მქონე განვითარებადი ქვეყნების გამიჯვნა. სწორედ ამიტომ, წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის რეფორმა სასარგებლოა საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან აღნიშნული რეფორმის შედეგად ეს უკანასკნელი შეძლებენ დავების მოგვარების სისტემაში აღსრულების მექანიზმი უფრო ეფექტურად გამოიყენონ.

- სამეცნიერო ლიტერატურასა და წვერი ქვეყნების დელეგაციების მიერ წარმოდგენილ ბოლოდროინდელ კომუნიკაციებში ვხვდებით მსო-ს წვერი ქვეყნების კლასიფიკაციის მეთოდის რეფორმის გზებს. TFA-ს ხელშეკრულება, რომელიც არაერთი წვერი ქვეყნის მოწონებას იმსახურებს, ნამდვილად წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთ მოდელს; თუმცა, TFA-ს ხელშეკრულების მიდგომა დღევანდელი ზოგადი მიდგომის მსგავსად ეყრდნობა განვითარების სტატუსის თვითგამოცხადებას. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მიდგომამ დააკმაყოფილოს აშშ-ს მოთხოვნები სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმის გადახედვის შესახებ, რადგან ყოველთვის იარსებებს საშიშროება, რომ მაღალი დონის განვითარებადი ქვეყნები შეეცდებიან მექანიზმის სათავისოდ გამოყენებას ისე, როგორც ეს დღეს ხდება.
- გამოსავალი ისეთ სისტემაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ნაკლებად იქნება დამოკიდებული განვითარებადი ქვეყნების სუბიექტურ თვითიდენტიფიცირებაზე, და უფრო მეტად - წვერი ქვეყნების რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე საჭიროა, ახალმა სისტემამ უზრუნველყოს ისეთი სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას. ამგვარი

მიდგომა კი ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ქვეყნების დიფერენცირება უნდა იყოს. კერძოდ, სპეციალური და განსხვავებული მუხლების ბენეფიციარების გამოსავლენად არა მარტო საქართველოსნაირი პატარა ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, არამედ ყველა მხარისთვის უმჯობესია დაინერგოს ე.წ. agreement-specific და provision-specific/issue-specific მიდგომები და შემოღებული იყოს გრადაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწევს, შეწყვეტს პრივილეგიურებული მდგომარეობის გამოყენებას. ამგვარი რეფორმა უზრუნველყოფს, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლები მუდმივად გათვლილი იქნება მხოლოდ მოწყვლად ქვეყნებზე.

- agreement-specific და provision-specific ან/და issue-specific მეთოდების გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს განვითარების ყველა ასპექტს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში. კითხვაზე, უნდა გამოიყენოს თუ არა მსო-მ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები და შეფასებები ობიექტური კრიტერიუმების გაზომვის კუთხით, დისერტაცია ავითარებს მოსაზრებას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ თავიანთი მიზნებისთვის მიღებული ინდიკატორები და ბარიერები. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა შესაძლოა შეცვალოს ან საერთოდ უგულვებელყოფს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ბარიერები და ინდიკატორები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეფორმის ფარგლებში სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მუხლების ბენეფიციარების გამოსავლენად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ემხრობა ე.წ.

agreement-specific და provision-specific/issue-specific მიდგომების გამოყენებას. ექვგარეშეა, რომ აღნიშნული დიფერენცირებული მიდგომა საჭიროებს დამატებით რესურსებსა და ძალისხმევას, თუმცა აქვე იგი იძლევა იმ უპირატესობას, რომ სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმი ნამდვილად პასუხობს ქვეყნების სპეციფიკურ სავაჭრო საჭიროებებს, რაც საბოლოო ჯამში ამ მიდგომას ღირებულს ხდის. უფრო კონკრეტულად, როგორც ბერნარდ ჰოეკმანი აღნიშნავს, მიდგომის უარყოფითი მხარე ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ის მოითხოვს რეგულარულ იმპლემენტაციის აუდიტს, რაც შესაძლოა გულისხმობდეს თითოეული ბენეფიციარი ქვეყნის მიერ მსო-ს კონკრეტული ხელშეკრულებების შესრულების შეფასებას. კიდევ ერთი რთული საკითხია დიფერენცირების საფუძვლის დადგენა და ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრასთან დაკავშირებული სირთულეები. გარდა ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ იმპლემენტაციის აუდიტის შედეგები, ანუ იმპლემენტაციის ხარჯები და სარგებელი, მისაღები იქნება მსო-ს ყველა განვითარებადი წევრისთვის. და ბოლოს, სავარაუდოდ წევრ ქვეყნებს მოუწევთ მრავალმხრივ პროცესში ჩაბმა, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისთვის, რომ განისაზღვროს მსო-ს ყველა წევრისთვის მისაღები ობიექტური კრიტერიუმები და მათი გაზომვის ინდიკატორები, რაც, თავისთავად იოლი არ იქნება.⁵²⁵ თუმცა, მიუხედავად ჩამოთვლილი გამოწვევებისა, შემოთავაზებული მიდგომა თანმიმდევრულია, რადგან ის უზრუნველყოფს გამჭვირვალე ანალიტიკურ მიდგომას რეფორმირებული სპეციალური და განსხვავებული მოპყრობის მექანიზმისადმი, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების საჭიროებების გაზომვის თვალსაზრისით. ასევე, აღნიშნული მიდგომა ყველაზე მეტად ეხმიანება ე.წ. „ერთი ზომა არ ერგება ყველას“ მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ ის ქვეყნები მიიღებენ სპეციალური და

⁵²⁵ მეტი ინფორმაციისთვის, იხ.: Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters Alan L. 'Special and differential treatment of developing countries in the WTO: moving forward after Cancun,' *The World Economy* 27, no. 4, 2004.

განსხვავებული მოპყრობის მექანიზმიდან გამომდინარე სარგებელს, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ ამას.

ცხრილები

სქემა 1. WTO ხელშეკრულებებში დღეს არსებული კლასიფიკაციები.⁵²⁶

N	WTO ხელშეკრულებები	ზოგადი კლასიფიკაცია	ზოგადი კლასიფიკაციისგან გადახვევა	S&DT მუხლების რაოდენობა
1	General Agreement on Tariffs and Trade (GATT) 1994	-	მუხლი XVIII	25
2	Agreement on Agriculture	-	მუხლები 15&16	13
3	Agreement on the Application of Sanitary and Phytosanitary (SPS) Measures	✓	-	6
4	Agreement on Technical Barriers to Trade	✓	-	25
5	Agreement on Trade-Related Investment Measures (TRIMs)	✓	-	3
6	Agreement on Import Licensing Procedures	✓	-	4
7	Agreement on Subsidies and Countervailing Measures (SCM)	-	მუხლი 27 & Annex VII	16
8	General Agreement on Trade in Services (GATS)	✓	-	13
9	Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS)	✓	-	6
10	Agreement on Implementation of Article VII of GATT 1994 (Customs Valuation)	✓	-	8
11	Agreement on Implementation of Article VI of GATT 1994 (Anti-dumping)	✓	-	1
12	Agreement on Trade Facilitation (TFA)	-	Article 14	10
13	Agreement of Safeguards	✓	-	2
14	Understanding on Balance of Payments of GATT 1994	✓	-	2
15	Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes (DSU)	✓	-	11
16	Agreement on Government Procurement (GPA)	✓	-	10
	TOTAL	-	-	155

⁵²⁶ იხ. World Trade Organization [WTO], 'Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions – Note by the Secretariat,' (WT/COMTD/W/239, 12 October 2018); ნაკყეხია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021, გვ. 86-87.

სქემა 2: სიდიდით 20 ყველაზე დიდი ეკონომიკის ზრდა, 1995-2017.⁵²⁷

		Rank		GDP (USD Trillions)		
		1995	2017	1995	2017	ცვლილება (%)
1	ევროკავშირი	1	1	12.79	18.75	46.7
2	აშშ	2	2	10.30	17.30	68.0
3	ჩინეთი	4	3	1.48	10.16	587.0
4	იაპონია	3	4	5.06	6.16	21.6
5	ინდოეთი	10	5	0.60	2.63	339.9
6	ბრაზილია	5	6	1.39	2.28	64.3
7	კანადა	6	7	1.10	1.88	70.8
8	რუსეთი	7	8	0.88	1.68	91.3
9	ავსტრალია	9	9	0.69	1.38	99.8
10	კორეის რესპუბლიკა	11	10	0.54	1.35	147.6
11	მექსიკა	8	11	0.71	1.28	81.6
12	თურქეთი	14	12	0.43	1.21	181.8
13	ინდონეზია	12	13	0.44	1.09	149.4
14	საუდის არაბეთი	15	14	0.35	0.68	96.0
15	შვეიცარია	13	15	0.43	0.65	49.2
16	ირანი	18	16	0.27	0.56	105.5
17	ნორვეგია	16	17	0.31	0.48	56.9
18	ნიგერია	26	18	0.13	0.46	243.1
19	არგენტინა	19	19	0.27	0.46	72.4
20	სამხრეთ აფრიკა	20	20	0.23	0.43	83.4

⁵²⁷ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), Table 3.

სქემა 3: მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის ტოპ 10 ქვეყანა, 2017-2018.⁵²⁸

No.	ქვეყნები	MPI ⁵²⁹ ღარიბი ადამიანების რიცხვი (ათასი)	MPI ღარიბი მოსახლეობის წილი
1	ინდოეთი	515,044	35.6%
2	ნიგერია	91,497	6.3%
3	ეთიოპია	85,213	5.9%
4	პაკისტანი	78,592	5.4%
5	ბანგლადეში	65,783	4.5%
6	ჩინეთი	56,101	3.9%
7	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	53,551	3.7%
8	ინდონეზია	38,493	2.7%
9	ტანზანია	30,507	2.1%
10	უგანდა	24,537	1.7%

⁵²⁸ Oxford Poverty and Human Development Initiative Global Multidimensional Poverty Index (2017-2018), <<http://ophi.org.uk/multidimensional-poverty-index/global-mpi-2017/>> accessed 27 May 2021.

⁵²⁹ MPI („Multidimensional Poverty Index“) აღნიშნავს სიღარიბის მრავალგანზომილებიან ინდექსს.

სქემა 4: საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული პარამეტრები კლასიფიკაციისთვის.⁵³⁰

<p>კლასიფიკაცია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს საფუძველზე: იყენებენ მსოფლიო ბანკი, UNCTAD-ი და OECD-ი. მსოფლიო ბანკი იყენებს შემდეგ კატეგორიებს: დაბალშემოსავლიანი ქვეყნები (Low-Income Countries (LICs)), დაბალი საშუალოშემოსავლიანი ქვეყნები (Lower-Middle-Income Countries (LMICs)), მაღალი საშუალოშემოსავლიანი ქვეყნები (Upper-Middle-Income Countries (UMICs)), მაღალშემოსავლიანი OECD-ს არაწევრი ქვეყნები (High-Income non-OECD Countries) ან მაღალშემოსავლიანი OECD-ს წევრი ქვეყნები (High-Income OECD Countries).</p> <p>კლასიფიკაცია საერთო მახასიათებლების საფუძველზე: იყენებს გაერო და გამოყოფს განვითარებადი ქვეყნების კატეგორიებს შემდეგი საერთო მახასიათებლების მიხედვით: ნაკლებადგანვითარებული ქვეყნები (Least Developed Countries (LDCs), ხმელეთით გარშემორტყმული ქვეყნები (Land-Locked Developing Countries (LLDCs)), მცირე კუნძულის განვითარებადი ქვეყნები (Small Island Developing States (SIDS)), გარდამავალი ბაზრები (Transition Markets (TRANS)), დაბალი შემოსავლის საკვები დეფიციტის მქონე ქვეყნები (Low-Income Food Deficit Countries (LIFDCs)).</p> <p>კლასიფიკაცია ადამიანის განვითარების საფუძველზე: იყენებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP): დაბალი ადამიანური განვითარება (Low Human Development), საშუალო ადამიანური განვითარება (Medium Human Development) ან მაღალი ადამიანური განვითარება (High Human Development).</p>
--

სქემა 5. ფარმაცევტული სექტორის ვაჭრობა 2008 წელს (მლნ აშშ დოლარში).⁵³¹

	ექსპორტი			იმპორტი		
	განვითარებული ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები	სულ	განვითარებული ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები	სულ
განვითარებული ქვეყნები	149,888.98	62,274.89	212,163.87	146,998.61	24,380.58	171,379.19
განვითარებადი ქვეყნები	14,245.09	15,316.46	29,561.55	61,565.22	17,141.56	78,706.78
პროცენტული მაჩვენებლები						
განვითარებული ქვეყნები	70.65%	29.35%	87.77%	85.77%	14.23%	68.53%
განვითარებადი ქვეყნები	48.19%	51.81%	12.23%	78.22%	21.78%	31.47%

⁵³⁰ Kasteng Jonas, Karlsson Arne and Lindberg Carina. 'Differentiation Between Developing Countries in the WTO,' Swedish Board of Agriculture, Report 2004:14 E, 2004, p. 15.

⁵³¹ Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, pp. 18-19

სქემა 6: TRIPS-ის ხელშეკრულების ქვეშ არსებული შეზღუდვები და შესაძლო ინდიკატორები.⁵³²

შეზღუდვები	კრიტერიუმები	შესაძლო ინდიკატორები
ეკონომიკური	სარგებლის მიმდებლობა	ე.წ. R&D ან მშპ მაჩვენებლები - უზრუნველყოფს IPR-ის დაცვით მიღებული სარგებლის გამოვლენას პროდუქციის ან/და ვაჭრობის კონცენტრაცია
	კონკურენცია	გამოვლინილი შედარებითი უპირატესობა (ე.წ. Revealed Comparative Advantage) ფარმაცევტულ პროდუქტებზე ან სავაჭრო ბალანსზე
	ფარმაცევტული ბაზრის ზომა	ფარმაცევტული პროდუქტების წილი მთლიან იმპორტში
	მესამე ქვეყნების მიერ ვალდებულებების უზღუდვებელყოფის ეფექტი	მსოფლიო მშპ-ის წილი - გამოავლენს ბაზრის ზომას
მედიკამენტებზე წვდომა	მსყიდველუნარიანობა	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
	წარმოების ქმედითუნარიანობა	გრუბელ-ლოიდის ინდექსის წლიური მაჩვენებელი - უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსისა და იმპორტულ მედიკამენტებზე დამოკიდებულების მაჩვენებლის გამოვლენას
შესაძლებლობათა შეზღუდვები	ხარჯები	ჯანდაცვაზე ჯამური წლიური ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე
		ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტის შემოსავალი - უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარვეზების გამოვლენას ჯანდაცვის კონტექსტში
დაავადებების სიხშირე	დაავადების შედარებითი გავრცელება	დაავადებების სიხშირე (DALY-ს მონაცემთა ბაზა)
		სიკვდილიანობის შედარებითი მაჩვენებლები (RDI, იგივე Relative Death Information)

⁵³² Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011, pp. 17-18

სქემა 7: ფარმაცევტული პროდუქტების ვაჭრობის სტატისტიკა - იმპორტი და ექსპორტი 2019 წელს.⁵³³

ქვეყანა	ექსპორტი (აშშ დოლარში)	ექსპორტი (%-ში)	იმპორტი (აშშ დოლარში)	იმპორტი (%-ში)	ბალანსი
გერმანია	\$96,735,676,602	14.2%	\$63,201,485,226	8.95%	\$33,534,191,376
შვეიცარია	\$87,169,179,662	12.8%	\$33,024,789,771	4.68%	\$54,144,389,891
აშშ	\$67,971,548,457	9.98%	\$139,664,898,179	19.8%	- \$71,693,349,722
ირლანდია	\$57,041,864,288	8.37%	\$8,430,509,502	1.19%	\$48,611,354,786
ბელგია	\$56,821,952,183	8.34%	\$48,327,896,013	6.84%	\$8,494,056,170
საფრანგეთი	\$38,245,513,566	5.61%	\$30,804,367,893	4.36%	\$7,441,145,673
იტალია	\$35,942,822,564	5.28%	\$32,533,924,184	4.61%	\$3,408,898,380
დიდი ბრიტანეთი	\$31,082,004,176	4.56%	\$30,252,204,654	4.28%	\$829,799,522
ჰოლანდია	\$28,347,791,434	4.16%	\$19,130,875,298	2.71%	\$9,216,916,136
დანია	\$19,506,332,594	2.86%	\$5,056,293,453	0.716%	\$14,450,039,141
-	-	-	-	-	-
ჩინეთი	\$18,054,912,652	2.65%	\$37,973,049,664	5.38%	- \$19,918,137,012
სამხრეთ კორეა	\$4,564,786,560	0.67%	\$8,490,700,874	1.2%	-\$3,925,914,314
ბრაზილია	\$1,378,292,014	0.202%	\$8,539,190,391	1.21%	-\$7,160,898,377
რუსეთი	\$903,850,212	0.133%	\$15,157,195,094	2.15%	- \$14,253,344,882
ინდოეთი	\$18,011,919,905	2.64%	\$5,130,924,337	0.726%	\$12,880,995,568
თურქეთი	\$1,508,539,693	0.221%	\$5,562,429,969	0.787%	-\$4,053,890,276
მექსიკა	\$1,501,079,776	0.22%	\$5,520,067,151	0.781%	-\$4,018,987,375
ისრაელი	\$3,064,099,000	0.45%	\$3,001,134,000	0.425%	\$62,965,000
სინგაპური	\$10,651,898,572	1.56%	\$4,289,636,290	0.607%	\$6,362,262,282
-	-	-	-	-	-
საქართველო	\$197,124,645	0.0289%	\$437,993,870	0.062%	-\$240,869,225

⁵³³ GlobalEdge, 'Pharmaceuticals: Trade Statistics,' retrieved from <<https://globaledge.msu.edu/industries/pharmaceuticals/tradestats>> [25.04.2022].

სქემა 8. მედიკამენტების ექსპორტიორი ტოპ კორპორაციები.⁵³⁴

	კორპორაციები	სათაო ოფისი
1	Johnson & Johnson	აშშ
2	Pfizer	აშშ
3	Novartis	შვეიცარია
4	Sanofi	საფრანგეთი
5	Roche Holding	შვეიცარია
6	Merck & Co	აშშ
7	GlaxoSmithKline	დიდი ბრიტანეთი
8	AstraZeneca	დიდი ბრიტანეთი
9	Eli Lilly & Co	აშშ
10	Abbott Laboratories	აშშ
11	McKesson	აშშ
12	AbbVie	აშშ
13	Bristol-Myers Squibb	აშშ
14	Teva Pharmaceutical	ისრაელი
15	Takeda Pharmaceutical	იაპონია
16	Merck	გერმანია
17	Novo Nordisk	დანია
18	Cardinal Health	აშშ
19	Otsuka Holding	იაპონია
20	Astellas Pharma	იაპონია
21	AmerisourceBergen	აშშ
22	Daiichi Sankyo	იაპონია
23	Allergan	აშშ
24	Mylan	აშშ
25	Actavis	ირლანდია
26	Sinopharm Group	ჩინეთი
27	Valeant Pharmaceuticals	კანადა

⁵³⁴ World's Top Exports, 'Drugs and Medicines Suppliers,' retrieved from <<https://www.worldstopexports.com/international-markets-for-imported-drugs-by-country/>> [25.04.2022]

სქემა 9. ტოპ ქვეყნები ფარმაცევტულ სექტორში სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო რაოდენობით (2005-2019წწ.).⁵³⁵

	ქვეყნები	პუბლიკაციების რაოდენობა	წლიდან წლამდე	5-წლიან შუალედში
1	აშშ	2,274	+4.6 %	-8.4 %
2	ჩინეთი	1,433	+2.5 %	-2.1 %
3	ინდოეთი	1,366	+11.9 %	-13.1 %
4	იაპონია	560	+3.2 %	+1.8 %
5	გერმანია	531	-0.3 %	+4.9 %
6	დიდი ბრიტანეთი	390	-3.4 %	+2.9 %
7	რუსეთი	339	-9.1 %	+73.8 %
8	სამხრეთ კორეა	323	+0.1 %	+4.2 %
9	ინდონეზია	260	+8.4 %	+26.8 %
10	იტალია	258	+4.2 %	+7.6 %

სქემა 10. თევზისა და თევზეულის პროდუქციის ექსპორტიორი ტოპ ქვეყნები (მლნ აშშ დოლარში).⁵³⁶

	ქვეყანა	2004	2014
1	ჩინეთი	6,637	20,980
2	ნორვეგია	4,132	10,803
3	ვიეტნამი	2,444	8,029
4	ტაილანდი	4,060	6,565
5	აშშ	3,851	6,144
	სულ მსოფლიოში	71,869	148,147

⁵³⁵ NationMaster, 'Top Countries in Total Number of Scientific Publications in Pharmaceutical Science,' retrieved from <<https://www.nationmaster.com/nmx/ranking/total-number-of-scientific-publications-in-pharmaceutical-science>> [25.04.2022]

⁵³⁶ Food and Agriculture Organization [FAO], 'The State of World Fisheries and Aquaculture 2016,' FAO Fisheries and Aquaculture Department (2016), p. 53; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2002, p. 49.

სქემა 11. განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებისთვის გამოსაყენებელი შესაძლო კრიტერიუმები მეთევზეობის სუბსიდირების კონტექსტში.⁵³⁷

	2005 წლის ანგარიში	2007 წლის ანგარიში
შემოთავაზებული ობიექტური კრიტერიუმები		
1	მარაგთან დაკავშირებული (Stock-related) – უზრუნველყოფს იმის დადგენას, არის თუ არა შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში ან ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში თევზის მარაგი გადაჭარბებულად ექსპლუატირებული, ამოწურვადი თუ აღდგენილი. მონაცემები შეიძლება ეფუძნებოდეს კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების დამოუკიდებელ შეფასებას.	
2	მენეჯმენტთან დაკავშირებული (Management-related) – აფასებს მენეჯმენტის ადეკვატურობას.	
3	თევზეულის პროდუქციის მთლიანი გლობალური ექსპორტის ინდივიდუალური წილი (Individual share of total global exports of fish commodities)	ფლოტის სიმძლავრის კრიტერიუმი (Fleet Capacity Criterion)


სქემა 12. თევზეულის სუბსიდირების კონტექსტში არსებული ობიექტური კრიტერიუმების გამზომი ინდიკატორები.⁵³⁸

ინდიკატორები		
მარაგთან დაკავშირებული	შესაძლებლობებთან დაკავშირებული	მენეჯმენტთან დაკავშირებული
არცერთ კომპეტენტურ ორგანოს არ გამოუცხადებია, რომ მარაგი არის „სრულად ექსპლუატირებული“, „ზედმეტად ექსპლუატირებული“ ან მისი ექვივალენტი.	მოქმედი ფლოტის მოცულობა [X%]-ზე მეტია, ვიდრე ბოლო [Y] წლის განმავლობაში.	მოქმედებს გემების რეესტრის ყოვლისმომცველი სქემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
მეცნიერებაზე დაყრდნობილი შეფასება მარაგის თაობაზე, დაფუძნებული [X] წლის თევზჭერის მონაცემებზე.	ერთეულის დაჭერა მცირდება და/ან რესურსის ერთეულის ღირებულება იზრდება.	ყველა სახის თევზაობა ექვემდებარება ლიცენზირებას; ლიცენზიების რეესტრი საუჯაროდ იმართება.
თევზჭერა და შემდგომი გასაღება შემცირდა [X%]-ზე მეტით ბოლო Y წლის განმავლობაში.	თევზაობის სეზონის დასრულებამდე ამოიწურა ყველა კვოტა.	ყველა გემის მიერ თევზჭერის და შემდგომ მისი გასაღების შესახებ სავალდებულო შეტყობინების ვალდებულება.

⁵³⁷ იხ. Yu III, Vicente Paolo B. and Fonseca, Marti D. 'Reflecting Sustainable Development and Special and Differential Treatment for Developing Countries in the Context of New WTO Fisheries Subsidies Rules,' United Nations Environment Programme, 2005, pp. 7-30.


⁵³⁸ იხ. Yu III, Vicente Paolo B. and Fonseca, Marti D. 'Reflecting Sustainable Development and Special and Differential Treatment for Developing Countries in the Context of New WTO Fisheries Subsidies Rules,' United Nations Environment Programme, 2005, pp. 24-26; Schorr, David K. and Caddy, John F. 'Sustainability Criteria for Fisheries Subsidies: options for the WTO and beyond,' Geneva: UNEP and WWF, 2007, pp. 7-30.

გრაფა 1. მილიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 1995-2016 წწ.⁵³⁹



⁵³⁹ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), Graph 1.

გრაფა 2. საქონლის მსოფლიო ექსპორტის წილი, 1995-2017 წწ.⁵⁴⁰




შენიშვნები:

* დათვლილია 1996-2017 წლების საქონლის მსოფლიო ექსპორტის წილები

** დათვლილია 1995-2016 წლების საქონლის მსოფლიო ექსპორტის წილები

⁵⁴⁰ World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019), Graph 9; Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2002, p. 49.

გრაფა 3. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი (აშშ დოლარებში, ათასი), 1995-2017 წწ.⁵⁴¹



⁵⁴¹ World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019), Graph 1.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alessandrini, Donatella. *Developing countries and the multilateral trade regime: the failure and promise of the WTOs' development mission*. Hart Publishing, 2010.
2. Amsden, Alice. *Asia's Next Giant: South Korea and Late Industrialization*. New York: Oxford University Press, 1989.
3. Bairoch, Paul. *Economics and World History—Myths and Paradoxes*. London: Harvester Wheatsheaf, 1993.
4. Bhagwati, Jagdish. 'The 'Miracle' That Did Happen' in Erik Thorbecke and Henry Wan (eds.), *Taiwan's Development Experience: Lessons on Roles of Government and Market* Boston: Kluwer Academic Publishers, 1999.
5. Brisco, Norris A., *The Economic Policy of Robert Walpole*. New York: The Columbia University Press, 1907.
6. Chang, Ha-Joon. *Bad Samaritans: The Myth of Free Trade and the Secret History of Capitalism*. New York: Bloomsbury Press, 2007.
7. Chang, Ha-Joon. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective* London: Anthem Press, 2002.
8. Chang, Ha-Joon. *Why Developing Countries Need Tariffs—How WTO NAMA Negotiations Could Deny Developing Countries' Right to a Future*. Geneva: South Centre, 2005.
9. Corden, W. Max. *Trade Policy and Economic Welfare*. 2nd ed., Oxford: Clarendon Press, 1997.
10. Cronin, Sean. *Irish Nationalism: A History of its Roots and Ideology*. Dublin: Academy Press, 1980.
11. Gwartney James D., Stroup, Richard L., Sobel, Russel S. and Macpherson, David A. *Macroeconomics: Private and Public Choice*. 13th ed., Ohio: South-Western, Cengage Learning, 2011.
12. Hamilton, Alexander. *Report on the Subject of Manufactures*, as reprinted in *Hamilton—Writings*. New York: The Library of the America, 2001.
13. Hoselitz, Bert F., 'Theories of Stages of Economic Growth', in B. F. Hoselitz et al., *Theories of Economic Growth*, Free Press of Glencoe, 1960.
14. Hudec, Robert E. 'The Adequacy of WTO Dispute Settlement Remedies' in Bernard Hoekman, Aaditya Mattoo and Philip English (eds.), *Development, Trade, and the WTO*. Washington, D.C.: World Bank, 2002.
15. Kessie, Edwini. 'The Legal Status of Special and Differential Treatment Provisions under the WTO Agreements' in George A. Bermann and Petros C. Mavroidis (eds.), *WTO Law and Developing Countries*. Cambridge: Cambridge University Press, 2010.
16. Krueger, Anne . *Foreign Trade Regimes and Economic Development: Liberalization Attempts and Consequences*. New York: National Bureau of Economic Research, 1978.
17. Lee, Yong-Shik. *Reclaiming Development in the World Trading System*. 1st ed., Cmbridge: Cambridge University Press, 2009.

18. List, Friedrich. *The National System of Political Economy by Friedrich List*. Philadelphia: JB Lippincott and Co., 1856.
19. Maddison, Angus. *The World Economy: Historical Statistics*. Paris: OECD Publishing, 2003.
20. Maskus, Keith E. *Intellectual Property Rights in the Global Economy*. Washington, D.C.: Institute for International Economics, 2000.
21. Narlikar, Amrita. *International Trade and Developing Countries: Bargaining Coalitions in the GATT&WTO*. London/New York: Routledge, 2003.
22. Panagariya, Arvind. *Free Trade and Prosperity: How Openness Helps the Developing Countries Grow Richer and Combat Poverty*. New York: Oxford University Press, 2019.
23. Rolland, Sonia E. *Development at the WTO*. Oxford: Oxford University Press, 2012.
24. Sanchez, Arnau. *The Generalized System of Preferences and the World Trade Organisation*. London: Cameron May Ltd., 2002.
25. Simo, Regis Y. 'Developing Countries and Special and Differential Treatment' in K. Kugler and F. Sucker (eds.), *International Economic Law: (Southern) African Perspectives and Priorities*. Cape Town: Juta & Company Ltd., 2021.
26. Smith, Adam. *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. Hampshire: Harriman House Ltd. edition, 2007.
27. Van Dalen H. P., 'Tinbergen, Jan' in R. J. Barry Jones (ed.), *Routledge Encyclopedia of International Political Economy*. Vol. 3, London: Routledge, 2001.
28. Van den Bossche, Peter and Zdouc, Werner. *The Law and Policy of the World Trade Organization – Text, Cases and Materials*. Cambridge: Cambridge University Press, 2017.
29. Wade, Robert. *Governing the Market: Economic Theory and the Role of the Government in East Asian Industrialization*. Princeton: Princeton University Press, 2004.

სტატიები:

30. ნაჭყებია, ლარა. „გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების მოგვარების სისტემაში,“ *იუსტიცია*, #1, თბილისი, 2022.
31. ნაჭყებია, ლარა. „განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირების საფუძვლები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *მართლმსაჯულება და კანონი* #1 (69), თბილისი, 2021.
32. ნაჭყებია, ლარა. „განვითარებული ქვეყნების უფლება სპეციალურ და განსხვავებულ მოპყრობაზე (S&DT) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში,“ *თემიდა*, #14 (16)-2021, თბილისი, 2021.

33. ფარსადანიშვილი, ნინო. „საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით,“ *უნივერსიტეტის გამომცემლობა*, თბილისი, 2015.
34. Abbott, Frederick M. ‘The WTO Medicines Decision: World Pharmaceutical Trade and the Protection of Public Health,’ *American Journal of International Law* 99, no. 2, 2005.
35. Attaran, Amir. ‘How Do Patents and Economic Policies Affect Access To Essential Medicines In Developing Countries?’ *Health Affairs* 23, no. 3, 2004.
36. Bahri, Amrita. ‘Appellate Body Held Hostage: Is Judicial Activism at Fair Trial?’ *Journal of World Trade* 53, no. 2, 2019.
37. Bartels, Lorand. ‘Making WTO Dispute Settlement Work for African Countries: An Evaluation of Current Proposals for Reforming the DSU,’ *Law and Development Review* 6, no. 2, 2013. <https://doi.org/10.1515/ldr-2013-0020>.
38. Bohl, Kristin. ‘Problems of Developing Country Access to WTO Dispute Settlement,’ *Chicago-Kent Journal of International and Comparative Law* 9, 2009.
39. Cho, Youngjeen. ‘The Concept of “Developing Countries” in the Context of the WTO Fisheries Subsidies Negotiation,’ *Beijing Law Review* 9, 2018.
40. Cottier, Thomas. ‘From Progressive Liberalization to Progressive Regulation in WTO Law,’ *Journal of International Economic Law* 9, no. 4, 2006. <https://doi.org/10.1093/jiel/jgl029>
41. Cui, Fan. ‘Who Are the Developing Countries in the WTO,’ *Law and Development Review* 1, no. 1, 2008. <https://doi.org/10.2202/1943-3867.1009>.
42. Davis, Ralph. ‘The Rise of Protection in England, 1689–1786,’ *Economic History Review* 19, no. 2, 1966.
43. Drahos, Peter. ‘When the Weak Bargain with the Strong: Negotiations in the World Trade Organization,’ *International Negotiation* 8, no. 1, 2003. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.418480>
44. Garcia, Frank J. ‘Beyond Special and Differential Treatment,’ *Boston College International and Comparative Law Review* 27, no. 2, 2004.
45. Gregory Shaffer and Apea Yvonne. ‘Institutional Choice in the GSP Case: Who Decides the Conditions for Trade Preferences? The Law and Politics of Rights,’ *Journal of World Trade* 39 no. 6, 2005.
46. Guzman, Andrew T. and Simmons Beth A. ‘Power Plays & Capacity Constraints: The Selection of Defendants in WTO Disputes,’ *Journal of Legal Studies* 34, no. 2, 2005. <https://doi.org/10.1086/430767>.
47. Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters Alan L. ‘Special and differential treatment of developing countries in the WTO: moving forward after Cancun,’ *The World Economy* 27, no. 4, 2004.
48. Hoekman, Bernard. ‘Operationalizing the concept of policy space in the WTO: beyond special and differential treatment,’ *Journal of International Economic Law* 8, no. 2, 2005. <https://doi.org/10.1093/jielaw/jgi027>.

49. Kazzi, Habib. 'Reshaping the WTO Dispute Settlement System: Challenges and Opportunities for Developing Countries in the Doha Round Negotiations,' *European Scientific Journal* 11, no. 31, 2015.
50. Kerr, William A. 'Special and Differential Treatment: A Mechanism to Promote Development?' *Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 6, no. 2, 2005.
51. Kessie, Edwini. 'Enforceability of the Legal Provisions Relating to Special and Differential Treatment under the WTO Agreements,' *Journal of World Intellectual Property* 3, no. 6, 2000.
52. Koekkoek, Ad. 'Exports of developing countries: differentiation and comparative advantage,' *The International Trade Journal* 6, no. 3, 1992.
53. Krueger, Anne. 'Trade Policy and Economic Development: How We Learn,' *American Economic Review* 81, no. 1, 1997.
54. Kuijper, Pieter J. 'From the Board: the US Attack on the Appellate Body,' *Legal Issues of Economic Integration* 45, no. 1, 2018.
55. Lee, Yong-Shik. 'The Long and Winding Road – Path Towards Facilitation of Development in the WTO: Reflections on the Doha Round and Beyond,' *Law and Development Review* 9, no. 2, 2016. <https://doi.org/10.1515/ldr-2016-0011>.
56. Little, Ian M. D. 'Trade and Industrialization Revisited,' *Pakistan Development Review* 33, no. 4, 1994.
57. Mampolokeng, Monyakane. '*Special and Differential Treatment under the World Trade Organisation (WTO) with Specific Reference to the Application of the WTO Agreement on Agriculture*,' Master's thesis, University of South Africa, 2005, retrieved from <https://www.researchgate.net/> [25.04.2022]
58. Mangeni, Francis. 'Strengthening Special and Differential Treatment in the WTO Agreements: Some Reflections on the Stakes for African Countries,' *Sustainable Development and Trade Issues ICTSD Resource Paper* no. 4, 2003.
59. Marco Bronckers and Van Den Broek Naboth. 'Financial Compensation in the WTO: Improving the Remedies of WTO Dispute Settlement,' *Journal of International Economic Law* 9, 2006.
60. McCalla, Alex F. 'What the Developing Countries Want from the WTO,' *The Estey Centre Journal of International Law and Trade Policy* 2, no. 1, 2001.
61. Melitz, Marc J. 'When and how should Infant Industries be protected?' *Journal of International Economics* 66, 2005.
62. Mitchell Andrew D. and Salonidis Constantine. 'David's Sling: Cross-Agreement Retaliation in International Trade Disputes,' *Journal of World Trade* 45, 2011.
63. Mitchell Andrew D. and Voon Tania SL. 'Operationalizing Special and Differential Treatment in the World Trade Organization: Game Over?' *Global Governance* 15, no. 3, 2009.
64. Moon, Gillian. 'Trade and Equality: A Relationship to Discover,' *Journal of International Economic Law* 12, no. 3, 2009. <https://doi.org/10.1093/jiel/jgp028>.
65. Nachkebia, Lara. 'Country Classification Reform and Stalled Negotiations in the World Trade Organization – How to Break the Stalemate?' *The Estey Journal of International Law and Trade Policy* 22, no. 2, 2021.

66. Nachkebia, Lara. 'Deterrents to Country Classification Reform in the World Trade Organization—Do They Correspond With Reality?' *China-USA Business Review* 21, no. 2, 2022.
67. Nisar, Ahmad. 'Competitive Strength of Nations: Doing Business in a Global Market,' *Eurasian Journal of Business and Management* 1, no. 1, 2013.
68. Ohno, Kenichi. 'Free Trade versus Infant Industry Promotion: The Possibility of Temporary Protection for Latecomer Countries,' *National Graduate Institute for Policy Studies*, 2001.
69. Paola Conconi and Perroni Carlo. 'Special and Differential Treatment of Developing Countries in the WTO,' *World Trade Review* 14, no. 1, 2015.
70. Pauwelyn, Joost. 'The End of Differential Treatment for Developing Countries? Lessons from the Trade and Climate Change Regimes,' *Review of European Community and International Environmental Law* 22, no. 1, 2013.
71. Payosova Tatyana, Hufbauer Gary Clyde and Schott Jeffrey J. 'The Dispute Settlement Crisis in the World Trade Organization: Causes and Cures,' *Peterson Institute for International Economics Policy Brief* no. 18-5, 2018.
72. Prowse, Susan. 'The Role of International and National Agencies in Trade-related Capacity Building,' *The World Economy* 25, no. 9, 2002. <https://doi.org/10.1111/1467-9701.00490>.
73. Rodrik, Dani. 'Getting Interventions Right: How South Korea and Taiwan Grew Rich,' *Economic Policy* 20, 1995.
74. Schwab, Susan C. 'After Doha: Why the Negotiations are Doomed and What We Should Do About It,' *Foreign Affairs* 90 no. 3, 2011.
75. Shaffer, Gregory C. 'Can WTO Technical Assistance and Capacity Building Serve Developing Countries?' *Wisconsin International Law Journal* 23, 2005. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.653842>.
76. Slater, Gabriel L. 'The Suspension of Intellectual Property Obligations under TRIPS: A Proposal for Retaliating against Technology-Exporting Countries in the World Trade Organization,' *Georgetown Law Journal* 97, 2009.
77. Spadano, Lucas. 'Cross-Agreement Retaliation in the WTO Dispute Settlement System: An Important Enforcement Mechanism for Developing Countries?' *World Trade Review* 7, no. 3, 2008. <https://doi:10.1017/S1474745608003960>.
78. Subramanian Arvind and Watal Jayashree. 'Can TRIPS Serve as an Enforcement Device for Developing Countries in the WTO?' *Journal of International Economic Law* 3 no. 3, 2000. <https://doi.org/10.1093/jiel/3.3.403>.
79. Ukpe Aniekan and Khorana Sangeeta. 'Special and differential treatment in the WTO: framing differential treatment to achieve (real) development,' *Journal of International Trade Law and Policy* 20, no. 2, 2021.
80. Veridame, Guglielmo. 'The Definition of Developing Countries under GATT and other International Law,' *German Yearbook of International Law* 39, 1996.
81. Weinhardt, Clara. 'Global Society Emerging Powers in the World Trading System: Contestation of the Developing Country Status and the Reproduction of Inequalities,' *Global Society*, 2020. <https://doi.org/10.1080/13600826.2020.1739632>.

სნგაროშედი:

82. Bacchus James and Manak Inu. 'The Development Dimension: What to Do about Differential Treatment in Trade,' Cato Institute Policy Analysis No. 887, 2020.
83. Bahety Smriti and Mukiibi Julian. 'WTO Fisheries Subsidies Negotiations: Main Issues and Interests of Least Developed Countries,' CUTS International, Geneva, 2017.
84. Bernal Luisa E. et al., 'South-South Cooperation in the Multilateral Trading System: Cancun and Beyond,' South Centre TRADE Working Paper No. 21, 2004.
85. Besson, Fabien. and Mehdi, Racem. 'Is WTO Dispute Settlement System Biased Against Developing Countries?: An Empirical Analysis,' Paper Presented at the International Conference on Policy Modelling, Paris, France, 2014.
86. Cortez Ana Luiza and Arda Mehmet. 'Global trade rules for supporting development in the post-2015 era,' CDP Background Paper No. 19, ST/ESA/2014/CDP/19, 2014.
87. Doctors Without Borders (Médecins sans frontières). 'Untangling the web of price reductions: a pricing guide for the purchase of ARVs for developing countries,' 2015, retrieved from: <https://www.rhsupplies.org/uploads/tx_rhscpublications/MSF_Untangling%20the%20web%20of%20price%20reductions%20-%20ARV%20-%208th%20edition_2005.pdf> [25.04.2022]
88. Fantom Neil and Serajuddin Umar. 'The World Bank's Classification of Countries by Income,' World Bank Group Policy Research Working Paper No. 7528, 2016.
89. Food and Agriculture Organization. 'Measuring fish capacity,' Fisheries Technical Paper no. 445, 2003.
90. Fritz, Thomas. 'Special and Differential Treatment for Developing Countries,' Global Issue Paper, No. 18, 2005.
91. Gonzalez Javier L., Parra Maximilliano M., Holmes Peter and Shingal Anirudh. 'TRIPS and Special & Differential Treatment – Revisiting the Case for Derogations in Applying Patent Protection for Pharmaceuticals in Developing Countries,' NCCR Trade Regulation Working Paper No 2011/37, 2011.
92. Hartwich Frank and Pataconi Gerardo. 'Beyond infant industries and trade liberalization: Productive development in a value chain and cluster context,' United Nations Industrial Development Organization, 2014.
93. Hegde Vineet and Wouters Jan. 'Special and Differential Treatment under the World Trade Organization: A Legal Typology,' Working Paper No. 227, 2020.
94. Hoekman Bernard, Michalopoulos Constantine and Winters L. Alan. 'More Favorable and Differential Treatment of Developing Countries: Toward a New Approach in the World Trade Organization,' World Bank Policy Research Working Paper No. 3107, 2003.
95. Humphrey, Mike. 'How can LDCs ensure they continue to benefit from Special and Differential Treatment in the WTO?' Institute for International Trade, 2019.

96. Kasteng Jonas, Karlsson Arne and Lindberg Carina. 'Differentiation Between Developing Countries in the WTO,' Swedish Board of Agriculture, Report 2004:14 E, 2004.
97. Keck Alexander and Low Patrick. 'Special and Differential Treatment in the WTO: Why, When and How?' WTO Staff Working Paper ERSD-2004-03, 2004.
98. Kleen Peter and Page Sheila. 'Special and Differential Treatment of Developing Countries in the World Trade Organization,' Global Development Studies No. 2, 2005.
99. Kwa Aileen and Lunenborg Peter. 'Why the US Proposals on Development will Affect all Developing Countries and Undermine WTO,' South Centre Policy Brief No. 58, 2019.
100. Matthews, Alan. 'More Differentiated Special Treatment in the Agriculture Agreement: beyond concept to practice,' IIIS Discussion Paper No. 108, 2006.
101. Michalopoulos, Constantine. 'The Role of Special and Differential Treatment for Developing Countries in GATT and the World Trade Organization,' World Bank Working Papers – International Economics No. 2388, 2000.
102. Nielsen, Lyng. 'Classifications of Countries Based on their Level of Development: How it is Done and How it Could Be Done,' IMF Working Papers 11/31, 2011.
103. Organization for Economic Co-operation and Development [OECD], 'The DAC guidelines: Strengthening Trade Capacity for Development, International Development,' Organization for Economic Co-operation and Development, 2001, retrieved from <<https://www.oecd.org/dac/aft/2672878.pdf>> [25.04.2022]
104. Ornelas, Emanuel. 'Special and Differential Treatment for Developing Countries,' CEP Discussion Paper No. 1415, 2016.
105. Paugam, Jean-Marie and Novel, Anne-Sophie. 'Why and How Differentiate Developing Countries in the WTO? Theoretical Options and Negotiating Solutions,' Paper prepared for the IFRI/ARD Trade and Development Conference, 2005.
106. Peter Sutherland et al., 'The Future of the WTO: Addressing the institutional challenges in the new millennium,' Report of the Consultative Board to the WTO Director-General Supachi Panitchpakdi, 2004.
107. Rodrik, Dani. 'The Global Governance of Trade - As If Development Really Mattered,' UNDP Background Paper, 2001, retrieved from: <<http://www.tinyurl.com/y4f83dvv>> [25.04.2022]
108. Sanford Jonathan E. and Sandhu Anjula. 'Developing Countries: Definitions, Concepts and Comparisons,' CRS Report for Congress, 2002.
109. Schorr, David K. 'Healthy Fisheries, Sustainable Trade: Crafting New Rules on Fishing Subsidies in the World Trade Organization,' WWF Position Paper and Technical Resource, 2004.
110. Schorr, David K. and Caddy, John F. 'Sustainability Criteria for Fisheries Subsidies: options for the WTO and beyond,' Geneva: UNEP and WWF, 2007.
111. Scott, James. 'Developing Countries in the ITO and GATT Negotiations,' BWPI Working Paper 95, 2009.

112. Shafaeddin, Mehdi. 'What did Frederick List actually say? – Some Clarifications on the Infant Industry Argument,' United Nations Conference on Trade and Development 149, 2000.
113. Singh, Ajit. 'Special and Differential Treatment, The Multilateral Trading System and Economic Development in the 21st Century,' MPRA Paper No. 24301, 2003.
114. South Centre. 'Strengthening developing countries' capacity for trade negotiations: matching technical assistance to negotiating capacity constraints,' Background Paper No. 4 , 2004.
115. South Centre. 'The WTO's Fisheries Negotiations,' Analytical Note SC/AN/TDP/2017/5, 2017.
116. South Centre. 'The WTO's Special and Differential Treatment negotiation (paragraph 44),' Analytical Note SC/AN/TDP/2017/3, 2017.
117. Stevens, Christopher. 'The Future of Special and Differential Treatment (SDT) for Developing Countries in the WTO,' IDS Working Papers 163, 2002.
118. Sumaila Rashid U. et al, 'Global Fisheries Subsidies,' Policy Department B: Structural and Cohesion Policies – Fisheries, EU Parliament, IP/B/PECH/IC/2013-146, 2013.
119. Tarr, David G. 'On the Design of Tariff Policy: A Practical Guide to the Arguments for and Against Uniform Tariffs,' World Bank Group, 2000.
120. United Nations Conference on Trade and Development [UNCTAD]. 'The Outcome of the Uruguay Round: An Initial Assessment,' Secretariat of the United Nations Conference on Trade and Development, 1994.
121. United Nations Conference on Trade and Development [UNCTAD]. 'Trade and Environment Review 2016 - Fish Trade,' United Nations Conference on Trade and Development, UNCTAD/DITC/TED/2016/3, 2016, retrieved from: <https://unctad.org/system/files/official-document/ditcted2016d3_en.pdf> [25.04.2022]
122. United Nations Development Programme [UNDP]. 'Human Development Report 2016: Human Development for Everyone,' United Nations Development Programme, 2016, retrieved from <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/25212016_human_development_report.pdf> [25.04.2022]
123. Willems Stéphane and Baumert Kevin. 'Institutional Capacity and Climate Actions,' OECD and IEA Information Paper, COM/ENV/EPOC/IEA/SLT, 2003.
124. World Bank. 'Intellectual property: balancing incentives with competitive access,' Washington, DC.: Global Economic Prospects, 2011, retrieved from: <<https://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/GEP/GEParchives/GEP2002/GEP2002Chap5.pdf>> [25.04.2022]
125. Worrall Leah and Mendez-Parra Maxilimillano. 'Fisheries, The Implications of Current WTO Negotiations for Economic Transformation in Developing Countries,' Supporting Economic Transformation, 2017.
126. Yu III, Vicente Paolo B. and Fonseca, Marti D. 'Reflecting Sustainable Development and Special and Differential Treatment for Developing Countries

in the Context of New WTO Fisheries Subsidies Rules,' United Nations Environment Programme, 2005.

ნორმატიული მასალა:

127. Agreement on Agriculture, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 410.
128. Agreement on Subsidies and Countervailing Measures, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1869 U.N.T.S. 14.
129. Agreement on Trade-Related Intellectual Property Rights, April 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1C, 1869 U.N.T.S. 299 3 I.L.M. 1197
130. DSU, Dispute Settlement Rules: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 2, 1869 U.N.T.S. 401, 33 I.L.M. 1226 (1994)
131. Food and Agriculture Organization [FAO], 'The State of World Fisheries and Aquaculture 2016,' FAO Fisheries and Aquaculture Department (2016)
132. GATT 1994: General Agreement on Tariffs and Trade 1994, Apr. 15, 1994, Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Annex 1A, 1867 U.N.T.S. 187, 33 I.L.M. 1153 (1994)
133. GATT Contracting Parties, 'Differential and more favourable treatment reciprocity and fuller participation of developing countries,' (L/4903, B28 November 1979), retrieved from: <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/enabling1979_e.htm> [25.04.2022]
134. Organization for Economic Co-operation and Development [OECD], 'Convention on the Organisation for Economic Co-operation and Development,' (14 December 1960)
135. World Trade Organization [WTO], 'A Framework to Guide the Multilateral Negotiations or Eliminate Harmful Fisheries Subsidies,' (TN/RL/GEN/183, 29 November 2016)
136. World Trade Organization [WTO], 'A New Strategy for WTO Technical Cooperation: Technical Cooperation for Capacity Building, Growth and Integration - Note by the Secretariat,' (WT/COMTD/W/90, 21 September 2001)
137. World Trade Organization [WTO], 'An Undifferentiated WTO: Self-Declared Development Status Risks Institutional Irrelevance - Communication from the United States,' (WT/GC/W/757/ Rev. 1, 14 February 2019)
138. World Trade Organization [WTO], 'Doha Work Programme: Decision Adopted by the General Council on 1 August 2004,' (WTO Doc WT/L/579, 2 August 2004)
139. World Trade Organization [WTO], 'Draft General Council Decision: Procedures to Strengthen the Negotiating Function of the WTO,' (WT/GC/W/764, 15 February 2019)

140. World Trade Organization [WTO], 'Fisheries Subsidies - Submission of the European Communities,' (TN/RL/GEN/134, 24 April 2006)
141. World Trade Organization [WTO], 'Fisheries Subsidies: Special and Differential Treatment - Communication from Brazil, China, India and Mexico,' (TN/RL/GEN/163, 11 February 2010)
142. World Trade Organization [WTO], 'Further Contribution to the Discussion on the Framework for Disciplines on Fisheries Subsidies,' (TN/RL/GEN/79, 16 November 2005)
143. World Trade Organization [WTO], 'Pursuing the Development Dimension in WTO Rule-Making Efforts - Communication from Norway, Canada, Hong Kong, China, Iceland, Mexico, New Zealand, Singapore and Switzerland,' (WT/GC/W/770/ Rev.3, 26 April 2019)
144. World Trade Organization [WTO], 'Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions – Note by the Secretariat,' (WT/COMTD/W/239, 12 October 2018)
145. World Trade Organization [WTO], 'Strengthening and Modernizing the WTO: Discussion Paper: Communication from Canada' (JOB/GC/201, 24 September 2018)
146. World Trade Organization [WTO], 'Strengthening the WTO to Promote Development and Inclusivity - Communication from Plurinational State of Bolivia, Cuba, Ecuador, India, Malawi, Oman, South Africa, Tunisia, Uganda and Zimbabwe,' (WT/GC/W/778/Rev.1, 22 July 2019)
147. World Trade Organization [WTO], 'The Continued Relevance of Special and Differential Treatment in Favour of Developing Members to Promote Development and Ensure Inclusiveness: Communication from China, India, South Africa, the Bolivarian Republic of Venezuela, Lao People's Democratic Republic, Plurinational State of Bolivia, Kenya, Cuba,' (WT/GC/W/765/Rev. 1, 26 February 2019)
148. World Trade Organization [WTO], 2001a: Implementation of Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions. Mandatory and Non-Mandatory Special and Differential Treatment Provisions, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.1, 21 December 2001)
149. World Trade Organization [WTO], 2001b: Implementation of Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions. A Review of Mandatory Special and Differential Treatment Provisions, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.2, 21 December 2001)
150. World Trade Organization [WTO], 2002: Non-Mandatory Special and Differential Treatment Provisions in WTO Agreements and Decisions, (WT/COMTD/W/77/Rev.1/Add.3, 4 February 2002)
151. World Trade Organization [WTO], Accession of the People's Republic of China, (WT/L/432, 23 November 2001)
152. World Trade Organization [WTO], Doha Ministerial Declaration, (WT/MIN(01)/DEC/1, 14 November 2001)

153. World Trade Organization [WTO], Doha Work Programme, Ministerial Declaration, (WT/MIN (05)/W/3 Rev. 2, 18 December 2005)
154. World Trade Organization [WTO], Elimination of AMS to Reduce Distortion in Global Agricultural Trade, (JOB/AG/102, 17 July 2017)
155. World Trade Organization [WTO], General Council, (WT/L/940, 28 November 2014)
156. World Trade Organization [WTO], Implementation-related Issues and Concerns, (WT/MIN(01)/17, 20 November 2001)
157. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Armenia, (WT/ACC/ARM/23, 26 November 2002)
158. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of China, (WT/ACC/CHN/49, 1 October 2001)
159. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Georgia, (WT/ACC/GEO/31, 31 August 1999)
160. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Ukraine, (WT/ACC/UKR/152, 25 January 2008)
161. World Trade Organization [WTO], Report of the Working Party on the Accession of Saudi Arabia, (WT/ACC/SAU/61, 1 November 2005)
162. World Trade Organization [WTO], Revised Draft Modalities for Agriculture, (TN/AG/W/4/Rev.4, 6 December 2008)
163. World Trade Organization [WTO], Trade Facilitation Agreement, entry into force 22 February 2017, retrieved from <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/tfa-nov14_e.htm> [25.04.2022]
164. WTO Agreement: Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization, Apr. 15, 1994, 1867 U.N.T.S. 154, 33 I.L.M. 1144 (1994).
165. WTO Dispute Settlement Body, 'DSU Negotiations: Special and Differential Treatment for Developing Countries – Proposals on DSU by Cuba, Honduras, India, Indonesia, Malaysia, Pakistan, Sri Lanka, Tanzania and Zimbabwe,' (TN/DS/W/19, 9 October 2002)

სასამართლო პრაქტიკა:

166. *Argentina – Measures relating to Trade in Goods and Services*, Appellate Body Report, (WT/DS453/AB/R, 14 April 2016).
167. *Canada – Measures Affecting the Export of Civilian Aircraft*, Appellate Body Report, (WT/DS70/AB/R, 20 August 1999)
168. *Case of Georgia v Russia (I) (Application no. 13255/07) (just satisfaction)*, Council of Europe: European Court of Human Rights, (ECLI:CE:ECHR:2019:0131JUD001325507, 31 January 2019)
169. *Ceylon-Article XVIII Applications*, GATT Panel Report, (GATT Doc. L/71, 26 November 1957).

170. *European Communities – Anti-Dumping Duties on Imports of Cotton-Type Bed Linen from India – Recourse to Article 21.5 of the DSU by India*, Panel Report (WT/DS141/RW, 24 April 2003)
171. *European Communities - Conditions for the Granting of Tariff Preferences to Developing Countries*, Appellate Body Report, (WT/DS246/AB/R, 20 April 2004).
172. *European Communities – Regime for the Importation, Sale and Distribution of Bananas*, Recourse to Article 22.6 Arbitration Report, (WT/DS27/ARB/ECU, 24 March 2000)
173. *European Communities – Trade Description of Sardines*, Panel Report (WT/DS231/R and Corr.1, 23 October 2002)
174. *Japan – Taxes on Alcoholic Beverages*, Panel Report (WT/DS8/R, WT/DS10/R, WT/DS11/R, 1 November 1996)
175. *United States – Subsidies on Upland Cotton*, Recourse to Article 22.6 Arbitration Report, (WT/DS267/ABR/1, 31 August 2009)
176. *United States – Continued Existence and Application of Zeroing Methodology*, Appellate Body Report, (WT/DS350/AB/R, 4 February 2009).
177. *United States – Final Anti-dumping Measures in Stainless Steel from Mexico*, Appellate Body Report, (WT/DS344/AB/R, 30 April 2008).
178. *United States: Definitive Safeguard Measures on Imports of Certain Steel Products*, WTO Panel Report, (WT/DS252/R, 11 July 2003).

ინტერნეტ-რესურსები:

179. ხაზიური, მავა. ‘მეორე როველი სუბსიდიის გარეშე - ინფოგრაფიკა’ (Knews.ge, 2 ნოემბერი, 2019), retrieved from <www.knews.ge> [25.04.2022]
180. Alves, Lise. ‘Brazil Agrees to Surrender Special WTO Status for OECD Entry’ (Riotimes, 20 March 2019), retrieved from <<https://www.riotimesonline.com/brazil-news/rio-politics/brazil-agrees-to-surrender-special-wto-status-for-oecd-entry/>> [25.04.2022]
181. Bretton Woods Project, ‘Who can borrow from the World Bank?’ (Brettonwoodsproject, 10 December 2020), retrieved from <<https://www.brettonwoodsproject.org/2020/12/art-320866/>> [25.04.2022]
182. Chung, Jane and Roh, Joori. ‘South Korea to give up developing country status in WTO talks’ (Reuters, 25 October 2019), retrieved from <<https://www.reuters.com/article/us-southkorea-trade-wto-idUSKBN1X401W>> [25.04.2022]
183. CNA, ‘Singapore supports update of WTO rules, will not use special provisions for developing nations: Chan Chun Sing’ (Channelnewsasia, 18 September 2019), retrieved from <<https://www.channelnewsasia.com/singapore/singapore-supports-update-of-wto-rules-developing-country-status-861881>> [25.04.2022]

184. Defining Policy Formulation, retrieved from <http://profwork.org/pp/formulate/define.html#:~:text=Definition%20of%20Po%20licy%20Formulation,placed%20on%20the%20policy%20agenda> [25.04.2022]
185. European Commission, 'Generalised Scheme of Preferences (GSP),' retrieved from <https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/development/generalised-scheme-of-preferences/> [25.04.2022]
186. Foreign Assistance, retrieved from <https://www.foreignassistance.gov/explore/country/Israel> [25.04.2022]
187. GlobalEdge, 'Pharmaceuticals: Trade Statistics,' retrieved from <https://globaledge.msu.edu/industries/pharmaceuticals/tradestats> [25.04.2022]
188. González, Anabel. 'Revisiting 'special and differential treatment' in the WTO' (Eastasiaforum, 26 March 2019), retrieved from <https://www.eastasiaforum.org/2019/03/26/revisiting-special-and-differential-treatment-in-the-wto/> [25.04.2022]
189. Mallory Tabitha Grace, Hao Chen and Danyan Leng. 'China's Financing and Subsidization of Capture Fisheries,' Oceana Report, 2021, retrieved from: <https://oceana.org/reports/chinas-fisheries-subsidies-propel-distant-water-fleet/> [25.04.2022]
190. Merriam Webster Dictionary, 'Shall', retrieved from <https://www.merriam-webster.com/dictionary/shall> [25.04.2022]
191. Merriam Webster Dictionary, 'Should', retrieved from <https://www.merriam-webster.com/dictionary/should> [25.04.2022]
192. NationMaster, 'Top Countries in Total Number of Scientific Publications in Pharmaceutical Science,' retrieved from <https://www.nationmaster.com/nmx/ranking/total-number-of-scientific-publications-in-pharmaceutical-science> [25.04.2022]
193. Organization for Economic Co-operation and Development [OECD], Key Partners, retrieved from <http://www.oecd.org/global-relations/keypartners/> [25.04.2022]
194. Organization for Economic Co-operation and Development [OECD], List of OECD Member countries - Ratification of the Convention on the OECD, retrieved from <https://www.oecd.org/about/document/list-oecd-member-countries.htm> [25.04.2022]
195. Oxford Poverty and Human Development Initiative [OPHI], 'Global Multi-dimensional Poverty Index (2017-2018),' retrieved from <http://ophi.org.uk/multidimensional-poverty-index/global-mpi-2017/> [25.04.2022]
196. Penfold, Erica. 'Explainer: the problem drug patents pose for developing countries' (Theconversation, 6 August 2015), retrieved from <https://theconversation.com/explainer-the-problem-drug-patents-pose-for-developing-countries-45667> [25.04.2022]
197. Schellack, Natalie. 'How changing drug patent rules will affect developing nations' (Theconversation, 21 November 2016), retrieved from

- <<https://theconversation.com/how-changing-drug-patent-rules-will-affect-developing-nations-57175>> [25.04.2022]
198. Tirkey, AArshi. 'The WTO's Appellate Body Crisis: Implication for Trade Rules and Multilateralism' (Orfonline, 13 January 2020), retrieved from <<https://www.orfonline.org/expert-speak/the-wtos-appellate-body-crisis-implication-for-trade-rules-and-multilateralism-60198/>> [25.04.2022]
199. Transparency International, 'Corruption around the World in 2019', retrieved from <<https://www.transparency.org/en/cpi/2019>> [25.04.2022]
200. United Nations, 'Graduation from the LDC category,' retrieved from <<https://www.un.org/development/desa/dpad/least-developed-country-category/ldc-graduation.html>> [25.04.2022]
201. UN-OHRLLS, 'Criteria for Identification and Graduation of LDCs,' retrieved from <<http://unohrlls.org/about-ldcs/criteria-for-ldcs/>> [25.04.2022]
202. World Bank, World Development Criteria, GDP per capita (current US\$), retrieved from <<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=SG-AM>> [25.04.2022]
203. World Trade Organization [WTO], 'Who are the Developing Countries in the WTO?' retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/dlwho_e.htm> [25.04.2022]
204. World Trade Organization, 'The Doha Round', retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/dda_e/dda_e.htm> [25.04.2022]
205. World Trade Organization, 'Trade Facilitation Agreement Facility,' retrieved from <<https://www.tfafacility.org/>> [25.04.2022]
206. World Trade Organization, 'WTO in Brief', retrieved from <https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/inbrief_e/inbr_e.htm> [25.04.2022]
207. World Trade Organization, 'WTO technical assistance and training,' retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/teccop_e/tct_e.htm#:~:text=WTO%20technical%20assistance%20and%20training,more%20effectively%20in%20global%20trade> [25.04.2022]
208. World's Top Exports, 'Drugs and Medicines Suppliers,' retrieved from <<https://www.worldstopexports.com/international-markets-for-imported-drugs-by-country/>> [25.04.2022]

სხვადასხვა:

209. Embassy of the People's Republic of China in the Republic of India, 'White Paper - China's Peaceful Development,' 2011, retrieved from <<https://www.mfa.gov.cn/ce/cein//eng/zt/peaceful/t855717.htm>> [25.04.2022]
210. ICTSD Doha Round Briefing Series, 'Technical Assistance and Capacity-building,' 2003, retrieved from

- <https://www.iisd.org/system/files/publications/wto_doha_tech_assist.pdf>
[25.04.2022]
211. Lamy, Pascal. 'China should be more active in global economic governance', Speech of the WTO Director General at the China Development Forum, 2013, retrieved from <[https://www.biblioteca.fundacionicbc.edu.ar/index.php/China should be more active in global economic governance, Lamy tells Beijing forum](https://www.biblioteca.fundacionicbc.edu.ar/index.php/China_should_be_more_active_in_global_economic_governance,_Lamy_tells_Beijing_forum)>
[25.04.2022]
212. Organization for Economic Co-operation and Development [OECD], Statement by the OECD regarding the status of the accession process with Russia & co-operation with Ukraine, retrieved from <www.oecd.org> [25.04.2022]
213. World Trade Organization [WTO], 'Farewell speech of Appellate Body member Peter Van den Bossche,' 2019, retrieved from <https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/farwellspeech_peter_van_den_bossche_e.htm> [25.04.2022]
214. World Trade Organization [WTO], Statement by the United States at the Meeting of the WTO Dispute Settlement Body, 2016, retrieved from <https://www.wto.org/english/news_e/news16_e/us_statment_dsbmay16_e.pdf> [25.04.2022]